

F-610  
1960



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ბათუმის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  
შ რ მ ე ბ ი  
I

Т Р У Д Ы  
БАТУМСКОГО НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬНОГО  
ИНСТИТУТА

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა  
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ბათუმი—1980—БАТУМИ





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ბათუმის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  
შრომები

I

Т Р У Д Ы

БАТУМСКОГО НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬНОГО  
ИНСТИТУТА



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა  
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ბათუმი—1960—БАТУМИ



სარედაქციო კოლეგია

კ. ბაბილოძე, ა. ინაიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი)  
დ. მოურავიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ჯ. ნოღაიდელი,  
აღ. რობაქიძე





ა. ინაიშვილი

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამოცანები


აჭარამ ისტორიული განვითარების თავისებური, უაღრესად რთული და მძიმე გზა გაიარა. იგი დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო დედამშობლო—საქართველოს. უცხოელთა მრავალწლიანმა ბატონობამ დააქვეითა წარსულში დაწინაურებული ეს მხარე. თურქი დამპყრობლები ცეცხლითა და ნახვით ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის წაერთმიათ ყველაზე ძვირფასი — ქართული ენა და ეროვნული კულტურა. მაგრამ აჭარელთა დაუცხრომელი, გმირული წინააღმდეგობის შედეგად, რასაც მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერა ასაზრდოებდა, მათ შეინარჩუნეს მშობლიური ენა, კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმები, ეროვნული თვითშეგნება. 1878 წელს რუსეთის დახმარებით აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. აჭარელთა ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო.

აჭარაში უცხოელთა საუკუნოვანი ჩაგვრის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის პირობებში არ მომხდარა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ყველა პირობა აჭარის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მძლავრად განვითარდა აჭარის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. დღეს აჭარა დაფარულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ფაბრიკა-ქარხნების ფართო ქსელით, რომელთა შორის ცოტა როდია საკავშირო მნიშვნელობის საწარმო.

დიდი წარმატებანი იქნა მოპოვებული კულტურის დარგში. წინათ ჩამორჩენილი კუთხიდან აჭარა გადაიქცა მდიდარი ტრადიციების მქონე, ფორმით ეროვნულ-ქართული და შინაარსით სოციალისტური კულტურის მხარედ. ამასთან, მძიმე წარსულის მიუხედავად აჭარის ტერიტორიაზე შემონახულია ქართული კულტურის ბევრი ღირსშესანიშნავი ძეგლი — ხიხანი, გონიო, პეტრა, სხალთის მონასტერი, თაღოვანი ხიდები, მრავალი ნამონასტრევი, ნასაყდრალი, ნაციხარი და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები. აჭარელთა კულტურისა და ყოფის ტრადიციული ელემენტებიდან პირველ ყოვლისა აღსანიშნავია: საცხოვრებელ და მეურნეობრივ ნაგებობათა კომპლექსი, ტანსაცმელი, საბრძოლო იარაღი, ნიადაგის მორწყვის სისტემა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მდიდარი მუსიკალური ფოლკლორი, ხალხური ცეკვები, ზეპირსიტყვიერება და სხვ.

ღრმა ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნების, აგრეთვე მდიდარი





წარსულის მიუხედავად, ბოლო დრომდე აჭარის ასსრ მრავალდარგოვანი ეკონომიკის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და მატერიალური კულტურის ძეგლების გეგმავლობითი შესწავლა არ ხდებოდა. ამ მხრივ ჩატარებული მუშაობა ძირითადად მხარეთმცოდნეობითი შესწავლით, კოლექციების შეკრებით, დამუშავებითა და დაცვით, აგრეთვე მათი ექსპონირებით შემოიფარგლებოდა, რომელსაც ახლაც აგრძელებენ აჭარის სახელმწიფო და ბათუმის სახელმწიფო რევოლუციის მუზეუმები. 1930-1950 წლებში მასალების შემკრებლობითი და გარკვეული კვლევითი მუშაობა გასწია ყოფილმა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტმა. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერები. მაგრამ, როგორც ითქვა, საჭიროა ამ მხრივ სისტემატური და საფუძვლიანი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გაშლა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირეს საქ. კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, 1958 წლის დასაწყისში დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აჭარაში ამ ინსტიტუტის დაარსებით განხორციელდა ადგილობრივი ინტელიგენციისა და მშრომელთა დიდი ხნის სურვილი. ამ ფაქტს აქვს უდიდესი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა. იგი წარმოადგენს კომუნისტური პარტიის მზრუნველობის კონკრეტულ გამოხატულებას, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა საკვლევი ობიექტებისადმი მიახლოების დარგში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წინაშე, რომელიც ამჟამად ეკონომიკის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის განყოფილებებისაგან შედგება, დგას აჭარის ასსრ ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების კომპლექსური შესწავლის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. მიმდინარე შეიძწეულ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი განსაზღვრულია იმგვარად, რომ განმტკიცდეს კავშირი წარმოებასთან, პირველ რიგში დამუშავდეს მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმას.

ამჟამად ინსტიტუტი მუშაობს შემდეგ პრობლემებზე: კვების მრეწველობის დარგებისა და მისი სანედლეულო ბაზის ეკონომიკის საკითხები აჭარის ასსრ-ში, აჭარის ასსრ საშენ მასალათა მრეწველობისა და კაპიტალური მშენებლობის ეკონომიკის საკითხები, დასახლების ფორმები აჭარაში, ბათუმის ნავსადგურის მუშათა ყოფა, აჭარელთა საზოგადოებრივი ყოფა (XIX საუკ. 80-იანი წლები — 1921 წ.), აჭარული ზეპირსიტყვიერების ჟანრები.

კომუნისტური გაშლილი მშენებლობის პერიოდში ეკონომიკური მეცნიერების წინაშე წამოყენებულია ამოცანა — პირველ რიგში დამუშავდეს მატერიალური წარმოების განვითარებისა და ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ეკონომიკურმა კვლევა-ძიებამ ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნას და საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტას.



აქედან გამომდინარე, ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილება დაამუშავებს აჭარის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს. კერძოდ, შესწავლილი იქნება: ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნის, ხილის, მემინდვრეობა-მეხობრეობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და მრეწველური გადამუშავების, პურფუნთუშეულისა და საკონდიტრო წარმოების ეკონომიკა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აჭარის ასსრ სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაადგილების, სპეციალიზაციისა და დარგობრივი სტრუქტურის რაციონალიზაცია-გაუმჯობესების საკითხებს. გამოვლენილი იქნება წარმოების გადიდების, მოსავლიანობისა და გამოსავლიანობის ზრდის, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების რეზერვები.

ეკონომიკის განყოფილება შეუდგა აგრეთვე აჭარის ასსრ საშენ მასალათა მრეწველობისა და მშენებლობის ეკონომიკის საკითხების დამუშავებას. საშენ მასალათა მრეწველობისა და მშენებლობის ეკონომიკის საკითხების მეცნიერული შესწავლა-განალიზება ხელს შეუწყობს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას და გამოყოფილი სახსრების ეფექტურ ათვისებას. ამიტომ ამ პრობლემის დამუშავებას ჩვენი მშენებლობის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, განსაკუთრებით კი აჭარისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და უშუალოდ გამომდინარეობს პარტიის XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1959 წ.) და ივლისის (1960 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებიდან.

ეთნოგრაფიის განყოფილებაში პრობლემა — დასახლების ფორმები აჭარაში — მუშავდება სამი ძირითადი მიმართულებით: დასახლების ტოპოგრაფია და მორფოლოგია, დასახლების მეურნეობრივი პირობები, საცხოვრებელი და მეურნეობრივი ნაგებობანი. დასახლების ძირითადი ერთეული წარმოადგენს საცხოვრებელ და მეურნეობრივ პირობათა ისტორიულად ჩამოყალიბებულ მთლიანობას, რომელიც მჭიდრო კავშირშია აგრეთვე სოციალური ურთიერთობისა და იდეოლოგიის ზოგ სფეროსთან. პრობლემის ძირითადი ამოცანაა რევოლუციამდელი აჭარის სოფლის სტრუქტურის ჩვენება, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრა, თავისებურებათა გაშუქება და იმ მხარეების გამოვლინება, რომლითაც აჭარული დასახლება საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონების დასახლების ფორმას უკავშირდება.

მუშათა ყოფის შესწავლა საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა. ინსტიტუტის გეგმით გათვალისწინებული პრობლემა — ბათუმის ნავსადგურის მუშათა ყოფა — გულისხმობს ბათუმის ნავსადგურის გაჩენის დროის და პირობების გამოკვლევას, მისი განვითარების ძირითადი საფეხურების დადგენას, ნავსადგურის მუშათა ყოფის ჩამოყალიბების პროცესის შესწავლას და მის თავისებურებათა გამოვლინებას.

პრობლემა — აჭარელთა საზოგადოებრივი ყოფა (XIX საუკუნის 80-იანი წლები — 1921 წ.) — მიზნად ისახავს გარკვეილ აჭარის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ნიშნები, რომლითაც იგი ხასიათდებოდა თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების დროისათვის და გამოავლინოს აჭარის განთავისუფლების შემდეგ მომხდარი ცვლილებები საზოგადოებრივ ყოფაში.





მდიდარი და მრავალფეროვანია აჭარული ზეპირსიტყვიერება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა. იგი ზეპირპოეტური შემოქმედების ყველა ჟანრითაა წარმოდგენილი და ქართული ფოლკლორის განუყოფელ, ორგანულ ნაწილს შეადგენს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ხელი შეუწყო აჭარელთა მხატვრული შემოქმედების ზრდას.

ფოლკლორის განყოფილების მიზანია მეცნიერულად შეკრიბოს და გამოიკვლიოს აჭარული მხატვრული ზეპირსიტყვიერება ჟანრების მიხედვით (შრომის თემატიკა, საწესჩვეულებო ლექსები, სატრფიალო პოეზია, ისტორიული ლექსი და გმირული სათავედადავლო ეპოსი, აგრეთვე თქმულებები, ანდაზა-გამოცანები, ზღაპარი და სხვ.), შეკრიბოს და შეისწავლოს აჭარული ხალხური მუსიკალური შემოქმედება; შეისწავლოს აგრეთვე აჭარული საკრავიერი მუსიკა და თითოეული საკრავი, მისი წყობა, ზომა, რეპერტუარი, შესრულების ხერხები და ტექნიკური შესაძლებლობანი.

განვიღო პერიოდში ინსტიტუტმა დასახულ პრობლემათა შესასწავლად გაშალა ფართო საქსპედიციო მუშაობა აჭარის ასსრ რაიონებში, მოაწყო 20-ზე მეტი ეთნოგრაფიული, ფოლკლორული (მათ შორის 7 მუსიკალურ-ფოლკლორული) და ეკონომიკური ექსპედიცია, ოთხხმინი ნაღური და სხვა ძველი სიმღერების ჩაწერა, დაიწყო აჭარის რაიონების არქეოლოგიური დაზვერვა, დიდი წარმატებით ჩატარდა ჯიხანჯურ-ცეცხლაურის ტერიტორიაზე არსებული რკინის უძველესი მეტალურგიის კერების არქეოლოგიური გათხრა და გადაიღვა პირველი ნაბიჯები აჭარის ასსრ არქეოლოგიური რუქის შესადგენად.

ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ექსპედიციებში, აგრეთვე არქეოლოგიურ დაზვერვებში სისტემატურად მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები და რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები.

ჩატარებული მუშაობის შედეგად უკვე გამოვლენილი, შეკრებილი და შესწავლილია უაღრესად საინტერესო სტატისტიკურ-ეკონომიკური, საარქივო, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და არქეოლოგიური მასალა.

ეკონომიკის განყოფილებამ შეისწავლა საბჭოთა აჭარაში ჩაის კულტურისა და მრეწველობის განვითარების ისტორიის, ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში შრომის მწარმოებლურობის გადიდების, აგრეთვე აჭარის ასსრ სამეცნიერო-მასალათა მრეწველობის განვითარების საკითხები.

ექსპედიციის სავსე მუშაობის დროს, აგრეთვე, საარქივო მუშაობისას გამოვლინდა და შეიკრიბა ახალი ეთნოგრაფიული მასალები დასახლების ტოპოგრაფიისა და მორფოლოგიის, მეურნეობრივი პირობებისა და კარ-მიდამოს, საცხოვრებელ და მეურნეობრივ ნაგებობათა, ნასახლარების, აჭარელთა საზოგადოებრივი ყოფის, ბათუმის ნავსადგურის ისტორიისა და სხვ. შესახებ; მიკვლეულია ფეოდალური ხანის იშვიათი არქეოლოგიური ძეგლები; გადაღებულია 900-ზე მეტი ფოტოსურათი და გაკეთებულია 300 ჩანახაზი და ჩა-



ნახატი, რომლებზეც აღბეჭდილია დასახლებანი, ნასახლარები, შრომის იარაღები, სარწყავი, საცხოვრებელი და მეურნეობრივი ნაგებობანი, მატერიალური კულტურის ძეგლები. გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი სახალხო მთქმელი და სხვ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ჩატარდა აგრეთვე ხიხაძის ციხის, ქ. ბათუმის და მისი მიდამოების, ზღვის სანაპირო ზოლის (თხილნარიდან სარფამდე), კოროხის ხეობის (კირნათიდან მარადიდამდე) არქეოლოგიური დაზვერვა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ხიხაძისა და გონიოს ციხეების მთლიანად ზღვის სანაპირო ზოლის, სხალთისა და აჭარის წყლის, აგრეთვე კინტრიშის ხეობათა მეტად საყურადღებო ძეგლების თანმიმდევრული არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა.

1960 წლის საექსპედიციო მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩათვალოს ჯიხანჭურ-ცეცხლურის არქეოლოგიური გათხრები, რომელიც ბათუმის ინსტიტუტისა და აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ ჩატარა. ექსპედიციის საველე მუშაობამ დაადასტურა ანტიკური ხანის ავტორების ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რკინის ძველი მეტალურგიის მძლავრი კერის არსებობის შესახებ. ექსპედიციამ მდ. ჩოლოქის ხეობაში პირველად მიაკვლია რკინის წარმოების 50-მდე კერას. ამათგან ჯიხანჭურის მეურნეობის ტერიტორიაზე გათხრილ და შესწავლილ იქნა 5 ქურასახელოსნო, რომლებიც წინასწარი ვარაუდით ძვ. წ. VI-VIII საუკუნეებს მიეკუთვნება და აშკარად მეტყველებს ქართველთა წინაპრების მაღალ ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე.

ამავე ექსპედიციამ შესადარებელი მასალისათვის ფიჭვნარის ზღვისპირა დიუნების კულტურული ფენების გაწმენდისას აგრეთვე პირველად მიაკვლია შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის საკმაოდ კარგად შემონახული წარმართული საკუთხეველი.


რკინის ქურასახელოსნო და საკუთხეველი მონოლითად მოიჭრა, სხვა მასალებთან ერთად ჩამოტანილია ბათუმში და გადაეცა აჭარის სახელმწიფო მუზეუმს.

ჩაწერილი და სისტემატიზებულია 250 თაბახზე მეტი ფოლკლორული მასალა (ზღაპრები, ლექსები, სიმღერები, ანდაზები, გამოცანები, თქმულებები, გადმოცემები, შელოცვები, ტოპონიმიკური მასალა და ა. შ.).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 120-მდე (ვარიანტებითურთ) ძველი აჭარული სიმღერების ფირზე გადატანა, რომელთა ჩაწერას ინსტიტუტმა დაარსებიდანვე მოჰკიდა ხელი. ექსპედიციებს წინ უძღოდა ფართო მოსამზადებელი სამუშაოები, რაც ინსტიტუტმა ადგილობრივი ორგანოების დახმარებით შეასრულა. კერძოდ, 1958 წელს აჭარის რაიონების მრავალ სასოფლო საბჭოში (ლეღვა, ხიხაძი, დიდაჭარა, ჭვანა, მერისი და სხვ.) წინასწარ ჩამოყალიბდა და მომზადდა ძველი ხალხური სიმღერების შემსრულებელთა ჯგუფები.

ჩაწერილი სიმღერების დიდი ნაწილი გაიშიფრა და ნოტებზე იქნა გადატანილი. აქედან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია აჭარულმა ნაღურმა სიმღერებმა, რომლებიც ოთხხმიანია და ამ მხრივ ქართული ხალხური მუსიკის მნიშვნელოვანი მონაბოვარია. აკად. ივ. ჯავახიშვილმა, აჭარიდან მიწოდე-





ბული მასალების საფუძველზე, ჯერ კიდევ ოცზე მეტი წლის წინათ შეიქმნა ჟურნალდება ქართული მუსიკალური ფოლკლორის ოთხხმიანობას, რაც კვლავ დაადასტურა ინსტიტუტის მიერ გასულ წლებში ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ და რამაც სპეციალისტთა და მუსიკის მცოდნეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ძველ სიმღერებთან ერთად ექსპედიციების დროს ფირზე ჩაწერილ იქნა საცეკვაო მუსიკის შესრულება ჭიბონზე, სალამურზე, გუდის ჭიბონზე და ჩონგურზე; აღწერილ იქნა აჭარული ხალხური ქორეოგრაფიის ძირითადი ნიმუშები: „ხორუმი“, „გადახვეული ხორუმი“, „განდაგანა“, „ჩამორებული“, „ლაზური“ და სხვ.

სისტემატურად ხორციელდება მოპოვებული მდიდარი მასალის დამუშავება-გაანალიზება, რომლის საფუძველზეც სრულდება გეგმური თემები. ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლებმა დაწერეს 20-ზე მეტი ნაშრომი და სამეცნიერო ანგარიში.

ეკონომიკის განყოფილებაში 1959 წელს შესრულებული ნაშრომების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები და წინადადებანი, საკითხის დასმის წესით, წარდგენილ იქნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში.

1960 წლის მარტსა და აგვისტოში ინსტიტუტმა ჩაატარა ორი რესპუბლიკური ეკონომიკური კონფერენცია თემებზე: „შრომის მწარმოებლურობისა და მოსავლიანობის გადიდების რეზერვები აჭარის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში“ და „საშენ მასალათა წარმოების გადიდებისა და მშენებლობის დაჩქარება-გაიაფების რეზერვები აჭარის ასსრ-ში“. კონფერენციების მუშაობაში ფართო მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, აჭარის ასსრ საშენ მასალათა მრეწველობის, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკებმა, წარმოების მოწინავეებმა, ხელმძღვანელმა პარტიულმა და მეურნეობრივმა მუშაკებმა, აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს წარმომადგენლებმა. კონფერენციები ჩატარდა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებისა და პრაქტიკის მუშაკთა მჭიდრო თანამშრომლობის ნიშნით და შემუშავებულ იქნა მრავალი პრაქტიკული ღონისძიება წარმოებაში დასანერგავად.

ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობენ სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ გამართული სესიების მუშაობაში. ამასთან, ინსტიტუტში უკვე დაგროვდა სათანადო მასალები და მომწიფდა საჭირო პირობები იმისათვის, რომ სისტემატურად მოეწყოს სესიები და კონფერენციები აჭარის ასსრ ეკონომიკის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საინტერესო პრობლემებზე.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა გამომცემლობის ხაზითაც. დაწესდა „შრომების“ კრებულის გამომცემა ყოველწლიურად 10 პირობითი საბეჭდი თაბახის ოდენობით, სადაც ძირითადად დაიბეჭდება ინსტიტუტის გეგმით შესრულებული ნაშრომები. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლებმა გეგმის გარეშე უკვე დაწერეს და დაბეჭდეს ნაშრომები, ხოლო ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნეს მრავალი სტატია და რეცენზია, რომლებიც აჭარის ისტორიის, კულტურისა და ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს ეხებოდა.



ამასთან თანამშრომელთა უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის ლექციურ პროპაგანდაში.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა უმრავლესობას ახალგაზრდობა წარმოადგენს. ამჟამად ინსტიტუტში მეცნიერულ-კვლევით მუშაობას, ხელმძღვანელი სამეცნიერო პერსონალის ჩათვლით 20 კაცი ეწევა. აქედან უმცროსი მეცნიერთანამშრომლის მოვალეობას ასრულებს 10 კაცი, რომელთაც ჯერ არა აქვთ სამეცნიერო ხარისხი. განვიხილოთ სამ წელში მნიშვნელოვნად ამაღლდა თანამშრომელთა კვალიფიკაცია, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ჩვევები. განყოფილებებში ტარდება სემინარები, კონსულტაციები, მოხსენებები, ეწყობა რეფერატთა წაკითხვა, ნაშრომების განხილვა და სხვ. რამდენიმე თანამშრომელი ემზადება საკანდიდატო მინიმუმის ჩასაბარებლად და მეცნიერული ხარისხის მოსაპოვებლად.

კადრებით ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მნიშვნელოვნად განმტკიცდა. მაგრამ საშტატო ერთეულებისა და კვალიფიციური კადრების მხრივ ინსტიტუტს ჯერ კიდევ დიდი მუშაობის გაწევა მოუხდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კვალიფიციურ მეცნიერ მუშაკთა მომზადების საუკეთესო ფორმა ამჟამად არის ასპირანტურა. ამიტომ ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტს განზრახული აქვს აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებში ასპირანტურის გზით მოამზადოს ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები. 1959-60 წლებში ამ მხრივ უკვე ჩატარდა ერთგვარი მუშაობა. მიღებულ იქნა სამი ასპირანტი. მომავალ 5-7 წლის განმავლობაში საჭირო იქნება ინსტიტუტს ყოველწლიურად გამოეყოს 3-4 ადგილი ასპირანტურაში.

ზევაი რომ გაკეთდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. 1958 წლის ბოლოს ინსტიტუტს გამოეყო ორსართულიანი შენობა, რომლის შიგა ნაწილი რეკონსტრუირებულ იქნა; შეძენილია პირველი საჭიროების ავეჯი, ინვენტარი, მოწყობილობა, აპარატურა. სხვადასხვა უწყებების მიერ საჩუქრად გადმოცემული და ახლადშეძენილი ლიტერატურის ბაზაზე შეიქმნა სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელშიაც ამჟამად უკვე 10.000-მდე წიგნი ითვლება. გაიხსნა მეცმუშაკთა სამკითხველო დარბაზი. შენდება საცხოვრებელი სახლი.

მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისა და ინსტიტუტის მუშაობისადმი საერთო ხელმძღვანელობას ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ახორციელებს დირექციის მეშვეობით. ვინაიდან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ჯერჯერობით არ არის შექმნილი, ამიტომ უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა-გადაწყვეტაც დირექციის სხდომებზე წარმოებს. ამასთან ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, როგორც ახალი სამეცნიერო დაწესებულება, სისტემატურად იღებს ორგანიზაციულ და მატერიალურ დახმარებას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების, აგრეთვე ეკონომიკის, ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტებისაგან. სადირექტივო პარტიული და სახელმწიფო ორგანოებისაგან.

ამრიგად, მიუხედავად საორგანიზაციო პერიოდისა, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა უკვე შეასრულა გარკვეული მუშაობა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რომლის გასაყეთებლადაც მოწოდებულია იგი. აჭარის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება, ფოლკლორი,





ეთნოგრაფია, ისტორია, არქეოლოგია და სხვ. ჯერ კიდევ უცდის დრამა მეცნიერულ შესწავლას.

აქედან გამომდინარე ინსტიტუტის მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის პერსპექტიული გეგმით მომავალი 15-20 წლისათვის გათვალისწინებულია ფართო კვლევადიებითი და საექსპედიციო მუშაობის გაშლა. ამ მიზნით ზემოაღნიშნული პრობლემების გარდა, დამუშავდება ისეთი პრობლემები, როგორიცაა: აჭარის ასსრ გემთმშენებლობისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ეკონომიკის საკითხები, აჭარელთა მეურნეობრივი ყოფა, აჭარის ასსრ არქეოლოგიური რუკა, ქალაქ ბათუმის ისტორია და სხვ.

ინსტიტუტის მუშაობის პირველმა წლებმა გვიჩვენა, რომ ახლანდელი პროფილის პირობებში შესაძლებელი არ იქნება ყველა იმ ამოცანის გადაჭრა, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის წინაშე ისახება. აჭარის ასსრ მრავალდარგოვანი ეკონომიკის, ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე მატერიალური კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების დღემდე სათანადო შეუსწავლელობა მოითხოვს მეცნიერ-ეკონომისტთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა კადრების მომზადების დაჩქარებას, აგრეთვე ინსტიტუტის სტრუქტურის სრულყოფას.

ზემოთ აღნიშნული და სხვა პრობლემების დამუშავება გათვალისწინებულია იმ ვარაუდით, რომ ინსტიტუტში ახლანდელი ეკონომიკის განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდეს ორი — სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის და მშენებლობის ეკონომიკის განყოფილებები, ეთნოგრაფიის განყოფილების ბაზაზე კი ეთნოგრაფიისა და ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებები და დაკომპლექტდეს ისინი სათანადო კვალიფიკაციის მეცნიერ მუშაკთა კადრებით. მიზანშეწონილად მიჩნეული ფოლკლორის განყოფილებასთან დიალექტოლოგიური ჯგუფის შექმნა. 1980 წლისათვის ნავარაუდევია მეცნიერ მუშაკთა რაოდენობის გაზრდა 50-60 კაცამდე და საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვა.

შემდგომ განმტკიცდება ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამ საფუძველზე ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მომავალში შეძლებს სათანადო დონეზე დააყენოს აჭარის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის საკვანძო პრობლემების შესწავლა და, საექსპედიციო და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის მხრივ, შესაძლოა, დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებსაც მიწვდეს.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მუშაობას შეიძლება დასაწყისში შეუდგა, მისი ახალგაზრდა კოლექტივი, თავდადებით იშრომებს მის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრისათვის.



ალ. რობაქიძე

## დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აზარაში

ქართული ეთნოგრაფიული მასალის შედარებითი შესწავლა ცხადყოფა ვერტიკალური ზონალობის, როგორც გეოგრაფიული ფაქტორის, მნიშვნელობას კულტურისა და ყოფის ძირითადი ელემენტების ჩამოყალიბების პროცესში. ძველი იბერიის მიმართ ეს გარემოება შენიშნა სტრაბონმა; ამ პრინციპს თანმიმდევრულად იცავდა ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფიული გარემოს ეს თავისებურება გარკვეულ კვალს აჩენდა ქართველი ხალხის მეურნეობრივ ყოფას; მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ერთობლიობის ჩამოყალიბებაში, რომელიც ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ოლქისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ კულტურისა და ყოფის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმების ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ერთეულისათვის დამახასიათებელი სისტემები ვერ ეტევა ვერტიკალური ზონალობის ჩარჩოებში, რადგან ამ ფორმებს საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონე აპირობებს. ამდენად ბუნებრივია, რომ ყოველგვარი ეთნოგრაფიული კლასიფიკაცია უნდა ეყრდნობოდეს, პირველ ყოვლისა, ეთნოგრაფიულ მასალას.<sup>1</sup>

ამ რიგის საკლასიფიკაციო სისტემის საფუძვლად საბჭოთა ეთნოგრაფიაში მიღებულია ორი ძირითადი ცნება: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი და მეურნეობრივ-კულტურული ტიპი.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქის აქ წარმოდგენილი გავების შესაბამისად მ. ლევინი და ნ. ჩეხოვსკაროვი კავკასიას ორ ნაწილად ყოფენ, კერძოდ: ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქებად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი კლასიფიკაცია რამდენადმე მექანიკურია; იგი არ ითვალისწინებს იმ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობლიობას, რომელიც ცენტრალური კავკასიონის ხალხთა ეთნოგრაფიაში სრულიად აშკარად ვლინდება, კავკასიონის ქედის იმიერ და ამიერ კალთების მთიელებს ორგანულად აკავშირებს და ასეთ მკვეთრ გამიჯვნას ვერ ითმენს.<sup>2</sup> გარდა ამისა, ვერ-

<sup>1</sup> М. Г. Левин и Н. Н. Чебоксаров, Хозяйственно-культурные типы и историко-этнографические области, «Советская этнография», 1955, № 4, გვ. 15, დაწვრილებით იხილე С. П. Толстов, Проблемы родового общества, «Советская этнография», 1931, № 3—4; მისივე, Очерки первоначального ислама, «Советская этнография», 1932, № 2; М. Г. Левин, К проблеме соотношения хозяйственно-культурных типов северной Азии, Краткие сообщения Института этнографии, в. II, 1947.

<sup>2</sup> А. И. Робакидзе и Р. Л. Харадзе, К вопросу о сванско-балкарских этнокультурных взаимоотношениях, «О происхождении балкарцев и карачаевцев», Нальчик, 1960, გვ. 135—152.





ტიკალური ზონალობა. როგორც კავკასიის გეოგრაფიისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ფაქტორი. ხელს უწყობდა კავკასიის ხალხთა ყოფაში ისეთ ეთნოგრაფიულ თანხედრილობათა სისტემების ჩამოყალიბებას, რომლებიც ტერიტორიულად საკმაოდ განცალკევებული რაიონების გარკვეულ ერთობლიობას წარმოაჩენენ.

ეს ორი გარემოება ნათელყოფს, რომ საერთოდ კავკასიისა თუ, კერძოდ, საქართველოს ეთნოგრაფიული მასალის კლასიფიკაციას წინ უნდა უსწრებდეს ამ მასალის შესწავლა მეურნეობრივ-კულტურული ტიპების თვალსაზრისით. ჯერ ეთნოგრაფიული ჯგუფებისა და შემდეგ მსხვილი ეთნიკური ერთეულების მიხედვით. კულტურისა და ყოფის წამყვანი ელემენტების იმ თავისებურებათა შედარებითი შესწავლა, რომლებიც საქართველოს ცალკეული კუთხეებისათვისაა დამახასიათებელი, საფუძველს იძლევა პირველ რიგში გამოყოფილ იქნას სამი ძირითადი რაიონი: საკუთრივ კოლხეთის დაბლობი, აღმოსავლეთ საქართველოს ბარი და საქართველოს მთიანეთი, რომლებიც სხვადასხვა მეურნეობრივ-კულტურულ ტიპებს განეკუთვნებიან.

ქართველი ხალხის მეურნეობრივი ყოფის საფუძველს ძველთაგანვე მრავალბროფილიანი ეკონომიკა შეადგენს. ამასთან ერთად საქართველოს ცალკეულ კუთხეებს მეურნეობრივი საქმიანობის ძირითადი დარგების სხვადასხვა თანაშეფარდება და განვითარების მიმართულება ახასიათებს. კოლხეთის დაბლობის მოსახლეობისათვის მეურნეობის წამყვან დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მემინდვრეობა აქ ვითარდებოდა ჯერ ღომისა და შემდეგ სიმინდის საფუძველზე, ხოლო მევენახეობა მალღარის სახეს ატარებდა; მესაქონლეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან, მაგრამ დამოუკიდებელი მნიშვნელობა დაკარგული არ ჰქონდა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარისთვისაც წამყვან დარგს წარმოადგენდა მიწათმოქმედება, კერძოდ, მემინდვრეობა, რომელიც ვითარდებოდა ენდემური პურეულის — დოლის პურის, — საფუძველზე, დაბლარი ვენახი, მეხილეობა. ამ მეურნეობრივ-კულტურული ტიპისათვის დამახასიათებელ რაიონში მესაქონლეობა, როგორც წესი, მიწათმოქმედების ინტერესებს ემსახურებოდა. საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელია ძირითადად მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური ფორმა. მემინდვრეობის განვითარების საფუძველს მაღალმთიან ზოლში ქერი და ფეტვი წარმოადგენდა, ხოლო მევენახეობა უცნობი იყო. რიგ შემთხვევაში მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა.

საზოგადოებრივი განვითარების დონეთა უთანაბრობამ და აგრეთვე მეურნეობრივ პირობათა განსხვავებამ განსაზღვრა რიგი თავისებურება კულტურისა და ყოფის ისეთი ძირითადი ელემენტების სფეროში, როგორიცაა, საცხოვრებელ და მეურნეობრივ ნაგებობათა კომპლექსი, დასახლების ერთეული, შრომის იარაღი, საოჯახო დგამ-ჭურჭელი, პურის ცხობისა და ღვინის დაყენების წესები, ტრანსპორტი, წისქვილი და სხვა.<sup>3</sup>

ამ ელემენტების თავისებურებათა შესაბამისად დადგენილი სამი ზემოაღნიშნული რაიონიდან ყოველი ცალკეული რაიონი თავის მხრივ შეიცავს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს, რომლებიც ლოკალური თავისებურებებით ხასი-

<sup>3</sup> А. И. Робакидзе: К вопросу о формах поселения в Сванети, Краткие сообщения Института этнографии АН СССР, в. XXIX, 1958, гл. 60—61.



ათლებიან, თუმცა არც ერთი ეს თავისებურება ზოგად-ქართული ეთნოგრაფიის ნორმების ფარგლებს არ სცილდება.

ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს შეადგენენ აჭარლები, რომელთაც მიუხედავად მძიმე ისტორიული ხვედრისა, სათუთად დაიცვეს მშობლიური ენა, ეროვნული თვითშეგნება, კულტურისა და ყოფის ტრადიციული ფორმები და მათ შორის რიგი ისეთი არქაული მოვლენა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეთა ყოფაში უკვე წაშლილია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალა წარმოაჩენს დასახლების აჭარული ფორმის რიგ თავისებურებას, რომლის შედარებითი შესწავლა საქართველოს სხვა რაიონებიდან მომდინარე მასალის შუქზე საშუალებას იძლევა აჭარელთა ყოფის ამ მხარის დახასიათებისათვის მეურნეობრივ-კულტურული ტიპოლოგიის თვალსაზრისით.<sup>4</sup> მოკლედ, საკითხი ისმის ასე: დასახლების ფორმის თავისებურებათა მიხედვით ეთნოგრაფიულად აჭარა საქართველოს ზემოაღნიშნულ რაიონთა შორის რომელს განეკუთვნება — კოლხეთის დაბლობს, აღმოსავლეთ საქართველოს ბარს, თუ საქართველოს მთიანეთს?

დასახლების ძირითად ერთეულს მთა-აჭარაში სოფელი წარმოადგენს, მაგრამ დასახლების ზოგიერთი ელემენტი, საკუთრივ განსახლების წესი, დასახლებული პუნქტების მდებარეობა, მათი მორფოლოგიური და მეურნეობრივი ნიშნები და რიგი სხვა მონაცემები იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ძველად დასახლების ძირითადი ერთეული დასახლებული პუნქტების უფრო ფართო გაერთიანებას წარმოადგენდა.

სამისო მაგალითად ღორჯომის მოყვანა შეიძლებოდა. ღორჯომის ტერიტორია მტკიცედ ლოკალიზებულ გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს. სამი მხრიდან იგი შემოზღუდულია მთის ქედით და მისგან გამომდინარე ორი განტოტებით, ხოლო მეოთხე მხრიდან — მდ. ღორჯომით. ბუნებრივი საზღვრებით შემოფარგლული ეს ფართობი მრავალ ადგილას ღელე-ხევებით და სერებით არის გადაკვეთილი, რომლებიც თავის მხრით ამ ფართობში მოქცეულ ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს ერთმანეთისაგან ტერიტორიულად განასხვავებს. დასახლების ადგილი, ყველა სახის სახმარი მიწა, წყალი და ტყე, რაც კოლექტივის ნორმალურ მეურნეობრივ საქმიანობას ესაჭიროება, ამ გეოგრაფიული ერთეულის ფარგლებს შიგნით არის მოქცეული. დასახლების ტოპოგრაფიის ეს თვისება მარტო ღორჯომს არ ახასიათებს. იგი თვალნათლივ შეინიშნება მთა-აჭარის ისეთ დასახლებულ პუნქტებში, როგორიცაა აგარა, დიდაჭარა, ხიხაძირი და სხვა. საცხოვრებელ და მეურნეობრივ პირობათა ეს ბუნებრივი ტერიტორიული მთლიანობა და მტკიცე გეოგრაფიული საზღვრებით შემოზღუდულობა არის პირველი დამახასიათებელი ნიშანი აჭარული დასახლების ტოპოგრაფი-

4 ექსპედიციის მუშაობაში ამ სტრიქონების ავტორთან ერთად მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი თ. ჩიქოვანი. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები: ნ. ჩიჯავაძე და ვლ. მგელაძე, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ქ. ნიკოლაიშვილი, არქიტექტორები: ქ. ბურჭულაძე და ვ. პოპლავსკაია, მხატვარი ვ. ილიუშინი, ლაბორანტები: მ. ბეჭია და ვ. შამილაძე; იბ. ლ. მაცუტაძე, По следам одной экспедиции, «Вечерний Тбилиси», 1959, 16 мая. ნაშრომი წაკითხულია მოხსენებად ქ. მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1959 წლის აპრილის სესიაზე.





ისა, რომლითაც იგი საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონების დასახლების ფორმებს განეკუთვნება.

სახმარი მიწების, საკუთრივ სახნავ-სათიბის ასეთი კომპაქტური განლაგება და განსაკუთრებით საძოვრების საერთო სარგებლობის წესი მეურნეობრივი ინტერესების ერთობლიობას ქმნიდა. მორწყვის რიგი, სასოფლო საბალახოების სარგებლობის წესი, მომთაფერდაობის მონაცვლეობა და მწყემსობის ორგანიზაცია მოსახლეობის შეთანხმებას მოითხოვდა როგორც ვადების, ასევე თანამშრომლობის ფორმების მხრივ.

ლორჯომის დასახლებული პუნქტები და სახმარი მიწის ფართობები მძლავრად დაქანებულ ფერდობებზეა განლაგებული; მთელი ეს ტერიტორია ამის გამო აშკარად გამოვლენილ ტერასისებურ ხასიათს ატარებს. დასახლების ეს თვისება განსაკუთრებული სიცხადით მართის ხეობაში, კერძოდ ს. შუბანში მოჩანს. ს. შუბანში, ისევე როგორც მთა-აჭარის სხვა მრავალ ადგილას ტერასები ხელოვნურად ეწყობოდა. ეს არის აჭარული დასახლების მეორე ტიპო-გრაფიული ნიშანთვისება, რომლითაც იგი საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონების დასახლებას ენათესავება.

განსახლება მთა-აჭარაში ხაზოვანია — იგი სერებს მისდევს და ამიტომ მას სერულს ვუწოდებთ.<sup>5</sup> განსახლების ეს თავისებურება საგანგებო ტერმინის შექმნას მოითხოვს, რადგან ამ რიგის განსახლებას დასახლების ფორმათა კლასიფიკაციებში თავისი ადგილი ჯერ კიდევ არ აქვს მიჩენილი. აჭარის რელიეფის მკვეთრი დასერილობა დასახლების ამ ფორმის ბუნებრივი პირობაა, მთავარი მიზეზი კი, ჩვენი აზრით, ოჯახის დასახლების საკარმიდამო ფორმა უნდა იყოს. აჭარაში, როგორც წესი, ძირითადი სახნავი ნაკვეთი (ფუძე — ნაფუზარი, მამულ-ლი), განსხვავებით შემდეგ გაჩენილი ახლო და გარეყანისაგან, ოჯახის სამოსახლო კომპლექსში შედის. მიუხედავად ამისა აჭარული სოფელი მჭიდრო დასახლებათა ჯგუფს განეკუთვნება, თუმცა საქართველოს მაღალმთიანი რაიონებისათვის დამახასიათებელ სიმჭიდროვეს იგი ვერ აღწევს. დასახლების სიმჭიდროვის შედარებით დაბალი კოეფიციენტი, საკარმიდამო ერთეულების კომპლექსური ხასიათი და მათი ხაზობრივი განლაგება სერების მიხედვით რამდენადმე ასხვავებს აჭარულ დასახლებას საქართველოს მაღალმთიანეთის ისეთი რაიონების დასახლებისაგან როგორიცაა, მთა-რაჭა, ზემო სვანეთი, ხევსურეთი, მთა-თუშეთი; ამ მხრივ იგი უფრო უახლოვდება მთიან სამეგრელოს, აფხაზეთის მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, ქვემო სვანეთს.

1958 წლის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ლორჯომი 21 დასახლებული პუნქტისაგან შედგება: ირემაძიები — 60 კომ., ტუნაძიები — 53 კომ., წინწკალაშვილები — 36 კომ., სტეფანაშვილები — 19 კომ., ლაბაძიები — 30 კომ., გორგაძიები — 43 კომ., ცეცხლაძიები — 20 კომ., დავლაძიები — 13 კომ., ალაძიები — 50 კომ., მინთაძიები — 38 კომ., ვანაძიები — 49 კომ., მეკეიძიები — 28 კომ., მეხალაშვილები — 38 კომ., ვაშაყმაძიები — 30 კომ., ხოზრევანიძეები — 12 კომ., ახალსოფელი — 21 კომ., სააჭვე — 4 კომ., მერჩხეთი — 18 კომ., ჭახაური — 24 კომ., ქურდული — 30 კომ., ბახუნტარიძეები — 17 კომ. აქედან ექვსი პუნქტი (ახალსოფელი, სააჭვე, მერჩხეთი, ჭახაური, ქურდული,

5 ნ. მარი (Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, ТРАГФ, 6, Спб., 1911, გვ. 142) და ნ. მარზე დაყრდნობით ი. ადამია (ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, თბილისი, 1956, გვ. 18) ამ რიგის დასახლებას ამფითეატრულს უწოდებენ.



ბახუნტარიძეები), როგორც გადმოცემით ირკვევა, უკანასკნელი 60-70 წლის მანძილზეა გაჩენილი. დარჩენილი 15 პუნქტიდან 5 პუნქტის დასახლება უფრო შორეული გადმოცემებით დგინდება. ასე, მაგალითად, გადმოცემით გორგაძეები და ცეცხლაძეები გურიიდან არიან მოსული, ხოზრევანიძეები — დიდაჭარიდან, მახალაშვილები და ვაშაყმაძეები — საქართველოს სხვა რაიონებიდან, ხოლო მეკეიძეები და ვანაძეები მე-19 ს-ის ოთხმოციანი წლების ერთი სიით მიწვრილია აგარაზე.<sup>6</sup> ამგვარად, ღორჯომის უძველეს დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენდა: ტუნაძეები, ირემაძეები, დავლაძეები და კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი — საკუთრივ ღორჯომი, რომელიც რიგი უზნისაგან შედგებოდა (მინთაძეები, ადაძიები, ლაბაიძეები, სტეფანაშვილები და წინწყალაშვილები). მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლების დასახლებული სიითაც ღორჯომის თემში აღრიცხულია: ტუნაძეები, გორგაძეები, ირემაძეები, სტეფანაშვილები, მინთაძეები, ლაბაიძეები, დავლაძეები, წინწყალაშვილები და ადაძიები.<sup>7</sup>

ამგვარად, ღორჯომი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა დასახლების იმ უძველეს ერთეულს, რომელიც 4 სოფლისაგან შედგებოდა და რომლის შემდგომი განვითარების გზით მიღებული იყო თანამედროვე ღორჯომის დასახლებული პუნქტების ესოდენ ფართო ქსელი. ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება აგარა-საციხურის მიმართ, რომლის შემდგომი განვითარების შედეგად გაჩნდა შედარებით ახალი დასახლებული პუნქტები: გელაურა, ნამონასტრევი და პანტარი. დიდაჭარის მასალები იგივე სურათს წარმოაჩენს. ამჟამად იგი შედგება ოთხი დასახლებული პუნქტისაგან, რომელთაგან გობაძეები, ხუციაშვილები და შავაძიები ძველადვე იყო დასახლებული, ხოლო კურცხლები შედარებით გვიან გაჩნდა.

მსგავსი სურათი დამოწმებულია ინჟირვეთში (სურ. 1), ს. შუბანში (სურ. 2).

ამრიგად, მთა-აჭარის დასახლების ერთეული სტრუქტურულად საკმაოდ რთულ კომპლექსს წარმოადგენს. უძველესი ფენის მიხედვით იგი უსათუოდ ხევის ტიპისაა. ღორჯომის მაგალითის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, საკუთრივ ღორჯომი ტუნაძეებთან, ირემაძეებთან და დავლაძეებთან ერთად თემს შეადგენდა. საკუთრივ ღორჯომის უზნებად დანაწილება (მინთაძეები, ადაძიები, ლაბაიძეები, სტეფანაშვილები და წინწყალაშვილები) განვითარების იმ საფეხურს ასახავს, როდესაც თემში შემავალი ერთი დასახლებული პუნქტი სოფლად იქცა და ცალკე უზნებად დაიყო, ხოლო დანარჩენები ამ დონემდე ვერ განვითარდნენ. ამით უნდა აიხსნას ის მერყეობა, რომელსაც იჩენს მოსახლეობა აჭარული სოფლისა და უზნის ურთიერთობის საკითხზე მასალის მოწოდებისას. ერთსა და იმავე წინწყალაშვილებსა და ირემაძეებს იგი ხან სოფელს უწოდებს, ხან მეპელეს. მეპელეს საკითხი ლიტერატურაში გარკვეულია. იგი თურქული ტერმინია, რომლითაც აღინიშნება სოფლის უბანი. ეს ტერმინი ჩვენ გვხვდება დაღისტანში, ლ. პანეკის მოწმობით დაღისტანში „селения состоят обычно из нескольких кварталов („мяглы“)“.<sup>8</sup> დაღისტანისათვის ამ გარემოებას ლ. ლავროვიც ამოწმებს, მაგრამ რატომღაც ამ ტერმინს ტერიტორიული თემის

6 ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 123.

7 იქვე. საბუთში რატომღაც ირემაძეები ორჯერ არის მოხსენებული.

8 Л. Б. Панек, Жилище лезгин, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნ. IX, თბილისი. 1957, გვ. 134.





ნაწილს უკავშირებს და „хьянл“-ს უწოდებს.<sup>9</sup> თუმცა ამ მეტად საყურადღებო კავშირის დასადასტურებლად საბუთი არ მოპყავს. იგივე ითქმის მთიანი ნახჭევანის შესახებ. მ. ნასირლის ცნობით „Каждое село в республике состоит из нескольких кварталов (махалла, мэхэллэ)“...<sup>10</sup> ნ. მარი შავშეთის მასალაზე დაყრდნობით Mehele-ს ასევე სოფლის უბნად მიიჩნევს.<sup>11</sup>

აჭარაში მეპელეს მნიშვნელობის საკითხს გ. ჩიტაიაც ეხება ქსნის ხეობის დასახლების საკითხთან დაკავშირებით. საკუთრივ ქსნის ხეობის დასახლების შესახებ ავტორი წერს: „... აქ ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტები წარმოადგენენ უმეტეს შემთხვევაში ხეობებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი უბნები“.<sup>12</sup> და იქვე: „სოფლის ასეთი დანაწილება უბნებად დღემდე შემონახულია ზემო აჭარაშიაც, სადაც უბნების სახელწოდებად მეპელე-ა მიღებული“. ხეობა, მოყვანილი ციტატის მიხედვით თითქოს უდრის ხევს, როგორც სოციალური გაერთიანების აღმნიშვნელ ტერმინს, ხოლო სოფლის უბანი — ხევის უბანს.

ზემოთ მოყვანილი მასალა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეთნოგრაფიულად ფიქსირებული დასახლების ძირითადი ერთეული მთა-აჭარაში ორი სხვადასხვა დროის ფენის შემცველია. უძველესი ფენა მიუთითებს იმაზე, რომ დასახლების ძირითადი ერთეული ძველად ხევი || თემი იყო, რომელიც მცირერიცხოვანი დასახლებული პუნქტების ჯგუფს წარმოადგენდა. განვითარების შემდეგ საფეხურზე მცირერიცხოვანი დასახლებული პუნქტები სოფლებად იქცა, დამოუკიდებელი ერთეულის სახე მიიღო და უბნებად დანაწილების გზას დაადგა.

ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში საუბარი ეხება ტიპურ დასახლებას და არა ე. წ. შემთხვევითს. „შემთხვევითი“ დასახლების ერთი მაგალითი მოყვანილი აქვს გ. ჩიტაიას ქსნის ხეობიდან. მისი სიტყვით „... იფნევის ერთ უბანს დასახლების ტიპად ძველი ციხის გაღავანი აურჩევია და შიგ მოთავსებულა“.<sup>13</sup>

ძველად რომ დასახლების ძირითადი ერთეულს ხევი — თემი წარმოადგენდა, ამას ადასტურებს მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლების ერთი ხელთნაწერი, სადაც ზემო აჭარის დასახლებული პუნქტების სიაა მოცემული. აღნიშნულ სიაში ისეთი დასახლებული პუნქტები, როგორიცაა ბელღეთი, ხიხაძირი, სხალთა, ხულო, ღორჯომი, აგარა, ინწკირვეთი, ფუშრუკაული, დიდაჭარა, ალმე, ბარათაული, შუახევი, ტბეთი, დღვანა და სხვ. თემებად არის სახელდებული.<sup>14</sup> დასახლებული საბუთის მიხედვით, მაგ., ხიხაძირის თემში შედიოდნენ თხილვანა, ბაკო, ხიხაძირი, კალოთა, ოშანახევი, სკვანა, ხულოს დიდაჭარის თემში — გაბაიძეები, შავაძეები, ხუციაშვილები. თურქულ წყაროებში საამისო ტერმინად იხმარება nahiyе, თუმცა ეს ტერმინი წარმოშობით არაბულია და მის თურქულ შესატყვისობას წარმოადგენს ilçe.<sup>15</sup> შესაძლებელია ბალყარეთში დამოწმებული ტოპონიმი ილსჩი სწორედ ასევეა ნაწარმოები, როგორც რიგი სოფლის სახელ-

<sup>9</sup> Л. И. Лавров, *რეცენზია კრებულზე «Кавказский этнографический сборник», Т. II, Советская этнография, 1959, № 3, გვ. 170.*

<sup>10</sup> М. Н. Насирли, *Сельские поселения и крестьянские жилища Нахичеванской АССР, Баку, 1959, გვ. 53.*

<sup>11</sup> Н. Я. Марр, *Дневник поездки в Шавшетню и Кларджетию, გვ. 74.*

<sup>12</sup> გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიშვის მოამბე, ტფილისი, 1939, IV, გვ. 183.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 284.

<sup>14</sup> ა. ავაღიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119-127.

<sup>15</sup> Русско-турецкий словарь под редакцией Д. А. Гордлевского, Москва, 1945, სიტყვასთან ilçe



წოდება საქართველოში, მაგ., სოფელი ხევი იმერეთში, სოფელი პე მე-სტიის რაიონში და სხვა მრავალი. გ. ყაზბეგის მოწმობითაც აჭარაში მოსახლეობის ძირითად სააღრიცხვო ერთეულს თემი წარმოადგენდა. მისი სიტყვით:

„... в Аджаре главное мерило исчисления населения община или, лучше сказать, джама“ ანდა „...ушелье Меритисхеви, населенная тремя большими общинами верхний Аджары.“<sup>16</sup> გ. ყაზბეგი ზემო აჭარაში 20 ასეთ თემს ითვლის. დასახლებული პუნქტის მიერ თემის მანიშნებელი სტრუქტურის ასეთი ხანგრძლივი შემონახულობა დასახლების მთური ტიპის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

მთა-აჭარის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა ერთგვაროვანია. მოსახლეობის გადაადგილება აქ წარმოებდა აჭარის მომიჯნავე საქართველოს სხვა რაიონების მოსახლეობის ხარჯზე, რამაც შედეგად გვართა დიდი შერევა გამოიწვია. ამ გარემოებამ თავისი კვალი დაატყო აჭარული დასახლების მორფოლოგიას.

დასახლებული პუნქტის სახელწოდება აჭარაში უმეტეს შემთხვევაში გვარიდან არის ნაწარმოები მრავლობითი რიცხვის სუფიქსის საშუალებით. ასეთია ღორჯომში ალაძიები, მეკეიძეები, წინწკალაშვილები, გორგაძიები, ცეცხლაძიები და სხვა მრავალი. მაგრამ ხშირად ამგვარად ნაწარმოები სახელწოდების მქონე სოფელში სათანადო გვარის არც ერთი ოჯახი არ ბინადრობს. ასე მაგ., სტეფანაშვილებში არც ერთი სტეფანაშვილი არ ცხოვრობს. იგივე ითქმის ჭვანას ხეობის ს. ინწკირვეთზე და სხვა. ამ რიგის შემთხვევებიდან ზოგჯერ გადმოცემაშია ცი არ არის დაცული ეპონიმის ხსოვნა. ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება მოსახლეობის ინტენსიური გადაადგილებით არის გამოწვეული, რაც თავის მხრივ თურქთა ხანგრძლივი ბატონობის მძიმე პირობების შედეგი იყო. ასე მაგ., ი. სირულიძის მიერ ჩაწერილი გადმოცემით ინწკირვეთი „... ძველად სულ ერთი გვარის ხალხით—ინწკირველებით ყოფილა დასახლებული; ოსმალ მაჰმადიანთა მძლავრობის ხანაში კი ქრისტიანობაზე მტკიცედ მდგარ ინწკირველებს დაუტოვებით თავის ძველისძეველი სამკვიდრებელი და გურიაში „გაბარგულან“.“<sup>17</sup>

ამასთან ერთად, იშვიათი არ არის სოფელი, რომლის მოსახლეობას მხოლოდ ერთი გვარის ოჯახები შეადგენენ. ასეთია მაგ., ვანაძიები, რომელშიაც არც ერთი სხვა გვარის ოჯახი არ ცხოვრობს. მაგრამ დასახლებული სოფლის ოჯახთა გენეალოგიების უფრო ღრმა შესწავლით ირკვევა, რომ ამ გვარის რიგი ოჯახი თავისი წარმოშობით სხვა გვარს ეკუთვნის. მაგ., ვანაძეების 49 კომლიდან, რომლებიც ს. ვანაძიებს შეადგენენ, 13 ოჯახი წარმოშობით სხვა გვარიანა ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ვითარება გამონაკლისს არ წარმოადგენს — აჭარული ეთნოგრაფიული მასალით იგი სხვა მრავალ შემთხვევაშიაც დასტურდება. დასახლებული მოვლენა, ადგილზე ჩაწერილი ვერსიებით, მიეწერება იმ ადათს, რომლის თანახმად დასიძების დროს ზედსიძეს სიმამრის ქონებასთან ერთად სიმამრის გვარიც უნდა დაემკვიდრებინა. მაგრამ ეს ადათიც, თავის მხრივ, ახსნას მოითხოვს. ანალოგიური პრაქტიკა საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებშიაც არის ცნობილი. საამისო მაგალითები საკუთრივ ქვემო

<sup>16</sup> Г. Казбек, Три месяца в Турецкой Грузии ЗКОРГО, кн. X, в. 1. Тифлис. 1876, 33: 6 და 19.

<sup>17</sup> ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია (აჭარის ასსრ) წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 156.

2. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტ., შრ., ტ. I



სვანეთშია დადასტურებული (ლაშხეთი, სოფ. შვედი). მაგრამ აქ ეს წესი მხოლოდ დასიძებასთან არ არის დაკავშირებული. უბანში ჩამოსახლებას, რა მიზეზითაც არ უნდა მომხდარიყო ეს, ხშირად ამ უბნელთა გვარის მიღება მოსდევდა. სვანური ეთნოგრაფიული მასალის ეს მონაცემები გვაფიქრებინებდა, რომ გვარის შეცვლა ამ შემთხვევაში ნაკარნახევი იყო ტერიტორიული თემისათვის დამახასიათებელი ნორმებით მისი განვითარების აღრინდელ საფეხურებზე. ეს ნორმა, ვფიქრობთ, მიზნად ისახავდა იმ კონფლიქტის თავიდან აცილებას, რომელთა გარდუვალობა ტერიტორიული თემისათვის დამახასიათებელი პოლიგენური დასახლების ჩამოყალიბების პროცესში გვარისა და თემის ინტერესების წინააღმდეგობით იყო პირობადებული. ი. ივანიუკოვმა და მ. კოვალევსკიმ მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ასეთი მოვლენები ზემო სვანეთში არ შეინიშნება და უფრო ქვემო სვანეთისათვის არის დამახასიათებელი, რასაც ისინი ხსნიდნენ იმით, რომ თემური ყოფის გადმონაშთები უფრო მტკიცედ სწორედ ზემო სვანეთშია შემონახული.<sup>18</sup> საფიქრებელია, რომ იგივე მექანიზმი, ოდესღაც, აჭარაშიაც მოქმედებდა და გვარის გამოცვლის ზემოაღნიშნული პრაქტიკა დასიძების შემთხვევაში ამ შორეული ტრადიციის რემინისცენციას წარმოადგენს.

თუ ეს ჩვენი ვარაუდი რეალურად არსებულ ვითარებას ასახავს, მაშინ ჩვენს ხელთ აღმოჩნდებოდა კიდევ ერთი ეთნოგრაფიული ფაქტი, რომელიც თვალნათლივ მიუთითებს მთა-აჭარასა და საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებს შორის საყურადღებო თანხვედრილობაზე. მიუხედავად იმისა, თუ რა კონკრეტული მიზეზებით არის გამოწვეული აჭარული დასახლების ეს მორფოლოგიური ნიშანთვისება, ჩვენ მას ფაქტიურ მონოგენურობას ვუწოდებთ, თუმცა თავისი წარმოშობით იგი მონოგენური დასახლების ტრადიციებთან არის დაკავშირებული. აქვე დავსძენთ, რომ დასახლებული პრაქტიკა არ გამოირჩევა აჭარაში ფაქტიურად მონოგენური უბნების თუ სოფლების არსებობას. ასეთია ახალი უბანი ღორჯომში, რომელიც ძირკვადეებით არის დასახლებული, მთლიანად ჯაიანებისაგან შემდგარი კვახორი ხიხაძირში და სხვა მრავალი.

აჭარელთა ეკონომიკური ყოფის საფუძველს ძველთაგანვე მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური ფორმა შეადგენდა, მაგრამ მეურნეობის ამ ორი ძირითადი დარგის თანაშეფარდება აჭარის სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა იყო. თუ ქობულეთ-ბათუმის რაიონებში მეურნეობის წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა, აჭარის მაღალმთიან ზოლში მეურნეობა მესაქონლეობას მიჰყავდა. ეს ვითარება თანამედროვე ცნობებითაც დასტურდება. ასე მაგ., სახნავს (ბოსტანთან ერთად) აჭარის ასსრ მთლიანი ფართობის 6,6% უჭირავს, ხოლო სათიბ-საძოვარს — 13,4%.<sup>19</sup> მაგრამ სახნავისა და სათიბ-საძოვრის თანაშეფარდების ეს მაჩვენებელი მთელი აჭარისათვის საშუალო სიდიდეს წარმოადგენს. ეს თანაშეფარდება ზედა რაიონების მიმართულებით, ბუნებრივია, მესაქონლეობის სასარგებლოდ იცვლება. საკუთრივ, 9500 ჰექტარიდან, რომელსაც მთლიანად აჭარის სათიბების ფართობი შეადგენს, 9344 ჰექტარი მხოლოდ ხულოსა და ქედის რაიონებზე მოდის, ხოლო ბათუმისა და ქობულეთის სათიბების ფართობი 156 ჰექტარს არ აღემატება.<sup>20</sup> მესაქონლეობის წამყვანი მნიშე-

<sup>18</sup> В. Сванети. Из путешествия И. Иваниюкова и М. Ковалевского Вестник Европы, 1886, т. V, кн. 8, гл. 593.

<sup>19</sup> ნ. ნიჟარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957, გვ. 153.

<sup>20</sup> ნ. ნიჟარაძე, აჭარის ალპიური მეურნეობა, ბათუმი, 1948, გვ. 41.



ნელობა მთა-აჭარის რევოლუციამდელ მეურნეობაში აჭარელთა ყოფის ყველა სფეროში იჩენდა თავს.

მაშასადამე, მეურნეობის პროფილირების თვალსაზრისითაც ზემო აჭარა საქართველოს მთიანეთის ტიპური ნიშნებით ხასიათდება და საქართველოს ალპიური მეურნეობის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. მაგრამ აქვე განსხვავებაც იჩენს თავს. მთა-აჭარის დასახლებათა საშუალო სიმაღლე რამდენადმე ნაკლებია საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებთან შედარებით. კლიმატურადაც აჭარა ასევე განსხვავდება საქართველოს სხვა მაღალმთიანი რაიონებისაგან. ამ ორმა გარემოებამ ხელი შეუწყო აჭარაში მიწათმოქმედების უფრო მეტ დაწინაურებას საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებთან შედარებით.

სახნაჲ ნაკვეთი აჭარული საკარმიდამო კომპლექსის ორგანული ნაწილია. საკარმიდამო ნაკვეთად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია საკმაოდ დაფერდებული ადგილი, რომლის თავში სახლია დადგმული. სახლის ზურგი, და, მაშასადამე, ახორის სანარწყულე,<sup>21</sup> ე. ი. ადგილი საიდანაც ახორში დაგროვილი პატივი გარეთ გამოდის, როგორც წესი, სახნავისაკენ არის მიმართული. სახლის ასეთი ორიენტაცია, ჩვენ ვფიქრობთ, დაკავშირებულია მორწყვა-გაპატივების სისტემასთან, რომელიც გულისხმობს გამდინარე წყლის საშუალებით გათხიერებული ნაკელის გამოყენებას. საკარმიდამო ნაკვეთს ნაფუძარი ან მამული ეწოდება. მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდისა და ახლების ათვისების შედეგად ჩნდება ერდოყანა,<sup>22</sup> ახლოყანა და გარეყანა.<sup>23</sup> ამ ნაკვეთების განოყიერება წარმოებდა წყალნარევი პატივით, ხოლო სათიბები, როგორც წესი, ირწყვებოდა. მიწის განოყიერების ანალოგიური წესი საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებშიაც არის ცნობილი. იგი დამოწმებულია საკუთრივ ხევსურეთში, სვანეთში. ხელოვნური ტერასირებისა, მიწის განაყოფიერებისა და მორწყვის სფეროში აჭარლებმა ოსტატობის მაღალ დონეს მიაღწიეს. ხელოვნური ტერასების მნიშვნელობაზე აჭარელთა ყოფაში მიუთითებს აგრეთვე ფაქტი ტერმინ „ოროკის“ გამოყენებისა<sup>24</sup> აჭარის ტოპონიმიაში.<sup>25</sup>

რევოლუციამდელი აჭარის გლეხთა უმრავლესობა მუდამ განიცდიდა მიწის ნაკლებობას. მომთაბარული მესაქონლეობა და ახორში საქონლის დაზამთრების პრაქტიკა, მიწის სიმცირის პირობებში, ხელს უწყობდა აჭარელთა საკარმიდამო კომპლექსის განვითარებას ვერტიკალურ ჭრილში. ეს გარემოება საქართველოს მთიანეთის დანარჩენი რაიონებისათვისაც არის დამახასიათებელი.<sup>26</sup> მიწის ნაკვეთების განლაგება საცხოვრებელი სახლის მახლობლად და წყალნარევი პატივის გამოყენება მიწის გასანოყიერებლად ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რომელიც ხელს უწყობდა სერული დასახლების ჩამოყალიბებას. დასახლების ეს ფორმა გულისხმობს საკარმიდამო ერთეულების განლაგებას მკვეთ-

21 სტ. მენთეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმკის მოამბე, II-I, ტფილისი, 1937, გვ. 141.

22 „ერდო“ ძველ ქართულში ნიშნავს „ბრტყელი ნაგებობის სახურავს“, ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 171; „ერდოყანა“ შესაძლებელია შეერქვა იმ ნაკვეთს, რომელიც დაფერდებული არ იყო.

23 „ახლოყანა“ და „გარეყანა“ საქართველოს სხვა რაიონებშიაც იმავე მნიშვნელობით იხმარება. რა მნიშვნელობითაც მას აჭარაში ხმარობენ.

24 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, სიტყვასთან „ოროკი“.

25 ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

26 А. И., Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванети, гв. 53.





საქართველოს  
ქრონიკა

რად კალთებდაქანებულ სერებზე, რაც მეურნეს საშუალებას აძლევდა უფრო ეფექტურად გამოეყენებინა წყალნარევი ნაკელით ყანის გაპატივების წესი.

მთა-აჭარის რელიეფის თავისებურება წარმოადგენდა იმ განსაკუთრებით ხელსაყრელ ბუნებრივ პირობას, რომელიც გავლენას ახდენდა დასახლების სწორედ ამ ფორმის ჩამოყალიბებაზე. მიწის გაპატივების წესის მნიშვნელობაზე, დასახლების ამ ფორმის ჩამოყალიბების პროცესში, მიუთითებს აგრეთვე აჭარული სახლის ორიენტაცია. ეს სახლი, როგორც ითქვა, თითქმის ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ზურგის ფასადით, ე. ი. სანარწყულით საკარმიდამო ყანისაკენ არის მიმართული.

ტიპიური აჭარული სახლი, როგორც ცნობილია, ორსართულიანია. მის პირველ სართულს ეწოდება **ახორი**, ხოლო მეორეს — **სახლი**. დამოწმებულია აგრეთვე პარალელური ტერმინები, შესაბამისად: **ძირთაი სახლი** და **ზედა სახლი**. სახლის ძირითადი ნაწილების ეს სახელწოდებები ნაწარმოებია მსგავსად შესაფერისი მოხვეური და სვანური ტერმინებისა, კერძოდ **ქოით სახლი** და **ზაით სახლი**, **მაჩუბი** (საქვედაო) და **მაჟიბი** (საზედაო). ნიკორწმინდის სიგელის ცნობა: „ქვეთიური ფარები: ა: და ზ ქორედი სახლი: ა:“<sup>27</sup>, ისევე როგორც „შექქმენ საწირეს ქვეთიური ბოსელი: ა. და ზედა სახლი სამამასახლისო, ისევე როგორც „ზნაკვაში შექქმენ ქვეთიური ფარები ა და ზედა ქორედი სახლია“, მიუთითებს არა მარტო სახლის სართულების სახელწოდებათა ამ წარმოების სიძველეზე, არამედ იმაზედაც, რომ ორსართულიანი სახლები მე-11 ს-ში იმერეთსა და რაჭაშიც იყო ცნობილი, სადაც „ბოსელი“ და „ფარები“, თავისი დანიშნულებით აჭარული სახლის „ახორს“ შეესატყვისებოდა,<sup>28</sup> მაგრამ ცალკე შენობას შეადგენდა.

აჭარული სახლი გამოირჩევა საცხოვრებელი ფართის შორს წასული დანაწევრებით. სარძიესა, დეფანისა და ჰავლის გარდა, რომლებიც შეადგენენ აჭარული სახლის ზედა სართულის აუცილებელ ელემენტებს, საკუთრივ საცხოვრებელი ფართობი შეიცავს რამდენიმე ოთახს, რაც საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონების საცხოვრებელი სახლისათვის არ არის ტიპიური. აჭარული სახლის ყოველ ოთახს გარკვეული დანიშნულება აქვს; ძირითადი ოთახი, რომელსაც ეწოდება **საუფროსო ოდა**, **სახლი** ან **შინა**, ოჯახის უხუცეს წევრთათვის იყო განკუთვნილი. მასში ცხოვრობდნენ ან ბებია და ბაბუა, ან დედ-მამა, ან უფროსი ძმა-რძალი. აქვე აძინებდნენ ძუძუშეშორ ბავშვებს. ამავე ოთახში საუზმობდა, სადილობდა და ვახშმობდა მთელი ოჯახი. ოჯახის ყველა წევრი მუშაობისაგან თავისუფალ დროს აქვე ატარებდა. ერთი ოთახი დათმობილი ჰქონდა სტუმრებს — **სასტუმრო ოდა**, ხოლო ერთიც — ნეფე-პატარძალს. მეორე საქორწინო წყვილის გაჩენის შემთხვევაში მას გამოეყოფოდა ცალკე ოთახი, რომელსაც მღებარეობის მიხედვით, ან **ბოლო ოდა** ეწოდებოდა ან **შუა ოდა**. სახლს გააჩნდა აგრეთვე საზაფხულო ოთახი (**კოშკი**), რომელსაც ზოგჯერ ახალი საქორწინო წყვილისათვის იყენებდნენ. ეს ოთახები ოჯახისათვის საკმარისი იყო, რადგან მრავალცოლიანობას აჭარაში დიდი გავრცელება არ ჰქონდა — იგი უპირატესად გაბატონებული წოდების ოჯახთა შორის იყო ცნობილი.

27 თ. ურდანი, ქრონიკები... წ. 11, თბილისი, 1897, გვ. გვ. 46 და 48.

28 „ახურ“ არაბულად საჯინიბოს ნიშნავს. თურქულში ამ სიტყვამ „ბავა“-ს მნიშვნელობა მიიღო. საბას სიტყვით „ახორი ქართული არ არის, ბავას ჰქვიან“ (სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949; სიტყვასთან „ახორი“). ამავე მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „ახურ“ აზერბაიჯანში (М. Н. Насирли, Сельские поселения и крестьянские жилища Нахичеванской АССР, Баку, 1959, стр. 117).



საქორწინო წყვილის პირადი საკუთრება, ე. ი. ტანსაცმელი, ლოგინი, საშენობო ნაგებობები, იარაღი და სხვ. ცალ-ცალკე ოთახებში ინახებოდა. ქალი იღებდა მონაწილეობას არამართო საშინაო საქმიანობაში, იგი მიდიოდა აგრეთვე ფერდაზე და მთაში, სადაც მამამთილთან თუ ოჯახის სხვა წევრებთან ერთად უვლიდა საქონელს და წველა-დღვებას ეწეოდა. ამ საქმიანობაში ჩაბმულ ქალს აჭარაში ეწოდება **მემთევრი**, ისევე, როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებში (**მემთიური**).<sup>29</sup>

აჭარული სახლის საცხოვრებელი ფართობის ასეთი განაწილება იმ მონაცემების შეუქმნე, რომლებიც ასახავენ ოჯახის სტრუქტურას, შემადგენლობას, ქონებრივ ურთიერთობას, მეურნეობრივი ფუნქციების განაწილებას და სხვა, იმაზე მიუთითებს, რომ აჭარულ ოჯახს თურქების ბატონობის ხანაში ახასიათებდა საოჯახო-თემური ტრადიციების გადმონაშთები, რომლებიც დესპოტური ოჯახის აშკარა ბეჭედს ატარებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აჭარული ოჯახის ამ თვისებების ჩამოყალიბებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა აგრეთვე ისლამი, ეს ოჯახი შეესატყვისება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ორგანიზაციის უფრო განვითარებულ საფეხურს, ვიდრე ეს საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონების მოსახლეობის საოჯახო ყოფის შესახებ ითქმის. ეს არის აჭარული ოჯახის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება. და, თუ ამ ოჯახის რიგ მხარეში მაინც შეინიშნება საქართველოს მაღალმთიანეთის ზოგი რაიონისათვის დამახასიათებელ ოჯახებთან საერთო თვისებები, ეს უნდა აიხსნას არქაულობის იმ ხელოვნური კონსერვაციით, რომელსაც ასე თანმიმდევრულად ახორციელებდა ისლამი.

აჭარული საკარმიდამო ერთეული, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მას აქვს ორი ეზო და ზოგი მისი მეურნეობრივი ნაგებობა ჰორიზონტალურად არის განლაგებული, მისი წამყვანი ელემენტების მიხედვით, ვერტიკალური გეგმით ვითარდება (სურ. 3). ეს ტენდენცია უფრო მკვეთრად აჭარის მთიანეთში მოჩანს. დაბლობში აჭარული დასახლება დასავლურ-ქართული დასახლების სახეს იღებს.

საკარმიდამო კომპლექსის ამ სამი ნიშნის მიხედვით, საკუთრივ კომპლექსურობით, ორგანიზაციის ვერტიკალური მიმართულებით და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ელემენტებით, რომლებიც მეურნეობრივი ყოფის თავისებურებებით არის შეპირობებული, აჭარული მთური დასახლება საქართველოს მთიანეთის სხვა რაიონებისათვის დამახასიათებელი დასახლების ფორმის ფარგლებში ექცევა. საკითხის ამგვარად დაყენებას ხელს უწყობს, აგრეთვე, რიგი ტერმინოლოგიური შეხვედრა, რომელიც ამ სფეროშიც შეინიშნება. ასეთია აჭარული **კარაპანი**, რომელიც როგორც დანიშნულებით, ასევე სახელწოდებით სვანური **კარაპანის** შესატყვისობას წარმოადგენს. იგივე ითქმის **დეფანის** შესახებ. ხევსურული და აჭარული შინა პარალელების ამავე რიგს განეკუთვნება. მეტად საყურადღებოა თ. ჩიქოვანის მიერ მიკვლეული ტერმინი **ქორი**, რომლი-

<sup>29</sup> P. J. Харадзе, Грузинская семейная община, Тбилиси, 1960, 2, გვ. 146.





თავ აჭარული სახლის მეურნეობრივი სათავსო, კერძოდ „საბძლის სახურავის ქვეშა ნაწილი“ აღინიშნება. როგორც ცნობილია, სვანურში ტერმინი **ქორ** დღესაც ორსართულიან სახლს აღნიშნავს. სახლის აღმნიშვნელი ამ ტერმინის შემონახულობა საქართველოს მთიანეთის ისეთ რაიონებში, როგორიცაა სვანეთი და ზემო აჭარა, მეტად მანიშნებელია. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ქორ უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება. ქორი ეწოდება იმ ნაწილს, რომელიც მეორე სართულად, — ზოგ შემთხვევაში კი მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულადაც — კი იყო აგებული. ქორი თუმცა ზევითი სართულის სახელი იყო, მაგრამ მისი აგებულება განსხვავდებოდა იმ სართულის აგებულებისაგან, რომელზედაც ის იდგა. ჩვეულებრივ ამ ქორში ზაფხულში იმყოფებოდნენ ხოლმე. შესაძლებელია წინა კედელი მას სრულიად ღია ჰქონდა და წინათგან სვეტებზე იყო დამყარებული“.<sup>30</sup> საბას განმარტებით ქორი არის „სახლზედ სახლი აგებული“.<sup>31</sup>

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ ახალდაბის საზაფხულო საძოვრებზე, ე. ი. „თაში“ ფიქსირებული იყო ძირითელი ჯარგვალი, რომელიც გრძივი ოთხკუთხი გეგმისაა, ერთ-სართულიანია და ორფერდა სახურავიანი (სურ. 4). იგი სამი ნაწილისაგან შედგება — **სარძიე**, **სახლი** და **ახორი**. ამ რიგის ნაგებობა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ თედო სახოკიას აქვს აღწერილი, მაგრამ როგორც ორი განყოფილებისაგან შემდგარი და სასტუმროდ გათვალისწინებული სახლი.<sup>32</sup> ამ ფაქტს, ჩვენის აზრით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს აჭარული სახლის ადრინდელი ფორმების გამოვლინებისათვის, ხოლო რადგან აჭარული სახლი ქართული სახლის ერთ-ერთი ნაირსახეობაა — ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ამ ძირითადი ელემენტის განვითარების ცალკეული საფეხურების დადგენა-შესწავლისათვისაც. გარდა ამისა, ზემოთ დასახელებულ ფაქტს ზოგად-ეთნოგრაფიული მნიშვნელობაც აქვს. კარგა ხანია გამოთქმულია მოსაზრება, რომ მაღალმთიანი რაიონებისათვის დამახასიათებელია საცხოვრებელ და მეურნეობრივ ნაგებობათა ვერტიკალური განვითარება, ე. ი. საკარმიდამო კომპლექსის მრავალსართულიანობა.

აჭარაში დამოწმებული ძირითელი ჯარგვალი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ იმ მრავალსართულიანი კომპლექსის განვითარების პროცესი, რომლის ადრინდელ საფეხურს მრავალსართულიანი ნაგებობა წარმოადგენდა. ამ პროცესის თავისებურების თვალსაზრისით აჭარა არ წარმოადგენს იზოლირებულ მოვლენას. ანალოგიური ფაქტი დამოწმებულია დაღისტნის მთიანეთში, სადაც საკარმიდამო კომპლექსის გაბატონებული ფორმის საფუძველს ვერტიკალური გეგმა წარმოადგენს, მაგრამ რომლის არქაულ ფორმად მაინც ერთსართულიანი ნაგებობა არის მიჩნეული.<sup>33</sup>

ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვან მოსახლეობაში, კერძოდ ბალყარეთსა და ყარაჩაში საკარმიდამო ერთეული ერთსართულიან კომპლექსად არ განვითარდა.<sup>34</sup> ეს ფაქტიური ვითარება საცხებით ამართლებს ივ. ჯავახიშვილის

30 ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 16-17.

31 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, დასახ. გამოცემა, სიტყვასთან „ქორი“.

32 თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბილისი, 1950; გვ. 114.

33 Л. Б. Панек, Жилище лезгин, М. Э. Г. т. IX, Тбилиси, 1957, . 148-149.

34 აღ. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში 1, დასახლების ტოპოგრაფია, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1, თბილისი, 1960, გვ. 98.



დებულებას, რომლის თანახმად ..... მთავორიან მაღლობ ადგილებში უფრო მე-  
ნებრივია ერთსართულიანი სახლის არსებობა...<sup>35</sup>; თუ ეს დებულება საცხოვ-  
რებელ ნაგებობათა კომპლექსის განვითარების მხოლოდ ადრეულ საფეხუ-  
რებს შეეხება.

ძირითული ჯარგვალის შესახებ კონკრეტული მონაცემების უქონლობის გა-  
მო აჭარული სახლის ამ ფორმას არ მიეცა ჯეროვანი ყურადღება აჭარის საც-  
ხოვრებელ და მეურნეობრივ ნაგებობათა სხვადასხვა ფორმათა გენეზისის შეს-  
წავლის დროს. ამ ნაგებობათა ამოსავალ ფორმად მიჩნეულია გადმოცემების  
მიხედვით აღდგენილი „სამეურნეო ნაგებობა-ბოსელი“, რომლის ერთ მხარეზე  
გამოყოფილია ადამიანის საცხოვრებელი ფართი<sup>36</sup>; ხოლო მომდევნო ფორმად  
აღიარებულია ხულა-სახლი. საბას განმარტებით, ხულა არის „სახლი საეკპროს  
სადები“<sup>37</sup>. ივ. ჯავახიშვილი ამ განმარტებას იზიარებს. მისი სიტყვით „ძეგლებ-  
ში ჯერჯერობით არ შეგვხვდრია არც ერთი ადგილი, სადაც ეს ტერმინი ამ  
მნიშვნელობით იყოს ნახმარი, მაგრამ ყველა სხვა მაგალითის მიხედვით  
შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ საბას იგი ამოღებული უნდა ჰქონ-  
დეს რომელიმე ძეგლიდან აღნიშნული. მნიშვნელობითა და ხსენებული ცნე-  
ბის გამოსახატავად“<sup>38</sup>.

ახლა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ დიდაჭარის საზაფხულო საძოვ-  
რებზე, ე. ი. მთაში ფიქსირებული ერთსართულიანი ძირითული ჯარგვალი წარ-  
მოადგენს ადრინდელ საფეხურს აჭარული სახლის ფორმათა განვითარების პრო-  
ცესში, რომ სწორედ ძირითული ჯარგვალი წარმოადგენდა იმ ამოსავალ ფორმას,  
რომლის საფუძველზედაც უნდა განვითარებულიყო ზედშედგმული ჯარგვალი —  
ორსართულიანი შენობა, რომლის უმარტივესი გეგმა ასევე საზაფხულო საძოვ-  
რებზე არის ფიქსირებული (სურ. 5).

ამასთან კავშირში ყურადღებას იპყრობს ს. დიდაჭარაში ფიქსირებული  
ე. წ. ცალპირი სახლი (სურ. 6). მისი ძირითადი ნიშნების მსგავსება ერთი  
მხრივ, საძოვრების ზედშედგმული სახლის ნიშნებთან, ხოლო მეორე მხრივ,  
აჭარულ ორსართულიან სახლთან უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეს  
ნაგებობა აჭარული სახლის განვითარების პროცესის კიდევ ერთ საფეხურს  
წარმოადგენს (სურ. 7).

უნდა ვიფიქროთ, რომ საცხოვრებელ და მეურნეობრივ ნაგებობათა ზემოთ  
აღნიშნული ოთხი ფორმა აჭარული საკარმიდამო კომპლექსის განვითარების

35. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათ-  
ვის, I, სამშენებლო ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946, გვ. 23.

36 ა. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, თბილისი, 1956, გვ. 39; შდრ.  
გ. ჩიტაიას კლასიფიკაციას, რომელშიაც აჭარულ საცხოვრებელ და მეურნეობრივ ნაგებობათა  
სამი ძირითადი სახეა წარმოდგენილი: „ჩარხილი“ და „ორთა-სახლი“ (ბარში), „ჯარგვალა-სახ-  
ლი“ (ფერდამი), „ხულა-სახლი“ (მთაში); (გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის სენე. ანალები I, თბი-  
ლისი, 1947, გვ. 155-156).

37 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, დასახ. გამოცემა, სიტყვასთან ხულა.

38 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60 შდრ. ჩრდილოეთ კავკასიურ ენებიდან სახ-  
ლის აღმნიშვნელი ტერმინები: ხალ-ხულ (ხულან ტაბსარანული, ხალ-ხულა ადღულური), კვალ-კვალი  
(ლგბურთი), იხ. Гаджиев М., Дагестанское языкознание за сорок лет, Ученые записки  
Дагестанского филиала АН СССР, институт ИЯЛ им. Г. Цадасы Махач-Кала, 1958,  
გვ. 318.



სხვადასხვა საფეხურის ამსახველია. ამ პროცესის საერთო მიმართულება, რაც გამოიხატა საკარმიდამო კომპლექსის ვერტიკალურ ორგანიზაციაში და საცხოვრებელი ფართის შორსწასულ სეგმენტაციაში, და აგრეთვე რიგი ისეთი პარალელი, როგორიცაა ცალკეული ელემენტების დანიშნულება და სახელწოდება, იმაზე მიუთითებს, რომ ზემო აჭარის დასახლების ფორმა თავისი ძირითადი ნიშნებით, პირველ ყოვლისა, საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელ დასახლების ტიპს განეკუთვნება.

А. И. РОБАКИДЗЕ

## К ВОПРОСУ О ФОРМАХ ПОСЕЛЕНИЯ В АДЖАРИИ

### Р е з ю м е

Сравнительное изучение грузинского этнографического материала по таким важнейшим элементам культуры и быта как жилище, поселение, формы хозяйствования, орудия труда и т. д. дает возможность наметить три основных этнографических района, исторически сложившихся к XIX в. и относящихся к различным хозяйственно-культурным типам, а именно: Колхидской низменности, Восточно-грузинской равнины и Горной Грузии.

Каждый из вышеуказанных районов включает отдельные этнографические группы, которые отражая общие черты данного хозяйственно-культурного типа, вместе с тем, характеризуются локальными особенностями культуры и быта.

Одну из таких этнографических групп составляют аджарцы.

Единицу поселения горной Аджарии составляет село, однако, некоторые элементы поселения, в частности, древний порядок расселения, восстанавливаемый по данным этнографии и некоторым письменным источникам, говорят о том, что в прошлом единицу поселения составляли более широкие объединения населенных пунктов типа сельской общины — теми (хеви).

Основными чертами топографии аджарского поселения являются резко выраженное террасирование, гребневое расположение домов и средняя скученность. Морфология аджарского поселения отличается фиктивной моногенностью. В экономическом отношении эта форма поселения отвечает интересам смешанного хозяйства, основанного главным образом на удобряемом земледелии и яйлажном скотоводстве при преимущественном значении последнего в высокогорной зоне.

По своим основным чертам аджарская форма поселения составляет одну из разновидностей горно-грузинского поселения.





საქართველო  
საზღვრო ტერიტორია

სურ. 1. სოფ. ალავერდის გარემოს სურათი






გეორგიული  
საშენობო-საგებობო



სურ. 2. სოფ. შუბანის დასახლების სქემა








სურ. 3. მერჯივან ინუსისძე ქარცივადის კარმიდამოს სქემატური გეგმა  
 (სოფ. ზემოხევი)




ღახეჯის ფასი 2=1:500




სახეობის სსსი ინტერია




ღახეჯის ფასი  
2=1:150




გეგმა 2=1:100





ქართული 1-1  
2=1:100





სურ. 4. ძირითადი ჯარგვალი (ახალდაბის საძვრები)










I სართულის გეგმა (მისელი)



II სართულის გეგმა (სხელი) შ. 1:100



სურ. 5. ზედშედგებული ჯარგვალი (ახალდაბის საძოვრები)








სურ. 6. ცალკირი სახლი (სოფ. დიდაკურა)








ს. ბელეფი  
არმელაძე




ს. ბელეფი  
არმელაძე



სურ. 7 ბ. არმელაძის საცხოვრებელი სახლი (ს. ბელეფი)





კ. ბაბილოძე

## ჩაის მრეწველობა საბჭოთაშორს აზარაში

### 1. ჩაის გაცნობა და მოხმარების ზრდა

პირველი ცნობა ჩაიზე რუსეთში აღწევს XVI საუკუნეში, კერძოდ, ციმბირში, რუსი კოლონიზატორების მეშვეობით, ხოლო ჩაის მოხმარების შედარებით ფართოდ გაცნობა იწყება მას შემდეგ, რაც 1638 წელს რუსეთის ელჩმა ვასილ სტარკოვმა რუსეთის მეფისადმი მონღოლეთის ხანის საჩუქართა შორის ჩამოიტანა 300 გირვანქა მზა ჩაი. როგორც გადმოგვცემენ, სტარკოვს არ უნდოდა საჩუქართა შორის წამოეღო ჩაი, ვინაიდან, მისი აზრით, ამ უბრალო ნივთის მეფისადმი მირთმევა უხერხული იყო, მაგრამ უარი არ გაუვიდა. მეფის სასახლეში მოეწონათ ჩაის ნაყენი და თანდათან გაიზარდა ჩაიზე მოთხოვნილება პირველ ხანებში ბოიართა შორის, ხოლო შემდეგ სულ უფრო მეტად დიდდება ჩაიზე მოთხოვნილება და მისი შემოზიდვა.

პირველად ჩაი ჩინეთიდან რუსეთში მხოლოდ ხმელეთის გზით შეჰქონდათ ციმბირის მხრიდან. სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდე, რუსი ვაჭრები ჩინეთის საზღვართან მიიტანდნენ ხოლმე თავიანთ საქონელს, ხოლო ჩინელები თავის მხრივ, ჩაის მოიტანდნენ და ხდებოდა გაცვლა. აქედან აქლემებით მოჰქონდათ ჩაი რუსეთის ევროპულ ნაწილში. ამრიგად, საჭაპანო და წყლის (სამდინარო) ტრანსპორტით მოსკოვამდე ჩინეთის ჩაი აღწევდა დაახლოებით 230 დღე-ღამის შემდეგ. ჩინეთიდან ჩაის სისტემატური იმპორტის შესახებ 1679 წელს ხელშეკრულების დადების შემდეგ, ჩაის შემოზიდვას რეგულარული ხასიათი მიეცა. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ჩინეთთან ვაჭრობამ 1858 წელს ტიანძინის ხელშეკრულების შედეგად, რომლითაც რუსებმა უფლება მოიპოვეს ევაჭრათ ჩინეთის შიგა ბაზარზე. ხოლო 70-იანი წლებიდან, როცა რუსეთის ფლოტმა სავაჭრო რეისები მოაწყო ინდოეთისა და ჩინეთის სანაპიროებზე, საზღვაო გზით რუსეთში ჩაის შემოზიდვა მნიშვნელოვნად გადიდდა, თუმცა მისი ხვედრიწონა მაინც მნიშვნელოვნად მცირე იყო, მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო ტრანსპორტი იაფი ჯდებოდა, ვიდრე სახმელეთო. 1913 წელს რუსეთში შემოზიდული 76000 ტონა ჩაიდან, მხოლოდ 14000 ტონა შემოზიდეს ზღვით, აქედან 8170 ტონა კასპიის ზღვით. საზღვაო ტრანსპორტით ჩაის შემოზიდვის ხვედრიწონის ნელი ზრდა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, იმ ცრუ აზრის გავრცელებით, რომ თითქოს ხანგრძლივად ზღვით ტრანსპორტირება მას სურნელებას უკარგავდა, მეორე მხრივ, მისი განვითარების საქმეში მთავარი





და გადამწყვეტი დაბრკოლება გემების ნაკლებობა იყო. ამიტომ მთავრობამ, ჩინეთიდან ჩაის სახმელეთო გზით შემოზიდვის წახალისების მიზნით, ზღვით ტრანსპორტირებაზე გადიდებული ბაჟი დააწესა. მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთის საზღვაო ფლოტის სიმძლავრის ფარგლებში ჩაის ზღვით ტრანსპორტირებისაქენ მისწრაფება სულ უფრო მეტად იზრდებოდა.

ჩაის შემოზიდვაზე საერთოდ მაღალი საბაჟო გადასახადის დაწესებით მეფის მთავრობა ზრდიდა ხაზინის შემოსავალს. ჩაის ვაჭრობის დაწყებიდან საბაჟო გადასახადი ჩინეთის ბაზარზე თუ ჩაის ფასის 24%-ს შეადგენდა, შემდეგ ის თანდათან მატულობს და წლების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

აზიისა და ევროპის გზით რუსეთში ჩაის იმპორტზე გადასახადის ზრდა

(მანეთობით)

| წლები           | 1861 | 1887 | 1916 |
|-----------------|------|------|------|
| აზიის საზღვარზე | 6    | 13   | 33,5 |
| ევროპის         | 12   | 21   | 39,5 |

ცხრილი 1

რუსეთის ხაზინის შემოსავლის ზრდა ჩაის იმპორტით მიღებული საბაჟო გადასახადიდან<sup>1</sup>

| წლები | რუსეთის ხაზინის შემოსავალი საბაჟო გადასახადიდან მილიონ მანეთებში (ოქროთი) |                           |                                                           |
|-------|---------------------------------------------------------------------------|---------------------------|-----------------------------------------------------------|
|       | სულ                                                                       | კერძოდ, ჩაის შემოზიდვიდან | ჩაიდან შემოსავლის ზვედრი წონა საერთო საბაჟო შემოსავალში % |
| 1900  | 205,0                                                                     | 54,3                      | 26,5                                                      |
| 1901  | 221,5                                                                     | 57,4                      | 25,9                                                      |
| 1902  | 227,6                                                                     | 58,2                      | 25,6                                                      |
| 1903  | 242,3                                                                     | 62,3                      | 25,4                                                      |
| 1904  | 227,7                                                                     | 64,3                      | 28,1                                                      |
| 1905  | 220,0                                                                     | 63,4                      | 28,8                                                      |
| 1906  | 248,5                                                                     | 76,4                      | 29,9                                                      |
| 1907  | 265,2                                                                     | 69,8                      | 26,3                                                      |
| 1908  | 283,3                                                                     | 66,5                      | 23,5                                                      |
| 1909  | 276,8                                                                     | 68,0                      | 24,6                                                      |
| 1910  | 313,8                                                                     | 70,8                      | 22,6                                                      |
| 1911  | 331,9                                                                     | 68,5                      | 20,6                                                      |
| 1912  | 330,0                                                                     | 68,1                      | 20,8                                                      |
| 1913  | —                                                                         | 72,8                      | —                                                         |

ჩაის შემოზიდვის ოდენობით ინგლისის შემდეგ რუსეთი მთავარი მომხმარებელი იყო. პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთს შემოჰქონდა 70 ათასი ტონა ბაიხის და აგურა ჩაი. მთელი შემოზიდული ჩაის 2/3 ჩინეთის, ხოლო 1/3 ცეილონისა და ინდოეთის ჩაიზე მოდიოდა. ჩაის შემოზიდვა რუსეთში ნაწილობრივ ინგლისის მეშვეობითაც წარმოებდა.

ვლ. ლვოვი მიუთითებს, რომ ჩაის მოვაჭრეები შავი ბაიხის ჩაის ყიდულობდნენ ადგილზე გირვანქას 25-30 კაპიკად, მოსკოვამდე გადაზიდვა უჯდებოდათ 17 კაპიკი, დახარისხებასა, გადაწონასა და შეფუთვაზე ეხარჯებოდათ 40-დან 75 კაპიკამდე. საბაჟო გადასახადი გირვანქა ჩაიზე უდრიდა 83 კაპიკს. რუსეთში

<sup>1</sup> Н. П. Коломинцев, Чай, мировая торговля чаем и вопрос о козённой чайной монополии в России, Москва, 1916, гл. 105.



ჩაი იყიდებოდა 6,4-ჯერ უფრო ძვირად, ვიდრე ამერიკაში და 3,2-ჯერ უფრო ძვირად, ვიდრე ინგლისში.<sup>2</sup>

თუ რამდენად მაღალი იყო საბაჟო გადასახადი ჩაიზე რუსეთში სხვა ქვეყნებთან შედარებით, შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ შემდეგი მონაცემებით:

ცხრილი 2

გირვანქა ჩაიზე საბაჟო გადასახადის დინამიკა სხვადასხვა ქვეყნებში (კაპიკებში)<sup>3</sup>

| №№ | ქვეყნები   | წლები          |           |       |           |
|----|------------|----------------|-----------|-------|-----------|
|    |            | 1862           | 1887      | 1897  | 1904-1906 |
| 1  | რუსეთი     | 40             | 52,5      | 78,75 | 78,75     |
| 2  | ინგლისი    | 40             | 14        | 17,75 | 17,75     |
| 3  | აშშ        | 0              | 0         | 0     | 0         |
| 4  | ჰოლანდია   | 5,5            | —         | 8     | —         |
| 5  | გერმანია   | 7,3/8          | 13        | —     | 4,74      |
| 6  | საფრანგეთი | 7 1/2 - 25 1/2 | 1,3 21-27 | —     | 31,86     |
| 7  | იტალია     | 15             | 21        | —     | 34,8      |
| 8  | ავსტრია    | —              | 23-27     | —     | 38,7      |
| 9  | შვეიცია    | —              | —         | 6,5   | 8         |
| 10 | რუმინეთი   | —              | —         | —     | 11,5      |
| 11 | დანია      | —              | —         | —     | 14,5      |
| 12 | ესპანეთი   | —              | —         | —     | 23        |

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 1862 წლიდან დაწყებული საბაჟო გადასახადი რუსეთში შემოხილულ გირვანქა ჩაიზე დიდდებოდა და უკვე 1906 წლისათვის მან 79 კაპიკს მიაღწია. შემდეგ წლებში ის კიდევ უფრო დიდდება და 1915 წლისათვის 99 კაპიკამდე გაიზარდა. ინგლისში კი, პირიქით, საბაჟო გადასახადი გირვანქა ჩაიზე 1862 წლის 40 კაპიკიდან 1887 წელს 14 კაპიკამდე დაეცა. მართალია, შემდეგ წლებში იგი ოდნავ მატულობს, მაგრამ 1904-1906 წლებში არ აღემატება გირვანქაზე 17,75 კაპიკს, რაც რუსეთში იმავე წლის გირვანქა ჩაის საბაჟო გადასახადზე 61 კაპიკით ნაკლები იყო. დაახლოებით ანალოგიური სურათია სხვა ქვეყნებშიც.

ცხრილი 3

შემოხილული ჩაის ოდენობა და მისი საზღაურის სახით გაზიდული ოქრო<sup>4</sup>

| შემოხილული ჩაის სახეობა | 1906 წელს |                           | 1907 წელს |                           | 1908 წელს |                           |
|-------------------------|-----------|---------------------------|-----------|---------------------------|-----------|---------------------------|
|                         | ფუთი      | ლირებულფ-ლება (მანეთებში) | ფუთი      | ლირებულფ-ლება (მანეთებში) | ფუთი      | ლირებულფ-ლება (მანეთებში) |
| შავი ბაიხაო ჩაი         | 3002107   | 54899256                  | 3033291   | 56036520                  | 2654091   | 46 71718                  |
| მწვანე " "              | 345322    | 4915137                   | 347478    | 5285473                   | 333642    | 5755287                   |
| აგურა ჩაი               | 2326523   | 16837652                  | 2204203   | 15204521                  | 2228699   | 15349312                  |
| ფილა ჩაი                | 72660     | 793741                    | 83779     | 1051849                   | 52271     | 613027                    |
| სულ                     | 6046712   | 77443875                  | 5668731   | 77578367                  | 5318713   | 67789344                  |


ს. ნ. ტიმოფეევის მრეწველობის აქტის საგარეო ვაჭრობის მიმოხილვიდან ამოკრეფილი ცნობები შემოხილული ჩაის ოდენობასა და მისი საზღაურის სახით გაზიდულ ოქროზე.

<sup>2</sup> Вл. Львов, Чай, его обработка и распространение, Москва, 1926, гл. 74.

<sup>3</sup> Н. П. Коломинцев, Лекции о чае, гл. 106.

<sup>4</sup> С. Н. Тимофеев, Культура чайного куста и производство чая в Западном Закавказье, изд. 11, Петроград, 1916, гл. 4—5.





ჩაის იმპორტზე ასე დიდი ოდენობით ოქროს ხარჯის მიუხედავად, მეფის მთავრობა არ ზრუნავდა ქვეყნის შიგნით ჩაის კულტურის გაშენებისა და წარმოებისათვის. პირიქით, ყოველმხრივ აფერხებდა და სხვადასხვა გზით აბრკოლებდა ჩაის კულტურის დანერგვასა და განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში ჩაის სამრეწველო პლანტაციების გაშენება თუ მიწის მოხერხება, ეს იმიტომ, რომ ამ საქმის ინიციატორებად და პიონერებად გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე სწავლულები და მეურნე პრაქტიკოსები.

ამიერკავკასიაში ჩაის კულტურის ინიციატორებად მ. ვორონცოვისა და სომეხთა პატრიარქის ნერსეს გამოცხადების ვერსიის უსაფუძვლოება სრული დამაჯერებლობით ნათელჰყო პროფ. პაატა გუგუშვილმა.<sup>5</sup> მან გამოაქვეყნა მასალები კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის 1865 წლის აქტებში დაცული დოკუმენტებიდან, რომლებიც ამხილებენ მეფის მოხელეთა უარყოფით დამოკიდებულებას რუსეთში ჩაის კულტურის გაშენებისადმი. როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურული მრეწველობის თბილისის საზოგადოებას, რომელიც ტექნიკური კულტურების დანერგვა-განვითარებაზე ზრუნავდა, აღუძრავს შუამდგომლობა ჩინეთიდან ჩაის თესლის გამოწერის შესახებ. პეკინიდან გამოწერილი ჩაის თესლი 1845 წლის 18 ივნისს რუსეთის სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგს გამლეს მ. ვორონცოვისათვის გამოუგზავნია, ვინაიდან ამ დროს აღნიშნული საზოგადოება ლიკვიდირებული ყოფილა.

1845 წლის 29 დეკემბერს სახელმწიფო ქონებათა მინისტრისადმი მიმართვაში მ. ვორონცოვი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს ჩვენში ჩაის კულტურის გაშენებისადმი. ის აღნიშნავს, რომ პეკინიდან გამოგზავნილი ჩაის თესლი არ აღმოცენდა და რომ, მისი აზრით, ჩაის ხე ამ მხარისათვის სასარგებლო არ იქნებოდა. თავის მხრივ მინისტრიც 1846 წლის 30 იანვარს საპასუხო მომართვაში მ. ვორონცოვისადმი იზიარებს ამავე აზრს და დასძენს, რომ ჩინეთიდან სამჯერ გამოიწერა ჩაის თესლი სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ და ყოველთვის უშედეგოდ, თანაც ძვირი ჯდება ეს ცდებიო, რაც, მისი აზრით, იმ გამოცდილებამაც დაადასტურა, რომ ბრაზილიაშიც არ მოუტანია შედეგი ამ ცდასო.

მთავრობის მოხელეთა ასეთი დამოკიდებულების საპირისპიროდ სულ უფრო იზრდებოდა ჩვენში ჩაის კულტურის გაშენების ენთუზიასტთა და პიონერთა მისწრაფება — გაეშენებინათ ჩაის კულტურა და ქვეყნის შიგნით ეწარმოებინათ ჩაი.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩოხატაურში მიხეილ ერისთავმა თავის ბაღში სხვა სუბტროპიკულ კულტურებთან ერთად დაიწყო ჩაის კულტურის გაშენება და ამ მოწინავე პრაქტიკოსმა მეურნემ 1860 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თხოვნით მიმართა ჩაისა და სხვა ტექნიკურ კულტურათა განვითარებისათვის მისთვის სესხად მიეცათ 20.000 მანეთი, საკუთარი მამულის და გირავების პირობით, მაგრამ პასუხად უარი მიიღო. ქუთაისის სამოქალაქო გუ-

<sup>5</sup> პაატა გუგუშვილი, ჩაის კულტურის ისტორიისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 2, თბილისი, 1945.



ზერნატორის მოხსენებაში სამხედრო გუბერნატორისადმი კვლავ დასტურდება მეფის მოხელეთა უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენში ჩაის კულტურის გაშენებისადმი. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საეჭვოდ მიაჩნდა ჩვენში ჩაის კულტურის გაშენების შესაძლებლობა. მისი აზრით, აქ შეიძლებოდა მხოლოდ სათბურებში გამოყვანილიყო ცალკეული ბუჩქები.

ამ მოხსენების დაწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ ერისთავმა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებას უკვე წარუდგინა თავის მამულში დამზადებული ჩაი. თუმცა ეს ჩაი, ფოთლის დამუშავების უცოდინარობის გამო, დაბალი ხარისხის აღმოჩნდა, მაგრამ ამ ცდის შედეგად კომისიამ აღიარა გასაშენებელ კულტურათა სიაში ჩაის შეტანის აუცილებლობა. გამოფენის დახურვის შემდეგ კავკასიური ჩაის ეს პირველი ექსპონატი გაუგზავნიათ სოფლის მეურნეობის პეტერბურგის მუზეუმში. თვით ამ საგანგებო კომისიის წევრი ა. პ. ოვერინი, რომელიც სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების წევრი იყო, ამის შესახებ შემდეგს წერდა: „1864 წლის ბოლოს გურიის მემამულემ თავადმა მ. ერისთავმა წარმოადგინა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებაში ჩაის ნიმუშების პატარა კოლექცია (სამი ნიმუში 1862, 1863 და 1864 წლების მოსავლისა) და თვით მცენარე ტოტებით, მოხერხებულად შერჩეული და კარგად შეფუთული, დაფარული ხშირი ფოთლებით, ყვავილებით და კარგად განვითარებული ნაყოფებით. ამ ნიმუშებმა მოგვცა საშუალება გამოგვეტანა ზოგიერთი საინტერესო დასკვნა ჩვენში გაშენებული ჩაის ღირსების შესახებ... რომ... ჩაი შეიძლება შეტანილ იქნეს გასაშენებელ მცენარეთა სიაში, უკიდურეს შემთხვევაში, რიონის აუზში მაინც“.<sup>6</sup>

შეიძლება დასახელებულ იქნეს მრავალი პიროვნება და ორგანიზაცია-დაწესებულება, რომლებმაც მცირე ძალა და მატერიალური საშუალებები როდი დახარჯეს ამიერკავკასიაში ჩაის კულტურის გავრცელებისათვის, მაგრამ მთავრობის მხრივ მხარდაჭერის უქონლობის გამო ვერ აღწევდნენ წარმატებებს. ასე მაგალითად, 1872 წელს გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორმა სტალინსკიმ მიიღო ნებართვა ჩაის პლანტაციის გასაშენებლად შეექმნა სააქციო ამხანაგობა ერთი მილიონი მანეთი აქციის გამოშვების უფლებით. კალკუტიდან გამოიწვიეს მეჩაიე ლაილეი, რომელმაც თან ჩამოიტანა სხვადასხვა ჯიშის ჩაის ნერგი და თესლი. ნიადაგის შემოწმების შედეგად ლაილეი ირწმუნებოდა, რომ ჩვენში ამ საქმეს წარმატება ექნებოდა. ჩაის საქმის შესასწავლად იყო მზადება ჩინეთში ექსპედიციის გასაგზავნად, მაგრამ ყველაფერი ჩაიშალა მთავრობის მიერ ჩაის პლანტაციისათვის სახელმწიფო მიწის უფასო გამოყოფაზე უარის თქმის გამო, თუმცა ჩაის პლანტაციისათვის ვარგისი მიწის ძირითადი მასა მაშინდელ საქართველოში სრულიად გამოუყენებელი იყო. 1883 წელს კვლავ წამოიჭრა საკითხი ჩაის პლანტაციის გასაშენებლად სააქციო საზოგადოების შექმნის შესახებ, მაგრამ ამჯერადაც ეს საქმე იმავე მიზეზით ჩაიშალა.

<sup>6</sup> Записки Кавказского общества сельского хозяйства, 1866, № 2, гл. 17—18.





მეფის მთავრობა გამოდიოდა იმ ვიწრო მოსაზრებიდან, რომ ჩაის შემოზღუდვაზე მაღალი საბაჟო გადასახადით დიდი შემოსავალი მიეღო და არ იყო დანტერესებული სამამულო ჩაის წარმოების განვითარებისადმი ხელის შეწყობით თანდათან შეემცირებინა ჩაის იმპორტი და ამით ქვეყანა გაეთავისუფლებინა ჩაის შესყიდვისათვის უცხოეთში სულ უფრო მზარდი ოდენობის ოქროს გაზიდვისაგან. ამასთანავე, მეფის მთავრობის კოლონიალური პოლიტიკა საერთოდ გამორიცხავდა განაპირა რაიონებში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების განვითარებას, სადაც, კერძოდ ჩაისა და საერთოდ სუბტროპიკული კულტურების გაშენების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო. მეფის მთავრობის მხრივ ჩაის კულტურისადმი ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ჩაის გაცნობის შემდეგ სულ უფრო ფართოვდებოდა მისი მოხმარება ჩვენს ქვეყანაში და იზრდებოდა მისწრაფება ჩაის კულტურის გაშენებისადმი.

## 2. ჩაის პირველი პლანტაციები და ჩაის ფოთლის ხელოვნური

### გადამუშავება

ჩაის კულტურის გაშენებისა და ჩაის დამზადების ცდამ, რომელიც მ. ერისთავმა აწარმოვა, მოწინავე სწავლულთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა. პროფ. ა. ი. ვოიკოვმა ინდოეთსა და იაპონიაში მოგზაურობისას ჩაის კულტურის შესწავლის შედეგად, 1876 წელს გეოგრაფიული საზოგადოების კრებაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც დაამტკიცა ამიერკავკასიაში ჩაის კულტურის გაშენების შესაძლებლობა და მისი დიდი მნიშვნელობა. დიდმა რუსმა ქიმიკოსმა პროფ. ბუტლეროვმა მხარი დაუჭირა ამ იდეას და პრაქტიკულად შეუდგა მის განხორციელებას. პროფ. ბუტლეროვმა „1885 წლის აპრილში სოხუმში ყოფნის დროს ჩაატარა ჩაის დამზადების ცდა ბოტანიკურ ბაღში არსებული ჩაის ბუჩქების ფოთლებიდან“.<sup>7</sup> მასვე აკუთვნებენ მზა ჩაის დამზადების მეორე ცდას. ბუტლეროვს განზრახული ჰქონია ჩაის საქმის შესასწავლად ინდოეთში ემოგზაურა, მაგრამ აღარ დასცალდა.

ბოტანიკოს ნ. კ. ზეიდლიცს ამიერკავკასიაში ჩაის კულტურის შესწავლის საქმე 1884 წელს პეტერბურგში ბოტანიკოსებისა და მეხალეთა საერთაშორისო კონგრესზე ღრმა მსჯელობის საგნად გაუხდია. მისი ინიციატივით ხანკოუდან გამოწერილი ჩაის ნერგი და თესლი დარგულ იქნა ჩაქვში ინჟინერ-პოლკოვნიკ ა. სოლოვცოვის 1,5 დესეტინა ფართობზე. ჩაის დამზადების ცდას სოლოვცოვი XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან შეუდგა. ამის შესახებ ის შემდეგს წერდა: „1890 წელს შევეცადე ჩაის დამზადებას. ცდა ჩატარდა ყოფილი მეხალის გ. ლისენკოს მიერ გ. ზემლერის სახელმძღვანელოს მიხედვით. რამდენიმე უნაყოფო ცდის შემდეგ ერთი კარგი შედეგი იქნა მიღებული. ჩაი კარგი გემოსი და არომატისანი გამოდგა (არომატულ მცენარეთა შეურევლად). ეს ჩაი გადავეცი თბილისის მეხალეობის სკოლის მაშინდელ მმართველს გ. ოსტაპოვიჩს. ამ ცდამ დამარწმუნა, რომ ჩაის კულტურა აქ წარმატებით განვითარდება“.

<sup>7</sup> Сборник сведений по культуре ценных растений на Кавказе, вып. № III, 1877, 83. 25.

<sup>8</sup> Сборник императорского общества сельского хозяйства, 1894, 83. 665.



სოლოვოვი დაბეჯითებით განაგრძობდა ჩაის კულტურის გაშენებას და მზადყოფნას ჩაის გამოყვანის ცდებს. 1893 წელს ამიერკავკასიის სოფლისმეურნეობრივ გამოფენაზე მან წარმოადგინა მის მიერ გამოყვანილი ჩაის ნიმუშები და ჩაის ბუჩქი. სოლოვოვი დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით. თავის მამულში მან ჩაის ფოთლის საღნობი და საგრეხი პრიმიტიული ფაბრიკაც კი მოაწყო სახმობი განყოფილებებით. გრეხას პირველად ხელით ან ფეხით აწარმოებდნენ, რისთვისაც მომდნარ ჩაის მოათავსებდნენ პატარა ტომრებში და სრესდნენ. უფრო გვიან კი მას აწარმოებდნენ ხელის მანქანა „ჯაკსონით“.

ჟურნალ „კვალის“ გადმოცემით, სოლოვოვს თავის მამულში „ჩაის ფოთლის მოყვანაში და დამზადებაში მხოლოდ გურულები და მეგრელები ჰყოლია მუშებად. ამათთვის შეუსწავლებია ძვირფასი მცენარის მოყვანა და მისგან ჩაის კეთება“.<sup>9</sup>

ჩაის პლანტაციის გაშენებისა და მისი პროდუქციის გადამუშავების საქმეში მოპოვებულმა ამ თვალსაჩინო წარმატებებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მისი გავრცელებისადმი ლტოლვა. ამ საქმეში კაპიტალის დაბანდება გადაწყვიტეს ჩაის ცნობილი ფირმის წარმომადგენლებმა ძმებმა კ. და ს. პოპოვებმა. ისინი დაწვრილებით გაეცნენ ჩაის საქმეს ჯერ სოლოვოვის მამულში, ხოლო შემდეგ ამ მიზნით მათ მოაწყეს ექსპედიცია პროფ. ტიხომიროვის მონაწილეობით ჩინეთში, კუნძულ ცეილონსა და იავაზე. წინასწარ შეისყიდეს მიწის ნაკვეთი სალიბაურში, კაბრეშუმსა და ჩაქვში და შეუდგნენ ჩაის პლანტაციების გაშენებას. 1893 წელს ჩაის პლანტაცია გააშენეს 14 დესეტინაზე, შემდეგ თანდათან მოუმატეს და 1901 წლისათვის იგი უკვე 105 დესეტინამდე გააფართოვეს, ხოლო 1915 წლისათვის 127 დესეტინამდე აიყვანეს.<sup>10</sup> 1895 წელს პოპოვების პლანტაციიდან უკვე მიუღიათ პირველი მოსავლის ჩაი 20 გირვანქის ოდენობით. პლანტაციის სრულმოსავლიანობაში შესვლასთან დაკავშირებით მოსავალი თანდათან მატულობდა და უკვე 1898 წელს 2900 გირვანქამდე ჩაი დაუმზადებიათ.

1897 წელს ჩაის ფაბრიკის აგებამდე ჩაის გადამუშავებას ხელით აწარმოებდნენ სალიბაურში, სადაც გადასამუშავებლად მიჰქონდათ აგრეთვე კაბრეშუმისა და ჩაქვის პლანტაციებში მოკრეფილი ჩაის ფოთოლი. ჩაის კულტურის გაშენებისა და მწვანე ფოთლის გადამუშავების საქმის დასაყენებლად პოპოვმა 1893 წლის ნოემბერში ჩამოიყვანა 10 მეჩაიე ჩინელი ლაუ-ჯონ-ჯაუს ხელმძღვანელობით. მათგან ერთი მალე დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო სხვები, გარდა ლაუ-ჯონ-ჯაუსა, დაიღუპნენ იმ ადგილებში მაშინ მძევნარე მალარიისაგან. ლაუ-ჯონ-ჯაუ კი დარჩა აქ სამუშაოდ 1926 წლამდე და დიდი როლი შეასრულა ჩვენში ჩაის მოვლა-დამუშავების შესწავლისა და ჩაის კულტურის გავრცელების საქმეში. ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა პოპოვის მამულის ჩაის გადამუშავებას. მის მიერ გამოყვანილი ჩაისათვის 1900 წლის საერთაშორისო გამოფენაზე პოპოვმა მიიღო ოქროს დიდი მედალი წარწერით: „მსოფლიოში საუკეთესო, კონსტანტინე პოპოვის კავკასიური ჩაისათვის“. ასევე ხვდა მას დიდი წარმატება ცეილონის გამოფენაზე.

ჩაის საქმის წარმატებები ჩვენში საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეების ყურადღებას იპყრობდა და მისდამი ინტერესს ზრდიდა.

<sup>9</sup> „კვალი“, 1897, № 27, გვ. 511.

<sup>10</sup> Труды 1-ой Всесоюзной конференции по субтропическим культурам (2—8 декабря, 1928 г. Батуми), Тифлис, 1929, გვ. 54—73.



ახასიათებდა რა ბათუმის სანაპიროს მეურნეობრივ პირობებს 1899 წელს გ. მასალსკი წერდა, რომ აქ დიდი ნაღებების გამო ჩვეულებრივი კულტურები ვერ იძლევიან სათანადო შედეგებს, ხოლო იაპონურ-ჩინურ მცენარეთა გამოცდა უსისტემოდაა მიშვებული, იგი მოითხოვდა ჩაის, როგორც ყველაზე შემოსავლიანი კულტურის, ფართოდ გაშენებას.<sup>11</sup>

ცხრილი 4

ჩაის ბუჩქთა რაოდენობა სალიბაურის, კაპრეშუმის და ჩაქვის მამულში (1898წ.)<sup>12</sup>

|     |                                                            | სალიბაურში | კაპრეშუმში | ჩაქვში | სულ     |
|-----|------------------------------------------------------------|------------|------------|--------|---------|
| I   | ორიგინალური ჩამოტანილი ჩაის ბუჩქი 7-8 წლის ასაკში          | 761        | 24         | 765    | 1556    |
| II  | 1893-1894 წ. წ. ძველი ნარგავი ჩინური თესლით                | 25000      | 15000      | 35000  | 75000   |
| III | საკუთარი და ჩინური თესლით 1896—97 წ. წ. ახალგაზრდა ნარგავი | 30000      | 15000      | 45000  | 90000   |
| IV  | 1897 წ. მხოლოდ საკუთარი თესლიდან აღმოცენებული              | 420000     | 80000      | —      | 500000  |
| V   | ჩინური თესლიდან აღმოცენებული                               | 1000000    | 10000      | 200000 | 1210000 |

სოლოვოვისა და პოპოვის თაოსნობის წარმატებების გავლენით უწყებათა მთავარმმართველობა, აგრონომ კლინგენის მოხსენების საფუძველზე, მიდის იმ აუცილებლობის აღიარებაზე, რომ კავკასიაში გაშენებულიყო დიდი მასშტაბის სუბტროპიკული მეურნეობა. ამისათვის შერჩეულ იქნა ჩაქვის ზღვის სანაპირო ადგილები (ყოფ. ბათუმის ოლქი), სადაც 1885 წლიდან დაიწყო ჩაის სამრეწველო პლანტაციების გაშენება.

აქ პირველი ჩაის პლანტაცია 20 ჰექტრამდე გაშენებულ იქნა სოლოვოვიდან მიღებული ჩაის ნერგით. საუფლისწულო უწყებამ მოაწყო ექსპედიცია 1895 წლის თებერვალში, აგრონომ კლინგენის, სიმონსონის, გ. სნეჟკოვის და პროფესორ კრასნოვის მონაწილეობით ჩინეთში, ინდოეთში, ცეილონსა და იაპონიის ჩაის რაიონებში. ექსპედიციის მონაწილენი დაწვრილებით გაეცნენ ჩაის საქმეს და 1896 წლის გაზაფხულზე თან ჩამოიტანეს დიდძალი მასალები, თესლის, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურის ნერგების სახით. 1899 წლის ივნისისათვის ჩაქვის საუფლისწულო მამულში ჩაის პლანტაცია უკვე გაშენებული იყო 55 დესეტიანზე. ყოველ დესეტიანზე საშუალოდ 7000 ბუჩქი მოდიოდა.

XIX საუკუნის ბოლოდან ჩაქვის საუფლისწულო მამულში ჩაის პლანტაცია მნიშვნელოვნად გადიდდა და 1907 წელს მისმა ფართობმა 250 დესეტინას,

<sup>11</sup> В. Масальский, Чайная и друия южные культуры в Западном Закавказье, Департамент земледелия, СПб, 1899, гл. 5.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 11.



1909 წელს — 350, 1911 წელს — 410, ხოლო 1914 წელს უკვე 500 დესეტი<sup>13</sup> ჩაის მიადნა.

ზემოაღნიშნულ ჩაის მსხვილ მეურნეობათა გარდა ბათუმის ოლქში პირველი მსოფლიო ომის წინ ითვლებოდა 165 წვრილი მეურნე, რომელთა ჩაის პლანტაციის საერთო ოდენობა 205 ჰექტარს აღწევდა. მათგან მხოლოდ 3 პლანტატორს ჰქონდა 10-10 ჰექტარი, 28-ს — 1-1.5 ჰექტარამდე, ხოლო დანარჩენებს — უფრო მცირე. XX საუკ. 10-იანი წლებისათვის ს. მ. ტიმოფეევს აღნიშნული აქვს:

1. სინიციის პლანტაცია, რომელიც ყარადერეში (ახლანდელი ჩაისუბანი) 1899 წლიდან იყო გაშენებული 9 დესეტინა ფართობზე, იძლეოდა 20 ათასამდე გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს. სინიციის დამატებით 6 ათასამდე გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს თითოეულ გირვანქას 12-13 კაპიკად ყიდულობდა უფრო წვრილი პლანტატორებიდან და აწარმოებდა მას ინგლისური ნიმუშის მიხედვით კონსტრუქციებულ პატარა ქარხანაში.<sup>13</sup> იქ ჩაის ფოთლის ღირებულება მიმდინარეობდა ხის კამერებში აგურის ღუმელით. ასე პრიმიტიულად დამზადებული ჩაი იყიდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, უმთავრესად სამხედრო ნაწილებში, ხარისხის მიხედვით, გირვანქა 80 კაპიკიდან 2 მანეთამდე.

2. დიადუმას პლანტაცია გაშენებული იყო სოფელსავე 3,5 დესეტინაზე 1901 წლიდან. მფლობელი 10 ათასამდე გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფდა და ამდენივეს ყიდულობდა უფრო წვრილი პლანტატორებიდან, გირვანქა ჩაის ფოთოლში იხდიდა 11-12 კაპიკს და მის გადამუშავებას აწარმოებდა ხელოსნური წესით. ღირებულება მზევრე წარმოებდა, გრეხა — ხის კბილანა მაგიდაზე, ხოლო ხმობა — აგურის ღუმელების მეშვეობით. დამზადებული ჩაის გასაღება წარმოებდა მცირე პარტიებად გირვანქა 1 მან. და 20 კაპიკიდან 2 მანეთამდე.

3. საბაევის პლანტაცია გაშენებული იყო 1905 წელს სალიბაურში 2 დესეტინამდე ფართობზე. იგი იძლეოდა 4 ათასამდე გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს. ამდენივეს საბაევი ყიდულობდა სხვა მფლობელებიდან გირვანქას 12-12 კაპიკად. გადამუშავება კუსტარულად წარმოებდა. ჩაის წინასწარ აღნობდნენ მზევრე, გრეხდნენ კბილანა ხის მაგიდაზე და საბოლოო ხმობა მიმდინარეობდა უბრალო ტიპის ღუმელით. გამოყვანილი ჩაი იყიდებოდა ბათუმის ბაზარზე გირვანქა 1 მან. და 20 კაპიკიდან 3 მანეთამდეც კი.

4. ზვერევის პლანტაცია გაშენებული იყო 1899 წლიდან ბარცხანაში, 13 ათასამდე გირვანქა ჩაის მწვანე ფოთლის საშუალო წლიური მოსავლით.

ზვერევი დამატებით ყიდულობდა 5 ათასამდე გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს და გადამუშავებას ახდენდა მარტივი წესით. საგრეხი მანქანა მოძრაობაში მოჰყავდა სამ ცხენისძალიან მოტორს. ღირებულება მიმდინარეობდა მზევრე, ხოლო საბოლოო გაშრობა — ღუმელში ხილის სახმობის ტიპის ფურცლოვან რკინაზე. ჩაი იყიდებოდა ბათუმში გირვანქა 80 კაპიკიდან 1 მან. და 20 კაპიკამდე.

5. სოფელ ჩაისუბნის მცხოვრებ კორძაიას ეზოში დღემდე შემონახა პლანტატორ ილიჩოვის ნაქონი ჩაის საგრეხი მანქანის რკინის ღერძი თვლებითურთ, რომელიც წყლის საშუალებით მოჰყავდათ მოძრაობაში, ხოლო მანქანის სხვა ნაწილები 3 წლის წინათ ჩაუბარებიათ უტილ-ნედლეულის სახით.

<sup>13</sup> С. Н. Тимофеев, Культура чайного листа и производство чая в Западном Закавказье, Тифлис, 1912, გვ. 6.



აჭარაში 1914 წლისათვის სულ მოკრეფილია 1.370.128 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან ჩაქვის საუფლისწულო მამულში — 1.065.765 გირვანქა, პოპოვის მამულში — 181.796 გირვანქა და წვრილ პლანტაციებში — 122.567 გირვანქა.<sup>14</sup>

### 3. ჩაის პირველი ფაბრიკები და ჩაის მამულისადმი გადაუშუალება

#### აჭარაში

##### ა) სალიბაურის ჩაის ფაბრიკა

ჩაის პირველი ფაბრიკული გადაუშუალება ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ბათუმის ოლქში, სოფელ სალიბაურში ცნობილი ჩაით მოვაჭრის—პოპოვის მამულში 1898 წელს. ამ დროისათვის მას გაშენებული ჰქონდა უკვე 24 დესტინა ჩაის პლანტაცია, რომლიდანაც 52250 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო და 13000 გირვანქა ხმელი ჩაი დაამზადა. მანამდე კი, 1895 წლიდან მისი მამულის ჩაის მოსავლის გადაუშუალებას ხელოსნური წესით აწარმოებდა ცნობილი მეჩაიე ჩინელი ლაუ-ჯონ-ჯაუ, რომელმაც 1895 წლის პირველი მოსავლიდან დაამზადა 20 გირვანქა ხმელი ჩაი, 1896 წელს — 37, 1897 წელს კი — 1200 გირვანქა. პოპოვმა ლონდონიდან გამოიწერა ჩაის ფაბრიკის მთელი გაწყობილობა, რომლის ღირებულება, ჩამოტანის ხარჯებითურთ, 50000 მანეთს შეადგენდა, ხოლო გამტარუნარიანობა — 100000 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს წელიწადში. 1904 წლამდე პოპოვის ჩაის პლანტაციების მოსავალი ვერ ტვირთავდა სალიბაურის ჩაის ფაბრიკას და მეზობელი პლანტაციებიდანაც ღებულობდა იგი ჩაის გადასამუშავებლად ან უშუალოდ შეისყიდდა მათგან ჩაის მწვანე ფოთოლს გირვანქას 12-14 კაპიკად. ამ ფაბრიკას დასაწყისიდან 1900 წლამდე განაგებდა ლაუ-ჯონ-ჯაუ, რომლის უნარიანმა მუშაობამ სახელი გაუთქვა პოპოვს მაღალხარისხოვანი ჩაის წარმოებით. როგორც საუფლისწულო უწყებათა მთავარ სამმართველოს სწავლული აგრონომი კლინგენი გადმოგვცემს, „რუსული, კვკასიური ჩაი უკვე ცნობილი იყო ლონდონელ ტიტესტერათვის, ერთი მათგანი, ბარეი, ასამის ყოფილი ავტორიტეტული პლანტატორი, პოპოვის ჩაის ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა“.<sup>15</sup>

თვითონ კლინგენი, რომელმაც 1899 წელს დაათვალიერა პოპოვის ჩაის ფაბრიკა სალიბაურში, კარგ შეფასებას აძლევდა მას. პოპოვის ფაბრიკა ჩაქვის საუფლისწულო მამულის 1899 წელს აგებულ ფაბრიკას გაწყობილობით ჩამორჩებოდა, მაგრამ მისი წარმოების ტექნოლოგიის ზოგ მხარეს კლინგენი მაინც უპირატესობას ანიჭებდა. კერძოდ, ფერმენტაციის მექანიკურ მეთოდსა და გრენის დროს სიმწლავის მიზნით წვენის ნაწილის გამოცილების ხერხს კლინგენი თვლიდა პოპოვის ფაბრიკის ნაწარმი ჩაის ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორად. ამიტომ იგი თავის მოხსენებაში არაერთგზის მიუთითებდა, რომ ეს მეთოდები გამოეყენებინათ ჩაქვის ფაბრიკაშიც. როგორც კლინგენი გადმოგვცემს, პოპოვის ფაბრიკაში გამოყვანილი ჩაი დასახარისხებლად მოსკოვში იგზავნებოდა, სადაც გამოცდილი ტიტესტერები მას სამ ხარისხად ანაწილებდნენ: პირველი ხარისხის გირვანქა ჩაი ღირდა 2 მანეთი, მეორე — 1 მან. და 50 კაპიკი

<sup>14</sup> С. Н. Тимофеев, Культура чайного листа и производство чая в Западном Закавказье, изд. 11, Петроград, 1916, гл. 3.

<sup>15</sup> აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 22, საქმე 25, ფურც. 152.



და მესამე—1 მანეთი. მოსკოვში ჩაი იგზავნებოდა ტყვიის ქაღალდგამოკრულ ყუთებში, წარწერით: „ბროკენ პეე“ (საუკეთესო ხარისხი) და „პეკო-სუმონგ“ (დაბალი ხარისხი). თითოეული ყუთი ჩაითურთ 3 ფუთს იწონიდა.

პოპოვის ჩაის ფაბრიკის დათვალიერებისას გაუსინჯავთ ჩაი, რომელიც ხელით, ჩინური წესით იყო გამოყვანილი 1897 წელს და მანქანური წესით დამზადებული 1898 და 1899 წლებში. კლინგენი აღნიშნავს, რომ 1897 წელს ხელით გამოყვანილი ჩაი მე მომეჩვენა უფრო მდარედ, ვიდრე დანარჩენი. მას ჰქონდა რაღაც არაბუნებრივი არომატი.

როგორც კლინგენის მოხსენებიდან ჩანს, ლაუ-ჯონ-ჯაუს ჩაის მიღებისას ხარისხზე მაღალი მომთხოვნელობა ჰქონია დაწესებული.<sup>16</sup> პ. გ. კარპენტერი ინდოეთის ჩაის ასოციაციის წევრთა კრებაზე წაკითხულ ლექციაში აღნიშნავდა: „...ჩაის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხარისხის ფოთოლი იკრიფება... რა გვაძლევს ჩვენ ხელი ავიღოთ სამ და ოთხფოთლიანი ღუეების მოკრეფაზე? ეს ნათელი შეიქმნება, თუ თქვენ მიაქცევთ ყურადღებას ღუეის ცალკე ნაწილების ანალიზს: კვირტი შეიცავს ტანის — 28%, I ფოთოლი—28%, II — 21%, III — 18%, IV — 14%, ღერო კვირტსა და II ფოთოლს შორის — 12%, II და IV ფოთოლს შორის — 6%. ამრიგად, კარგი ხარისხის ჩაის მისაღებად საჭიროა კარგი ხარისხის ფოთოლი, მაგრამ ჩაის ხარისხი მის გადამუშავებაზეცაა დამოკიდებული.“<sup>17</sup>

ლაუ-ჯონ-ჯაუ დიდ ყურადღებას უთმობდა რა მაღალი ხარისხის ჩაის დამზადების საქმეს, მას აუცილებლად მიაჩნდა ადგილობრივი, კავკასიური ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად პლანტაციების სწორი მოვლა, ღუეების წესიერი კრეფა, ჩაის ფოთლის დამუშავება გამოცდილი, კვალიფიციური სპეციალისტის ხელმძღვანელობით და სხვ. მისი შეხედულებით ჩაის ფოთლის წესიერი და რაციონალური ხმობა წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და არსებით ფაქტორს ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, მისთვის მეტი არომატიულობის მიცემისა და გემოს გაუმჯობესებისათვის.<sup>18</sup>

1909 წელს, კ. პოპოვის წინადადებითა და ჩაქვის საუფლისწულო უწყების მამულის ხელმძღვანელობის ნებართვით, ლაუ-ჯონ-ჯაუ (მაშინ ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა) შესდგომია პოპოვის სამი მამულის და სალიბაურის ჩაის ფაბრიკის წესრიგში მოყვანისა და აღდგენის საქმეს. 1911 წელს კვლავ განახლებულა მუშაობა პოპოვის ფაბრიკაში და დაუმზადებიათ 18386 გირვანქა ნედლი ჩაი, ხოლო მომდევნო 1912 წელს — 35400 გირვანქა შემდეგ ეს ფაბრიკა კვლავ დაიხურა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს და მხოლოდ 1919 წელს განახალა მუშაობა, თუმცა პოპოვის ჩაქვის პლანტაციიდან ჩაის ნედლ ფოთოლს გადასამუშავებლად მაინც ჩაქვის ფაბრიკაში აბარებდნენ.

#### ბ) ჩაქვის ჩაის ფაბრიკა


1899 წელს „საუფლისწულო უწყების“ ჩაქვის მამულში აგებული ჩაის ფაბრიკა თავისი სიმძლავრით რამდენიმეჯერ სჭარბობდა პოპოვისას. ამ დროისათვის საუფლისწულო მამულში ჩაის პლანტაცია უკვე 70 დესეტინაზე იყო გა-

16 აპარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 22, საქმე 25, ფურც. 26.

17 პ. გ. კარპენტერი, ჩაის ბუჩქი და ჩაის წარმოება, თარგმანი ინგლისურიდან, თბილისი, 1929, გვ. 21.

18 აპარის ასსრ სახ. არქივი, ფ. რ. 84, საქმე 23, ფურც. 59.





შენებული, საიდანაც მოკრეფილ იქნა 3950 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი და დამზადებულ იქნა პირველი 930 გირვანქა ჩაი.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის აგებამდე კარგა ხანს მსჯელობდნენ საუფლისწულო უწყების მთავარ სამმართველოში ჩაის ფაბრიკის სიმძლავრის განსაზღვრაზე. იყო აზრი პატარა მოცულობის ორი ფაბრიკის აგების შესახებაც, რასაც იმით ამართლებდნენ, რომ უგზოობის პირობებში ძნელი იქნებოდა მთელი მამულიდან ჩაის მიზიდვა ერთ ადგილზე. აგრონომი კლინგენი იმ აზრისა იყო, რომ აგებულიყო ერთი ფაბრიკის შენობა, ისეთი ტევადობისა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დაედგათ დამატებითი მანქანები ჩაის ფოთლის მოსავლის ზრდის შესაბამისად. ეს წინადადება მიღებულ იქნა და ჩაის ფაბრიკა დაპროექტებულ იქნა 19500 გირვანქა მზა ჩაის დღელამური მწარმოებლურობით.<sup>19</sup> მისი სრულყოფილად აღჭურვა ორი წლის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო. პირველად ძლიერ პატარა სახმობი იქნა დადგმული. ორი წლის განმავლობაში ფაბრიკის ზიმძლავრემ ფაქტიურად, დღე-ღამეში 1000 გირვანქა<sup>20</sup> ჩაის წარმოებამდე მიადწია, ხოლო შემდეგ კიდევ მეტად იქნა გადიდებული. თანდათან ხდებოდა ჩაის წარმოების დაუფლება და დეფექტების ლიკვიდაცია. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ჩინეთიდან ჩამოყვანილმა მეჩაიეებმა. კავკასიის საუწყებო მამულთა ინსპექტორისადმი უწყებათა მთავარმმართველობის 1899 წლის 5 მარტის მიმართვაში ნათქვამი იყო: „ჩაქვის მამულში დარჩენილი ჩინელები და იაპონელები სასურველია, დავამატოთ მამულში. ჩინელებმა უნდა ასწავლონ მუშა ადამიანებს სწრაფად, წესიერად და მძლავრად, ბუჩქის დაუზიანებლად მოკრიფონ ჩაის ფოთოლი“.<sup>21</sup> 1901 წელს ჩაქვის მამულში ჩაის ფაბრიკის გამგედ სალიბაურიდან გადაყვანილ იქნა ლაუ-ჯონ-ჯაუ, რომელიც ამ ორნახევარი ათეული წლის განმავლობაში შეუცვლელად მუშაობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაქვის მამულის ჩაიმ, რომელიც აქ ქარხანაში მუშავდებოდა, სალიბაურის ჩაის პროდუქციის მსგავსად, დადებითი შეფასება დაიმსახურა. ჩაქვის ჩაის ფაბრიკის გაშვების მომენტისათვის მოსკოვიდან გამოწვეულ იქნენ ტიტესტერები, რომელთა დასკვნებით ჩაქვის საუფლისწულო უწყების მეურნეობის 1899 წლის პირველი და მეორე ნაკვეთის ჩაი მაღალ თანრიგს მიაკუთვნეს. მთელი დამზადებული ჩაის თითქმის ნახევარი პირველი ხარისხის იყო, რაც რუსეთის ბაზარზე გირვანქა 2 მანეთად იქნა შეფასებული. აგრონომი კლინგენი ჩაქვში მივლინების გამო 1899 წლის 21 აგვისტოს შედგენილ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ „ინგლისელებმა აიღეს პირველი ნაკრეფისაგან დამზადებული ჩვენი ჩაის პირველი და მეორე ხარისხის ნიმუში, ლონდონში სახელგანთქმულ ტიტესტერთან გასაგზავნად, რომელიც ღებულობს თითოეული სინჯის განსაზღვრისათვის 1,5 მანეთს (3 შილინგს). ისინი დაპირდნენ გამოცდის შედეგთა ცნობებას. ახლა ჩემთვის ცნობილია უფროსი დევიდ-სონის კერძო ბარათის მეშვეობით, რომ ჩვენი ჩაი ცეილონის კარგი ჩაის თანაბრად დაყენებულიო“.<sup>22</sup>

ამრიგად, სალიბაურისა და ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკაში პირველად გამოყვანილი ჩაის შედარებით მაღალმა ხარისხმა სახელი გაუთქვა

19 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 22, საქ. 25, ფურც. 153.

20 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 22, საქ. 101, ფურც. 2.

21 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 22, საქ. 25, ფურც. 96.

22 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 22, საქმე 25, ფურც. 151-ობ.



რუსეთის ბაზარზე კავკასიურ ჩაის და გამოიწვია მასზე მოთხოვნილების ზრდა. მაგრამ როცა მომდევნო წლებში ჩაის მოსავალმა იმატა და ჩაის კუსტარულმა გადამუშავებამ მასიური ხასიათი მიიღო, დაეცა გადამუშავებული ჩაის ხარისხი, რასაც მაშინვე მიაქცევს ყურადღება ჩაის წარმოების სპეციალისტებმა.


პოპოვისა და ჩაქვის საუფლისწულო მამულში დამზადებული 15 ნიმუშის ჩაიზე პეტერბურგის ფარმაცევტული საზოგადოების ლაბორატორიაში ჩატარებული ანალიზის შედეგად მოცემული შეფასება „გვიძულებს ვივარაუდოთ, — წერდა აგრონომი კლინგენი 1904 წელს, — რომ ჯერ ერთი, პლანტაციებში ფოთლის დახარისხება წარმოებს არადაამაკმაყოფილებლად, მეორეც, ფოთლის დახარისხება შეგროვების შემდეგ კვლავ არადაამაკმაყოფილებელია, მესამეც ყველაზე მეტი ცოდვილობა, ალბათ, ღნობასა და ხმობაშია. 1902 წელს ჩაის საუკეთესო ქიმიური შედგენილობა გაფუჭებულ იქნა ხმობის დროს და კიდევ გადაიწვა. ხმობის პროცესის არასრულყოფის გამო რჩება დიდი რაოდენობის ნამცეცი და მტვერი, რომელიც ქარბადაა უმაღლეს ხარისხშიც კი... გარდა ამისა, უეჭველად რუსულ ჩაის არომატი გაცილებით ნაკლები აქვს ვიდრე ჩინურს. საეცებით შესაძლებელია, რომ ჩინურ ჩაის ხელოვნურად ასურნელოვანებდნენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ხმობა ჩვენში ძალიან უწყობს ხელს არომატის შემცირებას“.<sup>23</sup>

გადასამუშავებელი ჩაის ოდენობის მატებასა და ჩაიზე მოთხოვნილების გადიდებასთან დაკავშირებით ჩაის წარმოებაში სულ უფრო მეტად იზრდებოდა ხარისხის საზიანოდ რაოდენობისადმი გამოდევნების მისწრაფება. პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ჩვენში ძირითადად დაბალი ხარისხის, ე. წ. „საღდათურ ჩაის“, ამზადებდნენ. ჯერ კიდევ 1903 წელს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველის მიერ უწყებათა მთავარმმართველობისადმი გაგზავნილ მმართველში აღძრულია შუამდგომლობა, რომ ჩაის მთელი მოსავალი არ მიეცეს რომელიმე გამყიდველ შუამავალს, არამედ მიეყიდოს უშუალოდ მომხმარებელს, ძირითადად არმიას, რომელიც დაბალი ხარისხის ჩაის მთავარი მომხმარებელია.

1904 წელს დამზადებული 90445 გირვანქა ჩაიდან ხარისხოვანი იყო 25998, ხოლო ნამცეცი და „საღდათური“ — 64446 გირვანქა, ე. ი. ჩაქვის ჩაის ფაბრიკა ძირითადად ამ დაბალი ხარისხის ჩაის დამზადებაზე იყო გადასული. უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაი მცირე ოდენობით დიდკაცობისათვის მზადდებოდა. საერთოდ ამ დროს 5 ხარისხის ჩაის ამზადებდნენ. უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაი ძალიან მცირე რაოდენობით მზადდებოდა, მეოთხე და მეხუთე ხარისხის ჩაი კი 1914 წელს, მაგალითად, შეადგენდა წარმოებული ჩაის 50%.

ადგილობრივი წარმოების ჩაის ხარისხის გაუარესება მხოლოდ მოთხოვნილების გადიდებით კი არ აიხსნებოდა, არამედ იგი მნიშვნელოვანწილად ჩაის საქმის საკმაო ცოდნის უქონლობისა და ხელისუფალთა მხრივ ამ საქმიანობისადმი უყურადღებობისა და უდარდელი დამოკიდებულების შედეგიც იყო. ხელისუფალთა მხრივ ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც იზრდებოდა





მოსახლეობის ლტოლვა ჩაის კულტურის გაშენებისადმი და თუმცა, მაგ, მაგ, რამ მაინც მატულობდა ჩაის პლანტაციების ფართობი.

ცხრილი 5

ჩაის პლანტაციების რაოდენობა, ფართობი და მოსავალი 1910 — 1914 წ.წ.<sup>24</sup>

| წლები | პლანტაციების რაოდენობა |                     | ფართობი (დესეტინებში)  |                      | მწვანე ფოთლის მოსავალი (გირვანქებში) |                     |
|-------|------------------------|---------------------|------------------------|----------------------|--------------------------------------|---------------------|
|       | ბათუმის ოლქში          | ქუთაისის გუბერნიაში | ბათუმის ოლქში          | ქუთაისის გუბერნიაში  | ბათუმის ოლქში                        | ქუთაისის გუბერნიაში |
| 1910  | 104                    | 49                  | 624 დეს.<br>890 კვ.ს.  | 20                   | 231121                               | 11120               |
| 1911  | 112                    | 49                  | 644 დეს.<br>500 კვ.მ.  |                      | 882855                               | 11890               |
| 1912  | 122                    | 50                  | 711 დეს.<br>60 კვ.ს.   | 29 დეს.<br>700 კვ.ს. | 1106598                              | 15800               |
| 1913  | 146                    | 56                  | 788 დეს.<br>1798 კვ.ს. | 29 დეს.<br>700 კვ.ს. | 1132866                              | 22793               |
| 1914  | 167                    | 60                  | 809 დეს.<br>718 კვ.ს.  | 30                   | 1357817                              | 25500               |

პირველი მსოფლიო ომის წინა ათ წელში ჩაის ფართობის საშუალოწლიური მატება 9,1%-ს არ აღემატებოდა. ეს გარემოება მეფის რუსეთის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობაზე მეტყველებდა, რაც ჩაის, ისე როგორც სხვა ძვირფასი კულტურების, განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს არ ქმნიდა. ჩვენში ვინც კი მოახერხა მცირეოდენი ჩაის გაშენება, მასაც არ ჰქონდა ჩაის შემოსავლით გარანტირებული სარგებლობის საშუალება. წვრილ პლანტატორთა ძირითადი მასა ჩაის მოსავალს ან მიჰყიდდა ჩაის ფაბრიკას გირვანქას 11-12 კაპიკად, რაც ნაწილობრივადაც ვერ ანაზღაურებდა მათ შრომას, ან აბარებდა მზა ჩაის გამოსაყვანად. გირვანქა ჩაის დამზადებაში ფაბრიკა ახდევინებდა 28 კაპიკს. მათთვის ხშირად ეს უკიდურესად არახელსაყრელი პირობებიც კი არ იყო გარანტირებული.

ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველისადმი კავკასიის საუფლისწულო უწყების ინსპექტორის 1910 წლის 7 ოქტომბრის მიმართვაში მითითებულია: განუმარტონ კერძო პლანტატორებს, რომ ჩაის ფოთლის შესყიდვას უწყება აწარმოებს მანამ, ვიდრე ეს მის მეურნეობრივ ინტერესებს შეესაბამება, ის სრულიადაც არაა სავალდებულო უწყებისათვის და შეიძლება შეწყვეტილ იქნას ყოველ სასურველ დროსო. ეს ასეც ხდებოდა. ჩაქვის საუფლისწულო მამულის საკუთარი მოსავალი ფაბრიკის ხშირი გადატვირთვისა და პოპოვის სალიბაურის ჩაის ფაბრიკის დროგამოშვებით დახურვის გამო (1905-1909 და 1917-1918 წ.წ.), როცა პოპოვის მამულის ჩაის ფოთლის გადამუშავება თვით ჩაქვის ფაბრიკაში წარმოებდა, წვრილ მესაკუთრეთა ჩაის ფოთოლს არ ღებულობდნენ ფაბრიკაში.

1915-1916 წლებში დაისვა საკითხი ჩაქვის ფაბრიკის სიმძლავრის გადიდების აუცილებლობის შესახებ. 1916 წლის ოქტომბერში ამ საკითხზე მოწვეულმა თათბირმა, რომელსაც აგრონომი კლინგენი თავმჯდომარეობდა, ჩაქვის საუფ-

24 გაზ. „ივესტია“, 19 მაისი, 1921 წელი.



ლისწულო მამულის მმართველის ილიაშენკოს, ფაბრიკის დირექტორის ლაუ-  
ჯონ-ჯაუს, ინგლისელი ინჟინრის ხანინისა და სხვათა მონაწილეობით, მიღებულ  
გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ თუ არსებულ ფაბრიკებს მოამარაგებენ ახა-  
ლი მანქანებით, იგი მეურნეობის მომსახურებას შეძლებს კიდევ 1917-1918  
წლების სეზონზე, ხოლო 1919 წლის მოსავლის გადასამუშავებლად საჭირო იქ-  
ნება ახალი, უფრო დიდი სიმძლავრის ფაბრიკის აგებაო.

კომისია მოითხოვდა ფაბრიკის განათებისათვის დამხმარე სახელოსნოებისა  
და საბაგირო გზების მოსაწყობად 150-180 ცხენის ძალიანი ელექტრო დანადგა-  
რის აგებას.

როგორც ამ თათბირის გადაწყვეტილებებიდანაც ჩანს, საუფლისწულო მა-  
მულს საკუთარი პლანტაციის მოსავლის გადამუშავება ჰქონდა სადარდებელი  
და, ცხადია, იგი თავს ვეღარ გაართმევდა კერძო პლანტატორების მოსავლის გა-  
დამუშავების საქმეს.

წვრილ პლანტატორთა ჩაის ფოთლის გადამუშავების მიზნით სოფლის მე-  
ურნეობის ბათუმის საზოგადოებამ გადაწყვიტა, აეგო ჩაის პატარა ფაბრიკა და  
თხოვნით მიმართა ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველს, მიეყიდა მისთ-  
ვის ჩაის პატარა მანქანა „სირროკო“, როცა ის შეცვლილი იქნებოდა ჩაქვის  
ჩაის ფაბრიკაში უფრო დიდი წარმადობის მანქანით. მაგრამ საუფლისწულო  
უწყებამ მათ ანგარიში არ გაუწია და 1916 წლის მარტში მანქანა მიჰყიდა თა-  
ვად მ. ნაკაშიძეს ოზურგეთის ჩაის სახაზინო ფაბრიკისათვის.

ამრიგად, ჩაქვში ახალი ფაბრიკის აშენება უკვე 1915-1916 წლებიდან აუ-  
ცილებელი გახდა. კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის 1915  
წლის 10 ოქტომბრის მოხსენებაში, სათანადო კომისიის დასკვნის საფუძველზე,  
გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ჩაქვის მამულის პლანტაციიდან 1916-1917  
წლებში დღეში 30.000 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს მიიღებდნენ. ჩაქვის  
ფაბრიკას არსებული სამი განყოფილებით კი ხელსაყრელი ამინდის პირობებში  
შეეძლო გადამუშავებინა დღე-ღამეში 13000 გირვანქა ჩაი.

სხვა არახელსაყრელ პირობებთან ერთად, მოხსენებაში აღნიშნული იყო ის  
გარემოება, რომ ფაბრიკა არ იყო აგებული პლანტაციის ცენტრში და ვენტი-  
ლაციის მხრივ მოუხერხებელ ადგილას იყო.

გათვალისწინებულ იქნა რა საუფლისწულო მამულის პლანტაციის ზრდა-  
გაფართოება და წვრილ მეურნეთა პლანტაციების მომატება, რომელთაგან ახ-  
ლო მომავალში შესაძლებელი იქნებოდა გადასამუშავებლად დიდი ოდენობის  
ჩაის ფოთლის მიღება, გადაწყდა აგებულყოფი ახალი ფაბრიკა. ახალი ფაბრიკის  
აგების დაწყებამდე საჭიროდ მიიჩნიეს ჩაქვის მამულის მმართველის ილიაშენ-  
კოს მივლინება ჯერ ინდოეთსა და ცეილონზე იმდროინდელი ტიპის საუკეთესო  
ჩაის ფაბრიკებისა და ჩაის ბუჩქის კულტურის გასაცნობად, შემდეგ კი — ინგლი-  
სის იმ ქარხნებში, სადაც მზადდებოდა მანქანები და გაწყობილობანი ჩაის ახ-  
ალი ფაბრიკისათვის. ვარაუდობდნენ, რომ ჩაის ფაბრიკის დამთავრება შესაძ-  
ლებელია გადადებულიყო, მაგრამ ფაბრიკის საგრეზი განყოფილების მოწყობა  
ადრე უნდა დამთავრებულიყო. 1916 წლის მაისისათვის ფაბრიკის ახალი შენო-  
ბა აუცილებლად მზად უნდა ყოფილიყო.

1916 წლის აგვისტოში კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი  
ჩაქვის მამულის მმართველს აცნობებდა, რომ ჩაქვის ახალი ფაბრიკის მშენებ-  
ლობის დასაპროექტებლად ინგლისიდან გამოწვეული იყო ერთ-ერთი საუკე-



თესო სპეციალისტთაგანი, დავიდსონის ფირმის მთავარი ინჟინერი, ჩაის ექსპერტი ცეილონზე — ხანინი.<sup>25</sup> ახალი ფაბრიკის აშენებამდე კი გადაწყვეტილი იყო ინგლისიდან გამოწერილი მანქანების დადგმა ძველ ფაბრიკაში. როგორც ილიაშენკო გადმოგვცემს, „1916 წელს ექსპედიცია უნდა გასდგომოდა გზას, ხოლო ფაბრიკის აგებისათვის უკვე სავსებით დამუშავებული იყო პროექტი ამ მიზნისათვის ცეილონიდან საგანგებოდ მოწვეულ ინჟინერ ხანინის მიერ. სამწუხაროდ, შემდეგმა ამბებმა შესაძლებლობა არ მისცეს ამ ფართო გეგმების განხორციელებას და მათი შესრულება გადაიდო, ალბათ ხანგრძლივი დროით.“<sup>26</sup>

#### 4. ჩაის მრეწველური წარმოების დაცემა I მსოფლიო ომის უკანასკნელ

##### წლებში და მენშევიკების ბატონობის დროს

ომის პირველ წლებში არმიის მოთხოვნების ზრდამ ჩაიზე, ერთი მხრივ, გააპირობა ჩაის ხარისხის დაცემა, ხოლო, მეორე მხრივ, უკანასკნელ წლებში გამოიწვია ჩაის წარმოების დაცემა. უკვე 1916 წლიდან იწყება ჩაის წარმოების შემცირება და მენშევიკების ბატონობის პერიოდში ის უკვე განადგურების პირამდე მიდის.

ცხრილი 6

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის პროდუქცია და მისი თვითღირებულება<sup>27</sup>

| წლები | დამზადებული მშრალი ჩაი<br>(გირვანქებში) | გირვანქა ჩაის თვითღირებულება<br>(მან.) |
|-------|-----------------------------------------|----------------------------------------|
| 1911  | 183362                                  | 0,58                                   |
| 1912  | 217741                                  | 0,59                                   |
| 1913  | 260758                                  | 0,56                                   |
| 1914  | 265550                                  | 0,56                                   |
| 1915  | 320571                                  | 0,60                                   |
| 1916  | 232242                                  | 1,08                                   |
| 1917  | 192470                                  | 2,60                                   |
| 1918  | 111083                                  | 5,36                                   |
| 1919  | 198606                                  | 33                                     |

როგორც ამ მონაცემიდან ჩანს, რევოლუციამდე პერიოდში განვითარების მაღალი დონისათვის ჩაის წარმოებას 1915 წელს მიუღწევია. 1916 წლიდან კი ქვეყნის სამეურნეო ნგრევას ჩაის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირებაც მოყვა. ომის წლებში თვითღირებულების სწრაფი ზრდა დაკავშირებული იყო სამუშაო ძალის გაძვირებასთან და განსაკუთრებით კი ინფლაციასთან.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში სახალხო მეურნეობის საერთო დაქვეითებამ ჩაის წარმოების სწრაფი დაცემა გამოიწვია. 1917 წლის 6 მაისს ჩაქვის მამულის მმართველი კავკასიის მამულების ინსპექტორს წერდა, რომ მამულში 148 დესეტინაზე ხორბალი და სიმინდია დათესილი.

მენშევიკებმა მრეწველური ნაწარმის შემოსატანად ფართოდ გაუღეს კარი უცხოეთის კაპიტალს, ქვეყნის შიგნით კი სოფლის მეურნეობაში კულტურულ ნარგავთა ანგარიშზე წამოიწყეს მარცვლეულის მოსავლის გადიდება. უცხოეთი-

<sup>25</sup> აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 88, საქ. 402, ფურც. 1.

<sup>26</sup> К. С. Ильяшенко, Культура чая в Грузии и его современная технология, 1928, გვ. 81.

<sup>27</sup> აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 22, საქ. 559, ფურც. 45.



დან შემოზიდული პროდუქციის კონკურენციას ვერ უძლებდა ჩვენი ნაწარმი და ეცემოდა მრეწველობა. კერძოდ, ჩვენში წარმოებული ჩაის ფასები ძლიერ-ძლიერობით თუ ანაზღაურებდა ხარჯებს და ხშირად მასზე დაბლაც იხრებოდა.

1918 წლის აპრილიდან თურქმა ოკუპანტებმა დროებით დაიკავეს ბათუმის ოლქი და შეეცადნენ, რაც შეიძლება მეტად გაეძარცვათ მხარე. ოკუპანტების გეგმაში ჩაქვის მამულის გაძარცვაც შედიოდა. მოსახლეობის მიერ მიტოვებულ ქონებას ხარბად იტაცებდნენ ოკუპანტები. ასეთ ვითარებაში ჩაქვის ჩაის ფაბრიკის გაუძარცვავად გადაარჩინას უნდა ვუმადლოდეთ ფაბრიკის მაშინდელ გამგეს ლაუ-ჯონ-ჯაუს, რომელმაც იქ დარჩენილ რამდენიმე თანამშრომელთან და მუშებთან ერთად იარაღით დაიცვა ფაბრიკა. თვით ლაუ-ჯონ-ჯაუ შემდეგს გადმოგვცემს:

„მაგონდება 1918 წლის გაზაფხულის დღეები, როცა გამოილაშქრა ბათუმზე თურქეთის ჯარმა და როცა ჩაქვის მამულიდან გაიქცა მოსამსახურეთა უმრავლესობა, ხოლო მე, რამდენიმე დარჩენილ თანამშრომელთან ერთად ვიცავდი ჩემდამი რწმუნებულ ფაბრიკას ყოველგვარი შემთხვევისაგან და, როგორც დაცვის არჩეულმა უფროსმა, დავიცავი ის ორი დღე-ღამის განმავლობაში. ამის შემდეგი იყო ის, რომ ფაბრიკა დაცულ იქნა მთლიანად, ყველა ინვენტარი, ნივთებთან და ჩაის მთელი წლის მოსავლით. დამშვიდებული სინდისითა და სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ სამოქალაქო ომის წლებში საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარჩა ერთადერთი თავიდან ბოლომდე მთლიანად დაცული ფაბრიკა“.<sup>28</sup>

თურქ ხელისუფალთა განკარგულების საფუძველზე ჩაქვის მამულის მმართველმა მოსახლეობას მიმართა 20 აპრილიდან განეახლებინათ მუშაობა. ვანც არ ისურვებდა მუშაობის დაწყებას, ოკუპანტთა პოლკოვნიკის მუხატინდინების განკარგულებით, ის მხოლოდ სამი დღის განმავლობაში რჩებოდა დაკავებულ ბინაში, შემდეგ კი იძულებითი წესით იქნებოდა გამოსახლებული. 1919 წლის 30 ივლისის ბრძანებიდან ირკვევა, რომ მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი მასა არ ცხადდებოდა სამუშაოზე და მმართველი კვლავ იძლევა გაფრთხილებას.

მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დავალიანების ანაზღაურებაზე თურქეთის საოკუპაციო მთავრობამ უარი თქვა, ხოლო აპრილიდან აღუთქვა შესრულებული ნამუშევარის ანაზღაურება. ასეთ მდგომარეობაში მუშაობა ინტერესმოკლებული იყო და მზა ჩაის წარმოებაც 1918 წელს 11083 გირვანქამდე შემცირდა. თურქეთის საოკუპაციო მთავრობამ არც 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში აღნაზღაურა მუშა-მოსამსახურეებს ხელფასი. ოკუპაციის დასასრულს თურქებმა გააძლიერეს ძარცვა-გლეჯა და ჩაქვის მამულსაც დიდი ზარალი მიაყენეს.

ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველი 1919 წლის 28 აპრილს თურქეთის არმიის მიერ მიყენებული ზარალის განმსაზღვრელი კომისიისადმი მიმართვაში აღნიშნავდა, რომ თურქეთის საოკუპაციო ჯარის მიერ ჩაქვის მამულისადმი მიყენებული ზარალი 705534 მან. შეადგენდა.

როგორც ცნობილია, თურქი ოკუპანტების წასვლის შემდეგ მენშევიკებმა ინგლისელები მოიწვიეს, რომლებმაც განაგრძეს ჩვენი ქვეყნის ძარცვა. ბუნებრივია, ინგლისელები ჩაის წარმოებასაც მიწვდნენ.

1919 წლის 4 თებერვალს ჩაქვის მამულის მმართველობა, კვლავ მიმართავს





ბათუმის ოლქის სამმართველო საბჭოს მისცეს მას მუშებისათვის 1918 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეების ხელფასის დავალიანების დასაფარავად 100.000 მანეთი, მაგრამ ამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

ჩაქვის საუფლისწულო მამულისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო ჩაის წარმოება მოკლებული აღმოჩნდა მუშა ძალასა და ჩაის წარმოებისათვის საჭირო სამუშაოების შესრულების შესაძლებლობას. ამიტომ ჩაქვის მამულის მმართველს მიუმართავს ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტისათვის, ნება დაერთო მამულის საჭიროებისათვის ყოველდღიურად 200-300 ჯარისკაცის გამოყენებისა. ხელისუფალთა ზრუნვის გარეშე მიტოვებული ჩაის მეურნეობა უაღრესად მცირე პროდუქციას იძლეოდა და იმასაც მხოლოდ ჩაის მეურნეობის გულშემატკივართა მცირე ჯგუფის მეოხებით.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ იხსნა საქართველოს სახალხო მეურნეობა და, კერძოდ, ჩაის წარმოება სრული გაჩანაგებისაგან. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს ამ მეტად სასარგებლო კულტურას, განავითარეს ჩაის წარმოება და ჩააყენეს ის ხალხის სამსახურში.

К. М. БАБИЛОДЗЕ

## ЧАЙНАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ ДО СОВЕТСКОЙ АДЖАРИИ

### Р е з ю м е

Историко-экономическое исследование развития культуры чая и чайной промышленности в Аджарии показывает, что до революции здесь официальные лица не уделяли должного внимания разведению чайных плантаций и развитию промышленности чая. Но передовые ученые и хозяйственники, а также умелые и трудолюбивые люди смогли развести первые чайные плантации и организовать кустарную промышленную переработку чайного листа.

При меньшевиках в Грузии культура чая и его промышленная переработка были доведены до уничтожения и только при Советской власти стало возможным ее развитие и полное процветание.



დ. მოურავიძე

## პროდუქციის თვითღირებულების კაოზისათვის სოციალიზმის დროს<sup>1</sup>

### 1. საკითხის დაყენებისათვის

საქონელწარმოების არსებობა სოციალიზმის დროს ღირებულებრივი კატეგორიების მეცნიერული შემეცნებისა და სახალხო მეურნეობისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის პროცესში მათი შეგნებული გამოყენების აუცილებლობას წარმოშობს.

პროდუქციის თვითღირებულება სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიაა. იგი სოციალისტურ საწარმოთა მუშაობის სინთეზურ-ხარისხობრივი მაჩვენებელია, რომელშიაც განზოგადებულად ვლინდება ყველა სხვა ხარისხობრივი მაჩვენებელი, საწარმოს მეურნეობრივი საქმიანობის ავტარებლობა. სოციალისტური სახელმწიფო თვითღირებულებას იყენებს როგორც მეურნეობის გეგმიანი და რაციონალური გაძღოლის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ბერკეტს, შრომის მწარმოებლურობის ზრდისა და მოხმარება-დაგროვების თანაფარდობაზე მანეთით კონტროლის განხორციელების საშუალებას.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. თვითღირებულების სისტემატური შემცირება ამაღლებს საწარმოთა რენტაბელობას და ადიდებს შიგამეურნეობრივ დაგროვებას, რაც სოციალისტური წარმოების ზრდისა და სრულყოფის, ფასების შემცირებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების ძირითადი ფაქტორია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სსრკ მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ერთი პროცენტით 1940 წელს იძლეოდა 1,5 მილიარდ მანეთ ეკონომიას, 1950 წელს — 5, ხოლო 1956 წელს — 7 მილიარდ მანეთს.<sup>2</sup>

საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო დიდდება მატერიალური და შრომითი დანახარჯების ეკონომიის მნიშვნელობა, რა-

1 წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა IX სამეცნიერო კონფერენციის ეკონომიკის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სექციაზე 1958 წლის აპრილში. მოხსენების თეზისები გამოქვეყნდა. ამჟამად ტექსტი იბეჭდება მნიშვნელოვანი შესწორება-დამატებებით. ნაშრომის მომზადებისას სისტემატურ კონსულტაციას მიწვედა ჩემი მეცნიერ ხელმძღვანელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, განსვენებული ი. ბაჯაძე. ამ სტატიის საბოლოო რედაქცია მანვე შეასრულა. დ. მ.

რედაქციისაგან: სტატიაში ზოგი დებულება სადავოა, მაგრამ მისი დაბეჭდვა რედაქციამ შესაძლებლად მიიჩნია, რადგან ავტორი საკითხს საინტერესოდ და რიგ შემთხვევაში ახლებურად აშუქებს.

<sup>2</sup> Достижения Советской власти за 40 лет в цифрах, стат. сбор. Москва, 1957, гл. 55.





დგან თვით წარმოების ხარჯები აღწევს კოლოსალურ მოცულობას. 1959-1965 წლებში წარმოების ხარჯები ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და საბჭოთა მეურნეობებში შემცირდება დაახლოებით 850 მილიარდი მანეთით. რაც შვიდწლედში გათვალისწინებულ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა თითქმის ნახევარს უდრის. მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება სულ ცოტა 11,5%, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება — 6%. „ახლა, — აღნიშნავდა აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ XXI ყრილობაზე, — როცა წარმოების ხარჯების შემცირების თვითულ პროცენტს გამოხატავს კოლოსალური ციფრი, რომელიც 12 მილიარდ მანეთს აღემატება, ხოლო შვიდწლედის ბოლოს 21 მილიარდი მანეთი იქნება წელიწადში, თვითღირებულების შემცირებისათვის, ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება“.<sup>3</sup>

ამასთან დაკავშირებით დიდ პრაქტიკულ და თეორიულ მნიშვნელობას იძენს თვითღირებულებისა და სამუშაო ღირებულების ეკონომიის აუცილებლობისა და რაობის მეცნიერული ახსნა.

თვითღირებულების ეკონომიკური ბუნებისა და შინაარსის დამუშავება ბოლო დრომდე მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, რაც მის კონკრეტულ-ეკონომიკური ანალიზის მეცნიერულ დონესაც დაბლა სწევდა. ამასთან თვითღირებულების კატეგორიის შესწავლამ ცალმხრივი, შეზღუდული ხასიათი მიიღო. ზოგიერთი ეკონომისტი უარყოფდა თვითღირებულების არსებობას კოლმეურნეობრივ წარმოებაში, რაც ეკონომიკურ პრაქტიკას ეწინააღმდეგება და თეორიულადაც მცდარია. წარმოების ამა თუ იმ დარგში თვითღირებულებას თავისებურებანი გააჩნია, მაგრამ მისი ეკონომიკური ბუნება არსებითად ყველგან ერთნაირია. განსხვავება, ძირითადად, თვითღირებულების ელემენტების რაოდენობის, სტრუქტურისა და მოძრაობის განმსაზღვრელ ფაქტორთა მოქმედების ინტენსივობის სხვადასხვაობით ამოიწურება.

უკანასკნელ წლებში თვითღირებულების რაობის, მისი შემცირების, დაგეგმვის, კალკულაციის, ანალიზის, მეურნეობრივი ანგარიშისათვის და ა. შ. თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებამ აქტიური ხასიათი მიიღო. მოეწყო ეკონომიკური დისკუსიები, საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გამოქვეყნდა მრავალი სტატია და ნაშრომი,<sup>4</sup> სადაც განხილულია თვითღირებულების აუცილებლობა და არსი სოციალიზმის დროს, მისი განსხვავებულობა წარმოების კაპიტალისტური ხარჯების კატეგორიისაგან, კავშირურთიერთობა ღირებულებასთან, მეურნეობრივ ანგარიშისათვის, აგრეთვე აღრიცხვისა და კალკულაციის მეთოდიკა კოლმეურნეობებში და სხვ., მაგრამ თვითღირებულების ეკონომიკური ბუნების, მისი კონკრეტული შინაარსის, აღრიცხვა-გაზომვისა და მოძრაობის კანონზომიერებათა შესახებ ეკონომისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

3 სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები, თბილისი, 1959, გვ. 45.

4 მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: Л. Кантор, К вопросу об экономической природе себестоимости в социалистической промышленности, «Вопросы экономики», 1954, № 10; М. Саков, о себестоимости как экономической категории социализма, «Вопросы экономики», 1956, № 3; Н. Фейтельман, Себестоимость угля и пути ее снижения, М., 1957 г.; Л. Кантор, Себестоимость в социалистической промышленности. М., 1958 г. და სხვ.



ამ სტატიაში ჩვენ ვიხილავთ პროდუქციის თვითღირებულებისა და მისი ფორმების არსს სოციალიზმის დროს, რისთვისაც ვიყენებთ აგრეთვე არსებულ ლიტერატურას და ზოგჯერ კრიტიკულადც ვუდგებით ცალკეულ მოსაზრებებს. ამასთან თვითღირებულების ელემენტების, აღრიცხვისა და კალკულაციის დარგობრივ თავისებურებებს ამჯერად არ ვეხებით, რადგან საკითხს ძირითადად თეორიულ ასპექტში ვიხილავთ და ამიტომ ციფრობრივ მასალასაც მხოლოდ ილუსტრაციის მნიშვნელობა აქვს. გვინდა წინასწარ აღვნიშნოთ ისიც, რომ სტატია წარმოადგენს ავტორის მიერ თვითღირებულებისა და მისი შემცირების საკითხზე დაწერილი ნაშრომის პირველი მონაკვეთის ძირითადი დებულებების უაღრესად შეკუმშულ გადმოცემას. ზოგჯერ ცალკეული დებულებანი არსებითად დასკვნების სახითაა მოცემული, რადგან გაშლილი არგუმენტაციისა და სტატისტიკური მასალის ანალიზის საშუალებას სტატიის შეზღუდული მოცულობა არ იძლეოდა. ამიტომ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, შესაძლოა, მკითხველს მეტი სიცხადისათვის თვითონ მოუხდეს ზოგიერთი მარტივი გაანგარიშების შესრულება.

## 2. პროდუქციის თვითღირებულების არსი

პროდუქციის თვითღირებულების, როგორც ღირებულებბრივი კატეგორიის არსებობას სოციალისტურ მეურნეობაში საქონელწარმოების არსებობა და ღირებულების კანონის მოქმედება განსაზღვრავს. საქონელწარმოების არსებობისა და ღირებულების კანონის მოქმედების გამო წარმოების საზოგადოებრივი ხარჯები და მისი ელემენტები ღირებულებბრივ, ფულად ფორმას ღებულობენ. ამიტომ სოციალისტურ მეურნეობაში გამოიყენებიან ღირებულებბრივი კატეგორიები: ღირებულება, თვითღირებულება, წმინდა შემოსავალი, ფასი და ა. შ.

თვითღირებულება საქონლის ღირებულების ნაწილია. ღირებულება მოიცავს მოხმარებული წარმოების საშუალებათა, აუცილებელი პროდუქტისა (პროდუქტი თავისთვის) და ზედმეტი პროდუქტის (პროდუქტი საზოგადოებისათვის)<sup>5</sup> ღირებულებას, თვითღირებულება კი — მოხმარებული წარმოების საშუალებებისა და აუცილებელი პროდუქტის ღირებულებას. მაშასადამე, ღირებულება საქონლის წარმოებისათვის საჭირო საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ერთობლივ დანახარჯს ასახავს, თვითღირებულება კი — ამ დანახარჯთა ნაწილს, კერძოდ, მოხმარებულ წარმოების საშუალებებში განივთებული წარსული შრომისა და აუცილებელი პროდუქტის შემქმნელი ცოცხალი შრომის დანახარჯებს.<sup>6</sup>

მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, მისი ისტორიული ფორმისაგან დამოუკიდებლად, იხარჯება განივთებული და ცოცხალი შრომა წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის სახით. შრომის პროცესის ამ ელემენტების ერთობლივი დანახარჯები შეადგენენ პროდუქციის წარმოების ხარჯებს. მაგრამ სხვადასხვა წარმოების წესის დროს წარმოების ხარჯებისა და მისი ელემენტების სოციალური შინაარსი იცვლება, რაც წარმოებრივ ურთიერთობათა ხასიათის ცვლილებებით არის გაპირობებული. წარმოების ხარჯებისა და მისი ნა-

<sup>5</sup> გამოთქმებს „აუცილებელი“ და „ზედმეტი“ პროდუქტი ვხმარობთ იმ პრინციპული განსხვავების გათვალისწინებით, რაც მათ ახასიათებს სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დროს.

<sup>6</sup> თვითღირებულებაში V გარდა შედის აგრეთვე დანარჩენები ხელფასზე, პროცენტი კრედიტზე და ზოგიერთი სხვა გადასახდელი, რომელთა წყაროა წმინდა შემოსავალი.





წილების კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის შესაბამისად იცვლება მათი ფორმები მოვლენა-გაზომვის ფორმებიც.

წარმოების საზოგადოებრივი ხარჯები შრომის უშუალო ხარჯის თვალსაზრისით, უბირველეს ყოვლისა, წარსული და ცოცხალი შრომის დანახარჯებად იყოფა. წარსული შრომის დანახარჯები მოხმარებული წარმოების საშუალებათა სახით ვლინდება, ხოლო ცოცხალი შრომისა — სამუშაო ძალის დანახარჯთა სახით, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა და აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტის შექმნას ხმარდება. მაგრამ აღწარმოების, როგორც წარმოების ყოველი ციკლის შემდეგ მუდამ ხელახლა განმეორებადი პროცესის, განხილვის დროს წარმოების ხარჯებს სხვანაირადაც ვყოფთ. შრომის საერთო დანახარჯებში —  $c+v+m$  განივთებული შრომის დანახარჯებს და ცოცხალი შრომის დანახარჯთა ნაწილს —  $c+v$  გუპირისპირებით ცოცხალი შრომის დანახარჯთა მეორე ნაწილს —  $m$ , ე. ი. წარმოების საზოგადოებრივ ხარჯებს ნაცვლად დაყოფისა  $c+(v+m)$  ვყოფთ  $(c+v)+m$ .

ასეთ დაყოფას ობიექტურ საფუძვლად ის უდევს, რომ საზოგადოებრივი აღწარმოების პროცესში წარმოების ხარჯებიდან განუწყვეტლივ გამოცალკევდება მისი ნაწილი მოხმარებულ წარმოების საშუალებებში განივთებული შრომისა და ცოცხალი შრომის დანახარჯთა იმ ნაწილის სახით, რომელიც აუცილებელ პროდუქტში საგნობრივდება. წარმოების ხარჯების ამ ელემენტების, მათი, როგორც წარმოების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების, მუდმივი ხელახალი აღდგენის გარეშე, შეუძლებელია წარმოების განგრძობა წინანდელი მოცულობით.<sup>7</sup>

წარმოების საზოგადოებრივი ხარჯებიდან ცოცხალი შრომის დანახარჯთა ის ნაწილიც გამოცალკევდება, რომელიც ზედმეტი პროდუქტის ჰქმნის. იგი საზოგადოებრივ სიმდიდრეს აღიდებს და დაგროვების უშუალო წყაროა. წარმოების გაფართოების ტემპების განსაზღვრისათვის აუცილებელია პროდუქტის ამ ნაწილის სიდიდის განსაზღვრა, რაც წარმოების საზოგადოებრივი ხარჯებიდან მისი პირველი ნაწილის გამოკლებით ხორციელდება. მაშასადამე,  $c+v$  და  $m$  სიდიდეებისა და ურთიერთშეფარდებათა განსაზღვრა ამ მხრივაც აუცილებელია.

ამრიგად, თვითღირებულების მატერიალურ შინაარსს, მის ეკონომიკურ საფუძველს მოხმარებულ წარმოების საშუალებებში განივთებული შრომისა და აუცილებელი პროდუქტის შემქმნელი ცოცხალი შრომის ერთობლივი დანახარჯები შეადგენს. წარმოების საზოგადოებრივი ხარჯებიდან ამ დანახარჯთა მუდმივი გამოცალკავება კი გაპირობებულია აღწარმოების პროცესში წარმოების ელემენტებად მათი განუწყვეტელი უკუგარდაქმნის ობიექტური აუცილებლობით. სოციალისტური საქონელწარმოების პირობებში ეს დანახარჯები ღირებულების ნაწილის—თვითღირებულების სახით წარმოგვიდგება. თვით-

7 მარქსი წარმოების კაპიტალისტური ხარჯების კატეგორიის ანალიზისას აღნიშნავს, რომ ღირებულების ამ ნაწილის განკერძოება პრაქტიკულად საქონლის ნამდვილ წარმოებაში იჩენს მუდამ თავს, რადგან იგი მიმოქცევის პროცესის საშუალებით თავისი საქონლური ფორმიდან მუდამ ისევ მწარმოებლური კაპიტალის ფორმად უნდა უკუგარდაქმნას; მაშასადამე, საქონლის ხარჯთფასმა ხელახლა უნდა იყიდოს წარმოების ის ელემენტები, რომელნიც საქონლის წარმოებას მოხმარდა (ც. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1959, გვ. 33).

მარქსის ეს დებულება გვაძლევს ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპებს ღირებულებიდან მისი ნაწილის  $c+v$  მუდმივი გამოცალკევების, წარმოების ელემენტებად მათი განუწყვეტელი უკუგარდაქმნის ობიექტური აუცილებლობისა და თვითღირებულების ასახსნელად.



ღირებულება თავის ელემენტთა — მოხმარებულ წარმოების საშუალებებისა და წარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე საზოგადოების მიერ გაწეული ფულადი ხარჯების სახეს ღებულობს და გვიჩვენებს, თუ რა უჯდება საწარმოს ან დარგს პროლუქციის წარმოება და რეალიზაცია. ღირებულებისაგან განსხვავებით, თვითღირებულება არ მოიცავს ზედმეტი პროდუქტის ღირებულებას და ამიტომ რაოდენობრივად, როგორც წესი, ნაკლებია ღირებულებაზე.<sup>8</sup>

მართლაც, მეურნეობრივი საქმიანობის პროცესში წარმოების განგრძობისათვის საწარმო განუწყვეტელი იქნეს წარმოების საშუალებებს (ნედლეული, მასალები, სათბობი, ინსტრუმენტები, მანქანები და ა. შ.), ანდა ხელახლა ჩართავს ხოლმე წარმოებაში გამოშვებული პროდუქციის ნაწილს (მაგ., თესლი და მწარმოებელი პირუტყვი სოფლის მეურნეობაში, სათბობი და ელექტროენერგია, საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები მრეწველობაში და ა. შ.) და ამ გზით უკვე მოხმარებულთა ადგილზე ახალ ეგზემპლარებს აყენებს. ასევე პერიოდულად მეორდება დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე, რაც სოციალისტურ საწარმოებში მუშაკის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ხელფასის გაცემის, ან შრომადღებზე კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავლების განაწილების გზით ხორციელდება.<sup>9</sup>

სოციალიზმის დროს საქონელწარმოების არსი და ღირებულების კანონის მოქმედების ხასიათი, აგრეთვე საქონლის, ღირებულებისა და სხვ. სოციალ-ეკონომიკური ბუნება ძირეულად შეიცვალა. ამიტომ სოციალისტურ მეურნეობაში თვითღირებულებისა და ღირებულების უშუალო კავშირურობის განხილვამდე მოკლედ შევეხეთ იმ განსხვავებას, რომელიც სოციალისტური საქონლის თვითღირებულებასა და საქონლის წარმოების კაპიტალისტურ ხარჯებს შორის არსებობს. ამით ნაწილობრივ თვითღირებულების რაობაც აიხსნება.

კაპიტალიზმის დროს საქონლის წარმოების ხარჯები მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის დანახარჯების სახეს ღებულობს. წარმოების საშუალებანი, როგორც მუდმივი კაპიტალი, მშრომელთა ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენს. ცოცხალი შრომის დანახარჯები კი ხელფასის გზით ცვალებადი კაპიტალის დანახარჯთა სახით წარმოგვიდგება.

სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების საშუალებანი საზოგადოებრივი საკუთრებაა და სამუშაო ძალას აღარ უპირისპირდება. განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯები მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის დანახარჯთა სახეს აღარ იღებენ. წარმოების საშუალებანი თავისუფალი სოციალისტური შრომის განხორციელების მატერიალური პირობებია და არა ექსპლოატაციის იარაღი.

კაპიტალიზმის პირობებში წარმოების ხარჯები განისაზღვრება კაპიტალის დანახარჯებით, საქონლის ღირებულება კი — შრომის დანახარჯებით. განსხვა-

8. ჩვენ ვეყრდნობით იმ წინამძღვარს, რომ თვითღირებულება ზუსტად ასახავს წარმოების საშუალებებისა და აუცილებელი შრომის საზოგადოებრივ დანახარჯებს. ზოგჯერ გადახვევას ამ პრინციპიდან ვაკეთებთ სპეციალური მიზნით, რაზეც სათანადო ადგილზე ვუთითებთ.

9 კოლმეურნეობებში იმ თავისებურებასთან გვაქვს საქმე, რომ ზოგჯერ შრომადღებზე გაიცემა წმინდა შემოსავლის ნაწილი, ხოლო სუსტ კოლმეურნეობებში ანაზღაურება სწორად არ გამოხატავს აუცილებელი შრომის ნამდვილ დანახარჯებს. ამ შემთხვევაში თვითღირებულება, როგორც წარმოების საშუალებებისა და აუცილებელი შრომის დანახარჯების ფულადი გამოხატულება, გადაიხრება თავისი ნამდვილი სიდიდიდან. ამასთან არის დაკავშირებული, სხვათა შორის, კოლმეურნეობრივ წარმოებაში თვითღირებულების გამოანგარიშების სირთულე და კალკულაციის სხვადასხვა მეთოდები, რომელთაც საბჭოთა ეკონომისტები აყენებენ.





ვება საქონლის ღირებულებასა და მის წარმოების კაპიტალისტურ ხარჯებს შორის შეადგენს ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც ექსპლოატატორები იჭრებენ. კაპიტალის დანახარჯების შემცირება ყოველთვის არ აისახება წარმოების საზოგადოებრივი ხარჯების შემცირებაში, რადგან კაპიტალისტი წარმოების ხარჯების შემცირებას თავის საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფის ფარგლებში აღწევს, ხოლო საზოგადოებრივი მასშტაბით კი წარმოების ანარქია და კონკურენცია ბატონობს, რაც მწარმოებლური ძალების განიავებას იწვევს.

თვითღირებულება გამოხატავს სოციალისტურ საწარმოთა ხარჯებს. ცალკეული საწარმონი ერთიანი სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილებია, ხოლო თვითეული მუშაკის შრომა გვეგმაზომიერად ორგანიზებული ერთობლივი შრომის ნაწილია. წარმოების ინდივიდუალური ხარჯების შემცირება სწრაფად აისახება საზოგადოებრივი ხარჯების შემცირებაში. ამიტომ თვითღირებულების ცვლილება, სხვა თანაბარ პირობებში, ნიშნავს ღირებულების ცვლილებასაც იმავე მიმართულებით.

წარმოების კაპიტალისტური ხარჯების კატეგორია ფეტიშური ხასიათისაა. იგი ნიღბავს კაპიტალისტურ ურთიერთობებს და ზედმეტი ღირებულების წყაროს ბურჟუაზიაში ახვევს. იქმნება მოჩვენებითობა, თითქოს ღირებულების შექმნაში თანაბრად მონაწილეობენ მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი, ხოლო საქონლის ღირებულება განისაზღვრება არა შრომის, არამედ კაპიტალის დანახარჯებით.

სოციალიზმისათვის უცხოა წარმოებრივ ურთიერთობათა ფეტიშიზაცია. თვითღირებულება სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობებს ასახავს და პირდაპირ გვიჩვენებს თავის შინაარსს.

წარმოების კაპიტალისტური ხარჯების ჩამოყალიბება და მოძრაობა სტიქიურად ხდება. მათი დონე განისაზღვრება წარმოების საშუალებათა ფასისა და ხელფასის დონით, რაც თავის მხრივ წარმოების ანარქიისა და კონკურენციის, კრიზისებისა და უმუშევრობის კვალდაკვალ იცვლება.

გვემიანი სოციალისტური მეურნეობა და შრომის უშუალო საზოგადოებრივი ხასიათი შესაძლებლობას იძლევა ზუსტად აღირიცხოს წარმოების ხარჯები მოცემულ მომენტში და ამ ბაზაზე წინასწარ განისაზღვროს თვითღირებულებისა და მისი ელემენტების სიდიდე. წინასწარ წესდება ძირითადი ფონდების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, ხელფასისა და სხვ. ხარჯების ნორმები პროდუქციის ერთეულზე.

თვითღირებულება სისტემატურად მცირდება, რაც სოციალისტური წარმოების ბუნებით არის გაპირობებული. წარმოების კაპიტალისტური ხარჯების შემცირება კი მოგების გადიდებისა და კონკურენციული ბრძოლის პირობებით განისაზღვრება. კაპიტალისტს მხოლოდ კაპიტალის დანახარჯთა შემცირება აინტერესებს. კონკურენციული ბრძოლის პროცესში იგი გაფაციცებით ეძებს კაპიტალის დანახარჯთა შემცირების ახალ გზებს, ზრდის შრომის ინტენსივობას, ამცირებს ხელფასს, ზოგავს შრომის პირობებს, რათა გაადიდოს მოგება და თანაც შემუხსროს კონკურენტები.

ამრიგად, თვითღირებულება სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობებს გამოხატავს, სოციალიზმის ეკონომიკური კატეგორიაა. წარმოების კაპიტალისტური ხარჯები კი კაპიტალისტურ ურთიერთობებს გამოხატავს, კაპიტალიზმის ეკონომიკური კატეგორიაა. კაპიტალისტური „თვითღირებულებისაგან“ სოცია-



ლისტურ მეურნეობაში მხოლოდ ფორმა, არსებითად სიტყვიერი მასალა, რჩება, შინაარსი კი პრინციპულად იცვლება. მათ საერთო მარტო ისა აქვთ, რომ საქონელწარმოების პირობებში არსებობენ და წარმოების ხარჯებს ღირებულებრივი ფორმით გამოხატავენ.<sup>10</sup>

თვითღირებულებასა და ღირებულებას შორის მჭიდრო კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა არსებობს. ამასთან მათ შორის არის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი განსხვავება.

სოციალისტური ეკონომიკის მკვლევართა ერთი ნაწილი უარყოფს თვისებრივ განსხვავებას თვითღირებულებასა და ღირებულებას შორის და თვითღირებულებას ღირებულების უბრალო რაოდენობრივ ნაწილად აცხადებს. მათი აზრით, თვითღირებულება, მართალია, ობიექტური ეკონომიკური კატეგორიაა, მაგრამ თვისებრივად იგი მხოლოდ ღირებულების ერთგვაროვანია, მას ღირებულებისაგან განსხვავებული თვისებრივი განსაზღვრულობა არ გააჩნია, მოკლებულია თავისთავადობას. ზოგი ავტორი კი ამ საკითხს საერთოდ გვერდს უვლის.<sup>11</sup>

თვითღირებულებასა და ღირებულებას შორის რომ მარტო თვისებრივი ერთგვაროვნება დაგვეჩინა, არ იქნებოდა ზუსტი. უფრო მეტიც, მტკიცება თვითღირებულებისა და ღირებულების თვისებრივი იგივეობის შესახებ, როგორც ნაწილობრივ უკვე მითითებული იყო ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში, წინააღმდეგობრივი და მცდარია. თვით საკითხის ამგვარი დაყენებაც კი არ არის მართებული. თუ ვაღიარებთ თვითღირებულებას როგორც ობიექტურ კატეგორიას, მისი თავისთავადი თვისებრივი მხარეც უნდა ვაღიაროთ, რადგან კატეგორია თვისებრივი თავისთავადობის გარეშე არ არსებობს. კატეგორიას ხომ თავისი არსება, შინაარსი გააჩნია.

საგანთა და მოვლენათა შემეცნება ხდება მეცნიერული ცნებების, კატეგორიების მეოხებით, რომლებიც ღრმად, ადეკვატურად ასახავენ სინამდვილეს. კატეგორიები არ არიან მოწყვეტილი ობიექტურ რეალობას, სინამდვილეს. ისინი ცარიელი, უშინაარსო ფორმალურ-ლოგიკური აბსტრაქციები კი არაა, არამედ უზოგადესი ცნებებია, რომელნიც ასახავენ სინამდვილეს, კერძოდ მის ყველაზე არსებით, ყველაზე მნიშვნელოვან მხარეებს, საგნებისა და მოვლენების თვისებრიობას, შინაარსს.

10 კაპიტალისტური წარმოების ხარჯებისა და სოციალისტური საქონლის თვითღირებულების პრინციპული განსხვავების ფონზე ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტი იფიქრებს თვითღირებულების, როგორც სიტყვიერი მასალის გენეზისს. სინამდვილეში სიტყვა „თვითღირებულება“, როგორც ეს აკად. ს. სტრუმილინმა აღნიშნა, ნასესხებია ბურჟუაზიული პრაქტიკიდან (იხ. Акад. С. Струмилин, Закон стоимости и измерение общественных издержек производства в социалистическом хозяйстве, «Плановое хозяйство», 1957, № 2, გვ. 40 ). კართულ ენაში ჩანს, რუსული სიტყვის «себестоимость» პირდაპირი გადმოთარგმნა მოხდა.

11 «...Обе категории — себестоимость и стоимость являются в своей основе качественно однородными и объективными». А. Омаров, Г. Григорин, «Вопросы экономики», 1956, № 1, გვ. 104.

«...Таким образом, нет оснований утверждать, что себестоимость... качественно отлична от стоимости». და შემდეგ: «По своей экономической природе она (себестоимость — д. შ.) стоимостная категория, включенная в стоимость, от которой она отличается лишь в количественном отношении». К. Димитров (ბულგარეთი), იქვე, გვ. 96, 97 (ბ. ჩ. — დ. შ.).

4. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტ., შრ., ტ. I





ეკონომიკური კატეგორიებით გარკვეული წარმოებრივი ურთიერთობები აღიქმებიან. ისინი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ სხვადასხვა წარმოებრივ ურთიერთობებს, ან წარმოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა მხარეს გამოხატავენ. კატეგორიების მიერ ცნობიერებაში ასახული წარმოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვაობაა, სწორედ, მათი თვისებრივი სხვადასხვაობის საფუძველი. წარმოებრივი ურთიერთობანი, რომელნიც ეკონომიკურ კატეგორიაში აისახებიან, მის თვისებრივ მხარეს განსაზღვრავენ და არა რაოდენობრივს. თვითღირებულება და ღირებულება სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა განსხვავებულ მხარეებს ასახავენ და მათი თვისებრივი განსხვავებულობის საფუძველიც ეს არის.

თვითღირებულებასა და ღირებულებას შორის რომ მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავება დაგვეჩაბა და თვისებრივი განსხვავება არ შეგვეჩინა იმ მოსაზრებით, რომ თვითღირებულება ღირებულების ნაწილია, ორივეს შრომა უდევს საფუძვლად, ერთი მიმართულებით იცვლებიან და სხვ., როგორც ამას ამტკიცებს ზოგი ეკონომისტი, მაშინ მოვსპობდით თვითღირებულების თვით ცნებას. ამავე უფლებით შეგვეძლო გვეთქვა, რომ კაპიტალიზმის დროს წარმოების ხარჯების, წარმოების ფასების, ღირებულების და სხვ. კატეგორიები ერთმანეთისაგან მხოლოდ რაოდენობრივად განსხვავდებიან. სინამდვილეში კი ისინი განსხვავდებიან თვისებრივადაც. რადგან კაპიტალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა მხარეს გამოხატავენ. ასეა საქმე თვითღირებულებისა და ღირებულების მიმართაც. ისინი ერთი რიგის კატეგორიებია, სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობებს ასახავენ, მაგრამ ასახავენ სხვადასხვა მხრით. სხვადასხვა ასპექტში.

მაშასადამე, ეკონომიკური კატეგორიის თავისთავადი თვისებრიობის უარყოფა მისი შინაარსის — წარმოებრივ ურთიერთობათა უარყოფას ნიშნავს.

ანტაგონიზმის არარსებობა თვითღირებულებასა და ღირებულებას შორის, თვითღირებულების გეგმური ჩამოყალიბება და სისტემატური შემცირება, თვითღირებულებისა და ღირებულების არსებითად ერთი მიმართულების დინამიკა და ა. შ. გვიჩვენებს ღირებულებასთან თვითღირებულების კავშირურთიერთობის პრინციპულად შეცვლილ ხასიათს, რაც ნაწილობრივ კიდევ ახასიათებს თვითღირებულებას, მის ეკონომიკურ ბუნებას. მაგრამ ეს ახალი თვისებრიობანი თვითღირებულებასა და ღირებულებას საერთო აქვთ და ამ მხრივ ისინი ერთგვაროვანი კატეგორიებია. ჩვენ კი, ამ შემთხვევაში, მათი განსხვავებულობა გვაინტერესებს.

ღირებულება წმინდა შემოსავალსაც მოიცავს. წმინდა შემოსავალი ღირებულებისა და თვითღირებულების სხვაობას გვიჩვენებს, მაგრამ ეს სხვაობა მარტო რაოდენობრივი როდია. წმინდა შემოსავალი თავისთავადი ეკონომიკური კატეგორიაა და მას თავისი თვისებრიობაც გააჩნია. წმინდა შემოსავალი გამოხატავს სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა სხვა მხარეს, ვიდრე ღირებულება და თვითღირებულება. კიდევ მეტი, წმინდა შემოსავალი თავისი რაოდენობრივი ნაწილების (საწარმოს წმინდა შემოსავალი, სახელმწიფოს ცენტრალიზებული წმინდა შემოსავალი) განსხვავებულ თვისებრიობათა ერთობლიობას ასახავს. წმინდა შემოსავალი ღირებულებაში შედის და ცხადია, უკვე მარტო ამით ღირებულება თვითღირებულებებისაგან განსხვავებული თვისებრიობა ხდება.



თვითღირებულება და წმინდა შემოსავალი ღირებულების ნაწილებია, მაგრამ მათი სიდიდეები და თანაფარდობა მათ შორის ღირებულებისაგან დამოუკიდებლად ყალიბდება. ღირებულებაში არა ჩანს ის სპეციფიკური საზოგადოებრივი პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ურთიერთშეფარდებას თვითღირებულებასა და წმინდა შემოსავალს შორის. ღირებულების ამ ნაწილთა თანაფარდობა ანუ ღირებულების სტრუქტურა წარმოების ინდივიდუალური პირობებისა და სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა მიხედვით განუწყვეტლივ იცვლება, ღირებულება კი უცვლელი რჩება.

ღირებულება საქონლის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობის გამოხატვის აბსტრაქტული ფორმაა. ამიტომ ღირებულების კატეგორია, თვითღირებულებასთან შედარებით, ნაკლებკონკრეტულია. თვითღირებულება სოციალისტურ საწარმოთა მთელი ეკონომიკური მუშაობის ხარისხობრივ-თვისებრივი მაჩვენებელია, ღირებულება კი თავისთავად ვერ უჩვენებს საწარმოს ეკონომიკური მუშაობის ხარისხს.

საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯთა შემცირება, ცოცხალი და განივებული შრომის ეკონომიის შედეგები, პირველ რიგში, კონკრეტულად თვითღირებულების შემცირებაში იჩენს თავს. როდესაც ამა თუ იმ სახის პროდუქციის ძირითადი მასის მწარმოებელ საწარმოებში პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება წინანდელ საზოგადოებრივ თვითღირებულებაზე დაბალი აღმოჩნდება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ შემცირდა საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯთა დონე, ღირებულება, განვითარდნენ საზოგადოების მწარმოებლური ძალები.

ღირებულებისაგან განსხვავებით, თვითღირებულება მიმოქცევისა და განაწილების კონკრეტულ პირობებსაც ასახავს. თვითღირებულება ეკონომიკურ ბრუნვაში, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში მომხდარ ცვლილებებს უფრო სწრაფად ასახავს, ვიდრე ღირებულება. ეს ცვლილებანი ღირებულებაში ან თვითღირებულების მეშვეობით აისახება, ანდა საერთოდ ვერ აღწევს ღირებულებამდე.

ფასი მხოლოდ ფულადი გამოხატულებაა ღირებულებისა, რომლისაგანაც ხშირად გადაიხრება. თვითღირებულებას და ფასს შორის კი უფრო მჭიდრო და კონკრეტული კავშირი არსებობს. თვითღირებულება, ერთი მხრივ, ფასზეა დამოკიდებული — წარმოების პროცესში მისი ელემენტები შედიან განსაზღვრული ფასებით, რის ბაზაზეც ყალიბდება თვითღირებულების დონე; მეორე მხრივ, თვითღირებულება თვით იქცევა ფასის ელემენტად, მის ძირითად ნაწილად. ფასი დამოკიდებული ხდება თვითღირებულებისა და წმინდა შემოსავლის დონეთაგან. ამიტომ თვითღირებულების ცვლილება, სხვა თანაბარ პირობებში, ფასის ცვლილებას იწვევს და პირიქით, ფასის ცვლილება თვითღირებულებაში აისახება. ღირებულებიდან ფასი შეიძლება იხრებოდეს ორივე მიმართულებით, მაგრამ ღირებულების ქვემოთ ფასის გადახრის მინიმალური ეკონომიკური საზღვარი თვითღირებულებაა. თვითღირებულებაზე დაბლა და მის ღონეზეც ფასი შეიძლება დაწესდეს დროებით, მხოლოდ გამონაკლისის სახით.

ღირებულებისაგან განსხვავებით, თვითღირებულება შეიძლება ზუსტად ველარ გამოხატავდეს წარმოების საზოგადოებრივი ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც მის მატერიალურ შინაარსს შეადგენს. ღირებულება განისაზღვრება საზო-





გადოებრივად აუცილებელი შრომით და ყოველთვის მოიცავს მონმარებულ წარმოების საშუალებების, აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტის ღირებულებას. თვითღირებულება კი შეიძლება არ ემთხვეოდეს მონმარებულ წარმოების საშუალებათა და აუცილებელი პროდუქტის ღირებულებას, რადგან ფასები და შრომის ანაზღაურება წარმოებისა და განაწილების კონკრეტული პირობების მიხედვით იცვლება.<sup>12</sup> სხვანაირად, თვითღირებულება თავისი რეალური საფუძვლისაგან ხშირად გადაიხრება, რადგან მასში განიცთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯები შედის არა პირდაპირ, არამედ ფულადი ექვივალენტების სახით. ღირებულების სიდიდეზე კი ფასებისა და ხელფასის, აგრეთვე შრომადლის ანაზღაურების ასეთი ცვლილებანი გავლენას ვერ ახდენენ და იგი ყოველთვის საზოგადოებრივად აუცილებელ შრომის დანახარჯებს ასახავს.

მართლაც  $c+v+m$  ყოველთვის უდრის ღირებულებას, ცოცხალი და განიცთებული შრომის ერთობლივ დანახარჯებს, თუნდაც ფასი იხრებოდეს ღირებულებისაგან. შეიძლება ღირებულება უდრიდეს 100, ფასი კი იყოს 110 ან 90 და ა. შ. ამის მიუხედავად  $c+v+m$ , როგორც შრომის დანახარჯთა მთლიანი ჯამი, ყოველთვის გამოხატავს ღირებულებასაც და ფასსაც.

სულ სხვა სურათს იძლევა  $c+v$  და  $v+m$  ჯამების ცალ-ცალკე განხილვა.

ღირებულებიდან ფასის გადახრისა და ხელფასის ცვლილების ფაქტიდან გამომდის, რომ  $c$ ,  $v$  და  $m$  ფულადი სიდიდეები გადაიხრებიან შრომითი ანუ ღირებულებრივი საფუძვლისაგან. ამიტომ  $c+v$  და  $v+m$  ჯამების ფულადი რაოდენობანიც იცვლება და თავის ნამდვილ სიდიდეებს აღარ ემთხვევიან.  $c+v$  ყოველთვის არის თვითღირებულება, მაგრამ არა ყოველთვის — განიცთებული და ცოცხალი შრომის შესაბამისი ნაწილი. ასევე  $v+m$  ფულად ფორმაში ველარ გამოხატავს ღირებულების ანუ შრომის შესაბამის ნაწილს. ამის გამო ქვემოთმოტანილ განტოლებებში

$$\begin{aligned} v &= (c+v+m) - (c+m) & c+v &= (c+v+m) - m \\ c &= (c+v+m) - (v+m) & c+m &= (c+v+m) - v \\ m &= (c+v+m) - (c+v) & v+m &= (c+v+m) - c \end{aligned}$$

რეალური ტოლობანი, გამოხატული ღირებულებით, შეიძლება განუწყვეტლივ ირღვეოდეს. ამაში სულ ადვილად დავრწმუნდებით, თუ განტოლებათა ერთ მხარეს  $c$ ,  $v$  და  $m$  მნიშვნელობას ჩავსვამთ ფასებისა და ხელფასის ნომინალური სიდიდეების მიხედვით, ხოლო მეორე მხარეს კი წარმოვიდგენთ მათ ნამდვილ შრომით, ღირებულებრივ ექვივალენტებს.

ამრიგად, ფულად ფორმაში  $c+v+m$  შეიძლება გადაიხაროს ღირებულებისაგან, მაგრამ ღირებულების ნამდვილ სიდიდეში არავითარი ცვლილება არ ხდება. ფასისა და ხელფასის ცვლილებამ შეიძლება მხოლოდ ღირებულების სტრუქტურა შეცვალოს. პირიქით,  $c+v$  თუმცა ყოველთვის არის თვითღირე-

<sup>12</sup> ღირებულებისაგან ფასის გადახრა, ერთი მხრივ, საერთოდ შეესაბამება საქონელწარმოების ხასიათს; ფასი, როგორც წესი, მიახლოებით ასახავს ღირებულებას. მეორე მხრივ, გეგმიანი მეურნეობის პირობებში ღირებულების კანონი რეგულატორის როლს აღარ ასრულებს და ფასები, კონკრეტული პირობების მიხედვით, მკვეთრად ორგანოების მიერ შეგნებულად გადაიხრება ღირებულებისაგან.



ბულება, მაგრამ ყოველთვის ზუსტად ვერ გამოხატავს შრომის შესაბამის დანახარჯებს.

თვითღირებულების დონის დამოკიდებულება წარმოების საშუალებათა ფასებისა და შრომის ანაზღაურების დონეთაგან მიგვიჩვენებს იმაზე, რომ ღირებულება და თვითღირებულება შეიძლება იცვლებოდნენ არა მარტო ერთი, არამედ საპირისპირო მიმართულებითა და სხვადასხვა პროპორციითაც, ანდა ერთის ცვლილება ხდებოდეს მეორის უცვლელობის პირობებში.

თუ წარმოების საშუალებათა ფასებისა და ხელფასის ცვლილება მთლიანად გაპირობებულია წარმოების პირობებში მომხდარი ცვლილებით (გაუმჯობესება ან გაუარესება), მაშინ თვითღირებულება და ღირებულება ერთი მიმართულებით იცვლება. პირიქით, თვითღირებულების ცვლილება, წარმოების საერთო პირობების უცვლელობისას, ფასების ან ხელფასის, ან ორივესი ერთად ცვლილების შედეგია და არა ღირებულებისა. ფასებისა და ხელფასის ცვლილება სათანადოდ ცვლის თვითღირებულებას, როგორც ფულის განსაზღვრულ ოდენობას, მაგრამ ღირებულება ამით არ იცვლება. ასევე ღირებულების ცვლილება, ფასებისა და ხელფასის უცვლელობისას, თვითღირებულების ცვლილებას არ იწვევს.

შეიძლება ღირებულება და თვითღირებულება საპირისპირო მიმართულებითაც იცვლებოდნენ თუ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა ზრდაში ჩამორჩება ფასებსა და ხელფასს. მაგალითად, შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად ღირებულება მცირდება. პროდუქციის ერთეულზე ხელფასის, აგრეთვე მატერიალური დანახარჯების შემცირება ამცირებს თვითღირებულებასაც. პირიქით, შრომის მწარმოებლურობის უცვლელობის, ან ზრდის პირობებში თუ იზრდება ხელფასი, ხოლო მატერიალური დანახარჯები არ მცირდება, მაშინ თვითღირებულება იზრდება მეორე შემთხვევაშიც, თუ ხელფასმა ზრდაში გაასწორო შრომის მწარმოებლურობას, ანდა უცვლელი დარჩება, თუ ხელფასისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდამ ერთმანეთი გადაფარეს. ცხადია, აქ ერთიმეორის საპირისპირო სხვადასხვა სახისა და პროპორციის უამრავი შემთხვევაა შესაძლებელი.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მივმართოთ ფაქტებს.

შრომის მწარმოებლურობა სსრკ მრეწველობაში (გამომუშავება ერთ მუშაზე) პირველ ხუთწლეულში გადიდა 41%, მეორეში — 82%, 1938-1940 წ.წ. — 33%, მეხუთე ხუთწლეულში — 44%. პროდუქციის თვითღირებულება კი პირველ ხუთწლეულში გადიდა 2,3%, მეორეში შემცირდა 10,3%, 1938-1940 წ.წ. — 0,1%, ხოლო მეხუთე ხუთწლეულში შემცირდა 23,3%.<sup>13</sup> ამასთან ერთად მატერიალურ დანახარჯთა დონეც სისტემატურად მცირდებოდა და საერთო ჯამში ადგილი ქონდა დიდ ეკონომიას, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუხრელ ზრდას. მაგ., პროფ. შ. ტურეცკის გაანგარიშებით ცოცხალი და განივებული შრომის ერთობლივი დანახარჯების დონე პირველ ხუთწლეულში შემცირდა 18%, ხოლო მეორეში — 20%.<sup>14</sup> მიუხედავად ამისა, პირველ ხუთწლეულში თვითღირებულება გადიდა, რაც გამოიწვია ხელფასის სატარიფო განა-

<sup>13</sup> Достижения Советской власти за 40 лет в цифрах, стат. сбор; Москва, 1957, 33. 27, 55.

<sup>14</sup> Ш. Турецкий, Хозрасчет и некоторые вопросы планирования себестоимости и оптовых цен в новых условиях, — Теория и практика хозяйственного расчета, сбор. статей, Москва, 1953, 33. 101.





კვეთების გადიდება მძიმე მრეწველობის ძირითად დარგებში, ხოლო მეორე ხუთწლედში თვითღირებულების შემცირება ტექნიკურ ჩამორჩეობა ღირებულების შემცირებას.

ანდა ავიღოთ თვითღირებულების ცვლილება მრეწველობაში წინა წელთან შედარებით (% -ში).<sup>15</sup>

| წლები | შემცირება (-)  | გადიდება (+)             |
|-------|----------------|--------------------------|
|       | მოქმედ ფასებში | წინა წლის შესად. ფასებში |
| 1940  | +2,1           | -1,5                     |
| 1946  | +4,7           | +0,7                     |
| 1949  | +18,8          | -6,8                     |
| 1950  | -13,2          | -5,4                     |
| 1955  | -2,1           | -4,6                     |
| 1958  | -1,2           | +3,1                     |

შემდეგ. 1946-1950 წლებში მრეწველობაში ხელფასის ზრდამ გაუსწრო შრომის მწარმოებლურობის ზრდას. ამასთანავე 1949 წელს ფასების რეფორმის შედეგად გადიდა წარმოების საშუალებათა საბითუმო ფასები, რასაც ბუნებრივია, მოჰყვა თვითღირებულების ზრდა. 1949 წელს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება წინა წელთან შედარებით მოქმედ ფასებში გადიდა 18,8%, ხოლო შესაძარ ფასებში შემცირდა 6,8%. მთლიანად კი IV ხუთწლედში მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 17%. მაგრამ ხელფასისა და წარმოების საშუალებათა ფასების ზრდის პირობებში ღირებულება არათუ გაიზარდა, ან უცვლელი დარჩა, არამედ შემცირდა კიდევ და გაცილებით მეტი პროპორციით, ვიდრე თვითღირებულება, რადგან დიდად ამაღლდა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითღირებულება არათუ აბსოლუტურად ვერ შემცირდებოდა, არამედ ფასებისა და ხელფასის ზრდით გამოწვეულ გაძვირებასაც ვერ გადაფარავდა.

საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გამო ღირებულება სოფლის მეურნეობაშიც მცირდებოდა. ამის მიუხედავად, 1953-1959 წლებში საგრძნობლად გადიდა დამზადებისა და შესყიდვის ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, მაგრამ ფასების აწევა ღირებულების გადიდებას კი არ განაპირობა, არამედ ფასებში თვითღირებულების უფრო სრულად გათვალისწინებამ. ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების გადიდება თვითღირებულება გააძვირა იმ დარგებში, სადაც ისინი ნედლეულად და მასალად გამოიყენება, მაგრამ ამით ამ დარგების პროდუქციის ღირებულება არ გადიდებულა. მაშასადამე, ფასების გადიდება თვითღირებულების შემცირების ტენდენციის წინააღმდეგ მოქმედი ფაქტორია, მაგრამ ღირებულების მოძრაობაზე იგი რაიმე გავლენას ვერ ახდენს.

1950 წელს 1940 წელთან შედარებით სსრკ მრეწველობის მუშათა გამომუშავება გადიდა 37%, ხოლო 1958 წელს 1950 წელთან შედარებით — 74%.<sup>16</sup> მაგრამ თვითღირებულება ასეთივე პროპორციით არ შემცირებულა. 1965 წლისათვის 1958 წელთან შედარებით შრომის მწარმოებლურობა მრეწველობაში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გადიდებდა 45-50%, თანაც შემცირებდა სამუ-

<sup>15</sup> Народное хозяйство СССР в 1958 году, стат. ежегод., Москва, 1959, გვ. 172.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 113.



შაო დღის ხანგრძლიობა, რაც საათობრივ მწარმოებლურობას კიდევ უფრო გაზრდის, ხოლო მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება დაახლოებით 11,5%.

განსხვავება შრომის მწარმოებლურობის ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ტემპებს შორის გაპირობებულია, ერთი მხრივ, იმით რომ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის გამო შეფარდებით იზრდება განივებული შრომის დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე, რაც მთლიანად აისახება თვითღირებულებაში, ხოლო მეორე მხრივ, იმით, რომ გამომუშავების გადიდებასთან ერთად, ტექნიკური პროგრესის კვალობაზე, იზრდება კვალიფიციური მუშების ხვედრიწონა და შრომის ინტენსივობა, რაც დროის ერთეულში, ნაწილობრივ, შრომის დანახარჯებისა და ანაზღაურების გადიდებასაც იწვევს. ამიტომ ცოცხალი შრომის უშუალო ეფექტიურობის (დროის ერთეულში გამომუშავებული პროდუქციის გადიდება) თუმცა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლება ძირითადი ფაქტორია, მაგრამ მისი იდენტური მაინც არ არის.

პროდუქციის ერთეულის ღირებულების შემცირება რომ ტემპში უსწრებს თვითღირებულების შემცირებას, ამაში პირდაპირ აისახება საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ამაღლების კანონი. შრომის ერთობლავ დანახარჯებში ცოცხალი შრომის ხვედრიწონა სისტემატურად მცირდება, ხოლო განივებულისა იზრდება ისე, რომ შრომის მთლიანი დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე აბსოლუტურად მცირდება. ცოცხალი შრომა უნარს იძენს ამოძრავის წარმოების საშუალებათა სულ უფრო და უფრო მეტი მასა და აწარმოოს სახმარ ღირებულებათა სულ უფრო მეტი ეგზემპლარები. „მასადაც, თვითეული ცალი საქონელი შეიცავს როგორც წარმოების საშუალებებში განივებული, ისე წარმოების განმავლობაში ახლად მიმატებული შრომის ნაკლებ რაოდენობას“.<sup>17</sup>

პროდუქციის ერთეულზე აუცილებელი პროდუქტის შემცირება, რა თქმა უნდა, აჩქარებს მთლიანად  $c+v$  შემცირებას, მაგრამ ამ უკანასკნელში  $c$  დიდი ხვედრიწონისა და  $v$  შემცირებასთან შედარებით მისი ( $c$ ) უფრო სწრაფი ტემპით გადიდების გამო,  $v$  ცვლილების ეფექტი უმნიშვნელო ხდება.

ღირებულებასთან შედარებით თვითღირებულების უფრო ნაკლები პროპორციით შემცირება სრულიადაც არ ემუქრება სოციალისტური წარმოების ზრდისა და სრულყოფის წყაროს — დაგროვებას მისი შემცირების მხრივ. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი გულისხმობს როგორც მოხმარების, ისე დაგროვების სისტემატურ გადიდებას, რადგან საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა წარმოების ზრდისა და სრულყოფის ბაზაზე სხვანაირად შეუძლებელია. აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტის შემცირება მხოლოდ შეფარდებითია. საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების გამო, თუმცა  $v$  და  $m$ , აგრეთვე ორივე ერთად მუდმივ კლებად შეფარდებაშია  $c$ ,  $c+v$  და  $c+v+m$  მიმართ, მაგრამ წარმოების კოლოსალური მასშტაბით გაფართოების პირობებში აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტის შეფარდებით კლებას ორივესი აბსოლუტური მატება შეესაბამება. მაგ., მრეწველობა-





ში მარტო 1959 წელს 1958 წელთან შედარებით მოგება გადიოდა 20%, სსრკ-  
ეროვნული შემოსავალი კი — დაახლოებით 100 მილიარდი მანეთით.<sup>18</sup>

თავისთავად აუცილებელი პროდუქტიც კლებად შეფარდებაშია, აგრეთვე ზედმეტ პროდუქტთან, რადგან საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის პროგრესული ზრდის გამო სამუშაო დროის სულ უფრო შეფარდებით ნაკლები ნაწილი სჭირდება აუცილებელი პროდუქტის შექმნას. ამიტომ პროდუქციის ერთეულზე ცოცხალი შრომის საერთო დანახარჯების შემცირებისას  $v$  უფრო სწრაფი ტემპით მცირდება, ვიდრე  $m$ , რაც სოციალისტური წარმოებისა და საზოგადოებრივი მოხმარების (განათლება, კულტურა, დასვენება, ჯანდაცვა და ა. შ.) განუხრელი გაფართოების პრინციპებს ასახავს. ამასთან აუცილებელი პროდუქტი აბსოლუტურად მაინც ღიძდება, რადგან დროის ერთეულში დამზადებული პროდუქტთა მასა პროგრესულად მატულობს.

შემდეგ, ღირებულების, თვითღირებულებისა და ფასების მოძრაობა დროშიც სცილდება ერთმანეთს. ღირებულება, როგორც საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის განსაზღვრული ოდენობა, იცვლება განუხრელად, დამოუკიდებლად იმისა, აისახება თუ არა იგი მაშინვე მეურნეობრივ ბრუნვაში. ასევე, მატერიალური და შრომითი რესურსების ხარჯვის კვალობაზე იცვლება თვითღირებულება, თუნდაც წარმოების საშუალებათა ფასებისა და შრომის ანაზღაურების დონე უცვლელი იყოს. ფასები კი სოციალიზმის დროს იცვლება არა ბაზრის მეშვეობით და ერთბაშად, არამედ პერიოდულად, მგეგმავი ორგანოების მიერ. მაშასადამე, ფასების მოძრაობა ხელოვნურად იღებს სტადიურ ხასიათს, მხოლოდ დრო და დრო გადაადგილდება ღირებულებისა და თვითღირებულების მოძრაობის მიმართულებით. ამიტომ დროის იმ მონაკვეთში, სანამ ღირებულებისა და თვითღირებულების შემცირება ფასებში აისახება, წარმოების დანახარჯთა შემცირების მთელი ეფექტი მხოლოდ დაგროვებას აღიღებს. საილუსტრაციოდ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1959 წელს, წინა წელთან შედარებით, სსრკ-კავშირის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების მარტო ზეგვედური შემცირებით მიღებულ იქნა 10 მილიარდი მანეთზე მეტი ეკონომია.<sup>19</sup>

შეიძლება კიდევ აღგვენიშნა დაგროვების შემცირების წინააღმდეგ მოქმედი და მისი აბსოლუტური ზრდის ფაქტორები, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია.

ამრიგად, ღირებულება და თვითღირებულება თანაბარი პროპორციითა და ყოველთვის ერთი მიმართულებით არ იცვლებიან. ღირებულების მოძრაობა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ცვლილების უკუპროპორციულია. თვითღირებულების ცვლილება კი დაკავშირებულია არა მარტო საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ცვლილებასთან, არამედ ფულად ურთიერთობებთანაც, შრომის შედეგთა გამოყენებისა და საერთოდ განაწილება-განაწილების ურთიერთობებთან.

თვითღირებულებისა და ღირებულების დინამიკის აღნიშნულ კანონზომიერებათა ღრმად გაგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ პროცესში მყლავნდება თვითღირებულების განსხვავება ღირებულებისაგან, მისი თავისთავადობა. ის გარემოება, რომ თვითღირებულება არის ღირებულების არა უბრალოდ რაოდენობრივი, არამედ მისგან ფულადი ფორმით გამოცალკე-

18 გაზ. „კომუნისტი“, 11 იანვარი, 1960 წელი.

19 იქვე.



ვებულის ნაწილი, აქ აშკარადდება და ჩანს, რომ თვითღირებულებას და ღირებულებას აქვთ საერთოც და განსხვავებულიც, რადგან სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა მხარეებს ასახავენ.<sup>20</sup>

ამრიგად, თვითღირებულება და ღირებულება თვისებრივად ერთგვაროვანი და განსხვავებული კატეგორიებია. ერთგვაროვანი არიან იმით, რომ სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობებს ასახავენ საერთოდ, განსხვავებულნი კი — იმით, რომ სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობებს ასახავენ სხვადასხვა მხრით, სხვადასხვა ასპექტში.

### 3. თვითღირებულების არსებობის ფორმები

სოციალისტურ მეურნეობაში პროდუქციის თვითღირებულება მრავალი სახით გამოიყენება. განასხვავებენ მაგალითად, გეგმურ და ფაქტიურ, საამქრო, ფაბრიკა-ქარხნულ და სრულ თვითღირებულებას. გარდა ამისა, არსებობს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი თვითღირებულება, მსგავსად ინდივიდუალური და საზოგადოებრივ ღირებულებისა.

ყოველ საწარმოს ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და სხვა მხრით მუშაობის კონკრეტული პირობები აქვს. ამის გამო პროდუქტში გასაგნობრივებული წარსული და ცოცხალი შრომის დანახარჯთა ოდენობაც სხვადასხვა საწარმოში სხვადასხვაა. ცხადია, თვითღირებულებაც ყველა საწარმოში ერთნაირი სიდიდისა ვერ იქნება. საწარმოში თვითღირებულება გამოხატავს პროდუქციის წარმოების ინდივიდუალურ პირობებს, რაც საშუალოსაზოგადოებრივი (დარგობრივი) პირობებისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება. ამიტომ ინდივიდუალური თვითღირებულება თითქმის იმდენია, რამდენიც საწარმოა მოცემულ დარგში. გამონაკლისის წესით კი შეიძლება ისინი ერთმანეთსაც ემთხვეოდნენ.

ინდივიდუალურ თვითღირებულებათა ბაზაზე ყალიბდება საზოგადოებრივი, საშუალოდარგობრივი თვითღირებულება, რომელიც განისაზღვრება წარმოების საშუალო პირობებით მოცემულ დარგში. საშუალოდარგობრივი თვითღირებულება გამოხატავს პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის საჭირო საზოგადოებრივი ხარჯების ნაწილს და ამავე დროს საწარმოს, დარგის მეურნეობრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებელია.

ინდივიდუალური თვითღირებულება ზუსტად ასახავს საწარმოს მუშაობის პირობებს და შედეგებს, მაგრამ ცალკე აღებული თავისთავად ვერ უჩვენებს მოცემულ საწარმოს საქმიანობის ხარისხს. მხოლოდ ინდივიდუალური და საზოგადოებრივი თვითღირებულებათა შეპირისპირებით შეიძლება იმის დადგენა,

20 ს. სპირიდონოვა, თვითღირებულებისა და ღირებულების განსხვავებულ, მით უმეტეს საწინააღმდეგო, მოძრაობაში საგულისხმოს ვერაფერს ხედავს. მისი აზრით, სინამდვილეში აქ საქმე ეხება მხოლოდ აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტის ურთიერთშეფარდებას, ე. ი. ღირებულების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების — თვითღირებულებისა და ზედმეტი პროდუქტის ზედრიწონის ცვლილებას (იხ. Н. Спиридонова, Производительность труда и хозяйственный расчет в промышленности, — Теория и практика хозяйственного расчета, сбор. статей, Москва, 1958, გვ. 41).

აგორი მხედველობიდან უშვებს, რომ წარმოების საშუალებათა ფასების, ამორტიზაციის ანარიცხების ნორმების, სატრანსპორტო ტარიფების, ბანკის კრედიტზე პროცენტის ღირსისა და ა. შ. ცვლილებამ, დანარჩენი ფაქტორების უცვლელობისას, შეიძლება გააღიოს ან შეამციროს თვითღირებულება ისე, რომ ღირებულება უცვლელი დარჩეს, ან შეიცვალოს, მაგრამ თვითღირებულებისაგან განსხვავებული პროპორციითა და საწინააღმდეგო მიმართულებითაც კი.





საქართველოს  
ენციკლოპედია

რომელი საწარმო მუშაობს კარგად და რომელი ცუდად. რომელ მიღწეული შრომის მწარმოებლობის მაღალი დონე და ა. შ. ინდივიდუალური თვითღირებულებანი გადაიხრებიან საზოგადოებრივისაგან და შესაძლოა, საზოგადოებრივი თვითღირებულება კონკრეტულად არც ერთ ინდივიდუალურ თვითღირებულებას არ დაემთხვეს. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი თვითღირებულება ობიექტურად არსებობს ყოველ მოცემულ მომენტში.<sup>21</sup>

ცალკეული საწარმოების, უწყებების, ეკონომიკური რაიონებისა თუ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით მნიშვნელოვან ინდივიდუალურ გადახრილობებს გვაძლევს, მაგალითად, რკინის, მარგანცისა და სპილენძის მადნის, ფოლადის, ქვანახშირის, ნავთობის, ელექტროენერგიის, საშენი მასალების, ხეტყისა და ქაღალდის, შაქრის, ხორცის, ღვინის, თევზის, ქსოვილების, სამკერვალო ნაწარმის, ტრიკოტაჟის და სხვ. თვითღირებულება. საილუსტრაციოდ განვიხილოთ საშენი მასალების თვითღირებულება.

თვითღირებულების ინდივიდუალური გადახრილობანი სახალხო მეურნეობის საბჭოების საშენ მასალათა მრეწველობაში 1958 წელს<sup>22</sup>  
(% 1/10-ში საშუალო-საკავშირის მიმართ)

|                | ცემენტი (1 ტონა) | საშენი აგური (1000 ცალი) | კვამიტის თიხისა და ცემენტის (1000 ცალი) | შიფერი (1000 ცალი პირ. ფილა) | საშენი კირი (1 ტონა) | საშენი თაბაშირი (1 ტონა) | სილა (1 მ.³) | საქონლური ბეტონი (1 მ.³) | სასაწყობო რკინაბეტონი (1 მ.³) |
|----------------|------------------|--------------------------|-----------------------------------------|------------------------------|----------------------|--------------------------|--------------|--------------------------|-------------------------------|
| ს ს რ კ        | 100              | 100                      | 100                                     | 100                          | 100                  | 100                      | 100          | 100                      | 100                           |
| რ ს ფ ს რ      | 102,4            | 108,4                    | 118,0                                   | 98,6                         | 102,5                | 109,6                    | 113,8        | 101,2                    | 101,4                         |
| უკრაინის სსრ   | 77,6             | 92,0                     | 92,6                                    | 96,6                         | 77,0                 | 63,0                     | 66,4         | 96,2                     | 97,9                          |
| ბელორუსიის სსრ | 136,0            | 88,0                     | 76,5                                    | 111,1                        | 133,3                | 102,3                    | —            | 91,0                     | 50,6                          |
| უზბეკეთის      | 123,1            | 69,3                     | 82,2                                    | 95,9                         | 97,3                 | 115,7                    | 71,7         | —                        | —                             |
| ყაზახეთის      | 122,2            | 97,5                     | 151,0                                   | —                            | 127,0                | 241,3                    | 130,1        | 108,3                    | 110,7                         |
| საქართველოს    | 90,1             | 87,4                     | 116,0                                   | 105,0                        | 71,6                 | 147,6                    | 538,3        | 78,4                     | 173,3                         |
| აზერბაიჯანის   | 98,1             | 92,8                     | 86,4                                    | 112,4                        | 83,6                 | 123,1                    | 127,0        | 76,0                     | 89,5                          |
| სომხეთის       | 106,4            | 139,9                    | —                                       | 102,0                        | 163,5                | 75,8                     | 75,2         | —                        | —                             |
| ლიტვის         | 152,5            | 106,3                    | 113,0                                   | 127,0                        | 127,3                | 165,3                    | —            | —                        | 119,2                         |
| ლატვიის        | 136,3            | 108,0                    | 82,6                                    | 99,0                         | 113,0                | 104,0                    | 68,2         | 95,5                     | 122,0                         |
| ესტონეთის      | 186,0            | 119,0                    | 161,2                                   | —                            | 109,6                | —                        | 66,0         | —                        | 89,3                          |
| მოლდავეთის     | —                | 88,6                     | 106,0                                   | —                            | 59,6                 | 134,1                    | 78,3         | 91,1                     | 82,6                          |
| თურქმენეთის    | 177,7            | 104,2                    | 144,0                                   | —                            | 145,0                | 155,0                    | 365,1        | 83,5                     | 119,9                         |
| ტაჯიკეთის      | 225,3            | 87,0                     | 110,9                                   | 135,0                        | 135,8                | 96,2                     | 251,0        | —                        | —                             |
| ყირგიზეთის     | 371,3            | 74,4                     | 97,3                                    | —                            | 189,4                | 233,5                    | —            | —                        | —                             |

21 პრაქტ. ვ. სლობოდინი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი (ანუ ერთობლივი, როგორც ის უწოდებს) თვითღირებულების არსებობას კოლმეურნეობებში, ჩვენი აზრით, არასწორად უკავშირებს კოლმეურნეობრივ წარმოებაში მტს-ების მონაწილეობას. იგი წერს: «В результате реорганизации МТС и продажи колхозам тракторов и машин устраняется объективная основа для существования двух видов себестоимости». — В. Сლობодин, О хозрасчете в колхозах, — Теория и практика хозяйственного расчета, сбор. статей, Москва, 1958, გვ. 203—204.

22 ცხრილი შედგენილია სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით. გამარტივების მიზნით აღებულია გამსხვილებული მაჩვენებლები მოკავშირე რესპუბლიკების მასშტაბით.



ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ნაწილობრივ გასაშუალებული<sup>23</sup> ინდივიდუალური თვითღირებულებანიც კი საკმაოდ დიდი ამპლიტუდით ირხევიან საშუალო ანუ საზოგადოებრივი თვითღირებულების გარშემო. 1 ტონა ცემენტის სრული თვითღირებულება საქართველოს სსრ-ში საშუალოსაკავშირო თვითღირებულების მიმართ 1958 წელს უდრიდა 90,1%, კირისა — 71,6, თაბაშირისა — 147,6, 1000 ცალი ჩვეულებრივი წითელი აგურისა — 87,4, კრამიტისა — 116,0, შიფერისა — 105,0, საქონლური ბეტონისა — 78,4, სილისა — 5,4-ჯერ მეტს და ა. შ. ცალკეული სახის საშენ მასალათა თვითღირებულების მიმართ უფრო მკვეთრი რხევა საშუალოდან გვაქვს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. ცემენტის თვითღირებულება მხოლოდ უკრაინის, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებშია საშუალოსაკავშიროზე დაბალი, ხოლო რსფსრ-ში მას აღემატებოდა უმნიშვნელოდ—2,4%. ასევე გამომწვარი აგურის თვითღირებულება რსფსრ-ში საშუალო საკავშიროზე მეტი იყო 8,4%, ბალტიისპირა რესპუბლიკებში — 10,9%, უკრაინაში კი ნაკლები იყო მასზე 8,0%, ბელორუსიაში — 12,0%, საქართველოში — 12,6%, ყირგიზეთში — 25,6%, ხოლო უზბეკეთში — 30,7%.

თუ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში 1958 წელს წარმოებული ძირითად საშენ მასალათა ერთეულის საშუალოდარგობრივ თვითღირებულებას 100-ად მივიჩნევთ, მაშინ ცემენტის თვითღირებულება რუსთავის ქარხანაში იქნება 100,2%, კასპისა — 99,7, კირისა: წითელწყაროს ქარხანაში — 95,4%, სურამის — 92,0%, მოწამეთის — 93,1% და ცხაკაიას — 103,5%; აგურისა: საბურთალოს ქარხანაში — 78,0%, მეტეხის — 77,0%, გურჯაანის — 95,5%, ნოსირის — 137,0%, სამტრედიის — 92,0%, ზუგდიდის — 136,0%, ქუთაისის — 116,0% და ლანჩხუთის ქარხანაში — 113,6%; თიხისა და სილაცემენტის კრამიტისა: ნოსირის ქარხანაში — 128,1%, ზუგდიდის — 88,0%, გურჯაანის — 116,3%, სამტრედიის — 66,5% და სურამის ქარხანაში — 71,7%.<sup>24</sup>


აღნიშნული განსხვავებანი თვითღირებულების დონეში აიხსნება ტექნიკური და ენერგოაღჭურვილობის, ძირითად და საბრუნავ საშუალებათა გამოყენების, მუშათა კვალიფიკაციისა და შრომის მწარმოებლურობის, წარმოების მოცულობის, გაადგილებისა და სპეციალიზაცია-კოოპერირების, აგრეთვე, ბუნებრივ-წიაღისეული ხელსაყრელობის სხვადასხვაობით. მაშასადამე, ტექნიკურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული და ბუნებრივი ფაქტორები გადამწყვეტ გავლენას ახდენენ თვითღირებულებისა და მისი ცალკეული ელემენტების ოდენობაზე.

მაგალითად, 1957 წელს ერთი ტონა ცემენტის წარმოების ხარჯებიდან გარედან მიღებული ნედლეულისა და ძირითადი მასალების წილად კავშირში საშუალოდ მოდიოდა 14,8%, მათ შორის: ლენინგრადის ქარხანაში — 31,1%, ბელგოროდის — 6,4, პაშკის — 59,2, სენგილიევსკის — 1,3, კუზნეცის —

23 უწყების, ეკონომიკური რაიონისა თუ მოკავშირე რესპუბლიკის მიხედვით აღებული თვითღირებულება ნაწილობრივ უკვე დარგობრივ-გასაშუალებულია, მრავალი ინდივიდუალური თვითღირებულების ბაზაზე არის აღმოცენებული და არსებითად არც კია ინდივიდუალური ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით. მაგრამ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით იგი მაინც თავისებური, ასე ვთქვათ, გამსხვილებული ინდივიდუალური თვითღირებულებაა. ასეთ თვითღირებულებას შეიძლება ვუწოდოთ ინდივიდუალურ-დარგობრივი, რადგან ერთ და იმავე დროს, გარკვეული აზრით, საშუალოდარგობრივაცაა და ინდივიდუალურიც.

24 საწარმოთა წლიური ანგარიშების მიხედვით.





27,5, ყარაგანდის — 9,7, სახალინის — 28,7, ანგრენსკის — 0,7; კასპის — 17,7, რუსთავის — 29,4, რიგის — 30,5% და ა. შ.<sup>25</sup> სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯმა ათას ცალ აგურზე 1958 წელს საქართველოს სსრ სმს სმს მეტეხის ქარხანაში შეადგინა 54,70 მანეთი, გურჯაანის — 41,69, სამტრედიის — 45,49, ნოსირის — 64,30, ლანჩხუთის — 47,52, ხოლო ოჩხამურის (ადგ. მეურნ. სამინისტრო) — 127,70 მანეთი. ამავე წელს მეტეხის ქარხანამ გამოუშვა 52 მლნ აგური, საბურთალოს — 44, სამტრედიის — 14,5, გურჯაანის — 10,5, ნოსირის — 8,3, ზუგდიდის — 5,4, ხოლო ოჩხამურის ქარხანამ — 1,8 მლნ; საერთო-საქარხნო ხარჯები კი ათას ცალ აგურზე შესაბამისად უდრიდა: 4,49, 8,09, 14,38, 14,66, 17,75, 25,54 და 144,77<sup>26</sup> მანეთს, ე. ი. წარმოების ზრდის კვალობაზე მცირდება საერთო-საქარხნო ხარჯები პროდუქციის ერთეულზე. აგურის საშუალო-წლიური გამოშვება ერთ მუშაზე ლანჩხუთის ქარხანაში 38,6% ნაკლები იყო, ვიდრე მეტეხის ქარხანაში, ხოლო ხელფასის დანახარჯი ათას ცალ აგურზე თიქმის 2-ჯერ სჭარბობდა.<sup>27</sup>

სოციალისტურ მეურნეობაში აღირიცხება და იგეგმება როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი თვითღირებულება. ამასთან მათ შორის არის მჭიდრო კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა. ფასების, თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების დაგეგმვა, ახალ საწარმოებში წარმოების დანახარჯთა განსაზღვრა და საერთოდ მეურნეობრივი ანგარიშიანობის რაციონალური გატარება ვერ განხორციელდებოდა საზოგადოებრივი თვითღირებულების გარეშე. საწარმოში კი აღირიცხვისა და დაგეგმვის უშუალო ობიექტია ინდივიდუალური თვითღირებულება. ინდივიდუალური თვითღირებულების დაგეგმვა საზოგადოებრივი თვითღირებულების ბაზაზე ხორციელდება. გეგმა იმგვარად უნდა იქნას შედგენილი, რომ მაღალი ინდივიდუალური თვითღირებულება უახლოვდებოდეს საზოგადოებრივს. ინდივიდუალურ თვითღირებულებათა ფაქტიური მაჩვენებლები საზოგადოებრივი თვითღირებულების ახალი გეგმური მაჩვენებლების დაწესების შესაძლებლობას ქმნიან და ა. შ.

წინააღმდეგობა ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ თვითღირებულებას შორის, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეულ საწარმოთა ინდივიდუალური დანახარჯები, ჩვეულებრივ, ნაკლები ან მეტია საზოგადოებრივზე. პროდუქციის გეგმურ ფასებში რეალიზაციის გამო, პირველ შემთხვევაში ცალკეული საწარმონი აღმოჩნდება კარგ ფინანსურ პირობებში, იღებენ ზეგეგმურ დაგროვებას, რითაც აჩქარებენ წარმოების განვითარებას და იმ საწარმოებს, რომელთაც ამავე პროდუქციის წარმოება საშუალო საზოგადოებრივი თვითღირებულება, ან უფრო ძვირი უჯდებათ, უბიძგებენ უკეთ იმუშაონ. მეორე შემთხვევაში კი ცალკეული საწარმონი ვერ ანაზღაურებენ წარმოებებს საშუალებებისა და ცოცხალი შრომის დანახარჯებს, მოგების ნაცვლად განიცდიან ზარალს და ამუხრუჭებენ სახალხო მეურნეობის განვითარებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში „თბილი“ საფინანსო პირობების ან სახელმწიფო დოტაციაზე „ჯდომის“ გამო თავს იჩენს კონსერვატიულობის, მუშაობის გაუმჯობესებით მატერიალური დაინტერესების ერთგვარი შენელების ტენდენციები.

<sup>25</sup> Техничко-экономические показатели работы цементной промышленности СССР за 1957 год, вып. XI, 1958, გვ. 205—212.

<sup>26</sup> სააპქრო და საერთო-საქარხნო ხარჯები ერთად.

<sup>27</sup> ციფრები აღებულია საწარმოთა წლიური ანგარიშებიდან.



მაგრამ წინააღმდეგობა ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ თვითღირებულებას შორის ანტაგონისტური არ არის. ცალკეულ საწარმოთა მიღწევები სწრაფად ხდება მთელი დარგის კუთვნილებად. ამიტომ ინდივიდუალური თვითღირებულება საზოგადოებრივი თვითღირებულების შინაარსს იძენს. მასში საზოგადოებრივი პირობები ასახულია კონკრეტულის გზით. თავის მხრივ, საზოგადოებრივ თვითღირებულებაში ცალკეულ საწარმოთა კონკრეტული პირობები წარმოების საზოგადოებრივ პირობათა სახით ვლინდება. განუხრელი ტექნიკური პროგრესის ბაზაზე წარმოების სრულყოფის პირობებში ინდივიდუალური და საზოგადოებრივი თვითღირებულებანი განუწყვეტლივ უახლოვდებიან და შორდებათ ერთმანეთს, რადგან ცვლილებანი წარმოების პირობებში ყველა საწარმოში ერთბაშად არ ხდება.

ყოველდღიურ მეურნეობრივ პრაქტიკაში იყენებენ **გეგმურ და ფაქტიურ თვითღირებულებას**.


გეგმურ თვითღირებულებაში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, რომელთა გაწევა აუცილებელია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის მოცემულ დარგში ან საწარმოში. წინასწარ იგეგმება, მაგალითად: მატერიალური ხარჯები (ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია), ამორტიზაციის ანარიცხები, ხელფასი, წარმოების მართვის ხარჯები და სხვ. ამასთან დაგეგმისას გაითვალისწინება დანახარჯთა და გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები და სატარიფო განაკვეთები. ყველა გეგმური ხარჯი ანაზღაურდება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით.

ფაქტიური თვითღირებულება კი ნამდვილად გაწეულ ხარჯებს ასახავს. ფაქტიური თვითღირებულება გეგმურისაგან, ნაწილობრივ, თავისი შედგენილობითაც განსხვავდება. ფაქტიურ თვითღირებულებაში არამწარმოებლური ხარჯებიც (ჯარიმები, საურავი, პირგასამტეხლო, დანაკარგები: გაფუჭებისაგან, წუნი-საგან, მოცდენისაგან, დატაცებისაგან და ა. შ.) შევა, თუ მათ ადგილი ექნა. მეორე მხრივ, ფაქტიურ თვითღირებულებაში არ შევა გეგმით გათვალისწინებული ის ხარჯები, რაც საგეგმო პერიოდში არ იქნა გაწეული (ხარჯები ახალი სახეობის პროდუქციის წარმოებისათვის, საქიებო-საპროექტო სამუშაოებზე და სხვ.).

ფაქტიური თვითღირებულება გეგმურისაგან თითქმის ყოველთვის იხრება. თუ საწარმომ მუშაობა გააუმჯობესა, ამაღლა შრომის მწარმოებლურობა, შეამცირა მატერიალური და შრომითი დანახარჯები, ფაქტიური თვითღირებულება ნაკლები იქნება გეგმურზე. პირიქით, მუშაობის გაუარესების შემთხვევაში ფაქტიური თვითღირებულება გეგმურთან შედარებით შეიძლება მეტი აღმოჩნდეს, რაც უარყოფითად იმოქმედებს საწარმოს რენტაბელობაზე. გადახრას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა მიზეზების გამოც: არასწორი დაგეგმვა, წარმოების საშუალებათა ფასების, ელექტროენერგიის და გადაზიდვათა სატარიფო განაკვეთების, ხელფასისა და ბანკის კრედიტზე პროცენტის ღონის ცვლილება, აგრეთვე ცალკეულ საწარმოთა ხვედრიწონის შეცვლა დარგის მთლიან პროდუქციაში და სხვ.

თვითღირებულების მოცულობა წინასწარ, გეგმიანად განისაზღვრება, მაგრამ გეგმურ დანახარჯთა მთლიანად საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯთა შესაბამის ნაწილად მიჩნევა ზუსტი არ იქნებოდა. ერთი მხრივ იმიტომ, რომ არამწარმოებლური ხარჯები (აუცილებელი ნაწილი) ვერ მოხვდებოდა თვითღირებულებაში.





რებულებაში და ღირებულებაში, რაც პრაქტიკულად და თეორიულად არაა ის სწორი, მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ, და ეს მთავარია, ხშირად დანახარჯთა გეგმური დონე მეტი ან ნაკლები აღმოჩნდება მის რეალურ დონეზე. ამიტომ გეგმური მაჩვენებლები აუცილებლად უნდა ზუსტდებოდნენ ფაქტიურ მაჩვენებელთა მიხედვით.<sup>28</sup>

გეგმურისაგან განსხვავებით, ფაქტიური თვითღირებულება, როგორც იქცა, არამწარმოებლურ ხარჯებსაც მოიცავს. ის გარემოება, რომ არამწარმოებლური ხარჯები არ იგეგმება (წუნისა და წარმოებრივი დანაკარგების გამოკლებით ზოგიერთ დარგში), ე. ი. არ შედის პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის საჭირო გეგმურ ხარჯებში, არ იძლევა დასაბუთებულ ეკონომიკურ საფუძველს თვითღირებულებიდან მის გამოსარიცხავად. ამ შემთხვევაში მცირდება თვითღირებულების, როგორც ხარისხობრივი მაჩვენებლის. მნიშვნელობა. იმ საწარმოებში, რომლებიც არამწარმოებლურ ხარჯებს უშვებენ, შეიქმნება მოჩვენებითი ფინანსიური კეთილდღეობა, რაც შეასუსტებს მეურნეობრივ ანგარიშ-შიანობას.

თანაც არამწარმოებლური ხარჯები ყოველთვის მარტო მეურნეობისადმი ცუდი გაძღოლის შედეგი როდია. წუნი, წარმოებრივი დანაკარგები, მოცდენები, ტრანსპორტის სისტემის ნაკლოვანებანი, ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების ზემოქმედება (გაფუჭება, ბუნებრივი დანაკლისი, სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალი) და სხვ. ნაწილობრივ ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების მიღწეულ დონესთან, შრომის ორგანიზაციის, წარმოებისა და მიმოქცევის არსებულ ფორმებთანაცა დაკავშირებული. ამიტომ არის, რომ ტექნიკური პროგრესის, მოწინავე გამოცდილების დანერგვისა და წარმოების მართვის სრულყოფის კვალობაზე არამწარმოებლური ხარჯებიც მცირდება.


მაგალითად, აგურ-კრამიტის, ზუსტი კერამიკის, ცემენტის, მინის, ლითონ-სამსხმელო და სხვ. წარმოებაში წუნი და ზოგი სახის წარმოებრივი დანაკარგები ნაწილობრივ თვით ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებითა თუ განუვითარებლობითაც არის გაპირობებული და ამდენად ჭერჭეროვით აუცილებლად თან სდევს მათ წარმოებას. მშრალ წნეხვაზე გადასვლამ მინიმუმამდე შეამცირა ალიზისა და გამომწვარი აგურის დანაკარგები, მტვერდამჭერი ფილტრებით ცემენტის ღუმელების აღჭურვა თითქმის მთლიანად სპობს ცემენტის გამტვერებით გამოწვეულ დანაკარგებს და ა. შ.

28 ზოგი ავტორი ფაქტიურ თვითღირებულებას აიგივებს ინდივიდუალურთან, გეგმურს კი საზოგადოებრივთან:

«Индивидуальные затраты предприятий на средства производства и заработную плату следует характеризовать как индивидуальную или фактическую себестоимость... Однако в целом плановая себестоимость совпадает с общественно-необходимой. То, что общественно-необходимая себестоимость является плановой себестоимостью лишь раз подчеркивает ее доминирующую роль по отношению к индивидуальной, фактической себестоимости». Н. Фейтельман, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 10-11 (ბ. ჩ. — დ. მ.)  
«...Снижение индивидуальной себестоимости по сравнению с общественной, плановой имеет своим следствием увеличение прибыли...» Н. Спиридонова, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 8  
პროფ. შ. ტურეცკი, თავის მხრივ, ინდივიდუალურ თვითღირებულებას აიგივებს გეგმურთან: «...Такие колебания свидетельствуют — о разном уровне индивидуальных затрат (плановой себестоимости) на производстве одноименной продукции в отдельных предприятиях», *დასახ. ნაშრომი*, გვ. 18 (ბ. ჩ. — დ. მ.).

სინამდვილეში კი გეგმური და ფაქტიური თვითღირებულება შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი (დარგობრივი) და პირიქით, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი თვითღირებულებანი გვაქვს გეგმურიც და ფაქტიურიც.





მაშასადამე, არამწარმოებლური ხარჯები ინდივიდუალურ თვითღირებულებაშია შესაღებები. წუნი, წარმოებრივი დანაკარგები, დანაკარგები გაფუჭებისაგან, სტიქიური მოვლენებისაგან, ნასესხები სახსრების გამოყენება, წარმოებისა და მიმოქცევის ორგანიზაციულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებული ხარჯები (საურავი, ჯარიმები, პირგასამტეხლო) და სხვ., თუ წარმოების საერთო პირობებითაა არის ნაკარნახევი. მაშინ გარკვეული ზომით აუცილებელია, საშუალო არამწარმოებლური ხარჯები მოცემულ ეტაპზე და რაოდენობრივ ასახვას იპოვის თვითღირებულებაში. საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის განსაზღვრისას ხომ იმ საშუალო სამუშაო დროიდან გამოვდივართ, რასაც ფაქტიურად ხარჯავენ ამა თუ იმ პროდუქციის ძირითადი მასის მწარმოებელი საწარმოი, ამიტომ ეკონომიკური თვალსაზრისით არამწარმოებლური ხარჯები, რომლებიც პროდუქტში ნივთობრივად ან პირდაპირ ვერ პოულობენ ასახვას, საზოგადოებრივად აუცილებელ ხარჯებს განეკუთვნება იმ ზომით, რა ზომითაც მათ საშუალოდ ადგილი აქვთ საწარმოებში, რომელნიც პროდუქციის ამ სახეობის ძირითად მასას აწარმოებენ.


საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიადაც არ ნიშნავს არამწარმოებლური ხარჯების „გამართლებას“, მეურნეობრივი ანგარიშისათვის პრინციპების დარღვევის „წახალისებას“, მუშაობის გაუმჯობესებისათვის საწარმოთა მეცადინეობის „შესუსტებას“. არამწარმოებლური ხარჯები რეალური ხარჯებია, რომელსაც ჯერჯერობით ადგილი აქვს საქონლის წარმოება-გასაღების პროცესში. მთავარი ის არის, რომ ზუსტად აღვრიცხოთ ასეთი ხარჯები, გამოვავლინოთ მათი გამომწვევი მიზეზები და გავატაროთ ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ. სწორედ ამას ისახავს მიზნად ის, რომ არამწარმოებლური ხარჯები, გამონაკლისის გარდა, არ იგეგმება და აღრიცხვის ახლანდელი სისტემა ზეგეგმურ ხარჯებში აქცევს მათ.

არამწარმოებლურ დანახარჯთა შემცირება საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების თანაბარმნიშვნელოვანია. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არამწარმოებლური ხარჯების მინიმუმამდე დაყვანასა და ლიკვიდაციას.

თვითღირებულების დაგეგმვა სოციალიზმის დროს წარმოებრივი დაგეგმვის შემადგენელი ნაწილია და უდიდესი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის ამოცანაა. თვითღირებულებასთან დაკავშირებულია წარმოების მოცულობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, შრომა და ხელფასი, დაგროვება, რენტაბელობა, ერთი სიტყვით, გეგმის თითქმის ყველა მაჩვენებელი. თვითღირებულების დაგეგმვა ავლენს წარმოების დანახარჯთა შემცირების რეზერვებს, რომელთა ათვისებით ღირდება სოციალისტური დაგროვება და ფართოვდება წარმოება, მცირდება საქონელთა ფასები და მაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე.

თვითღირებულების აღრიცხვა-დაგეგმვის არსისა და მნიშვნელობის გაუმგებრობაზე იყო წარმოშობილი წინადადება — უარი გვეთქვა თვითღირებულების დაგეგმვასა და აღრიცხვაზე, თვითღირებულებისა და მისი შემცირების გეგმური დავალება შეგვეცავლა საწარმოთა ინდივიდუალური ღირებულების, ფა-





სის, მოგებისა და რენტაბელობის დაგეგმვით.<sup>29</sup> ცხადია, აქ მხედველობიდან იქნა გაშვებული ის, რომ თვითღირებულების დონე და დინამიკა საწარმოს შეურ-ნეობრივი საქმიანობის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებელია. თვითღირებუ-ლების დაგეგმვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კონტროლი გაგვეწია საწარ-მოს რენტაბელობის განმსაზღვრელი ფაქტორებისათვის.

პროფ. ა. ნოტკინმა არასწორად მიიჩნია ინდივიდუალური თვითღირებულებ-ისა და რენტაბელობის დაგეგმვა ცალკეულ საწარმოთა მიხედვით. მისი აზრით, ცუდად მომუშავე საწარმოებს რომ საზოგადოებრივად აუცილებელზე მაღლა ვუდგევამეთ წარმოების დანახარჯებს, ამით ეკონომიკურად არ სტიმულდება ტე-ქნიკური პროგრესი.<sup>30</sup>

უეჭველია, რომ ასეთი ტენდენცია აქ მართლაც იჩენს თავს და დაგეგმვის ეს მეთოდი სრულყოფას საჭიროებს, მაგრამ ერთნაირი ხარისხობრივი მაჩვენე-ბელთა დაწესება დარგის ყველა საწარმოსათვის ამაზე გაცილებით მეტი ზიანის საფრთხეს შეიცავს და სოციალისტური დაგეგმვისა და რენტაბელობის პრინცი-პებს ეწინააღმდეგება. ამას, ერთი მხრივ, ის მოჰყვებოდა შედეგად, რომ ცუდად მომუშავე მაღალი ინდივიდუალური თვითღირებულების მქონე საწარმოებს ხე-ლოვნურად წავართმევდით წინსვლისა და მუშაობის გაუმჯობესების სურვილს, რადგან მეტისმეტად შორს აღმოჩნდებოდნენ მიზნისაგან და მდგომარეობის გამოსწორების იმედს დაკარგავდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, დაბალი ინდივიდუა-ლური თვითღირებულების მქონე მსხვილი და ტექნიკურად კარგად აღჭურვი-ლი საწარმონი აღმოჩნდებოდნენ ხელსაყრელ საფინანსო პირობებში, ხელოვ-ნურად შეგქმნიდით კონსერვატულ განწყობილებას, შევანელებდით წინსვლის სტიმულსა და ინიციატივას.

ეკონომისტები ვ. გოტლობერი და ვ. განშტაკი იმ აზრისანი არიან, რომ გეგმური და ფაქტიური თვითღირებულება ორი სხვადასხვა კატეგორიაა.<sup>31</sup>

ნამდვილად კი, მიუხედავად შესაძლო რაოდენობრივი გადახრისა, გეგმუ-რი და ფაქტიური თვითღირებულებანი ეკონომიკური ბუნების მხრივ არ განსხ-ვავდებიან ერთიმეორისაგან. ფაქტიური თვითღირებულება არსებითად მხოლ-ოდ იმის ზუსტი ასახვაა, რასაც გეგმური თვითღირებულება, როგორც რეალუ-რი სიდიდე, წინასწარ მიახლოებით ასახავს. ფაქტიური თვითღირებულება გეგ-მურისაგან ელემენტების მიხედვით უმნიშვნელოდ, მარტო იმით განსხვავდება, რომ მოიცავს არამწარმოებლურ ხარჯებსაც თუ მათ ადგილი ექნა. გეგმა ინდი-ვიდუალურ და საშუალოდარგობრივ პირობათა გათვალისწინებით დგება და ამიტომ თვითღირებულების არსიც უკვე გეგმურ დანახარჯთა ელემენტებით გა-ნისაზღვრება.

მრეწველურ საწარმოებში ჩვეულებრივ აღირიცხება და იგეგმება საამქრო, ფაბრიკულ-ქარხნული და სრული თვითღირებულება.

საამქრო თვითღირებულებაში შედის პროდუქციის წარმოებაზე საწარმოს

29 К. Ориничев, Ф. Тилис, Против трафарета в планировании, «Правда», 4 мая, 1957 года.

30 А. Ноткин, Об использовании преимущества социализма в развитии производи-тельных сил, «Коммунист», 1956, № 11, с. 56.

31 «Следует учитывать наличие в социалистическом хозяйстве двух категорий себестоимости—плановой и фактической (б. л.—д. з.), В. Ганштак и В. Готлобер, «Вопросы экономики», 1956, № 1, стр. 94.



საამქროებში გაწეული ყველა დანახარჯი ანუ საამქროთა პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები: ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, სათბობი და ენერგია ტექნოლოგიურ საჭიროებაზე, წარმოებრივი მუშათა ხელფასი და დარიცხვა მასზე, სხვ. ორგანიზაციათა მიერ შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების ანაზღაურება, გაწყობილობის, წარმოებრივ ფართობთა და ტრანსპორტის საშუალებათა მოვლა-ექსპლუატაციის, მიმდინარე რემონტისა და ამორტიზაციის ხარჯები, საამქრო პერსონალის შენახვა, საერთო-საამქრო დანიშნულების შენობა-ნაგებობის, სხვა ძირითად საშუალებათა და ინვენტარის მოვლა, მიმდინარე რემონტი და ამორტიზაცია, ცდების, კვლევითი სამუშაოების, რაციონალიზაცია-გამომგონებლობის, შრომის დაცვისა და სხვ. ხარჯები.

ფაბრიკულ-ქარხნული თვითღირებულების მისაღებად საამქრო თვითღირებულებას ემატება საერთო-საქარხნო ხარჯები: ადმინისტრაციული პერსონალისა და მოსამსახურეთა ხელფასი, მივლინებები, საწყობებისა და ლაბორატორიების შენახვა, შრომის დაცვა, ჯარიმები, საურავი, პირგასამტეხლო, მოცდენები, მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი, დანაკარგები წუნისა და გაფუჭებისაგან, გამოსაღები, ანარიცხები და სხვ. ხარჯები, ე. ი. მასში აისახება საწარმოს ყველა ის დანახარჯი, რაც კი პროდუქციის დამზადებას და წარმოების მართვას სჭირდება.

სრული ანუ კომერციული თვითღირებულება ფაბრიკულ-ქარხნული თვითღირებულების გარდა მოიცავს წარმოების გარეშე ხარჯებსაც. მზა პროდუქციის დახარისხება, შეფუთვა, ტარა, დატვირთვა, ტრანსპორტირება, რეალიზაცია, ტრესტებისა და კომბინატების ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები, ხარჯები კადრების მასობრივად მომზადებაზე, ტექნიკური პროპაგანდისათვის, სტანდარტიზაციისათვის, მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოს ანაზღაურებისათვის, აგრეთვე მიმოქცევის სფეროს არამწარმოებლური ხარჯები და სხვ.

საამქრო და ფაბრიკულ-ქარხნული თვითღირებულებათა შეფარდება სრულ თვითღირებულებასთან გვიჩვენებს თვითღირებულების თავისებურ სტრუქტურას, წარმოების პროცესში და წარმოების პროცესგარეშე გაწეული ხარჯების თანაფარდობას, რაც თავის მხრივ ამოსავალი პუნქტია თვითღირებულების შემცირების რეზერვთა ძიებისათვის. ამიტომ სრულ თვითღირებულებასთან ერთად, საამქრო და ფაბრიკულ-ქარხნული თვითღირებულების აღრიცხვასა და დაგეგმვას დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობრივი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების დინამიკაზე ქმედითი კონტროლის განხორციელებისათვის.

მაშასადამე, საამქრო, ფაბრიკულ-ქარხნული და სრული თვითღირებულებანი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან სიდიდითა და ნაწილობრივ, ხარჯთა მუხლების მიხედვითაც. მაგრამ ფაბრიკულ-ქარხნული თვითღირებულების შემადგენლობას და შინაარსს არსებითად საამქრო თვითღირებულება განსაზღვრავს, სრულ თვითღირებულებაში კი წარმოებისგარეშე ხარჯებს, ჩვეულებრივ 5% მეტი არ უკავია. ხშირად ხარჯთა მუხლებიც ერთნაირია (ამორტიზაცია, არამწარმოებლური ხარჯები, შრომის დაცვა, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, ცდები და გამოცდები, ლაბორატორიების შენახვა და სხვ.) და განსხვავება მხოლოდ მათი გაწევის სფეროს ეხება.





ეროვნული

აღნიშნულის გამო, შინაარსის მხრივ, საამქრო და ფაბრიკულ-ქარხნული თვითღირებულებათა სახით რაიმე ერთიმეორისაგან პრინციპულად განსხვავებულ და დასრულებულ სახეებთან არ უნდა გვქონდეს საქმე. საამქრო და ფაბრიკულ-ქარხნული თვითღირებულებანი ცალ-ცალკე მთლიანად ვერ ასახავენ და არც შეიძლება ასახავდნენ იმ წარმოებრივ ურთიერთობებს, რომელთაც მოიცავს თვითღირებულება, როგორც განსაზღვრული ეკონომიკური კატეგორია. მართლაც, სრული თვითღირებულება გამოხატავს როგორც წარმოების, ისე მიმოქცევის სფეროს ურთიერთობებს და ამ გზით, გარკვეულ ფარგლებში, საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის პირობებსაც ასახავს. ფაბრიკულ-ქარხნულ თვითღირებულებაში კი, რომ აღარაფერი ვთქვათ საამქრო თვითღირებულებაზე, მხოლოდ წარმოების მოცემული პროცესისა და მისი პროდუქტის ნივთობრივი ელემენტების წარმოებისა და მიმოქცევის პირობებია ასახული. მასში ვერ აისახება ახლადშექმნილი პროდუქტის მიმოქცევის საზოგადოებრივი პირობები, რადგან წარმოების ხარჯები გაზომილია იმ მომენტში, როცა პროდუქტი წარმოების სფეროდან ეს-ეს არის გამოვიდა, მაგრამ მიმოქცევის სტადიაში ჯერ კიდევ არ შესულა.

თვითღირებულების ამგვარი დაყოფა თავისთავად პრინციპშიც პირობითია, რადგან იგი დაკავშირებულია აღრიცხვისა და დაგეგმვის არსებულ მეთოდთან, მეურნეობრივი ანგარიშაინობის სისტემასთან. მეურნეობის რაციონალური გაძღოლისათვის აუცილებელია სწორად განისაზღვროს დანახარჯთა ოდენობა და სტრუქტურა პროდუქციის წარმოების ცალკეულ უბნებზე და სტადიებზე, წარმოებიდან მოხმარების ადგილამდე მისი მოძრაობის ამა თუ იმ სფეროში და ეტაპზე.

საამქრო და ფაბრიკულ-ქარხნული თვითღირებულებანი თვისებრივის მხრივ თვითღირებულების ერთიანი ცნების ჩარჩოში თავსდებათ და არსებითად განსაზღვრავენ კიდევ ამ უკანასკნელს. ისინი სრული თვითღირებულების, ასე ვთქვათ, საფეხურები, სტადიური ნაწილებია, თვითღირებულების ქმნადობის პროცესში, აღრიცხვის მიზნით, უკვე გაწეულ ხარჯთა დროაღდრო, განსაზღვრულ სივრცეში გამოანგარიშებული სტატისტიკური სიდიდეებია, რომელნიც ამავე დროს შემდგომი მოძრაობის, საკუთრივ ზრდის, საწყის წერტილში იმყოფებიან. ამიტომ საამქრო, ფაბრიკულ-ქარხნული და სრული თვითღირებულებანი არ შეიძლება მოსწყდნენ ან დაემთხვნენ ერთიმეორეს, ვინაიდან განივებული და ცოცხალი შრომის პროდუქტად, სახმარ ღირებულებად დალექვის თანდათანობითი პროცესის ურთიერთმიმდევრო სტადიებს ასახავენ. თვითღირებულება, მსგავსად თოვლის გუნდის ზრდისა, წარმოიქმნება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის იმ მრავალგვარი ხარჯების განუწყვეტელი ჩახვევისა და შეერთების გზით, რომელთაც ადგილი აქვთ პროდუქტის მოძრაობის გზაზე საამქროთა პირველადი უბნებიდან გამსაღებელ ან სავაჭრო ორგანიზაციათა საწყობებამდე.

ამრიგად, თვითღირებულება არის ფულად ფორმაში გამოხატული შრომის დანახარჯი, რაც პროდუქციის ერთეულის წარმოებას და მიმოქცევის სფეროში გადასროლას სჭირდება და რომლის უკუშემოდინებაც აუცილებელია წარმოების წინანდელი მოცულობით განზრახვისათვის. თვითღირებულება და ღირებულება ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ამასთან მათ შორის არის არამართო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი განსხვავებაც.



თვითღირებულება თავისი ეკონომიკური ბუნებით, შინაარსით ერთიანია და განსხვავება მის სახესხვაობებს შორის არსებითობის, თვისებრიობის ხარისხს ვერ აღწევს და არც შეიძლება აღწევდეს. საამქრო, ფაბრიკულ-ქარხნული და სრული, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი, გეგმური და ფაქტიური თვითღირებულებანი მხოლოდ თვითღირებულების მყოფობა და დანახვა საკუთარი არსებობის სხვადასხვა სტადიაში, დროსა და სივრცეში, წარმოების დაწყებამდე, დამთავრებამდე და დამთავრების შემდეგ, თუ რომელიმე საქონლის თვითღირებულებას ცალკე საწარმოს ასპექტში განვიხილავთ, ინდივიდუალურ თვითღირებულებასთან გვექნება საქმე, თუ დარგის მასშტაბით — საზოგადოებრივთან, იმავე თვითღირებულებას თუ წარმოების პროცესის დაწყებამდე ვიხილავთ, გეგმურ თვითღირებულებასთან გვაქვს საქმე, თუ წარმოების დამთავრების შემდეგ — ფაქტიურთან. ხოლო თუ თვითღირებულებას მისი ქმნადობის სხვადასხვა სტადიაში განვიხილავთ, მაშინ თვითღირებულების აღნიშნულ სახესხვაობათაგან თითოეული საამქრო, ფაბრიკულ-ქარხნული და სრული თვითღირებულების სახითაც იარსებებს და პირიქით.

თვითღირებულების რაობისა და მის სახესხვაობათა შესწავლას, სწორად აღრიცხვასა და გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს წარმოების დანახარჯთა შემცირების, საწარმოთა რენტაბელობის გადიდებისა და მეურნეობრივი ანგარიშობის განმტკიცებისათვის.

Д. Н. МОУРАВИДЗЕ

## К ВОПРОСУ О СУЩНОСТИ СЕБЕСТОИМОСТИ ПРОДУКЦИИ ПРИ СОЦИАЛИЗМЕ

Р е з ю м е

Себестоимость продукции является важнейшей экономической категорией социализма.

Материальную основу себестоимости составляют совокупные затраты прошлого, овеществленного в потребленных средствах производства труда и живого труда, затраченного на создание необходимого продукта. Постоянное обособление этих затрат из общественных издержек производства в процессе воспроизводства обусловлено объективной необходимостью снова и снова превращать обратно прошлый и живой труд в элементы производства и тем самым обеспечить непрерывный процесс производства в неизменном масштабе. В условиях социалистического товарного производства эти затраты выступают в виде себестоимости. Себестоимость принимает форму денежных затрат на возмещение потребленных средств производства и фонда оплаты труда работников производства и показывает, во что обходится производство и реализация продукции.

Между стоимостью и себестоимостью существует тесная связь и взаимообусловленность. При этом себестоимость, как самостоятельная



საქართველოს  
ქვეყნური ბიბლიოთეკა

объективная категория, отличается от стоимости не только количественно, но и в качественном отношении. В экономической категории отражаются производственные отношения, определяющие содержание, именно качественную, а не количественную ее сторону. Экономические категории отличаются друг от друга тем, что выражают производственные отношения разных типов или же различные стороны однородных отношений.

Себестоимость и стоимость — качественно однородные и в тоже время различные категории. Они отражают разные стороны социалистических производственных отношений, что и составляет основу качественного их различия. В отличие от стоимости, себестоимость отражает конкретные условия обращения и распределения, характеризуется рядом особенностей связанных с ее существованием в денежной форме. Себестоимость неохватывает чистый доход и только этим она уже становится различной от стоимости качественностью.

Существует индивидуальная и общественная себестоимость. Кроме того, в ежедневной хозяйственной практике используется плановая и фактическая, цеховая, фабрично-заводская и полная себестоимость. Но себестоимость по своей экономической природе единая и некоторые отличия между ее разновидностями не достигают и не могут достигнуть существенной, качественной степени. Цеховая, фабрично-заводская и полная, индивидуальная и общественная, плановая и фактическая себестоимости суть лишь формы проявления себестоимости в разных стадиях ее собственного существования, во времени и пространстве, до начала, в процессе и после окончания производства.

В самом деле, в аспекте отдельно взятого предприятия себестоимость любого товара выступает как индивидуальная, а в масштабе отрасли — как общественная, до начала процесса производства — как плановая, а после окончания производства — как фактическая; а если рассмотрим себестоимость в разных стадиях ее формирования, то из указанных разновидностей себестоимости каждая будет существовать также в виде цеховой, фабрично-заводской и полной себестоимости и наоборот.

Изучение сущности и разновидностей себестоимости, правильный учет и использование ее в хозяйственной деятельности имеет существенное значение для снижения затрат производства, повышения рентабельности предприятий и укрепления хозяйственного расчета.

---



ჟ. ნოღაიძელი, ჟ. ჩხეიძე

## აჭარული სამიწათმოქმედო შრომის ღმერთებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება

აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში შრომის თემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. წინამდებარე სტატიის მიზანია რევოლუციამდელი პერიოდის სამიწათმოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება.<sup>1</sup>

შრომის პროცესის ამსახველი ლექს-სიმღერები ადამიანის მეურნეობრივი საქმიანობის ყველა სფეროს ეხება. მასში ასახვას პოულობს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, მონადირეობა, ხის დამუშავება და სხვა საქმიანობა.

შრომის ლექს-სიმღერები საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, მაგრამ, შრომის პირობების განსხვავებულობის გამო, ისინი ყველა კუთხეში განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდებიან.

თუ აღმოსავლეთ საქართველოში ხენისათვის საჭირო იყო გუთნეულის გაშრობა და მასთან დაკავშირებულ გუთნურ სიმღერებთან გვაქვს საქმე, დასავლეთ საქართველოში ყანები უმთავრესად თოხით მუშავდებოდა და ამიტომ ნადურ-თოხნურ სიმღერებს ვხვდებით; თუ აღმოსავლეთ საქართველოში „სამკალსა“ და „რიგრიგას“ გვერდით გვაქვს ინდივიდუალურად შესასრულებელი სიმღერები „ურმული“, „აღზევანს წავალ მარილზე“, დასავლეთ საქართველოში საერთოდ, და განსაკუთრებით კი აჭარაში, გავრცელებული იყო კოლექტიური სიმღერები: „ნადური“, „ხელხვავი“, „ხერტლის ნადი“, „ელესა“ და სხვ.

უცხოელ და ქართველ მოგზაურთა და მკვლევართა მოწმობით ნადი და მასთან დაკავშირებული სიმღერები ფართოდ ყოფილა გავრცელებული სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში და აჭარაში.

ნადური სიმღერები თავისი მრავალფეროვანებით განსაკუთრებით აჭარაში გვხვდება. ამ მხრივ ქობულეთის რაიონის გურიის მოსაზღვრე სოფლები გამოირჩევა, სადაც, ხალხის გადმოცემით, 32 სიმღერა შესრულებოდა ნაღზე და თითოეულს თავისი ლექსი ჰქონდა. ჯერჯერობით 24 ნადური სიმღერის ტექსტის დადგენა მოხერხდა.<sup>2</sup> თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ნა-

1 ნაშრომში ჟ. ნოღაიძელს ეკუთვნის ქობულეთის, ხოლო ჟ. ჩხეიძეს — აჭარისწყლის ხეობის მასალების მიმოხილვა. — რედ.

2 1958 წლის მარტსა და აპრილში ინსტიტუტის მიერ მივლინებული ვიყავი ქობულეთის რაიონში ნადური სიმღერების გამოსავლინებლად და ტექსტების ჩასაწერად. ვიმუშავე მრავალ სოფელში და ჩავიწერე საინტერესო მასალა. ნადურების შესახებ მასალებს ადრევეც ვერებდი — ჟ. ნ.





დურის სრული ტექსტი ვერ დავადგინეთ და ფრაგმენტის სახით არის შემორჩენილი. ასე მაგ., ნადური სიმღერა „ლეღას“ ერთი ტაქტილაა შემორჩენილი. ხოლო სიმღერა „ლუპას“ შესრულებისას, რომელიც ჯერჯერობით არ არის დადგენილი, როგორც ჩანს, გამოყენებული ყოფილა ცნობილი ლექსი: „სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შევაბამ უღელ დევსა“.<sup>3</sup> ზოგიერთი ნადური სიმღერების შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ სახელწოდებებია ცნობილი. ასეთებია: „ჯურჯუეთულა“, „ფარანჯულა“ და სხვ.

საქართველოში ურთიერთ დახმარება, ნადი,<sup>4</sup> როგორც ჩანს, უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული. ნადის მუშაობას თან ახლდა ნადური ანუ თოხნური ლექს-სიმღერები, რომელიც იმდენად დამახასიათებელი იყო ლიხთიმერეთისათვის, რომ დ. არაყიშვილი მას „წმინდა გურულ სიმღერად“ თვლიდა. ჩვენი აზრით, ნადური ლექს-სიმღერები მთელი დასავლეთ საქართველოს კუთვნილებაა. ამას რ. ერისთავის ცნობაც ადასტურებს: ნადური „რიონის პირათ იცოიან ხოლმე საჭყონდლოში“-ო.<sup>5</sup> ნადისა და ნადურის შესახებ დ. თომაშვილი (ოკრიბა-იმერეთი), გადმოგვცემს: „ნადობა — ნადი იცოდნენ მაშინ, როდესაც ოჯახს მოძალეებული, გადაუდებელი სამუშაო ჰქონდა, ხვნა-თესვა იქნებოდა ეს, თუ მარგვლა-მორი: ნადში ყველა სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას. ხშირად 20-25 კაცისაგან შემდგარი ნადი მოედებოდა სამუშაოს განსაკუთრებული ყიყინითა და სიმღერებით, რომელსაც ნადური ეწოდებოდა. ეს სიმღერა მეტად შველოდა ხელბარაქიანად მუშაობას, დალაღვას აღარავინ გრძნობდა, „სვრელი სვრელზე გაჰქონდათ“.<sup>6</sup>

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვითარება შეიცვალა. წვრილი, ერთპიროვნული მეურნეობები კოლექტიურმა მეურნეობამ შეცვალა, რამაც ძირითადად გარდაქმნა ადამიანთა ურთიერთობა შრომის პროცესში. მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, მევენახეობისა და სხვა კულტურების მაღალ დონეზე განვითარებამ, აგრეთვე სიმინდის და პურეულის ყანების დასამუშავებლად მექანიზაციის ფართოდ გამოყენებამ შეცვალა შრომის პირობები. ტექნიკური კულტურების მოვლა შრომის სხვა პირობებს მოითხოვს, რამაც თავისთავად იშვიათი გახდა ნადის მოწყობის აუცილებლობა. ნადური სიმღერები მივიწყებას მიეცა. ძველი მომღერლები მწყობრიდან გამოდიან, ახლები მაინც და მაინც არ ეტანებიან ნადურ სიმღერებს და ხალხური შემოქმედების ამ მნიშვნელოვანი დარგის შესახებ სულ მალე გაძნელდება მასალების შეკრება. ამიტომ მათი შესწავლა და დამუშავება გადაუდებელია.

ხალხური შემოქმედების ზოგიერთმა გუნდმა სცადა ნადური სიმღერები სცენაზე გადმოეტანა, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო — სიმღერამ ადრინდელი სახე დაკარგა. ამის მიზეზი ზოგჯერ ისიცაა, რომ ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელი თვითნებურად ცვლიდა ნადურ სიმღერებს, ახდენდა მის ერთგვარ მოდერნიზებას, სახეს უცვლიდა სიმღერის თავდაპირველ და ხალხში ასეული წლების განმავლობაში დამკვიდრებულ წყობას და ტემბრს. გარდა

3 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1935, გვ. 160.

4 საბას განმარტებით ნადი არის „მუშაკი შეყრილი“, „ნადობდანაღში მუშაობას ნიშნავს“, სიტყვის კონა, თბილისი, 1940, გვ. 243.

5 თ. ოქროშიძე, ნადური ლექს-სიმღერები, ლიტერატურული ძიებანი, ტ. X, თბილისი, 1956, გვ. 337.

6 იქვე.



ამისა, ნადური სიმღერები უშუალოდ შრომის პროცესში სრულდებოდა. სცენაზე შესრულებული ნადური კი რიტმულობის უშუალო აღქმას მოკლებულია.

აქარაში ნადური სიმღერების მრავალფეროვნებით, როგორც ითქვამს, განსაკუთრებით ქობულეთის რაიონი გამოირჩეოდა, რომელიც ძველთაგანვე განთქმული იყო ნადური სიმღერების შემსრულებლობით. ნადური სიმღერების შემსრულებელმა, ს. ლევას (ქობულეთი) მცხ. 80 წლის ხასან ჯემალის ძე როყვამ გვიამბო:

„ქობულეთში ყანას იქდენ დიდს, წინეთ ეხავისებოდენ სიმღერა და იზმიდენ ნადს. ამ ნადს თავრობაც ესწრებოდა, დიდვანი ხალხები. საინტერესო იყო მათი ამბავი, ვის კარგი ხმა ქონდა, ვინ მეტი სიმღერა იცოდა. ერთხელ, მახსოვს, რკინიგზასთან იყო ნადი; შეხურებული სიმღერა გვაქ და მატარებელიც გამოვიდა. ელიავა და ფილიპე მახარაძე ყოფილიყვენ იმ მატარებელში. მატარებელი შეაჩერეს და გადმოვიდნენ ძირში, სანამდი სიმღერა არ გათავდა, მანამდი „ათხოდი“ არ მიაცემიეს. მალაღეც ქობულეთო, დაიძახეს და წავიდნენ“.

საინტერესოა აგრეთვე ჭახათის მცხ. 72 წლის მოხუცის ხუსეინ უსუფის ძე ხახუტაიშვილის ნაამბობი. მისი სიტყვით, ქობულეთში ნადი და ნადური სიმღერები ფართოდ იყო გავრცელებული. ნადური სიმღერების კარგი შემსრულებლები ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ.

აქარაში და კერძოდ ქობულეთში გავრცელებული ნადური სიმღერების შესწავლა მრავალმხრივია საინტერესო. დღემდე დავიწყებას გადაჩენილი ქობულეთური ნადური სიმღერების უმეტესობა „ჯიქურას“ ციკლის სიმღერების სახელწოდებითაა ცნობილი და ორიგინალურია. ზოგიერთი სიმღერა, მაგ., „წერეთი“, იმერეთიდან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო „საჯავახურა“ დას. იმერეთსა და აღმ. გურიაში წარმოშობილი სიმღერა უნდა იყოს.

ქობულეთში ნადური სიმღერების შესასრულებლად მ-დან 16 კაცამდე იყო საჭირო. მათ შორის: ერთი მთქმელია, თვითონ მომღერალი, რომელიც ლექსებს მღერის, ორი შემხმობარი, ერთი გამყივანე და ორიც მობანე—ბანის მთქმელი. ბანის მთქმელები რაც უფრო მეტი იქნებიან, მით უფრო სიმღერა კარგი გამოდის. სიმღერა გადამჟღავნა, აქ მომღერალი იწყებს სიმღერას, ან როგორც ადგილობრივად უწოდებენ, „აიყვანს სიმღერას“, ამიტომ მას მთქმელი ეწოდება. შემდეგ მას გამყივანე მიყვება, ხოლო აბოლოვებენ შემხმობრები. ზოგიერთ შემთხვევაში შვიდალშიც საჭიროა ბანის ჩართვა. ასე, რომ ნადურში ერთ მხარეზე საჭიროა: ერთი მომღერალი — „ამყვანი“, „მთქმელი“, ერთი გამყივანე, ორი შემხმობარი და ორი ან სამი ბანის მთქმელი.

სიმღერა რამდენიმე მუხლისაგან შედგება. ჯერ ნელა იწყება, შემდეგ თანდათანობით აჩქარდება, ყანაში მომუშავეებიც ჯერ ნელა მუშაობენ, მაგრამ სიმღერის აჩქარებასთან ერთად თვითონაც ექსტაზში შედიან და შრომა ინტენსიური ხდება.

ნადური სიმღერების მცოდნე სოფლებში არც თუ ისე ბევრი იყო. ამიტომ ვინც დიდ ნადს დაპატიჟებდა, მას ადრევე უნდა მიეღო ზომები, ადრევე უნდა გაეგზავნა სოფლებში ხალხი მომღერლების, გამყივანების, შემხმობრებისა და მობანეთა მოსაპატიჟებლად. მასპინძელი დაინტერესებული იყო კარგი მომღერლების მოწვევით წახალისებინა ნადის შრომა და მეტი ეფექტი მიეღო.

თუ მოსაზღვრე პირები ნადს „დაახირებდნენ“, ანუ ერთდროულად დანიშნავდნენ, მაშინ მეზობელ ორ ნადს შორის მყარდებოდა ერთგვარი შეთანხმება,





მორიგება „ნაღურის“ შესრულებაში. სიმღერას რიგრიგობით მღეროდნენ ისე, რომ ერთ ნაღს შესძლებოდა მეორის მიერ შესრულებული სიმღერის მოსმენა.

შესრულების თვალსაზრისით ქობულეთში გვაქვს გადამხდი და ჩამყოლიანი სიმღერები. გადამხდი სიმღერების დროს მომღერალთა ორი ჯგუფია გათვალისწინებული: დამწყები და ჩამომრთმევი. ჩამომრთმევი იმ მოტივზე და იმასვე მღერის, რასაც დამწყები. ისინი რიგრიგობით ასრულებენ ერთსა და იმავე სიმღერას. გადამხდი სიმღერების მაგალითად, მგზავრული, მაყრული და სხვ. ჩამყოლიანი სიმღერებში, გადამხდლისაგან განსხვავებით, ჩამყოლი არ იმეორებს იმას, რასაც დამწყები, მთქმელი ამბობს. ჩამყოლი დამწყებისაგან განსხვავებულ ჰანგზე აგრძელებს და აბოლოვებს სიმღერას. მაგ., „ხასან ბეგურასა“ და „შვიდკაცას“ დაბოლოება არის ჩამყოლი.

დამწყებსა და ჩამყოლ ჯგუფებში არ არის სავალდებულო ხმების რაოდენობა ერთნაირი იყოს. ასე, თუ „ხასანბეგურას“ შესრულების დროს დამწყებთა, მთქმელთა ჯგუფში საჭიროა სამი ხმა: მომღერალი (მთქმელი ან იგივე დამწყები), გამყივანე (წვრილის მთქმელი) და ბანი, ჩამყოლში მოწაწილეობს ორი — ჩამყოლის მთქმელი და ბანი.

ნაღური სიმღერები და „ხელხვაი“ შედარებით რთული სიმღერებია. ნაღურში ოთხი ხმა მონაწილეობს: მთქმელი, გამყივანე, შემხმობარი და ბანი. მომღერალი იწყებს სიმღერას, მას მიყვება გამყივანე. ერთი მუხლის დამთავრების შემდეგ შემხმობრები შეუხმობენ, დააბოლოებენ. I მუხლის დამთავრებისას იწყება ჩამყოლის თქმა. ჩამყოლს ისევ დამწყები აბოლოებს, ამასვე აკეთებს მეორე მომღერალი და ა. შ.

ნაღურ სიმღერაში მისამღერ ტექსტს — ლექსს მხოლოდ მომღერალი-დამწყები — მთქმელი ამბობს; არც გამყივანე, არც შემხმობარი, არც ბანი სიტყვებით არ მღერიან. მომღერალიც პირველ მუხლს აგრეთვე უსიტყვოდ მღერის, მას მარტო ჩამყოლის დროს უხდება ლექსის მიმღერება. ეს დაახლოებით ასე წარმოგიდგება:

| მომღერალთა პირველი ჯგუფი:                                                 | მომღერალთა მეორე ჯგუფი:                                |
|---------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------|
| მომღერალი: ჰო-ვო, ჰოიდა!                                                  | ჰო-ვო, ჰოიდა!                                          |
| შემხმობარი: ჰო-ო-ო-ო!                                                     | ჰო-ო-ო-ო!                                              |
| მომღერალი: ჰოო-ვო!                                                        | ჰო-ვო!                                                 |
| შემხმობარი: ჰო-ო-ო-ო!                                                     | ჰო-ო-ო-ო!                                              |
| მომღერალი: ვო-დი-ლა-და-დილა-<br>ვოდელიასაო ჰაა,<br>ორი-რამა-ჰო!           | ვო-დე-ლა-და დი-ლა-ვო-დელია-<br>საო ჰაა, ორი-რამა-ჰო!   |
| შემხმობრები: ჰო-ო-ო-ო!                                                    | ჰო-ო-ო-ო!                                              |
| მომღერალი: ვაჲ თუ დილას ყურდ-<br>გელმაო, კიდევე გვერ-<br>დი მირბინაო ჰოო! | ვაჲ თუ დილას ყურდგელმაო<br>კიდევე გვერდი მირბინაო ჰოო. |

ნაღურში მომღერალი და გამყივანე ერთსა და იმავე დროს მღერიან. ხმის შეწყობა უტექსტოა. დაახლოებით ასე:

|                                                                        |                                                             |
|------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|
| გამყივანე: ვო-რი-რა, ვო-რო-<br>ვი-რუ-რი-რა-ვო<br>რე-რა ვო-რე-რო-ვო-და. | ვი-რი-ო-ჰო უ-რუ-ოჰო, ვირუოჰო,<br>ურუოჰო, ვირუოჰო, ურუაჰოჰო! |
|------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|

შემხმობრები სიმღერაში ჩაერთვებიან პირველი მუხლის დამთავრების შემდეგ, ხოლო შემხმობის შემდეგ მომღერალი იწყებს ლექსის სიტყვების გამო-



ყენებას, ე. ი. პირველ ხანებში, როგორც დავინახეთ, სიმღერაში შემხმობრები შუაში ჩაერთვიან. ჯერ სიმღერა ნელა იწყება, ხოლო შემდეგ თანდათან აჩქარდება და მეორე მუხლზე გადასვლისას უახლოვდება დასაწყისს, ბოლო მუხლს კი შემხმობრები და დამწყები ერთად იწყებენ.

ამრიგად, ნაღური სიმღერები რთულია. ჯერ ერთი, მასში 4 ხმა მონაწილეობს: მომღერალი, გამყივანე, შემხმობარი და ბანი; მეორეც, სიმღერა ორპირია და ჩამყოლი ახლავს, რომლის როლს თვითონ მომღერალი ასრულებს.

ნაღური სიმღერების თემატიკა ძალზე მრავალფეროვანია. უწინარეს ყოვლისა, ნაღურ ლექს-სიმღერებში წითელი ზოლივით გასდევს სოციალური უთანასწორობა და მასთან შეურიგებლობა; საყოფაცხოვრებო-სატრფიალო ლექსებთან ერთად მასში გადმოცემულია აგრეთვე საწესჩვეულებო და საგმირო ხასიათის ლექსებიც. ნაღურში გამოყენებულ ლექსებში ფართო გასაქანს პოულობს მონადირეობაც, რაც წინათ ეგზომ დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის.

როგორც გურიაში, ისე ქობულეთში ნაღურ სიმღერებში გამოყენებულ ლექსებს საჩივარი ეწოდება.<sup>7</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით გურული ნაღური სიმღერების აღმწერი ა. ჟულაძე წერს: „ნაღური სიმღერა ძველია, ისტორიულია, შეთხზულია ბატონყმობის დროის ყმა გლეხების მიერ, მასში ცხადად ჩანს ბატონების წინააღმდეგ შეთქმულება — ჯანყი, შეტევა, იერიში და გამარჯვება, ბატონების განადგურება და მათი „მოთხრა“...“

სიმღერას იწყებდა ერთი მთქმელი, იწყებდა დაბალი ხმით, გაუბედავად, წუწუნით. არ მოსწონდა თავისი ვაგლახი ცხოვრება, უჩიოდა მას; სწორედ ამიტომ ნაღური სიმღერების ტექსტებს საჩივარს ეძახდნენ. არც ერთ გურულ სიმღერას არა აქვს იმდენი ტექსტი, რამდენიც აქვს ნაღურს. ძალიან ხშირად მთელი სიმღერა ერთი ან ორი საჩივრით თავდება... ერთ მთქმელს, ერთ მომჩივანს მეორე, მის ბედშივე მყოფი აპყვებოდა, პირველის საჩივარს კვერს დაუქრავდა და იმეორებდა.

ამ ორ მომჩივანს შეუერთდებოდა გამყივანი ანუ გადამძახებელი და მაღალი ომახიანი ხმით უყიოდა, უძახოდა, უხმობდა სხვებს, მოუწოდებდა ამხანაგებს. სხვებიც—ტანჯულები, არ აყოვნებდნენ, უერთდებოდნენ, ებანებოდნენ,—ბანს ეუბნებოდნენ. ბანი სიმღერის კილო როდია მარტო, იგი ნიშნავს თანხმობას, აყოლას, აზრის გაზიარებას, ხშირად იტყვიან ბანი დამაწია, მომებანა, ბანი მითხრა, ბანი დამძინა. ბანს შემხმობარსაც ეძახიან, შემხმობი ნიშნავს შემხმელელს — ცეცხლში ხმელი საწვავის შემკეთებელს, ცეცხლის ამაგიზგიზებელს, დამალადურებელს, ამაპრიალებელს. ამრიგად, შემხმობი, ბანი ცეცხლს აგიზგიზებს, ყმებს აჯანყებისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ამრიგად, მთქმელი მოთავეა, ორგანიზატორი, დამწყები, გამყივანი ხმა მკვეთრია, შორს მიდის, ამღერებული ყოყინია, ბანი კი მასაა და გამარჯვებაც ამ მასაზეა დამოკიდებული. სიმღერა სწორედ ბანზეა დამყარებული. ბანი თუ ძლიერია და სწორი, სიმღერაც გამართული იქნება“...<sup>8</sup>

ა. ჟულაძის ეს ცნობა მეტად საყურადღებოა, მაგრამ ყოველთვის არ არის ზუსტი. ჟულაძეს შეცდომით აქვს აღნიშნული, „ბანს შემხმობარსაც ეძახიანო“. შეხმობა რომ იგივე ბანი იყოს, მაშინ ისინი ერთ სიმღერაში ვერ მოთავსდებოდ-

7 ა. ჟულაძე, ეთნოგრაფიული გურია, „მნათობი“, 1939, № 3, გვ. 184-185.

8 იქვე, გვ. 340.





ნენ, სიმღერაში ან ერთი იქნებოდა გამოყენებული, ან მეორე, მაგრამ როცა ერთ სიმღერაში ერთიც გამოიყენება და მეორეც, მაშასადამე ისინი სხვადასხვა ფუნქციისა და დანიშნულების ყოფილან. ეს მართლაც ასეა. შეხმობა მხოლოდ ნადურ სიმღერაში გამოიყენება, მხოლოდ ნადურისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ბანი თითქმის ყველა სიმღერაშია საჭირო.

საეჭვოა აგრეთვე, რომ ნადური სიმღერა ბატონყმობის დროს შეეთხზათ ყმა გლეხებს. სულ სხვა საკითხია თუ ვიტყვი, რომ ნადურ სიმღერებში ბატონყმური ურთიერთობის პირობებში შევიდა სოციალური უთანასწორობის ამსახველი ლექსები. საერთოდ მართო ბატონყმური ინსტიტუტის სიმძიმით არ შეიძლება აიხსნას ნადურ სიმღერებში ლექს-საჩივრის გაჩენა. მართალია, ქართველ გლეხობას ჰყავდა შინაური მტრები — თავადებისა და აზნაურების სახით, მაგრამ ყველაზე უფრო საშიში მისთვის მაინც გარეშე მტერი იყო. საქართველოს ისტორიაში მრავალი შემთხვევა ყოფილა, როცა სოციალური უსამართლობის გამო, შინააშლილობის მიუხედავად, გამოჩენილა თუ არა გარეშე მტერი, დროებით დაუვიწყრიათ შინაური აშლილობა და სამშობლოს დასაცავად ბრძოლის ველზე შეერთებული ძალებით გამოსულან, თუმცა შინაური სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც არ იყო მოხსნილი დღის წესრიგიდან.

აპ. წულაძე აღწერს აგრეთვე სამუშაოს დამთავრების შემდეგ ნადის მიერთებით ხის მოჭრის ჩვევასაც. ეს ჩვევა მას „ბატონობის მოთხრის დამახასიათებელ მოსაგონარად“ მიაჩნია. დ. ჯანელიძის მოწმობით ეს ჩვეულება წარმართული კულტის გადმონაშთი უნდა იყოს.<sup>9</sup> ს. მაკალათიას აზრით, „ეს მშვიდობის, დღეგრძელობის და მტერზე გამარჯვების ნიშნად ითვლებოდა“.<sup>10</sup>

თოხით ხის მოჭრის ჩვეულება ჰქონდათ აჭარაშიც, კერძოდ, ქობულეთში, რასაც, ჩვენი აზრით, არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს ბატონყმურ ურთიერთობასთან. არც დ. ჯანელიძის ცნობა უნდა იყოს სწორი.

საესებით ვეთანხმებით თ. ოქროშიძეს, რომელიც წერს:

„რას გულისხმობენ მკვლევარები ამ წარმართულ კულტში, არ ვიცი. თუ ხის კულტზეა ლაპარაკი, მაშინ მისი მოთხრა, მოსპობა, განადგურება რატომ უნდა ნიშნავდეს დღეგრძელობასა და გამარჯვებას. ხის კულტი მოითხოვდა წმინდა ხისადმი თაყვანისცემას, სასოებით მოპყრობას, ხელშეუხებლობას: „ფშავის სამლოცველო — ხატების გარშემო მდებარე ტყეები წმინდაა და შეუვალი. იქიდან ნაფოტის გამოტანა არ შეიძლება... წერს ეთნოგრაფი ვ. ბარდაველიძე: მისივე აღწერით: „წმინდა ცაცხვი რკონში ჯავახიშვილების საგვარეულო სალოცავად ითვლებოდა. როცა მათ გვარში ვინმე ავად გახდებოდა, მოდიოდნენ ცაცხვთან და ათვალერებდნენ მას. თუ ცაცხვს ტოტები ყველა მთელი აღმოაჩნდებოდა, მაშინ ავადმყოფი მორჩებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასიკვდილოდ იყო განწირული“.<sup>11</sup>

ჩვენი აზრით საკითხი შემდგომ საფუძვლიან კვლევას მოითხოვს. განვიხილოთ ქობულეთური ნადური ლექს-სიმღერები ზოგადად იმ თანმიმდევრობით, როგორც იგი ყანაში სრულდებოდა.

9 დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948, გვ. 39.

10 ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 371.

11 თ. ოქროშიძე, ნადური ლექს-სიმღერები, ლიტერატურული ძიებანი, თბილისი, 1956, ტ.



პირველ სიმღერად ნადი „მშვიდობას“ იმღერებდა.

„მოვიდოდა მშვიდობაო,  
მშვიდობა თუ გამარჯობა“...

სიმღერა „მშვიდობის“ ლექს-საჩივარში ალეგორიულად მტრის ჯარის შე-  
მოსევა უნდა იყოს გადმოცემული.

მოვიდოდა წყალი შავი,  
მას მოხონდა გველი შავი.

„შავ წყალში“ მტრის ლაშქარი უნდა იყოს ნაგულისხმევი, ხოლო „შავ  
გველში“ — ლაშქრის მეთაური, ბელადი, რომელსაც დარბევა, აწიოკება და  
დაპყრობა განუზრახავს. საერთოდ შავი ფერი გლოვის სიმბოლოა, ხოლო „გვე-  
ლი შავი“ უღმრთო მტერია, რომელსაც გლოვა მოაქვს.

ლექს-საჩივრის შემდეგ სტროფებში მოცემულია სამზადისი მტრის დასა-  
ველრად:

ადგა ვაჟმა შეიკაზმა,  
ტანს ჩაიცვა საომრები,  
გადიკიდა წელსა ხმალი,

ხელსა, შუბი დაიჭირა,  
შეჲდა ცხენსა ბედაურსა,  
შეხვა წყალსა კოდმის პირსა.

როგორც ჩანს, შეიარაღებული და ამხედრებული ქართველი ჯარი მტერს  
მოუშვადებელს მიუსწრებს ხევში დაბანაკებულს და ადვილად ამარცხებს. გვე-  
ლის მოკვლის ამბავში გადმოცემული უნდა იყოს ორთა ბრძოლა, როცა საბრ-  
ძოლველად გამზადებულ ჯარებს შორის გამარჯვების ბედს წინამძღოლთა შე-  
ჯახება-შერკინება წყვეტდა:

გაღუხედა მალლიდანა,  
იწვა გველი ლილაზეო,  
თავი ხონდა ქვიშაზეო.  
გადაწვადა შუბის წვერი,  
ამოვიღე გველი შავი;  
ამოვიღე, დავდექე ქვასა.

დავდექე ქვასა რეალისასა,  
მაწყენარი კაცის თავსა.  
ჯიბეს ხელი გავიყარი,  
ამოვიღე ჯაყვაჲ დანა,  
გოუქნიე, შვა გავჲარი,  
გავასხმიე სისხლის შხამი.

შემდეგ იწყება დამარცხებული მტრის მოსპობა-განადგურება:

ავჩარიქე, დავჩარიქე,  
ორ ყურ ქვაბში ვერ დავტიე,  
ქოთანაში არ ჩანაო,

ვალულე და ვაჟაფაჲე,  
გავიტანე მალალ სერზე,  
გავქნიე და გავაქროლე.

„მაწყენარ კაცში“ („დავდექე ქვასა რეალისასა, მაწყენარი კაცის თავსა“...)   
სამშობლოს მოღალატე, გამცემი უნდა ვიგულისხმოთ, რომელმაც უღალატა  
ხალხს, მიემხრო მტერს და ასწავლა გზები სამშობლოს დასარბევად, ხალხის ასა-  
წიოკებლად. გმირმა, რომელმაც მტრის ჯარი დაამარცხა, მათი ბელადი სწორედ  
ამ მაწყენარი კაცის თავზე დააკლა.

მეორე სიმღერად „ვაი თუ დილას კურდღელმაო“ იმღერებოდა.

ხალხის რწმენით, დილას სამუშაოზე მიმავალს თუ პირველად კურდღელი  
შეხვდებოდა, ცუდის მომასწავებელი იყო. იგი ან უნდა მოეკლა, ან იმ დღეს  
სამუშაოზე ხელი უნდა აეღო. მონადირე რომ სანადიროდ მიდიოდა, თუ პირვე-  
ლად ტურას დაინახავდა, სიამოვნებით აგრძელებდა გზას, კურდღელი თუ შეე-  
ფეთებოდა და ვერ მოკლავდა, ნადირობაზე ხელი უნდა აეღო და უკან დაბრუ-  
ნებულიყო.





რატომ ერიდებოდნენ ადრე დილით მუშაობის დაწყებამდე კურორდის შეხვედრას? იქნებ მართო იმიტომ, რომ კურორდელი ძველთაგანვე ბოროტ სულად ითვლებოდა, ანდა იმიტომ, რომ მას მეურნეობისათვის ზიანი მოაქვს? ვფიქრობთ, რომ არა; ამ ლექსში მანვე სულად წარმოდგენა სულ სხვა იდეას უკავშირდება.

სიმღერის ტექსტი ასეთია:

ვაჟ თუ დილას ყურდგელსაო,  
კიდე გვერდი მირბინაო;  
აბა, დაეხვი შარაზეო,  
კიდე ვტყორცნე ისარიო,  
აბა მოვკალ კურდღელიო...  
აბა მოვკალ კურდღელიო,  
ოთხივეზე დაქვდიო,  
აბა ნალი ავაძრეო,  
აბა ნალი რაისაო,  
აბა ნალი ოქროსაო.

კიდე მზე მკედელსაო,  
აბა რაის მკედელსაო.  
კიდე ოქროს მკედელსაო.  
კიდე თოფი ვაჭედიო,  
კიდე მივხარ-მოვხარეო.  
კიდე მზე მკედელსაო,  
აბა რაის მკედელსაო.  
კიდე ოქროს მკედელსაო.  
აბა ცული ვაჭედიო,  
კიდე ცული ბერძულიო.

ლექსის გაგრძელებიდან ჩანს, რომ მოკლული კურდღელი ოთხივე ფეხზე დაქვდილი აღმოჩნდა ნალით.

მოყვანილ ტექსტში თავისებურ ალეგორიასთან გვაქვს საქმე. კურორდელში მტრის მოწინავე რაზმი, მშვერავი უნდა ვიგულისხმოთ, რომლის ოქროთიც გამარჯვებული ხალხი იარაღს სჭედავს და მტერს მამაცურად უხვდება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალი: ლექსში „თოფი ვაჭედიო“ („კიდე თოფი ვაჭედიო“) შემდეგდროინდელი დანამატი უნდა იყოს. თოფის მაგიერ აღრინდელ ვარიანტში ხმლის გამოკვდება იქნებოდა. თოფის გაჩენის შემდეგ, როგორც ჩანს, ხმალი ამოუღიათ და თოფი შეუტანიათ (თოფის ჩამოსხმა შეიძლება, ხოლო გამოკვდება — ცულისა და ხმლისა).

ნადურ სიმღერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოციალური ხასიათის ლექსებს, ერთმანეთთანაა დაპირისპირებული გლეხი, თავადი ან აზნაური. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი: „ქალი ვიყავ აზნაური“.

გლეხკაცს შეუყვარდება აზნაურის ქალი, მაგრამ ქალი დიდ უარზეა, თავი-ლობს გლეხკაცზე წაყოლას. საქმე იქამდე მიდის, რომ გლეხი მოიტაცებს ქალს და მიჰყავს. კაცი ქალს ცხრა მთას გადაატარებს, მეათეზე დაჩოქილი ევედრება შეიყვაროს იგი. შემდეგ რიონში ჩაგდებითაც დაემუქრება, მაგრამ ვერ დაითანხმებს, ბოლოს გაბრაზებული გლეხი ქალს რიონში ახრჩობს!

ქალი ვიყავ აზნაური,  
გლეხმა კაცმა მითხუაო,  
დღეს მითხუა, ხვალ მივხვარო,  
არ მივხვები თავის ნებით,  
მომიტაცა, წამიყვანა,  
ცხრაი მთაი ზრუგით მზიდა,

მეათეზე დამსვა ზეთა.  
მომიბრუნდა ერთი მკითხა:  
თუ ჩემი ხარ, ჩამეხვიე,  
თვარა რიონს ჩავაგდეო.  
გლეხო, შენსა ჩახუნასა,<sup>12</sup>  
რიონს ჩაჭრა მირჩონია.


ქალს, რომელიც სოციალურმა ზვიადობამ იმსხვერპლა, მიაკითხავენ კირი-სუფლები. ქალი წყლიდან ამოსძახებს:

„დედაჩემო, ბედნიერო,  
მე აქედან ვერ ამოვალ,

შენ ნუ ჩამოიხრჩობ თავსა.  
დაჭედი და ის არჩიე,

12 „ჩახუნა“ — ანუ ჩახვევნა.





რაც უნდოდეს წყალში მრჩეალსა,  
წყალწლებულს საცოდავსა,  
ასი წირვა, ასი ლოცვა,

ასი მისი პანაშვიდი,  
იმ ღუნზა<sup>13</sup> მომეხმარე“...<sup>14</sup>

როგორც აღვნიშნეთ, შრომის სიმღერებში ყველა ჟანრის ლექსს გვხვდება. საინტერესოა „ჩიქურას“ ტექსტი „ელია თუ მელიაო“ (მეთხე სიმღერა). ლექსი ალევორიულად იწყება: რომ ჩიტი მოუწველიათ, მოწველილი რძის ნაღებისაგან ერბო დაუშვადებიან და გასაყიდად ქალაქში წაუღიან.

„ელია თუ მელიაო,  
ჩიტი მომწველიაო,  
ერბო მისი მონახადით,

კოთხო დამიტენიაო,  
ქალაქს ჩამიტანიო,  
ფასად გამიყიდიო“ და ა. შ.

მეხუთე სიმღერად ყანაში ჩიქურა—„მთას ხოხობი აფრენილა“ სრულდებოდა. ეს სიმღერა სასადილოა. სადილობამდე სამი ან ოთხი სიმღერის შესრულება შეიძლებოდა მოესწროთ. სხვა სიმღერები სადილობის შემდეგ სრულდებოდა.

გამოჩნდებოდნენ თუ არა მესადილენი, ან ვინმე დაიძახებდა თუ არა — სადილი მოაქვთო, მაშინვე დაიწყებდნენ, ან როგორც ადგილობრივად უწოდებენ, — „აიყვანდნენ“ სასადილოს — „მთას ხოხობი აფრენილა“.

„თუ მაინძელს ნადი უყვარს  
გადიწურა სადილობა“.

ლექსში გაზაფხულის საგალობელი და ნადირობის ამბებია გადმოცემული:

„მთას ხოხობი აფრენილა,  
დაბლა ქალას ჩაფრენილა.  
ჭიჭვობაზე ჭიჭვსა სჰამდა,  
მოლობაზე მოლასაო...“

ამის შემდეგ ლექს-საჩივარში უკვე იწყება ნადირობის ამბები:

„გამოსულან მეხოხბენი,  
იხეს იქერენ შევარდნითა“ და სხვ.

სადილის შემდეგ ჩიქურას რამდენიმე სიმღერა სრულდებოდა.

პირველ ჩიქურად სრულდებოდა „შარშანდელსა ნაყანევსა“. მას სხვაგვარად საჯავახურას და ქაქუთურასაც უწოდებენ. ლექსში გადმოცემულია შემდეგი შინაარსი: მონადირეები, მეძებრების საშუალებით, წააწყდებიან ჩიტის კვალს, დაედევნებიან და დაიჭერენ. აღმოჩნდა ბებერი ჩხიკვი. ჩხიკვი იწყებს ადამიანით ლაპარაკს. მონადირეებს სთხოვს, რომ გაუშვან, გაათავისუფლონ, სამაგიეროდ ჩხიკვი მონადირეებს ჰპირდება ძღვენს:

„შენ ბატონო, კარქო კაცო,  
კარქო დედა-მამის შვილო,  
უკეთესი სახლის შვილო,  
შინ გამიშვი, შინათასა,

ვეტყვი გოგოს — თინათასა,  
ძღვენს მოგიტანს გვარიანსა,  
დედალ-ყვერულ ვარიასა...“

მეორე ჩიქურა იყო „შავი შაშვი ჩიოდაო“. შავი შაშვი მთაზე წასვლას დაპირებს. კიდევ მიფრინავს, მაგრამ მთებში თოვლი ჩამოწოლილა. შაშვი ბარში

<sup>13</sup> ღუნზა (თურქ.) — ქვეყანა. აქ ნიშნავს: იმ ქვეყნისათვის, სამოთხისათვის მომეხმარე შენი ლოცვა-კითხვითაო.

<sup>14</sup> მოყვანილი ლექსი იმღერება ნაღურ „ჩიქურაში“, რომელიც რადიო „მშვიდობისა“ და „ვაი თუ დილას კურდღელმა“-ს შემდეგ სრულდება.





ბრუნდება. აქაც თოვლი დახვდება. შეწუხებული მეზობლებს დახმარებას სთხოვს. ბოროტი კაცი მას სუროზე მახეს დაუგებს და დაიჭერს:

„აღმა ჩიტმა, ზეთ შეფრინდა,  
ფეხი დაჰკრა მახეზეო,  
კლიკი აღმა, თავი დაღმა“...

შემდეგ ჯიქურად იმღერებოდა „ქორი თეთრი ჭანდარზეო“. სიმღერის ლექსი სრული სახით არ შემონახულა. გვაქვს ფრაგმენტი:

„ქორი თეთრი ჭანდარზეო,  
მოწყენილა ჭანდარზეო,  
ბაზიარში ნაქები ხარ,  
ქორი მე მყავს ბედაური“...

მომდევნო ჯიქურა არის „მთას ირემი დაწოლილა“. მთაში მძინარე ირემს, რომელსაც გვერდში ნუკრი უწევს, მოულოდნელად წამოადგებიან მონადირეები. ირემი ევედრება, ნურც მე მომკლავთ და ნურც ჩემს შვილსაო. სამაგიეროდ იგი მათ ასწავლის:

„აგერ გაღმა მუხის ძირში,  
ფური წვეს და ხარი დგანა.  
მისი ხორცი სულ ჭონია,  
მსუქანი და გემრიელი,

ის ეყოფა შენსა ჯარსა,  
ხორცი მისი საჭენგელად,  
ქონი მისი საპნეკელად.  
ტყავი მისი ჩასაცემელად“.

მორიგ სიმღერად მოდიოდა გორდელა „ვამ თუ მუხა წოწინაო“. ლექს-საჩივარში ასეთი შინაარსია გატარებული: წაქცეული მუხის ადგილას კინტრიშის<sup>15</sup> წყალი ჩამდგარა. წყალში კალმახი გაჩენილა, რომლის დასაჭერად ბადეს ქსოვენ, ბადეს მძივს უკეთებენ, შემდეგ ნადირობენ თევზზე და კიდეც იჭერენ. ლექსი ორიგინალურია და რამდენადმე სახასიათო შინაარსისაა.

მღეროდნენ აგრეთვე ლექსს: „ჩიორაი ჩიოდაო“.

„ჩიორაი ჩიოდაო,  
ნეტა რას არ ჩიოდაო,  
ჩიოდა თუ ტიროდაო.  
თოფი ბატონს წაერთმია,

თურმე იმას ჩიოდაო,  
ფიშტო ჰქონდა მოქედლიო,  
იგი ბატონს წაერთმია,  
თურმე იმას ტიროდაო“...

შემდეგ მიდის ნადური სიმღერა—„ბებურს ხილსა ვაკეთებდი“. მასში გადმოცემულია დიალოგი კოჭლ ქალსა და ვაჟს შორის. ვაჟს, რომელიც ცხენს მოაგელვებს, უკან მოსდევს კოჭლი ქალი და მოსძახის:

„ბიჭო, აქეთ მოიხედე,  
სიკოკლითა რასა მწუნობ.  
განა კურდღელს მადვენებო,  
სახლსა კარგად შევინახე,  
თაროს დაგიკრიალებო.  
ვაიშვილსა კას ვაგიზრდი,

აკვანს მოგიწყრიალეფო,  
სადილს ადრე ვაგიკეთეფო,  
ვახშამს მოგიგვიანეფო...  
სიყვარულიც კაი ვიცი,  
კლავეზე ვაგივიგორეფო“.

ამის შემდეგ სრულდება ჯიქურას ციკლის სიმღერა: „ვამ თუ ელი ელობდაო“. ზღვის პირას მძინარე ქალს, რომელსაც პირზე დოლბანდი აბურავს, უცხო მამაკაცი კოცნის. მამაკაცმა ოთხჯერ აკოცა. პირველი კოცნით ფერი უქცია, მეორეთი პირზე დოლბანდი ააძრო, მესამეთი სისხლი აღინა, ხოლო მეოთხე კოცნით მოკლა კიდეც.

ქობულეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ნადური სიმღერა „ყარა-



ნაი“. ყარანა ძალზე პატარა ჩიტია. როგორც ჩანს, ყარანაი შეიძლება აგრეთვე ერქვას ზედმეტ სახელად მამაკაცსაც, რადგან ლექსში ნათქვამია:

„ყარანაის ყანაშიო,  
ყარანაი მიწხოვია,

იქა უსვამს, უჭამია,  
მეტად გასუქებულაო...“

ყარანას მახეს დაუგებენ და იჭერენ, შემდეგ მას ორმოცი ოყა ნალით სჭედვენ, ხუთას ოყა ქერს თერქზე (უნაგირზე) ჩამოკიდებენ, ზედ შეჯდებიან და გააჭენებენ. ბოლოს ყარანა გადავარდება კლდიდან და ფეხს მოიტეხს. ყარანას დაკვლაზე ფრანგული ხმალი გადაუტყდებათ, ფრთიან ცულს ტეხენ იმის შუა ძეგლზე. ბოლოს ნათქვამია:

„...ასი ფუთი ხორც გამოვდა,  
ასი კაცის ხისე იყო,  
დიდვაჟარის ლუკმა იყო...“

ამის შემდეგ ჯიქურას ციკლის ორი სიმღერა მოდის. პირველია „ელია თუ მელიაო“. მისი ლექსი ასეთია: ქალაქში მოელიან ლომგმირს, მის ნაცვლად დაბრუნდება თეთრი ქორი, რომელიც მოწყენილი ზის ქანდარაზე. ბაზიერი პირობას იძლევა:

„მე თუ ქორი ქე მომიკტა  
ისე ვირბენ სამ წელიწადს,  
არას არ ვჭამ ხორცისოულსა:  
იხვისა და ხობხის მეტსა.  
ასე ვიმგლოვ სამ წელიწადს,  
არას ფხარზე გამოვიდებ —  
ყირიმული თოფის მეტსა.“

არას ფხარზე გადვიციდებ —  
გაქვდილი ხმალის მეტსა.  
არას ტანზე არ ჩაიცვამ  
იმ სკალატის ჩოხის მეტსა.  
არას ცხენზე არ შევედები,  
არაბულებ შეკაზმულსა... და სხვ.

მეორეა ჯიქურა „ალვის ხეი მოხეთქილა“. სიმღერაში გამოყენებულია ხალხში გავრცელებული პოპულარული ლექსი: შვილი უყვება დედას სიზმარს:

„ალვის ხეი მოხეთქილა,  
ნეტაი, დედავ, რაო.“

შვილო შენი ტანი არი,  
ვაი, შენს დედასაო. და ა. შ.

ამ ლექსის სხვადასხვა ვარიანტი საქართველოში ფართოდ არის ცნობილი. პოპულარულია რიგით მომდევნო სიმღერა: „ბერი კაცი ჩაჩნაბერი“.

„ბერი კაცი, ჩაჩნაბერი,  
ჩაჩნა ჩამარგალიტული.  
ადგა ბერმა შეიკაზმა,

ტანს ჩაიცვა საომრები.  
გადიკიდა წელზე ხმალი,  
შეჯდა ვირსა კულჯონჯალსა“.

ბერ კაცს წინ მელანი შეხვდება, ვირს შეევაჭრება და დიდ საფასურს შეაძლევს. ბერი კაცი არ თმობს ვირს. გაბრაზებულმა მელანმა:

„წაუძგუფა ვირსა კული,  
წაუხდინა ვირის ფასი:  
შენი ვირი კიტრად ღირდა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ მელანი დამახინჯებული სახელწოდებაა ამირანისა. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ლექსში ხალხურ „ამირანიანში“ მოხსენიებული ჩაჩნაბერი გვხვდება. თუ ეს ასეა, მაშინ ამ ლექსის სახით საქმე გვაქვს ხალხური „ამირან-დარეჯანიანის“ უკვე დავიწყებული აჭარული ვარიანტის ფრაგმენტებთან.

„ბერი კაცი ჩაჩნაბერის“ შემდეგ „ლელა“ იმღერება. მისი სრული ტექსტის დადგენა არ მოხერხდა. გადარჩენილია დასაწყისი 5 პქარი:





„ლელო, ჩემო ლელო,  
მოხევი ნელა-ნელა,  
ახალციხეს გათხოვენ,  
ბერს გაძლევენ,  
ლომისა საცხველო...“

რიგით მეცხრამეტე სიმღერის ტექსტად გამოყენებულია ცნობილი ხალხური ლექსი „კურდღლის სიზმარი“.

„კურდღელმა სთქვა: ჩირგვში ვზივარ,  
ვერვინ მოვა ჩემზედო,  
შევიხედე სერზედო,  
ბატონი ზის ცხენზედო“...

მეოცე სიმღერად ზემოაღნიშნული „წერეთიეა“, „ქალო შავო, შავითაო“ სრულდება. ლექსში მოთხრობილი ამბის ერთი ნაწილი ახალციხესა და იმერეთში უნდა მომხდარიყო.

„ქალო შავო, შავითაო,  
მოწერილობარ კალმითაო,  
ვინ მოგწერა, ვინ მოგხატა,  
ვინ გიღება წარბი წვრილად,

წარბი წვრილად, შუბლი ბრტყელათ,  
თვალწამწამი მელნის ფერათ.  
დღეღამა თუ დეიდამა?“

და შემდეგ:

„გიახელი ახალციხეს  
ჩასავალსა დიდ ოღამი.“

დამედარიყო ფაშის ცოლი,  
ფაშის ცოლი, ხუცის ქალი...“

ამის შემდეგ სიმღერა „ღუპა“ მოდის, რომლის ლექს-საჩივარს ცნობილი ხალხური ლექსი „სანთლის გუთანს ავაშენებ“ უდევს საფუძვლად.

ოცდამეორე სიმღერად ნაღური „ზეცას აველ, ზეცა ვნახე“ იმღერება. იგი ჭიქურას ციკლში შედის. ლექსის სრული ტექსტი ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მხოლოდ დასაწყისი ნაწილია ჩვენთვის ცნობილი:

„ზეცას აველ, ზეცა ვნახე,  
მასკლავებსაც დავენახე,

მთვარემ კაცი მომიგზავნა,  
შინ თუ იყავ, რათ არ მნახე“.

უკანასკნელ სიმღერად ჭიქურა „გველი ხვრილსა მიძვრებოდა“ ითვლება. მისი შინაარსი ასეთია: საღამო ხანს, ცხრა და გამოსულა სასაიროდ, მათ გველი შეეყრებათ, იგი უმცროს დას მოიტაცებს და მაღარაში (გამოქვაბულში) შეიყვანს. უმცროსი და რიგ-რიგობით სწერს წერილს: დედას, მამას, დას, ძმას და ბიძას:

„მამა ჩემო ბედნიერო,  
შენ მიშველე, მომეხმარე.  
შენი სიძე წითურია,

დღეი კაცათ მეჩვენება,  
ღამე გველვეშაიო“.

და ა. შ.

როგორც ზემოთ გვაქვს მოხსენებული, ქობულეთის რაიონში ოცდათორმეტამდე ნაღურ სიმღერას მღეროდნენ. მათგან ჯერჯერობით ოცდაოთხი ნაღური ლექს-სიმღერის დადგენა მოხერხდა. შემდგომი კვლევა, ვფიქრობთ, შესაძლებელს გახდის სრულყოფილად იქნას დადგენილი და შესწავლილი ნაღური სიმღერების ადრინდელი რეპერტუარი.

ამ ზოგადი მიმოხილვითაც ვფიქრობთ, შესაძლებელია ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ ქობულეთში გავრცელებული მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნაღური ლექს-სიმღერების თავისებურებაზე, მათ მსგავსებაზე თუ გან-



ბასხვავებელ ნიშნებზე საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ ნაღურ სიმღერებთან, ყოველ შემთხვევაში ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ:

ქობულეთური ნაღური სიმღერები ძირითადად გურული ნაღური სიმღერების კომპლექსში უნდა იქნას განხილული.

ქობულეთური ნაღურის ერთ-ერთი თავისებურება, თუ გინდ უპირატესობა, გურულ ნაღურთან რეპერტუარის მრავალრიცხოვნებაში მდგომარეობს. საქართველოში ქობულეთის რაიონი ერთადერთია, სადაც დღესაც ვხვდებით ოთხხმიან ნაღურ სიმღერებს.

ქობულეთურისაგან განსხვავებით რამდენადმე თავისებურია აჭარისწყლის ხეობის ნაღური სიმღერები. აქ ნაღურ სიმღერას ასრულებს ერთი დამწყები (რომელსაც ქობულეთში „მომღერალს“ ეძახიან), ერთი გამყივანე და სამი ან ოთხი ბანი. „შემხმობარი“ ანუ მეოთხე ხმა აქაურ ნაღურს არ ყავს. სამაგიეროდ სიმღერა ძირითადად ბანს ემყარება (ქობულეთში კი ბანი სიმღერის შიგადაშიგაა საქირო).

ზოგიერთ მკვლევარს გურული ნადის თავისებურებანი გაიგივებული აქვს საერთოდ დას. საქართველოს თავისებურებებთან.<sup>16</sup> როგორც ქობულეთის მასალებიდან დავინახეთ, აქ ნადი ყოველთვის მთლიანად მღეროდა ნაღურ სიმღერებს. მხოლოდ ამის შემდეგ, სიმღერის დაძლევისა და სამუშაოს დამთავრების ნიშნად „ელესას“ ასრულებდნენ, რომელიც არსებითად ხის დამუშავებასთან (ხის გამოთრევასთან) დაკავშირებული კოლექტიური, ნაღური სიმღერაა.

\* \* \*

აჭარისწყლის ხეობის ნაღური სიმღერების უმეტესობა, ქობულეთურისაგან განსხვავებით, უსიტყვოა, ზოგჯერ სიმღერებში გამოურევენ ლექსსაც, რაც თემატიკურად ძირითადად სატრფიალოა: იშვიათად ვხვდებით საყოფაცხოვრებო ლექსებსაც. სიმღერების სტრუქტურა, მუსიკალური წყობა, შეძახილების მრავალრიცხოვნება გვაფიქრებინებს ვთქვათ, რომ აქ ლექსს შედარებით გვიან უნდა ეჩინა თავი ნაღურ სიმღერებში.

აჭარისწყლის ხეობის სამიწათმოქმედო შრომის ლექს-სიმღერები შემდეგი რიგით უნდა იქნას განხილული: სიმინდის სამუშაოებთან, სამკალთან და მევენახეობასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები.

ამათგან შედარებით მრავალრიცხოვანია სიმინდის სამუშაოებთან დაკავშირებული ნაღური სიმღერები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიმღერები ადრე სიმინდის კულტურის გავრცელებამდე დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შრომის პროცესებთან (ლომი, ვენახი, პური), მაგრამ გვიან, ამ კულტურების გადაშენების შემდეგ, აღნიშნული სიმღერები შეეხამა სიმინდის სამუშაოებს, ზოგიერთ მათგანში ახლაც ვხვდებით სამკალი სიმღერებისათვის დამახასიათებელ შეძახილებს.

სიმინდის სამუშაოებთან დაკავშირებული სიმღერებიდან ფართოდაა გავრ-

16 ვ. შილაკაძე, ნაღური სიმღერების დამამთავრებელ ნაწილად ყველგან „ელესას“ თვლის. იგი წერს: „ნაღური ყოველთვის მთლიანად არ იმღერებოდა და ჩვეულებრივ, დამოუკიდებელ სიმღერად ცნობილი „ელესა“ ნაღურის დამამთავრებელ ნაწილად გვევლინება“. იხ. ვ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის, თბილისი, 1949, გვ. 39.

6. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტ., შრ., ტ. I



ცელებული ნადური „დიელო“, „რაშა“ (ზოგან ამ სიმღერებს უბრალოდ ყანური ეწოდება) და „ხელხვაი“. ხეობის სხვადასხვა რაიონში გვხვდებით დასახელებული სიმღერების თავისებურ ვარიანტებსაც.

ეს სიმღერები ორგუნდოვანი (ორბირი) და ორ ან სამხმანი სიმღერებია. თითო გუნდში მღერის საშუალოდ 6-8 კაცი (დამწყები, 1 მოძახილი, დანარჩენი ბანი).

„დიელო“ საკმაოდ ძნელად შესასრულებელი სიმღერაა. „დიდი სული უნჭმონდეს კაცს, რომ ბოლომდე მიიყვანოს ეს სიმღერაო“ — ამბობენ აჭარაში. „დიელოს“ ძველ ვარიანტს ლექსი არა აქვს. ახალ ვარიანტებში კი გვხვდება, როგორც შრომის ამსახველი, ისე სატრფიალო და სხვა ჟანრის ლექსები.

მაგ. 1. ქელაში —

1. მიყვარდა ჩიტის ჭერაო,  
მალლიდან გადმოფრენაო.

2. შუახევში. —

1. ვთოხნოთ, ვთოხნოთ ჩვენ ყანები,  
თოხნური დავაგუგუნოთ;  
კარგად ნათოხნი ყანები,

3. ხულოში —

სულ კოხტად ავაბიბინოთ. <sup>17</sup>  
სიმინდს ძირი უხმებოდა,

თურმე გაჰკრა სანიელი (თბილი ქარი — ჯ. ჩ)

დროზე უნდა სიმინდს ბარვა<sup>18</sup>

თველზე არ დარჩეს მშვიერი.<sup>19</sup>

ნადურ სიმღერებში სატრფიალო ლექსების სიჭარბეს აქ ასე ხსნიან: „შრომა ისედაც გვიმძიმდა და შრომის სიმღერებში სატრფიალო ლექსების ჩართვით დროებით მაინც ვივიწყებდით შრომის სიმძიმესო“. ჩვენი აზრით, ამავე მიზეზით უნდა ავხსნათ ის გარემოებაც, რომ სამიწათმოქმედო შრომის დროს, განსაკუთრებით შესვენებისას, დიდი ადგილი ექირა გაშაირებას და იუმორისტული ხასიათის ლექსებს.

მოგვეყვას გაშაირების რამდენიმე ნიმუში ქალების ნადის დროს (ლორჯომის მასალები):

1. „ნეტა რამა მაცოდინა,  
კაბის კოტი რას აყეთებს,  
შენ რომ გლახა ქალი იყნე  
კაბა ხომ არ გაგაკეთებს“.

2. „ჯიფეში მაქ აბაზი,  
მე ვარ გოგო ლამაზი...  
ჯიბეში მაქ მანათები,  
მივალ-მოვალ ვენათები“...

ჯიფეში მაქ ორიანი,  
შენ რაღათ იქ ფორიანი...  
ხერტალი გვაქ შუაქრელი,  
შენ ყოფილხარ თვალჭრელი“ და ა. შ.

ნადური „რაშა“ საკმაოდ პოპულარული სიმღერაა აჭარაში. იმღერება თითქმის ყველა სამიწათმოქმედო სამუშაოს შესრულების დროს. განსაკუთრებით მაშინ, როცა მუშაობის ტემპი სწრაფია და მას შეჯიბრების ხასიათი აქვს. ეს სიმღერაც ადრე უსიტყვოდ სრულდებოდა. ლექსს მასში შედარებით გვიან უნდა ეჩინა თავი. ამას ადასტურებს უხუცეს მომღერალთა შესრულებით ჩაწე-

<sup>17</sup> ჩაწერილია ჭვანის ხეობაში, სოფ. ქალაში.

<sup>18</sup> „ლორჯომში სიმინდის თონაზე იტყვიან „სიმინდი ვბართო“. ხიზაძირში და ქელაში თონას — ფხეკას ეძახიან. ზოგ ადგილებში ამბობენ თონასაც და მარგველსაც. მარგველა გამეჩხრებასაც ნიშნავს.

<sup>19</sup> ჩაწერილია სოფ. აგარაში.



რილი აღნიშნული სიმღერის ძველი ვარიანტი, რომელიც ულექსოდ სრულდება. სიმღერას ლექსის ერთი დადგენილი ვარიანტი არა აქვს. ამბობენ იმ ლექსს, რომელიც გაახსენდებათ ხოლმე, „გახსენებულ“ ლექსებში სატრფიალო პოეზია სჭარბობს.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდის მთქმელი (დამწყები). სიმღერა ნელი ტემპით იწყება. ერთი, საკმაოდ გრძელი მუხლის დამთავრების შემდეგ იწყებს მეორე გუნდი, შემდეგ კვლავ პირველი და სიმღერა თანდათან სწრაფი ტემპით ვითარდება, შესაბამისად ჩქარდება მუშაობის ტემპიც. სიმღერის ფინალი იმდენად სწრაფია, რომ ერთი გუნდი მეორეს ეცილება მუხლობრივ შესრულებაში. სიმღერის ფინალური ნაწილი დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- |                            |                             |
|----------------------------|-----------------------------|
| 1 გუნდი — ო, რერა, რაშა... | 1 „ — ავუჩქაროთ, რაშა...    |
| 2 „ — რერი, რერა, რაშა...  | 2 „ — უნდა ვთონოთ, რაშა...  |
| 1 „ — ბიჭო, მიდი, რაშა...  | 1 „ — დარტყით თოხი, რაშა... |
| 2 „ — რერი, რერა, რაშა...  | 2 „ — რერი, რერა, რაშა...   |
| 1 „ — ტაში ვუთხრათ რაშა... |                             |
| 2 „ — რა იქნება, რაშა...   |                             |

ორივე გუნდის ბანი ფარავს მოძახილს. სვრელი თანდათან პატარავდება, ბოლო, როცა თავამდე აიტანენ ნაპირს, სიმღერა კვლავ ძველ კალაპოტში ვარდება.

ორივე სიმღერა სამუშაოს დამთავრების შემდეგ ხშირად ტაშში გადადის და ცეკვით მთავრდება. შემდეგ თოხის ტარს რამდენიმე კაცი თავსა და ბოლოში მოკიდებს ხელს, შესვამენ ზედ მასპინძელს და წაიყვანენ სახლში შეძახილებით: „ყანის პატრონო, ყანამ გიკეთოსო“. მასპინძლის სახლში ნაღს ვახშამი ელოდება; დაღლილი, მაგრამ მხიარული ნადი გზაზე „მგზავრულს“ მღერის. ვახშმის შემდეგ იწყება საერთო გართობა — სიმღერა, ცეკვა; ზოგჯერ მთელი სოფელი მოაწყდება ოჯახს და დილამდე გრძელდება მოღვნა. შრომის სიმღერებს ცვლის სატრფიალო ან სახუმარო სიმღერები, ეწყობა ტრადიციული გართობა-თამაშობანი, მასპინძელთან შეხუმრება, საჩუქრების მოთხოვნა და ა. შ.

სახუმარო და სატრფიალო სიმღერებში ქარბადაა წარმოდგენილი ისეთი სტროფები, როგორიცაა:

- |                                                                                                       |                                                                                                         |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1. ბატმა უთხრა ქათამსა,<br>რას იქებ ჩემთან თავსა;<br>ერთი კვერცხი რომ დადვა,<br>პატრონს აუტკენ თავსა. | 2. ავი დარი მოიშალა,<br>ზეცამ დიწყო გუგუნნი;<br>ღმერთო მალე მოგვასწარი<br>ამ გოგების ღუგუნნი (ქორწილი). |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------|


ან კიდევ:

გოგოვ, გოგოვ, შაშვია,  
ჩითის კაბა გაცვია;  
მინდორ-მინდორ მიხვიდოდი,  
ბიჭმა წამოგაქცია.

ვახშმობის დროს შესრულებული სიმღერების ანალიზი შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობთ, საკმარისია ითქვას, რომ ამ სიმღერების რეპერტუარი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.

დ. არაყიშვილი თემატურად ცალკე გამოყოფს მინდვრის სამუშაოებიდან დაბრუნების სიმღერებს და მას ქართველების დამახასიათებელ თვისებად თვლის.





სამუშაოდან დაბრუნების სიმღერებიდან არაყიშვილი გამოყოფს პეროცულ, იუმორისტულ და საგმირო სიმღერებს.<sup>20</sup>

ფრანგი მოგზაური გამბა გაკვირვებული შენიშნავდა, როგორ ძლებენ ქართველები ერთსა და იმავე დროს მძიმე სამუშაო შეასრულონ და თან ნადური იმღერონ, რომელიც არაფრისმთქმელი შეძახილებით სრულდებოდა.

კ. ბიუხერი შრომის სიმღერებს თანამედროვე კულტურულ ერებში წარსულის გადმონაშთად თვლის. იგი წერს: „ბევრი ხალხი, როგორც, მაგალითად, ზანგები და მალაელები, თითოეული ფიზიკური მოქმედების პარალელურად ასრულებს სიმღერებს, ეს ჩვეულება თანამედროვე კულტურულ ერებსაც შემორჩათ“.<sup>21</sup> ჩვენი კვლევისათვის ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. როგორ გადმონაშთადაც არ უნდა ჩავთვალოთ შრომის სიმღერების არსებობა კულტურულ ერებში, ერთი რამ ცხადია — ნადურ სიმღერას ხალხის შეაქვს შრომაში, მუშას დალილობას ავიწყებს და შრომაც გაცილებით ნაყოფიერია.

ასე ესმით ეს საკითხი აჭარაში, სადაც ამბობენ: „სიმღერა ლაპარაკის საშუალებას არ აძლევს კაცს და მუშაობას ხელს უწყობს“.

სიმინდის რჩევასთან დაკავშირებული, საქართველოში ფართოდ გავრცელებული „ხელხვაი“ აჭარისწყლის ხეობის სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი. მაგ., ქედაში „ხელხვაის“ დანიშნულებას სიმღერა „ჩათხრობილი“ ასრულებს (ქობულეთის, ხულოსა და შუახევის რაიონებში აღნიშნული სიმღერა „ხელხვაის“ სახელწოდებითაა შემონახული).

ქედაში ჩაწერილი „ჩათხრობილი“ როგორც მუსიკალური წყობით ისე რიტმითაც რამდენადმე განსხვავდება ცნობილი „ხელხვაისაგან“. „ჩათხრობილის“ წინა შესავალი ნაწილი უსიტყვოა და შესანიშნავი მელოდიურობით ხასიათდება, ფინალური ნაწილი ტაშში გადადის და ლექსით იმღერება, მაგ.:

„ლამაზი ხარ დიდებული (და)  
აბრიალებ შავ-შავ თვალებს,  
ლამაზობა შენ გიხდება (და)  
თავიც ნულარ მოგიკვდება“. და ა. შ.

საერთოდ აჭარისწყლის ხეობაში ნადური სიმღერების შესრულების ერთი დადგენილი რიგი არ არის. ქობულეთში იტყვიან ხოლმე: ეს სიმღერა მესამე სიმღერად სრულდება, ეს მეხუთედ, ეს მეათედო, და ა. შ. აჭარისწყლის ხეობაში ამა თუ იმ ნადურ სიმღერას ასრულებენ მაშინ, როცა სურთ. დილის, შუადღისა და საღამოს შესასრულებელი სიმღერების კლასიფიკაციას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ძნელად შესასრულებელი ნადური სიმღერა დილის საათებში იმღერება, აქ არ ვხვდებით.

უნდა აღინიშნოს მთელს ხეობაში გავრცელებული ზემოთ ჩამოთვლილი ნადური სიმღერების ცალკეული სოფლური ვარიანტების არსებობა (მაგ., ზუნდაგურა, მეძიბნური, გულეზური „დიელო“ და სხვ.). არსებითად ეს ვარიანტები ოდნავ შესამჩნევი თავისებურებით თუ გამოირჩევა ძირითადად გავრცელებული სიმღერებისაგან.

აჭარის მაღალმთიან სოფლებში მეცხოველეობა ძველთაგანვე სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. მოსახლეობის დიდი ნაწილი წელიწად-

20 Д. Аракишвили, Краткий очерк развития Груз. Карталино-Кахетинской народной песни, 1905, гл. 22.

21 К. Бюхер, Работа и ритм, 1923, гл. 34.



ში 6-7 თვეს საზაფხულო და საშემოდგომო საძოვრებზე იყო დაკავებული. მიუხედავად ამისა, თიბვისთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები აჭარაში ან საერთოდ არ იყო, ან კიდევ დროთა ვითარებაში დავიწყებას მიეცა.

სოფ. ლორჯოში 102 წლის მთქმელმა ეუბ ბერიძემ აღნიშნულის შესახებ გვითხრა: თიბვის დროს ვიმღერებდით ქართულ სიმღერებს, მაგრამ, კერძოდ რომელს, ვერ გეტყვით, აღარ მახსოვსო.

სხვების განმარტებით, — თიბვის დროს აჭარაში სიმღერა არ სრულდებოდა. ამას იმ მიზეზით ხსნიან, რომ სამუშაო მძიმეა და თიბვის პროცესში სიმღერა შეუძლებელია. გარდა ამისა, მომუშავეები გაფანტული არიან და ხმებს ვერ შეუწყობდნენ, ნადური სიმღერები შესვენების დროს სრულდებოდაო. ჩვენი აზრითაც აჭარის მთებისა და მაღალმთიანი სოფლების რელიეფი არ იძლევა თიბვის დროს ნადური სიმღერების შესრულების ხელსაყრელ პირობას, ამიტომ უფრო სარწმუნოდ განმარტების მეორე ვარიანტი უნდა მივიჩნიოთ.

ჭვანის ხეობაში საინტერესოა ნადის დროს საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენების უძველესი ჩვეულება. მაგ., თუ სოფელში ერთსა და იმავე დროს ორ ოჯახში იყო ნადი დაპატიჟებული, ერთში მოძღვრლებს მიიწვევდნენ, მეორეში კი დამკვრელებს და უპირატესობა ზოგჯერ დამკვრელებს ენიჭებოდათ. ახლა უკვე რთულდება დადგენა, ეს ჩვეულება რა დროს და რა ფორმებში სრულდებოდა მაშინ, როცა აქ მოსახლეობა პურეულს თესავდა და შრომის სიმღერებში სამკალ სიმღერებს თავისი მრავალრიცხოვნებით წამყვანი ადგილი ეჭირა. შრომის პროცესში ინსტრუმენტების გამოყენების ჩვეულება უძველესია და იგი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული.

ჭვანის ხეობაში საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენების ჩვეულება დღემდე შემორჩენილი. ნადს თავში ჩაუდგება ჭიბონი (გუდასტვირი) და მთელი დღის განმავლობაში შრომის ტემპის შესაბამისად რიტმულ ჰანგებს უკრავს.<sup>22</sup> უკრავენ შესვენების დროსაც. მაგ., სადილობის შესვენების დროს თუ ვინმე დაიძინებს, დანარჩენები მეჭიბონეს წინადადებას მისცემენ დაუკრას „სახუმარო საცეკვაო“. მეჭიბონეს უკან მუშები მწკრივად დაეწყობიან. ყველა მუშას წინმდგომის ქამარში აქვს ცალი ხელი ჩაქიდებული. ერთ მწკრივში ჩამდგარი მუშები ასრულებენ სასაცილო საცეკვაო ილეთებს: ჩამოუვლიან მძინარეებს, სცემენ წკებლებს, აღვიძებენ და აიძულებენ ცეკვაში ჩაბას. შემდეგ კვლავ ახალი ენერგიით ჩაებმებიან შრომაში. ჭვანაში საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენება თითქმის ყველა სამუშაოს შესრულების დროს ხდება.

საგულისხმოა, რომ საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენების ჩვეულების თითქმის არავითარი კვალი არ გვხვდება ქედისა და ხულოს რაიონებში. ვფიქრობთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი არ იყო ამ რაიონებისათვის დამახასიათებელი. აქ ერთი გარემოებაა საგულისხმო: ეთნოგრაფიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ თითქმის მე-18 საუკუნის ბოლომდე ჭვანის ხეობაში სიმინდის კულტურა აქა-იქ იყო გავრცელებული და სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი პურეულს ეჭირა. შესაბამისად შემოინახა ხეობამ მუშაობის დროს საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენების ჩვეულებაც, რომელიც შემდეგში უკვე

22 30-35 წლის წინ შუახევის რაიონში ს. ბარათაულიდან ს. წყაროთაში 5 კმ-ის სიგრიძის წყლის არხი იქნა გაყვანილი. მუშაობა თევების მანძილზე გრძელდებოდა. წყაროთელი მეჭიბონე სათმანძის გადმოცემით, იგი 3-4 თვის განმავლობაში თავში ედგა არხზე მომუშავეებს და დილიდან საღამომდე „ხორუმის“ მოტივზე უკრავდა.



სხვა სახის სამუშაოებშიც გვხვდება. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საკრავიერი ინსტრუმენტები მარტო პურეულ კულტურებთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის იყო დამახასიათებელი და ჭვანის ხეობაში დავიწყებას გადაურჩა იმიტომ, რომ აქ სიმინდმა შედარებით ძალიან გვიან განდევნა პურეული კულტურა? თუ ეს ასეა, მაშინ საკრავიერი ინსტრუმენტების გამოყენება აჭარაში სამკალი ლექს-სიმღერების პარალელურად უნდა მომხდარიყო.

სამკალი სიმღერები ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს ყველა მიწათმოქმედ ხალხებში. თემატურად უმთავრესად საყოფაცხოვრებო, საგმირო და სატრფიალო შინაარსის ლექსებს შეიცავს.

აჭარისწყლის ხეობაში პურეული კულტურები ადრე სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი უნდა ყოფილიყო. ზემო აჭარაში თითქმის ყველა ოჯახში მიუთითებენ ადგილს, სადაც კალო ჰქონდათ გამართული. ბევრ ოჯახში ახლაც აქვთ შემონახული ძველი კევერები. ეს გარემოება და აჭარაში დღემდე არსებული სამკალი სიმღერების ფრაგმენტები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აჭარაში სამკალი ლექს-სიმღერები საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ბევრ სიმღერას შემდეგში ჩაერთო სიმინდის სამუშაოების ამსახველი ცალკეული სტრიქონები და სიმღერა თითქმის შეეხამა სიმინდის სამუშაოებს, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა სამკალი სიმღერების თავისებურებანი.

აჭარაში არსებული სამკალი სიმღერების განხილვისას საყურადღებოა ჭვანის ხეობაში გავრცელებული ტერმინი „ხუხუნი“. საბას განმარტებით „ხუხუნი“ არის გატყორცნის ხმა. ჭვანის ხეობაში ახლა „ხუხუნი“ („ხუხუნა“) ქვია ყველა ნაღურ სიმღერას. უნდა ვიფიქროთ, რომ „ხუხუნის“ სახელწოდებით საქმე გვაქვს უძველეს სამკალ სიმღერებთან.

ამას გვაფიქრებინებს ჭვანის ხეობაში ჩაწერილი „ხუხუნის“ ციკლის სიმღერის ერთი ფრაგმენტი, რომელიც ძლიერ წააგავს საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სამკალ „ჰოხუნას“.

1. ბიჭებო, ვთოხნოთ სიმინდი!
2. ჰოი და, ჰოი დელა!
1. ჰოი და, ჰოი დელა!
2. მუშა უნდა მუშაობდეს,
1. ჰორი რა რა, მუშა უნდა მუშაობდეს.

შრომის ტემპის აჩქარება აჩქარებს სიმღერის რიტმსაც. იწყება შეძახილები:

1. ჰე, ჰა, ჰე, ჰა;
2. ჰე, ჰა, ჰე, ჰა; და ა. შ.

სალექსო სტრიქონები „ბიჭებო ვთოხნოთ სიმინდი“ და სხვა სიმღერაში სიმინდის კულტურის გავრცელების შემდეგ არის ჩამატებული. საერთოდ „ხუხუნის“ სახელწოდებით ცნობილი ნაღური სიმღერები შემდგომ საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. შრომის ლექს-სიმღერების შესახებ დღემდე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში ეს ტერმინი არსად არაა დასახელებული და მითითებული. ვიფიქრობთ, საქმე გვაქვს ფრიალ საყურადღებო მოვლენასთან.

ისევე, როგორც ჰამხრეთ საქართველოსა და საქართველოს სხვა მთიან რაიონებში, აჭარაშიც სამკალ სამუშაოებს მამაკაცებთან ერთად ქალებიც ასრულებდნენ. ოსმალთა გაბატონების შემდეგ ეს სამუშაო მთლიანად ქალებს დააწვათ. მუსლიმანური სარწმუნოება მკაცრად უკრძალავდა ქალს გართობა-ღრე-



ობაში მონაწილეობას. გათხოვილ ქალს, რომელიც თავაუღებლად და უსიტყვოდ ასრულებდა ყოველგვარ სამუშაოს, ქალების ნაღშიც კი უფლება არ ჰქონდა ემღერა „ქმარს რომ გაეგო ვმღეროდი, სახლიდან გამაგდებდაო“, გვითხრა ერთმა მოხუცებულმა ქალმა ღორჯომში. სამკალ სიმღერებს გაუთხოვარი ქალები ასრულებდნენ და ისიც შესვენების დროს. ასე რომ, სამკალი სიმღერები, რომლებიც აქარაში იყო გავრცელებული, ოსმალთა შემოსევებამდე იმღერებოდა. შემდეგში ამ სიმღერების ცალკეული ფრაგმენტები სრულდებოდა შესვენების დროს და ისიც გაუთხოვარი ქალების საზოგადოებაში.

მკაში შესვენების დროს შესრულებული ლექსებიდან საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე:

1. ივლისის თვე მოაწია,  
პურმა დაიწყო მწიფება...  
ქალებო, ვუთხრათ ნაღური!  
ჩარხზე მანგალი გავლესოთ,  
მზეზე დაიწყოს სრიალი,

ქალებო, ვუთხრათ ნაღური!  
კეერში ხარები შევაბათ,  
პური გავლევით ბზიანი.  
ქალებო, ვუთხრათ ნაღური!

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ლექსი ერთ გარკვეულ პროცესს მუშაობისას არ ასახავს და იგი არ შესრულდებოდა სპეციალურად მკის პროცესში.

2. შენი ჩოხა-ახალუხი,  
ბიჭო, მე მომიქსოვია;  
ღმერთმა ის ქალი აცოცხლოს,  
ვისი ძუძუც გიწოვია.

ყორანისფერი ქოჩორი,  
უკან გადაგიბარცხნია,  
შენი სახე და სახელი  
მთელ ქვეყანათ მიმაჩნია.

ლექსი სატრფიალოა და არავითარი საერთო არა აქვს პურის მკასთან.

3. ნამგალო, ჩემო რკინაო,  
გაჰერ, გამიძებ წინაო!

ეს ორტაეპიანი ლექსი, რომელსაც ჭვანაში ქალები შესვენების დროს მღეროდნენ, ადრე მკის პროცესში იმღერებოდა სამკალი შეძახილებით:

„ნამგალო, ჩემო რკინაო,  
გასკერ, გამიძებ წინაო!  
ჰეჰ, ჰოჰ! ჰეჰ, ჰოჰ!  
გეა, ოკა! ეკა, ოკა!

აგზე, აგზე! აგზე, აგზე!  
ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე!  
ჰეპუნა, ჰოპუნა!  
ეკა, ოკა! ეკა, ოკა!“

და ნამგალის ლესვასთან დაკავშირებულ სიმღერების ჯგუფში შედიოდა.<sup>23</sup> თუ მასპინძელს შეაგვიანდებოდა მომკალისათვის სადილის მიტანა, ქალები მიუძღვრებდნენ:

„მასპინძელო, ეს რა გვიქენ,  
რატომ მოგვკალ შიმშილითა,  
შიმშილით პირი გაგვიშრა,  
პური კვდება სიცილითა“.

შესვენების დროს, ქალიშვილები ცნობილი „განდაგანას“ მოტივზე ასრულებდნენ ცეკვასაც, რომელსაც „ტიტლი-ტიტლი“ ეწოდებოდა.

„წისქვილ პური დავაყარე,  
სარეკლაი გოგდებოდა;  
მე რომ გოგოს ხელი ვტაცე  
ღეღამისი ბღეზდებოდა.

გოგოვ, შენი ლამაზობა,  
მიყვარს შენთან თამაზობა;  
აბა, ლალები, ლალები,  
გიგავს შავარდენს თვალები“.

23 თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1953, გვ. 269 (ლიტერატურის ინსტიტუტის ფონდი).



ასეთია აჭარაში დღემდე შემორჩენილი სამკალი ლექს-სიმღერების ზოგადი სურათი.

ვენახი ფრიად გავრცელებული ეკონომიკური მნიშვნელობის კულტურა იყო როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ამიტომაც ქართველი გლეხისათვის ვენახის მნიშვნელობა კარგად ესმოდა ყველა მოძალადე დამპყრობელს, რომელთაც სხვადასხვა დროს აუოხრებიათ საქართველო. პროფ. ს. ჩოლოყაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „იმ ქვეყნებში, სადაც მევენახეობას მისდევენ, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე კერძოდ მევენახეობის ისტორიიდან ცნობილია, რომ ომიანობისა და ეკონომიური დეპრესიის ხანებში მევენახეობა ჩინდებოდა, ხოლო მშვიდობიანობის ხანაში, შემოქმედებით პერიოდში, ერის ეკონომიურად აღორძინებისა და გაძლიერების დროს სოფლის მეურნეობის ეს დარგი აყვავებას განიცდიდა“.<sup>24</sup> ომიანობა და ეკონომიკური დაქვეითება არც თუ ისე იშვიათად განუცდია საქართველოს. მონღოლ, სპარს, თუ თურქ დამპყრობლებს კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო ვენახი იყო. ამიტომაც ისინი ცდილობდნენ, პირველ რიგში მოსახლეობისათვის ეკონომიკური საყრდენი გამოეცალათ, რათა გაადვილებოდათ ქვეყნის საბოლოო გატეხა-დამორჩილება. ამ მიზნით ხსნის აკად. ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით ომიანობის დროს მევენახეობის დაკნინებას: „მევენახეობამეღვინეობას საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმაცა და მეტოქეებმაც კარგად იცოდნენ და სწორედ ამიტომაც, რომ თემურ-ლენგმა მე-14 ს. დამლევს და შემდეგ მე-17 ს. დამდეგს შაჰ-აბასმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქრებს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს“.<sup>25</sup>

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე აჭარაშიც. აჭარაში რომ მევენახეობა ფართოდ იყო გავრცელებული, ამას მოწმობს მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები — მრავლად გაბნეული საწნახლები, უზარმაზარი ქვევრები და ძველი ხელსაწყო-იარაღები, რომლებიც აჭარის ბევრ სოფელში ახლაც მოიპოვება. შუახევის რაიონში, ჭვანის ხეობაში შემავალ სოფელ ჭალის ერთ უბანს „ღვინიაშვილების უბანი“ ჰქვია. ამ სახელწოდებას ამართლებს დიდი რაოდენობა ქვევრებისა, რომელიც ამ უბანშია განლაგებული. ამავე ხეობაში სოფ. წყაროთაში ოც ჰექტარამდე ადგილს, სოფლის უხუცეს მცხოვრებთა გადმოცემით „უხსოვარი დროიდან“ ზვარე ჰქვია და ეს შემთხვევითი ან გამონაკლისი როდია. ქედის რაიონის ერთი სასოფლო საბჭო „ზვარის“ სახელწოდებას ატარებს, რადგანაც ამ სასოფლო საბჭოში შემავალ ერთ სოფელს ზვარე ჰქვია. ბათუმის რაიონის სოფ. ჯოჯოში არის სამოღეთის სახელწოდებით ცნობილი ტყე. 1952 წელს სოფ. ჯოჯოს მცხოვრებლები სრულიად შემთხვევით წააწყდნენ უძველეს მარანს ქვის საწნახლებით. ტყეში დიდი რაოდენობით ვხვდებით ნასახლარებსა და გატყუარებულ ვენახს — ან როგორც მას უწოდებენ კრიკინა ვახს. უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალთა შემოსევებამდე ეს ტყე-ადგილი მჭიდროდ იყო დასახლებული და მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მევენახეობა იყო.

24 შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 62.

25 იქვე, გვ. 62.



აჭარისწყლის ხეობის სიმაღლე ზღვის დონიდან თანდათანობით მატებდა და ხულოში 1000 მეტრს აღემატება. მიუხედავად ამისა, აქაც ხარობს ვაზის სხვადასხვა ჯიშის ხეები. ხელოს რაიონის სოფელ დიოკნისში რამდენიმე წლის წინ ვენა-ზისათვის ნიადაგის მომზადება-დამუშავების დროს კოლმეურნეები წააწყდნენ საკმაოდ დიდი ტევადობის რამდენიმე მარანს. ამ ადგილებზე ახლა ვენახის კარგად მოვლილი ზერებია გაშენებული. ასეთივე მარანი ნახულია სხალთის ხეობაში და სხვა ადგილებში. ადრე ვენახი გავრცელებული იყო როგორც აჭარისწყლის ხეობის ორივე მხარეს, ისე მის ზემო წელში შენაკადი მდინარეების — მერისის, სხალთის, ჭვანისა და მარითის ხეობებში. მაგრამ თურქ დამპყრობთა აგრესიული პოლიტიკის მეოხებით აჭარაში ვენახი დროთა ვთარებაში გაჩანაგდა. რა ამოქმედებდა თურქეთის სულთანს, როცა იგი დაპყრობილ ტერიტორიაზე შეუბრალებლად სპობდა და ანადგურებდა ამ უძველეს შესანიშნავ კულტურას? რა თქმა უნდა, იგივე მიზეზები, რაც თემურ-ლენგსა და შაჰ-აბასს — ქვეყნის ეკონომიკური გაჩანაგება და ამ საშუალებით ბრძოლისუნარიანი და შეუდრეკელი ხალხის საბოლოო დამორჩილება.

თუ რა მდგომარეობაში იყო აჭარაში ვაზი გასული საუკუნის მიწურულში, ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები თ. სახოკია, ზ. ჭიჭინაძე და სხვები. „თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ღვინოც კი უნახავთ) იმას-ღა ჰმოწმობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა, მაგრამ მხოლოდ „ოდესღაც“ კი სადაც არ დამტვრეულა ძველი ქვევრები, საცაა დამსხვრევა, ვაზები მოუვლელობითა და უპატრონობით გადახმება და გადაიჩენება“.<sup>26</sup>

განადგურებას შედარებით მაღლარი ვენახი გადაურჩა. თურქ-დამპყრობლებს მაღლარი ვენახი არ უქმნიდა საფრთხეს, რომ მოსახლეობა შეეცდებოდა ღვინის დაყენებას. ჯერ ერთი, მაღლარი ვენახი მოუვლელობით ისე მცირე მოსავალს იძლეოდა, რომ გლეხს მისი ყურძნად გაყიდვის შემთხვევაში გროშების აღება თუ შეეძლო, დაბლარი კი უკვე აჩეხილი იყო. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ქვემო აჭარაში (კერძოდ, ქედაში, სადაც ადრე მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მევენახეობა უნდა ყოფილიყო) თურქეთის დიდხანს ვერ მოუხერხებია მოსახლეობისათვის ხელი აეღებინებინა მევენახეობა-მეღვინეობაზე.

აჭარა თურქეთს საბოლოოდ დამორჩილებული და დაპყრობილი მე-19 საუკუნეშიც არ ჰყავდა. ხალხმა, მართალია, იძულებით მიიღო მუსლიმანური სარწმუნოება, მაგრამ მაინც მტკიცედ იცავდა სულიერ და მატერიალურ კულტურას, მალულად ასრულებდა საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ წესჩვეულებებს.

მევენახეობა-მეღვინეობის კულტურა ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ყოფაში გამოხატულებას პოულობდა იმ ტრადიციულ დღესასწაულებში, რომელთა შესახებ ჩვენამდე მოღწეულია საკმაოდ ბევრი ცნობა. ძველ საბერძნეთში ვენახის კულტურასთან დაკავშირებული დღესასწაულები ცნობილი იყო დიონისეს დღესასწაულების სახელწოდებით. ხალხის მდიდარი ფანტაზია ამ საწესჩვეულებო რიტუალის შესრულების პროცესში ქმნიდა ზეპირსიტყვიერების





იშვიათ ნიმუშებს, ხალხური პოეზიის შესანიშნავ შედევრებს. რა თქმა უნდა აბ-ტიკური საბერძნეთი გამონაკლისად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. საქართვე-ლოს მდიდარი ბუნება, ვენახის გავრცელების ფართო მასშტაბი აპირობებდა მე-ვენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერების შექმნას, რომელ-საც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, კერძოდ, შრომის პოეზიაში, ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს.

ქართველი გლეხის ღირსება მისი ვენახი იყო:

„სიღედრო, შავგვრემანობით არ დაიწუნო სიძეა,  
სოფელში მოდი, იკითხე გრძელი ვენახი ვისია“.<sup>27</sup>

მევენახეობასთან დაკავშირებული ხალხური ლექსები არ იყო შემოფარგ-ლული ვენახის მშრალი ხოტბით. ძალიან ხშირად ვხვდებით ისეთ ლექსებს, რომელშიც დახასიათებულია შრომის ცალკეული პროცესები, რაც უნდა გაია-როს ვაზმა, სანამ იგი ღვინისათვის ვარგის ნაყოფს მოგვეცემდეს.

ქართულ ფოლკლორში ვხვდებით ისეთ ლექსებსაც, სადაც დახასიათებუ-ლია ცალკეული კუთხის ვაზისა და ღვინის თვისებები.

ხალხურ ლექსში „ხილთა ქება“ წინა პლანზე ვაზი, ყურძენი და ღვინოა და-ყენებული.

ვენახის სამუშაოებს თავისი დამახასიათებელი ლექს-სიმღერები ჰქონდა, სპეციფიკური შრომის რიტმითა და ტემპით. ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი ამ სიმ-ღერებიდან აღნიშნავს შემდეგს: 1. სიმღერა ვენახის მუშაობისა, 2. ქვევრის გა-რეცვისა, 3. ყურძნის დაწურვისა.<sup>28</sup> ვენახის სამუშაოების დამახასიათებელი ლექს-სიმღერების არსებობაზე მიუთითებენ სხვა ავტორებიც. ზემოთ აღნიშნუ-ლიდან შეიძლება ვთქვათ: თუკი აჭარაშიც ისე ფართოდ იყო განვითარებული მევენახეობა, როგორც ქართლ-კახეთში, სადაც მევენახეობასთან დაკავშირებუ-ლი ლექს-სიმღერები დიდი რაოდენობით გვხვდება, ასეთი ლექს-სიმღერები არა-ნაკლები რაოდენობით იქნებოდა აჭარაშიც, მაგრამ ვენახის განადგურების შე-დეგად, დროთა ვითარებაში დავიწყებას მიეცა.

აღნიშნულზე მიუთითებს ერთი ასეთი ფაქტი. თ. სახოკიას აჭარაში მოგ-ზაურობის დროს სოფელ ქედის მცხოვრებ ვინმე გულა დიასამიძისაგან ჩაუ-წერია მევენახეობასთან დაკავშირებული ლექსი. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე მარტო ქედაში რამდენჯერმე მოეწყო ფოლკლორული ექსპე-დიცია, მაგრამ ექსპედიციის მასალებში თ. სახოკიას მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაწერილი ლექსი აღარ გვხვდება, ე. ი. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე დავიწყებას გადაარჩენილი ეს ლექსიც დაიკარგა. აღნიშნულ ლექსში მოცემულია მაღლარი ვენახის კრეფა, გოდორში ჩაყრა, მისი დაწურვა და ღვი-ნოდ დაღუღება. მოგვყავს ლექსი უცვლელად:

„ვენახმა სთქვა: მე ვარ გრძელი,  
ზამთარ-ზამთარ გამონარები,  
გვეისხამ, გვეიყვავილებ,  
რომას (?) უკან დავუყუდები.<sup>29</sup>  
ქე მოვა მომკრეფელი,

მოაქვს კრელი გიღელი,  
მოვიდა ძირში, ზედ ამოვიდა,  
ერთი წამომწვავა ხელი,  
წამწიკვა კისერი,  
სულ მთელსა მომწყებთა წელი,

<sup>27</sup> ხალხური პოეზია, შეკრებილი ვ. კოტეტიშვილის მიერ, თბილისი, 1935, გვ. 42.

<sup>28</sup> ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი, ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი, „ცისკარი“, 1861, № 1, გვ. 157.

<sup>29</sup> კითხვითი ნიშანი თვითონ თ. სახოკიას აქვს დასმული. სიტყვა დამახინჯებულია, რთულ-დება მისი ნამდვილი მნიშვნელობის დადგენა.



ამწია და ძირს ჩამიშვა,  
ჩამყარა თელი გოდორში.  
ამწია და შინ წამიღო,  
ჩამბარგა თელი ჯარაში.  
ზეიდან ყაზახი შემდგება,

ქვეშ ჰიჟინაში მიჰძრები.  
ორ ყურ ქვაბში მომაქცევინ,  
უცეცხლოდ წამოვდუღებო.  
ხანდახან კაი ბიჭი ვარ,  
ხანდახან წამოვბუნდუღებო“.<sup>30</sup>

ლექსის დასასრულს თ. სახოკია შენიშნავს: „ლექსს თავისი პირვანდელი ღირსება არ შერჩენია, ხან რითმა ჰკოჰლობს. ხან ზომა აკლია, მაგრამ საინტერესოდ ვცანით, როგორც შებღალული ენის შებღალული ლექსი, ოდესღაც ალბათ ლამაზად შექმნილი ხალხის მიერ“.

ვინ იცის რამდენი ასეთი ლექსი შეიბღალა და შემდეგ სრულ დავიწყებას მიეცა. მოხუცები, რომელთაც თითო-ორი ფრაგმენტი ახსოვდათ მევენახეობასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერებიდან, აღარ არიან. ახალგაზრდები კი სოციალისტური შრომის ფერხულში არიან ჩაბმული და სულ სხვა სიტყვებით, სხვა გრძნობითა და ხალისით უმღერიან ნაყოფიერ შრომას.

მევენახეობის მოსპობა-განადგურებამ წელგამართული გლეხი აიძულა აჭარის საზღვრებს იქით ეძებნა სამუშაო და წლის სარჩო. ამიტომაც განსაკუთრებული გრძნობითა და ტრაგიკული განცდებით უმღერა ხალხმა მის მარჩენალსა და სიამაყეს — ვენახს. ქედის რაიონში დღემდეა შემონახული ლექსის ერთი ფრაგმენტი (ორი ტაეპი) ვენახზე:

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,  
ამოღმა ამოცურდები...

ეს არის და ეს. საძიებო, საველე მუშაობის დროს ფირზე ჩაწერილ იქნა აჭარაში გავრცელებული სამიწათმოქმედო ლექსები და სიმღერები. გარდა ქედის რაიონისა არც ერთ რაიონში არ აღმოჩნდა მევენახეობასთან დაკავშირებული ლექსებისა და სიმღერების კვალიც კი.

დასახელებული ორი ტაეპი „ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“ სახელწოდებით აჭარაში იმღერებოდა ოსმალთა შემოსევამდე, როცა აქ მევენახეობა ფართოდ იყო გავრცელებული, და იმღერება ახლაც.

მოტანილი ფრაგმენტის მიხედვით პირველი ტაეპი გამოხატავს მოკრძალებულ ხოტბას ვენახისას, ხოლო მეორე — „ამოღმა ამოცურდები“ უნდა ასახავდეს ვენახის ახალ დარგული ნერგის (ეს ნერგი, როგორც ცნობილია, მთლიანად მიწით იფარება) მიწიდან ამოსვლას — მისი ზრდა-განვითარების პირველ საფეხურს.

„ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“ უძველეს სიმღერად გამოიყურება. ისმება კითხვა — მევენახეობასთან დაკავშირებული შრომის რომელ პროცესს შეიძლება მივუყენოთ იგი თავისი რიტმის მიხედვით?

ცნობილია ამ სიმღერის ძველი და ახალი ვარიანტი. ძველი ვარიანტის ტემპი, ჩვენი მასალების მიხედვით, შეიძლება იყოს ნელიც და ჩქარიც. შესაბამისად იგი შეიძლება შესრულდეს როგორც ბარვის ან თოხნის, ისე ყურძნის კრეფის დროსაც.

„ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“ მეორე, გვიანდელი ვარიანტი რამდენადმე განსხვავდება აღრინდელისაგან, მასზე დამატებულია რამდენიმე სალექსო ტაეპი. საფიქრებელია, რომ მეორე, ე. წ. ახალი ვარიანტი სიმღერისა უნდა შექმნილი-





ყო იმ დროს, როდესაც აჭარაში თურქთა დამკვიდრების შემდეგ ვენახის კულ-  
ტურა ძირითადად მოსპობილი და განადგურებული იყო. ლექსის დამატებული  
ტაეპი თავისი შინაარსით სენტრიმენტალური ხასიათისაა. მასში მოიხსენიება ვენახის  
განადგურებით გამოწვეული სევდა და მწუხარება:

„ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,  
საღ წადი და საღ მოგნახო.

ჩემო გაზრდილო ვენახო,  
საღ წადი და რომელ მხარეს.  
მამაპაპურო ვენახო,  
საღ წადი და საღ მოგნახო“.

სევდიანია სიმღერის მელოდიაც. ქედის რაიონში შრომის სიმღერების უხუ-  
ცესი შემსრულებლები ასრულებენ „ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“ როგორც ძველ;  
ისე ახალ — თურქეთის ბატონობის პერიოდში შექმნილ ვარიანტსაც.

„ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“ ახალი, საბჭოთური ვარიანტი კი დასახელებ-  
ბული ორი ვარიანტისაგან გამოირჩევა სწრაფი ტემპით და გარკვეული საზეიმო  
ვანწყობილებით, რაც განსაკუთრებით სიმღერის მეორე ნახევარს ახასიათებს.  
სიმღერის დასაწყისი არ განსხვავდება პირველი ორი ვარიანტისაგან. მასაც აქვს  
იგივე მისამღერი, რაც პირველსა და მეორე ვარიანტს.

უახლესი ვარიანტის მეორე ნახევარი სწრაფად — ტაშით სრულდება. აღ-  
რინდელ მისამღერზე დამატებულია ოთხტაეპიანი ლექსი:

„მოგნახე და აღგადგინე,  
შენს ძირ-ფესვებს ვენახვალე.  
ბაღნარად გადაგაქციე,  
მამაპაპურო ვენახო“.

უნდა აღინიშნოს ფინალური ნაწილის მსგავსება სევანურ „ცერუღთან“. ლექ-  
სის ეს ნაწილი სიმღერას საბჭოთა ხელისუფლების წლებში დამატა. თუ რა-  
ტომ განიცადა სიმღერამ მაინცდამაინც სევანური „ცერუღის“ გავლენა, ეს შემ-  
დგომ კვლევას მოითხოვს. ვფიქრობთ, რომელიმე ქორეოგრაფის „შემოქმედე-  
ბით ჩანაუქრობან“ გვაქვს საქმე.

საბჭოთა პერიოდში სიმღერაში ჩართული სტრიქონებით ხალხი უმღერის  
მევენახეობის ხელახლად აღორძინებას აჭარაში.

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ „ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“ უძველესი ვა-  
რიანტის სახით საქმე გვაქვს ვაზისადმი მიძღვნილ ქება-ჰიმთან. ამასთან დაკავ-  
შირებით აღნიშნული საკითხი შემდგომისათვის უნდა გადაიქცეს საფუძვლიანი  
მეცნიერული კვლევის საგნად. ეს ხელს შეუწყობს მევენახეობა-მეღვინეობას-  
თან დაკავშირებული, დღემდე გადაუწყვეტელი ზოგიერთი საკითხის გამორკვე-  
ვას.

ბუნებრივია, შემდგომი კვლევა ითვალისწინებს „ჩაღმა ჩაყრილო ვენახოს“  
გენეზისისა და მისი გავრცელების ლოკალიზაციის დადგენის საკითხსაც. ჯერჯე-  
რობით საქართველოს მევენახე რაიონების ფოლკლორული მასალების მიხედ-  
ვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული სიმღერა მარტო ქედის რაიონისათვის  
საა დამახასიათებელი.

სიმღერის მეორე ვარიანტი შეიქმნა ოსმალთა მიერ აჭარის დაპყრობის შე-  
დეგად ვენახის კულტურის განადგურების შემდეგ. ამ პერიოდში სიმღერა თა-



ვისი შინაარსითა და მელოდიით აღარ ატარებდა შრომის სიმღერის ხასიათს. „ჩაღმა ჩაყრილო ვენახომ“ ყოფითი ხასიათი მიიღო. იგი წარმოადგენდა თავისებურ პროტესტს იმ ძალადობისადმი, რასაც თურქეთი მიმართავდა აჭარის მთლიანი ასიმილაციისა და ქართული კულტურის მოსპობისათვის.

სიმღერის მესამე—საბჭოთა ვარიანტი შექმნილია აჭარაში მევენახეობის ინტენსიური განვითარების შემდეგ. აჭარაში კვლავ დაინერგა ეს უძველესი და უძვირფასესი კულტურა. ვენახი აჭარის მთიანი რაიონების კოლმეურნეთა შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გადაიქცა. დაკარგულსა და ძალმომრეობის შედეგად მოსპობილი კულტურის აღდგენით გამოწვეული საზეიმო განწყობილება, რაც გამოიხატა ორ ტაეპში:

„მოგნახე და აღვადგინე.

შენს ძირ-ფესვებს ვენაცვალე“...

ერთნულ-ყოფითი ხასიათის მატარებელია. იგი ერთგვარად სიმბოლური გამოხატულებაა დიდი სიხარულისა, რომ აჭარას სამსაუკუნოვანი ჩაგვრის შემდეგ საშუალება მიეცა დედა სამშობლოსთან ერთად ჩაბმულიყო შრომის ახალ ფერულში, რომ მასაც სისხლისა და ზოგჯერ სიცოცხლის ფასად წვლილი აქვს შეტანილი ქართული სულიერი და ნივთიერი კულტურის დაცვისათვის ბრძოლაში.

Дж. НОГАИДЕЛИ, Дж. ЧХЕИДЗЕ

## ОБЩАЯ ХАРАКТЕРИСТИКА АДЖАРСКИХ ЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКИХ ТРУДОВЫХ СТИХОВ И ПЕСЕН

### Р е з ю м е

Грузинские народные трудовые стихи и песни являются древнейшими и весьма многообразными. Имеются песни, связанные с мотыжением, вспашкой земли, жатвой, молотьбой, посадкой, волоком леса и др.

Трехсотлетнее турецкое господство в Аджарии ничуть не изменило характер трудовых стихов и песен. Поэтому здесь наблюдаются такие же трудовые стихи и песни, как и в других районах Грузии.

Очень богатый и разнообразный репертуар полевых песен «надури» создан в Кобулетском районе. В западной Гурии, и в Кобулет; как передают, во время полевых работ с утра до вечера пели разные песни, количество которых достигало приблизительно тридцати двух. Изучение трудовых стихов и песен выявило, что в Кобулет большинство полевых песен—надури — исполнялось в четыре голоса: 1. «мткмели», 2. «гамкиване-мокриманчуле», 3. «шемхмобари» и 4. «бани». Шемхмобари как голос участвует только в надури. Это факт большого значения ясно говорит о древней и высокой музыкальной культуре грузинского народа.





Значительными особенностями характеризуются также трудовые стихи и песни Аджарисцкальского ущелья. Песни — надური здесь двуххорные, но в отличие от кобулетских надური нечетырехголосные.

Аджарисцкальские песни надური по своему характеру переходящие от простого к сложному и не имеют одного установленного стиха. Раньше здесь популярными были стихи и песни, связанные с обработкой зерновых культур и виноградарства, которые потом, по мере развития кукурузоводства, или же в результате насилия турецких захватчиков, были забыты. Несмотря на это, из уцелевших фрагментов выясняется, что трудовые песни, связанные с жатвой и виноградарством, должны быть довольно высокой музыкальной культуры. Это подтверждается существованием жатвенных песен цикла «хухуни», чего и не наблюдается в остальных районах Грузии; и «чагма чакрило венахо», которая выглядит архаической песней и является песней-гимном виноградарства.







თ. ჩიქოვანი

## ზემოაჭარული სახლი

1958 წლის ეთნოგრაფიული ემსკედიციის წინასწარი სამეცნიერო  
ანგარიში

ზემო აჭარული საკარმიდამო კომპლექსისათვის დამახასიათებელია ორი სახის ეზო. აქედან ერთი მეურნეობრივია, მეორე კი — დეკორატიული. ეს უკანასკნელი ყველგან ერთ სახეს არ ატარებს, მაგრამ მის სისუფთავეს და მოვლა-გამშვენიერებას ერთნაირად დიდი ყურღღება ექცევა.

ეს ეზოები ერთმანეთისაგან წნული ღობით, ანდა უბრალო მეტყერით არის გამოყოფილი და სხვადასხვა დანიშნულებას ემსახურება. დეკორატიული ეზოსაგან განსხვავებით, მეურნეობრივი ეზოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებულია საბძელი, ბელელი, ნალია და ზოგჯერ საქათმეც. რაც შეეხება ძირითად ნაგებობას, სახლს, იგი ფასადით დეკორატიულ ეზოში გამოდის და მისი ზურგი ყოველთვის სამეურნეო ეზოსაკენ არის მიმართული. ზემო აჭარული კარ-მიდამო ამ მხრივ საერთოდ დასავლურ ქართულთან გარკვეულ ნათესაურ ურთიერთობაშია.

სანამ უშუალოდ სახლის აღწერაზე გადავიდოდეთ, მოკლედ უნდა შევჩერდეთ სახლის მშენებლობასთან დაკავშირებულ წინასწარ სამუშაოებზე.

საცხოვრებელი ნაგებობის მშენებლობის სამუშაოს დასაწყისში პირველი რიგისაა საშენობლო მიწის ამოწმება. მეწყერის საწინააღმდეგოდ, თუ შესაძლებლობა არის, სახლს ყოველთვის ტყის პირას აშენებენ. მშენებლობისათვის საჭირო ხე-მასალის მოჭრა-დამზადება შემოდგომის მიწურულიდან იწყება და თებერვალში თავდება. ხალხური ცოდნა-გამოცდილებით ხის მასალის მოჭრა-დამზადება იწყება, როცა მთვარე „გამოიხუთშაბათებს“ და ხეში წვენი შეწყვეტს მოძრაობას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ხის მოჭრის ვადებს კლასიკური არქიტექტურის ავტორებიც წელიწადის გარკვეულ დროში ათავსებენ. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს ვიტრუვიუს დარიგება, რომლის მიხედვითაც ხე უნდა მოიჭრას შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში, რადგან ხის ტანი ამ დროს იბრუნებს მთელ ძალას ფესვებიდან, რომელსაც გაზაფხულ-ზაფხულში ხარჯავს ფოთლებისა და ნაყოფისათვის.<sup>1</sup> მისივე თქმით, ხე უნდა მოიჭრას იმ დროს, როცა მასში წვენი ნაკლებად არის. წვენი შემოდგომაში ხელს უწყობს ჭიის გაჩენას და ხის მასალის ლობას.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Витрувий, Десять книг об архитектуре, книга II, IX гл. Москва, 1936.

<sup>2</sup> იქვე.





ასე რომ, სახლის მშენებლობისათვის საჭირო ხემასალის მოჭრა-დამზადების ჩვენ მიერ დამოწმებული ვადები, რომელიც აღმოცენებულია ემპირიულ ნიადაგზე, დაკავშირებულია ხალხის დაკვირვებიდან გამომდინარე შეხედულებებთან და თავის წარმომავლობით უძველესი დროიდან მომდინარე უნდა იყოს.

მთხრობელთა გადმოცემით, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულამდე, აჭარაში არსებობდა საერთო სასოფლო და საგვარეულო ტყეები. საგვარეულო ტყით სარგებლობა სხვა გვარის წარმომადგენელს არ შეეძლო, თუ მას ნებას არ ღართავდა ტყის მეპატრონე გვარის უფროსი — „თოხუმის“ მეთაური. საგვარეულო ტყის მფლობელები საკუთარ ტყეში რაიმე ნიშანს არ ხმარობდნენ. რაც შეეხება სასოფლო ტყით სარგებლობას, აქ ყველას საკუთარი საგვარეულო ნიშანი — თავი ჰქონდა. ამ მხრივ ყველაზე რელიეფურად თავის არსებობა და მისი სიმტკიცე ს. ჭვანის, დარჩიძეებისა და შუბანის ეთნოგრაფიულმა მასალამ დაადასტურა. მაგალითად, სოფელ დარჩიძეებში ყველა გვარს ჰქონდა საკუთარი ნიშანი — თავი. სირაძეების თოხუმს ჰქონდა მოგრძო სამკუთხედი — Δ. ჯაფარიძეებს — სამი პერპენდიკულარული ხაზი — III, ცეცხლაძეებს — ისრის წვერისებური ნიშანი — >, ფუტყარაძეებს — ერთი სწორი ნაპღევი და ა. შ. სასოფლო ტყეში მოსაჭრელ ხეს ყველა გვარის წარმომადგენელი თავის თავს აჭდევდა. თავიანი ხის მოჭრა სხვას არ შეეძლო და, თუ ვინმე დაარღვევდა ამ წესს, მას მთელი სოფელი შეარცხვენდა და ქურდის სახელს შეარქმევდა.

ხემასალის მოჭრა-დამზადების დროს შრომა კოლექტიური იყო; მას ნადი ეწოდებოდა. ნადი აქ პირუკუ სავალდებულო დახმარებაზე იყო აგებული და, როგორც წესი, მასში გამორიცხული იყო ყოველგვარი ანგარიშსწორება. მენადე ვალდებული იყო მხოლოდ საჭმელით გამასპინძლებოდა ნადის წევრებს. ნადში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ პირველ რიგში მაინც მენადის მოგვარეები გამოდიოდნენ. ნადის მომწყობი წინასწარ აცნობდა სოფელს, რომ იგი სამასალე ხის მოჭრა-დამზადებას იწყებს და დახმარება ესაჭიროება. ამ დროს დამხმარენი „კაცდა-კაც“ გამოდიოდნენ. ხის მოსაჭრელად სამშაბათს ან ხუთშაბათს გადიოდნენ და კოლექტიური შრომის აღნიშნული ორგანიზაციის წყალობით სამასალე ხის მოჭრა ძირითადად ორ-სამ დღეში მთავრდებოდა. ხეს ადგილზევე „ამსუბუქებდნენ“ — აცლიდნენ ტოტებს, როკებს, გაქერქავდნენ და დაკუთხავდნენ. ამგვარად დამზადებული მასალა თოვლში ცურებით და მხრით მიჰქონდათ სახლში. ხის გადატანისას ნადის წევრები ასრულებდნენ „ხუხუნს“, რომელიც შრომის სიმღერების ერთ-ერთ ვარიაციას წარმოადგენს და ჰობუნას შეძახილების მსგავსია („... ჰე ჰა, ჰე ჰა! ჰოი და ჰოი დელა...“). ნადი ვალდებული იყო მარტო სამასალე ხის მოჭრა-დამზადება-მოტანაში. რაც შეეხება ყავარს, იგი მოწვეულ მეყავრე ოსტატს უნდა გაეხადა. საყავრე ხე სპეციალურად უნდა შერჩეულიყო. საყავრედ სწორად ნაზარდი ფიჭვი და ნაძვი ისე უნდა შერჩეულიყო, რომ მას ნაზარდი — ნაქში მარცხნივ ჰქონოდა. ამისათვის ხეს მიაჭრიდნენ ბოლკოს. მიჩნეული იყო, რომ თუ ბოლკოზე ახლეჩილი ნაპობი მარცხნივ წაიღებდა ბზარს, მაშინ იგი საყავრედ ივარგებდა, ხეს დაჭრიდნენ მორებად. შემდეგ დააპობდნენ სოლების დახმარებით და მერე დაშნით და ხის ჩაქუჩის — კვერკვეტის საშუალებით ხდიდნენ ყავარს. სახლის პატრონი თუ შველოდა მეყავრეს, მაშინ ერთი სახლის ყავრის გამოხდას



3-4 დღე უნდოდა. საშუალო ზომის სახლის სახურავს 40 „ჭვირთი“ ყავარი უნდა. კაცის ჭვირთში 20 ფთა ყავარია.<sup>3</sup>

სახლის მშენებლობა დაქირავებული ღურგალ-ხუროების მონაწილეობით და მთავარი ოსტატის უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებდა. ხით ხურო ოსტატებთან გარიგების ორგანიზაცია წესი არსებობდა. ერთია სახლის მშენებლობის ნარდად აღება, რომელსაც ქესუმი ეწოდება.<sup>4</sup> მეორეა ოსტატებთან ყოველდღიური ანგარიშსწორება. ამ ორი გარიგებიდან უფრო დღიურსწორებას მისდევდნენ, რადგანაც ეს უკანასკნელი ოსტატისათვის უფრო მომგებიანი იყო. ქესუმის დროს სახლის მშენებელი და ოსტატი წინასწარ მორიგდებოდნენ, თუ რამდენი უნდა მიეღო ოსტატს მთელი სამუშაოს დამთავრებისას.

აქარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა კვირა დღეს უნდა დაეწყოს. სამოსახლო ადგილის დალოცვა, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ჭერჭერობით არ დასტურდება, მაგრამ საძირკველში ფულის ჩატანების ტრადიცია აქაც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა.

სახლის უშუალო მშენებლობა იწყება ქვის ბინების და ხის ბორკილ-ბურჯების მოწყობით. საშუალო ზომის სახლს 12 ბინა და ბორკილ-ბურჯი უნდოდა. ბორკილი ჭვარდინი და ბურჯი ოთხკუთხი ფორმის ხის კონსტრუქციაა; იგი ეწყობა სახლის უკანა მხარის ქვეშ, სადაც შენობა ყველაზე უფრო დაცილებულია მიწის ზედაპირს. სამოსახლო ადგილი რაც შენობის ზურგისაკენ უფრო დამრეცია. ბორკილ-ბურჯებიც მით უფრო მაღალი კეთდება. რაც შეეხება ბინას, იგი დაბალია და ამის გამო საფასადო მხარეს უფრო იმართება. ბინისა და ბორკილ-ბურჯების ძველებური მოწყობის წესი ორიგინალურია. თუ სამოსახლო ადგილი ძლიერ დაფერდებული იყო, მაშინ სახლის ზურგის მხარეს, მის ქვეშ ორ რიგად მოეწყობოდა რვა ბორკილ-ბურჯი, ხოლო ფასადის მხარეს, მესამე რიგად — ბინები, თუ დაფერდება დიდი არ იყო, მოეწყობოდა ექვსი ბორკილ-ბურჯი და ექვსი ბინა. ბორკილი ყოველთვის შიდა საძირკველია, ბურჯი კი — გარეთა. ბორკილ-ბურჯი შენობის საძირკველს წარმოადგენს. იგი ბრტყელ ქვაზეა დაყრდნობილი და მას ყოველთვის მუხის ბოლოებისაგან აკეთებენ. ბინა-ბორკილ-ბურჯებზე ოთხ საძირკველს გასდებდნენ. ძელს, რომელიც შენობის ფასადის მხარეს უნდა გადებულიყო, კარის ზღული ეწოდება, ხოლო მის უკანა მხარეს გადებულს — ქომზეკი. კარის ზღულისა და ქომზეკის შემაერთებელ გვერდით ძელებს ქოსტეკი ჰქვია. ეს ოთხი საძირკველი ერთმანეთს უკავშირდება ღოჯებით; მათ თავსა და ბოლოებში ამოღარავენ და ისე აჭდობენ ერთმანეთში.

ბორკილ-ბურჯ-ბინებზე გადებული საძირკვე ძელები გვეგმაზე მოგრძო ოთხკუთხედიან, ამის გამო შენობაც ასეთივე სახეს იღებს.

საძირკვე ძელების ღოჯით შეკვრის შემდეგ მათზე კიდევ უნდა გამართულიყო შენობის წვლის დამჭერი და საკედლე ძელები. გარდა აღნიშნულისა, აქვე ემატებოდა ახორ — ჭავლის გამყოფი და საფინე ძელები. ყველა ამ ძელების ღოჯით შეკვრის შემდეგ საკედლე ძელებზე „ჩააბოლაზებდნენ“ საკედლე და საკარებო სოიებს. საკედლე სოიები საკარებოსაგან განსხვავებით ორ მხრივ ამო-

3 აქარაში ორი სახის ტვირთია, ერთი კაცის და მეორე ცხენისა.

4 „ქესუმი“ თურქული წარმოშობის სიტყვაა და გადაჭრა-გაჭრას ნიშნავს, ამ შემთხვევაში — სამუშაოს „მოჭრით“ აღებას.

7. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტ., შრ., ტ. I





ღარულია—ორლაშინია. ლაშებში შემდეგ ეწყობა ფიცრები, რომლებიც გარდა ამისა პატარა სოლებითაც — ჩივით მაგრდება. ორი ფიცრის დაკავშირებას 5-6 ჩივი უნდოდა.<sup>5</sup>

პირველი სართულის სათავსოების ამოფიცვრა-გამოყოფა-მოთავრების შემდეგ ამ სართულის კონსტრუქცია ძელებით შეიკვრება და მერე ისევ ჩვეულებრივი წესით დაიწყება მეორე სართულის მშენებლობა. მაგრამ ამ ორი სართულის მშენებლობაში გარკვეული განსხვავებაც არსებობდა, რამდენადაც პირველი სართული სახორე იყო, ხოლო მეორე — ადამიანის საცხოვრებელი. პირველთან შედარებით უკანასკნელი დაგეგმარება მოწყობილობის მიხედვით უფრო რთულია და თანაც ნატიფი ოსტატობით შენდება. პირველი სართული ყოველთვის მხოლოდ საქონლის სადგომისა და მისი დამხმარე სათავსო ჰავლისაგან შედგება. აქ ფინის დაგების შემდეგ ბაგა, ზღვე და სანარწყული მოეწყობა. ზღვე რომ ფინზე კარგად დამაგრდეს და თანაც ახორის ცენტრისაკენ დაიხაროს, საჭიროა მისი თავბოლო ხის დიდ და პატარა „საკისურებზე“ იყოს დადებული.<sup>6</sup>

მეორე სართულს, შენობის ცენტრში თავიდან ბოლომდე დერეფანი — იაზლული გაყვება და ოდებიც სწორედ მის აქეთ-იქეთ უნდა გამართულიყო. პირველი სართულის მომთავრების შემდეგ შენობას წელს შეუკრავდნენ წელის დამკერი ძელებით და მერე მათზე მოაწყობდნენ საკედლე ძელებს, რომლებზედაც აღიმართებოდა „ჩაბოლანებული“ საკარე და საკედლე სოიები. კარ-სარკმელ-კედლების ჩაბოყვა-მომთავრების შემდეგ, შენობის თავს შეკრავდნენ ოთხი გვერდითა და ოთხი ერთმანეთის გადაშვებითი ძელებით. ამ საქმიანობის მომთავრებასთან ერთად ოდების ჭერიც უნდა მოეფიცრათ. მოუფიცრავი მხოლოდ დერეფნის ჭერი რჩებოდა.

სახლის მშენებლობის უკანასკნელ საფეხურს სახურავის გამართვა შეადგენს. სახლი თუ ოთხფერდა სახურავით, ანუ ჩარხილით უნდა მოემთავრებინათ, შენობის თავის ოთხივე კუთხიდან წამოღებულ ჩანგალ-ძელებს შენობის ცენტრში კონუსისებურად მოუყრიდნენ თავს და აქ აღმართულ მსხვილ სვეტზე დაამაგრებდნენ. მერე მათზე გაიდებოდა ჭერები და ლარტყები; ბოლოს ყავარი უნდა მოეფინათ. ყავარს ადრე ლურსმანით არ ამაგრებდნენ. წვიმის შედეგად ლურსმანი მალე აფუჭებს ყავარს და ამის თავიდან აცილების მიზნით ყავარზე ქვებს აწყობდნენ. მოყავრის პროცესში სახურავის თავზე სახლის მეპატრონე გადმოკიდებდა მეზობლისაგან მორთმეულ ბაიარას — საკმაოდ დიდი ზომის ქსოვილს, რომელიც ყავრის მოფენის შემდეგ ოსტატებს რჩებოდა.

სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მეპატრონე-მშენებელი კლავდა თხა-ცხვარს და ოსტატებსა და მეზობლებს უმასპინძლებოდა. ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით ახალ სახლში მხოლოდ ორშაბათ ღღეს უნდა შესახლებულიყვნენ — „ორფეხისათვის ორშაბათი კარგია-ო“.

გადავიდეთ უშუალოდ ზემო აჭარული საცხოვრებელი სახლის აღწერაზე. ერთ-ერთი ასეთი სახლი აშენებულია ს. საციხურის ზემო, ანუ მარკოიძეების უბანში და 96 წლის ასლან მარკოიძეს ეკუთვნის.

ა. მარკოიძის სახლი ოდნავ შეფერდებულ ადგილზეა გაშენებული და ხის ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. არასწორი რელიეფის გამო პირველი

5 ჩივი — ხისაგან გაკეთებულ ლურსმნისებური სოლი.

6 ზღუე ანუ ზღვე საბას მიხედვით არის „ქვეითა, ძელითა იატაკი დაფენილი“, სულხან-საბა ორბელიანის, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 230.



სართული, ზურგის მხარეს, ქვევიდან ღია არის და დაყრდნობილია ხის ოთხკუთხა, სამკუთხა და ჯვარედინა ბურჯებზე და ბორკილებზე.<sup>7</sup> ამ ღია ნაწილის ზემოთ უშუალოდ ბოსელი-ახორია გამართული და ამის გამო ახორ ქვეშე ეწოდება. აქ ინახება სელი (აქარული მთური ურემი), სათრიელა, მარხილი, ჭილა, კევრი და სხვ.<sup>8</sup>

სამოსახლო ადგილი რაც უფრო დამრეცია, ახორ ქვეშეც მით უფრო მაღალია. ზოგიერთ შემთხვევაში იგი მართლაც გამოსადეგია საქონლის სადგომად, მაგრამ არის ისეთი ნაგებობები, რომელთა ახორ ქვეშეს სიმაღლე 30-50 სმ სიმაღლეს თუ აღწევს. საერთოდ კი ზემო აქარაში ახორ ქვეშე სიმაღლით ერთ მეტრს იშვიათად აღემატება.

აღნიშნული საცხოვრებლების პირველი სართული მეურნეობრივი დანიშნულების მატარებელია და შიგ წარმოდგენილია, როგორც წესი, ორი ბოსელი (ახორი) და ერთი მათი დამხმარე სათავსო ბოსლის წინა კარაპანი (პავლი), რომელიც აერთიანებს ორივე ბოსელს. გეგმაზე ეს სართული მოგრძო ოთხკუთხოვანია და „პავლიც“ მის სიგანეზე და ფასადის მხარეს არის მოქცეული. ახორები კი ერთმანეთის გვერდზე და შენობის სიგრძეზეა დაგეგმარებული. ახორის გასწვრივ ორივე კედელზე ბაგებია გამართული, რომლებიც ალაგ-ალაგ გამოცხვრილია. მათზე გამობმულია ხრჩოლი წყნელი და მის მეორე ბოლოზე დამაგრებულია თავაპა რკალი, რომლის საშუალებითაც საქონელი ბაგაზე მიიბმის. ახორში გამართულია ზღვე, რომელიც ოთახის შუა ნაწილისაკენ ოდნავ დაქანებულია; აქ ბოსლის მთელ სიგრძეზე გაყვანილია სანარწყული, რომლის კედელში გამოჭრილია ნაკელის გასაყრელი სანათური; სანათური ზამთარში ხის პატარა სარქველით — ბოლკოთი იხურება.<sup>9</sup> სანათურის თავზე გამოჭრილია ახორის საშუქო ფანჯარა. ზუსტად ასევეა მოწყობილი მეორე ახორიც.

ხაზგასასმელია, რომ ერთ შენობაში ყოველთვის ერთი ზომისა და ერთნაირად მოწყობილი ორი ახორია. ყოველ ახორს თავისი საკუთარი შესასვლელი აქვს და ორივე თავს იყრის ბ. კარაპანში, რომელიც ორივე ბოსლის მთელ სიგანეზეა გამართული. ბ. კარაპანსაც თავის მხრივ ორი კარი აქვს, ერთი ეზოში გადის, მეორე ფასადის მხარეს. ბ. კარაპანი ზამთრის პერიოდში ბოსელსახლის დამხმარე სათავსოს წარმოადგენს. აქ შემოაქვთ ერთი დღე-ღამის სამყოფი საქონლის საკვები. აქვე ინახავენ დაპობილ შეშას. ზამთარში ადამიანი სახლიდან გარეთ გაუსვლელად პირდაპირ ბ. კარაპანში ჩადის და უგლის საქონელს.

ა. მარკოიძის სახლს ფასადის მხრიდან გადმოფარებული აქვს ერთფეროდა, ყავრიანი სახურავი და მის ქვეშა ნაწილს კარაპანი ეწოდება. აქ წარმოებს შეშის დაჩეხვა, დიდი ზომის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება და გაკეთება, პურის გარჩევა, საოჯახო ჯეჯიმების და შალეულის მოქსოვა და სხვ. კარაპანი ყველა სახლს არა აქვს; იგი დამახასიათებელია მხოლოდ ისეთი სახლებისათვის, რომელთა მეორე სართული ფასადის მხარეს პირდაპირ მიწაზეა

7 ქვანისა და მარიტის ხეობებში ბურჯებსა და ბორკილებს კორკიმელს უწოდებენ.

8 სხვათაშორის, ილ. ადამია ახორ ქვეშეს რატომღაც ხალხამს უწოდებს (ქართული ხალხური ხელოვნებების აღწერა, აქარა, თბილისი, 1956, გვ. 39-96). ხალხში სულ სხვა ხასიათის და სხვა დანიშნულების ნაგებობაა. იგი მესერით შემოღობილი საქონლის საზაზულო სადგომია და არა ახორ ქვეშეა.

9 ბოლკოს ზოგან სანათურის კარსაც უწოდებენ.





შედგმული. სახლებს, რომელთა პირველი სართული ფასადის მხრიდან აშკარად შეიმჩნევა, კარაპანი არ უკეთდება (ასეა მაგალითად, უმეტეს სახლებში და კერძოდ ჩვენ მიერ აღწერილებში: წინწყალაძის სახლი ს. წინწყალაშვილებში, ართმელაძის — ს. სტეფანაშვილებში, ანთაძის — ს. მინთაძეებში, ბერიძის — ს. ხიხაძის, ქადაგაძის — ს. თხილვანაში და ა. შ.):

ა. მარკოიძის სახლი გევმაზე შემდეგნაირად გამოიყურება: აღნიშნულ სართულზე შესასვლელი კარიდან შენობის შუა ნაწილში ბოლომდე გასდევს დერეფანი, რომლის ორივე მხარეზე გამართულია ოდები. დერეფნის დასასრულს საკმაოდ განიერი საფანჯრა მოწყობილი, რომლის ფართო რაფაზე დამაგრებულია ნაჩერტებიანი ფიცარი — პირის საბანი. მის მარცხნივ მოწყობილია დახურული ხასიათის საპირფარეშო — ფეხის გზა, რომელიც ტალანივით არის შესული შენობის კონსტრუქციაში.

როგორც წესი, ცენტრალური შემოსასვლელის მარცხენა მხარეს არსებული პირველი ოთახი ზომით ყველა დანარჩენზე მოზრდილია. მას სახლი ეწოდება. სახლი ოთხკუთხა ფორმის ხის იატაკიან-ჭერია, 20-22 მ<sup>2</sup> ზომის ოთახია და წარმოადგენს ზემო აჭარული საოჯახო ყოფის ცენტრს. აქ ცხოვრობენ სახლის დიდი და მისი მეუღლე დიდი ნენე, რომლის სახელსაც ხშირად ტერმინი ზარეული ენაცვლება. სახლის ფასადის კედლის შუაში მოწყობილია ბუხარი, რომლის ქვისაგან ნაშენი საკვამური — კედელი შენობის ძირითად, ხის კედელს, გარედან აქვს მიშენებული და სახურავამდე აღის. ბუხარი საკმაოდ მოზრდილია და რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: ფეხები — ქვეში და კეცი ანუ ზურგი, რაც ბუხრის შიდა ქვას ეწოდება. ბუხარში გადებულია დაკბილული ხე — საჯაჭვური, რომელზედაც ჩამოიბმის ჯაჭვი. იქ, სადაც ცეცხლი ინთება, საცეცხლური ქვია. შეშის თავის დასადებად ქვის კერა დევს. ბუხრის წინ იატაკზე — ფინზე მიწყობილია გამართული და ცეცხლპირი ეწოდება.

ბუხრის ორივე მხარეს, კედლების გასწვრივ გამართულია ხის ტახტები — სექვი, რომელთა დასაწყისში გამოჭრილია პატარა ზომის, უშუშო, მაგრამ დარბიანი ოთახის საშუქი.

საშუქებთან დამაგრებულია ფიცრის განიერი რაფები, რომლებსაც ორგვარი მნიშვნელობა აქვთ. იგი გამოიყენება როგორც ცხელი კერძის გასაცივებლად, ასევე ჭურჭლის დასაწყობ თაროდ. ბუხრიდან მარჯვენა სექვის ბოლოში ლოგინის დასაწყობი მოხარატებულ-მოაჯირიანი მუსანდარა არის მოწყობილი.<sup>10</sup>

ბუხრის მოპირდაპირე კედელზე ორ რიგად გამართულია საოჯახო ჯამჭურჭელის თაროები, რომელთა ქვედა ნაწილი საწყლეს აქვს დათმობილი. ზამთარში საოჯახო წყლის მარაგი თუნგებით, კასრებით და სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელით აქ ინახება. ზაფხულში საწყლეს დერეფნის ერთი კუთხე აქვს მიჩნეული. ეს ადგილი უმეტეს შემთხვევაში სახლის მხარეზე მოდის.

სახლი, როგორც ყველა დანარჩენი ოთახები, ფინიანია, ე. ი. იატაკმოფიცრული.<sup>11</sup> ყველა ოთახს აქვს თავისი ცალკე კარი, რომელიც დერეფნისაკენ იღება. სახლის ფინი ერთ ადგილას ოთხკუთხად არის ამოჭრილი და ბ. კარაპანში ჩასასვლელს წარმოადგენს. მას სათვალე ეწოდება და ქვემოდან აწყალა

10 მუსანდარა — Musamdara. თურქული ტერმინია და ლოგინის ჩასაწყობ დიდ კარადას, ანდა ამავე მიზნით კედელში დატანებულ წაღოს ნიშნავს.

11 გაშალაშინებული ფიცრებით მოფენილ იატაკს აქ „ფინს“ უწოდებენ და, უნდა ითქვას, სამართლიანადაც.



— კიბე აქვს მიდგმული. სახლის პირველი, გვერდითა ოთახი, საუფროსო ოდას წარმოადგენს და იგი ყოველთვის სახლის დიდის ძმას ანდა მის უფროს ვაჟიშვილს ეკუთვნის. ეს ოთახიც სახლსავე არის მოწყობილი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ საწყლე, სათვალე და ჯამ-ჭურჭლის თაროები უკვე აღარ გვხვდება. ეს ოთახი სახლთან შედარებით რამდენადმე მცირე ზომისაა და 16-18 კვმ უდრის. აქაც ასევეა გამართული ბუხარი, მის ორივე მხარეზე სეკვები თავისი მუხსანდართი და ორი საშუქით. ამ ოდის ბუხარი სახლში არსებულზე პატარაა და უკვე აღწერილისაგან არ განსხვავდება.

საუფროსო ოდის გვერდზე გამართულია მხოლოდ ერთი მეურნეობრივი დანიშნულების ოთახი, რომელიც რძის პროდუქტების გაკეთება-შენახვასთან არის დაკავშირებული. მას სარძიე ეწოდება. სარძიე პატარა ზომის (8 კვმ) სათავსოა და სხვა ოთახებისაგან განსხვავდება იმით, რომ მას, როგორც წესი, ბუხარი არ გააჩნია. გარდა ამისა, სარძიეს მისი სპეციფიკურობის გამო გარეთა კედლის ძელებს შორის დატანებული აქვს მტკაველის სიგრძის ვიწრო ნაჩრებები — კიჭინები, რომელთა მეშვეობითაც სარძიეში ჰაერის მუდმივი ცირკულაციაა.

აჭარული სარძიე დანიშნულებით ხევესურულ სენეს შეესატყვისება, თუმცა მათ შორის ერთი საყურადღებო განსხვავებაც შეინიშნება. ხევესურულ სენეში წარმოებს რძის ყოველგვარი პროდუქტის დამზადება.<sup>12</sup> აჭარულში კი ეს ასე არ არის. მაგალითად, უშუალოდ კარაქის შედღეება, როგორც წესი, ყოველთვის სახლში მიმდინარეობს. ამ საქმისათვის სახლის ქერში მიმაგრებულია სპეციალური კეტი — სარეკი ქანდარა (ზოგან საღვარიე ქანდარა), რომელზედაც თოკებით ჩამოიკიდება ვარია. სარძიეში, გარდა ნაღების მოსახდელი გობისა, თაროებზეა ჩამწყრივებული ხისავე ქილეკები — ყველისათვის, გვარდა და დერგი კარაქისათვის და შემდეგ რძის პროდუქტების შესანახი და დასამუშავებელი ხისა და თიხის ჭურჭელი: კოთხო, ხოკერი, საწურავი, ფახრაჯა, სათრიმალო და ყველის ამოსაყვანი — კვეთი.

სახლის გვერდზე დერეფნის მეორე მხარეს არსებული ოდაც უკვე აღწერილი ოთახებისაგან არ განსხვავდება. მასაც ბუხარი, ორი სეკვი და ორი საშუქი აქვს. ოდა-ოთახის გვერდით გამართულია სასტუმრო ანუ მეიდან ოდა, რომელიც შინაგანი მოწყობილობით ყველაზე კარგად გამოიყურება. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია მდიდარი ორნამენტები.

საინტერესოა, რომ სასტუმრო ოდის კარები სხვა ოთახებსავე უშუალოდ დერეფანში კი არ გამოდის, არამედ მის გვერდზე არსებულ საზაფხულო სადგომ ოთახში ქოშკში<sup>13</sup> გადის. ქოშკს გარედან მიდგმული აქვს კიბე, რომლის საშუალებითაც სტუმარი შედის სახლში.

12 გ. ჩიტაია, ხევესურული სახლის „სენე“, „ანალები“, I, თბილისი, 1947, გვ. 152.

13 თ. სახოკიას მიერ აღწერილი „ქოშკიც“ ჩვენ მიერ დაფიქსირებულის ანალოგიურია, იხ. თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1952, გვ. 135.



ამგვარად, ა. მარკოიძის სახლის საცხოვრებელ ნაწილში მეორე სართულზე წარმოდგენილია ოთხი ოდა, ქოშკი, სარძიე და დამხმარე ჰიგიენური ხასიათის განყოფილებები. აღნიშნული სართულის გამაერთიანებელს მის ცენტრალურ ნაწილში წარმოადგენს დერეფანი. დერეფანში დგას ხის დიდი ხაროები სიმინდისათვის და ხისავე კიდობანი ფქვილისათვის; აქვე დერეფნის ხარახებზეა გადებული ხის კეტი — ქანდარა, რომელზედაც გაზაფხულამდე კიდია სათესლე სიმინდის გაურჩეველი ტაროები.


ა. მარკოიძის სახლი ჩარხილია, ე. ი. გადახურულია ოთხფერდა ყავრიანი სახურავით.

ველზე მუშაობისა და სხვა მონაცემების შედეგად გაირკვა, რომ ასეთი სახის საცხოვრებელი სახლები XIX საუკ. პირველ ნახევრამდე გავრცელებული ყოფილა რიყეთის, ღორჯომის, ჭვანის, მარიტის და სხალთის ხეობებში. რაც შეეხება დანარჩენ ხეობებში არსებულ სახლებს, ისინი რამდენადმე განსხვავდებიან ზემოთ აღწერილისაგან და მათ შესახებ ცალკე გვექნება საუბარი.


—\*—




გზა




ქუჩა



I სართული





II სართული




სურ. 1. ფუტკარაძის საცხოვრებელი სახლი (სოფ. შუბანი)








I სართულის გეგმა



II სართულის გეგმა



სურ. 2. მ. სურმანიძის საცხოვრებელი სახლი (სოფ. დარჩიძეები)








ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ვახაღ


ქაღალ



II სართულის გეგმა



I სართულის გეგმა



სურ. 3. ზილაძის საცხოვრებელი სახლი (სოფ. ნაღვარევი)





## 6. ჩიჯავაძე

### ნიადაგის მორწყვა-გაპატივება ზემო აჭარაში

1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წინასწარი სამეცნიერო  
აზვარი

მთიანი აჭარის მოსახლეობა კარგად იცნობდა და მოხერხებულად იყენებდა ნიადაგის ხელოვნურად გაპოხიერებას, რის გარეშე, მიწის ხშირი დარეცვისა და გამოფიტვის გამო, თითქმის შეუძლებელი იყო მეურნეობის წარმართვა. ამ გამანადგურებელი პროცესების წინააღმდეგ ხალხს ძველთაგანვე სათანადო ღონისძიებანი შეუძლავებია.

მძლავრად დაქანებულ ფერდობებზე მდებარე დასახლებული პუნქტები და სახნავ-სათესი ფართობები ტერასულად არის განლაგებული. მეურნეობრივი პირობების ეს თავისებურება რელიეფურად მოჩანს რიყეთის ღელეში, მარი-თისა და მერისის ხეობებში. ტერასული მეურნეობის განვითარებულობაზე და მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე ოროკის,<sup>1</sup> სანკალის,<sup>2</sup> თუმბის<sup>3</sup> და სხვა ტერმინების არსებობა. ოროკი თუ სანკალი მიწის დასაცავი ხელოვნური სიმაგრეებია, რომლებსაც განსაკუთრებით იქ აწყობდნენ, სადაც ნიადაგის რღვევის მეტი საშიშროება იყო. აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, ნიადაგის სტრუქტურის აღდგენის მიზნით, აუცილებელი იყო ხელოვნური გაპატივება.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია მიწის განოყიერების მრავალი ხალხური ხერხი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული სახნავი ფართობის წყალნარევი ნაკელით გაპატივება იყო. ქალა-სათბების გაპოხიერება, როგორც წესი, მორწყვით წარმოებდა.

მთიან აჭარაში გლეხები მეურნეობრივ ნაკვეთებს რამდენიმე ჯგუფად ყოფდნენ: 1. ნაფუძარი — მამული ანუ სახლის ქვემოთ მოქცეული საკარმიდამო ფართობი, 2. ახლოყანა, რომელიც სოფლის ფარგლებში შედიოდა ან მას ეკვროდა, 3. სოფლიდან 3-12 კილომეტრით დაცილებული შორი ანუ გარეყანა. ქვემო აჭარაში დადგენილია აგრეთვე ტერმინ **ერდოყანის** არსებობა, რომლითაც სახლის ზემოთ მდებარე ნაკვეთი აღინიშნებოდა.

მეურნეობრივი ფართობების ამგვარი დაყოფა ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეშიც. ის დადასტურებულია რაჭის სინამდვილეშიც, მაგრამ იმ განს-

1 სულხან-საბა ორბელიანი, განმარტებით ოროკი არის „მიწა ბაქან-ბაქანად მოყავებული“, სიტყვის კონა, თბილისი, 1949 წ. გამოცემა. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბილისი, 1935, გვ. 135-136.

2 სანკალი ხით მოწყობილი სიმაგრეა.

3 თუმბი შინაარსით იგივეა, რაც ოროკი, მაგრამ სიტყვა სომხურია, შემადგენელ ადგილს და სავენაზე კვლებს ნიშნავს, იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 548.





ხევედით, რომ რაჭაში მიწის მხოლოდ ორი ჯგუფი არსებულა: შინაყვანა და გარეყვანა.<sup>4</sup>

აჭარაში საცხოვრებელი და მეურნეობრივი ნაგებობანი ყოველთვის ნაფუძარ-მამულის ზემოთაა განლაგებული და ნაგებობათა მთლიან კომპლექსს წარმოადგენს. საკარმიდამო ნაკვეთისა და საცხოვრებელ და მეურნეობრივ ნაგებობათა ასეთი განლაგება გამოწვეულია ადგილობრივი პირობებით. იგი, ერთის მხრივ, დაკავშირებულია მთა აჭარაში ფართოდ გავრცელებული მორწყვის სისტემასთან.<sup>5</sup>

სარწყავი წყალი აჭარაში ღრმა ღელე-ხევეებიდან ხელოვნური არხების საშუალებით იყო გაყვანილი; წყალი დანიშნულ ადგილს თვითღინებით აღწევდა (შუახევის რაიონი, ს. ვარჯანაული, ქალა, წყაროთა, ახალდაბა). ღელე-ხევიდან წყლის რუში „მოსაბრუნებლად“ რუს სათაოსთან ქვისა და ხისაგან მოწყობილი ქონდათ ბენდი. რუს სათავედ გამოძებნიდნენ კლდოვან, ქვის კალაპოტიან ადგილს, რომ წყლის ღინებას ბენდი არ დაეზიანებია.

აჭარის რელიეფის მკვეთრი დასერილობის გამო, რუს გაყვანა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ხშირად საჭირო ხდებოდა ბორცვისა და თხემის ღრმად ჩაჭრა ან მათი შორი მანძილით შემოვლა. უფრო რთული ვითარება იქმნებოდა, როდესაც რუ პირდაპირ კლდეს ან ხრამს მიადგებოდა. აქ წყლის გასატარებლად სპეციალური ნაგებობის მოწყობა იყო საჭირო, რომელსაც აჭარაში ბურჯებიან ღარებს ან უბრალოდ ღარებს უწოდებენ. ღარები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა, რაც დამოკიდებულია რელიეფის ხასიათზე და წყლის მარაგზე. თუ რუს წინ სიბი და ამავე დროს ქიმიწამოწეული კლდე ელობება, მასზე წყლის გადასატარებლად საგანგებოდ შერჩეული აქვთ კლდის შესაბამისად მოღუნდული მორებისაგან დამზადებული ღარები (ს. ქანიერი, ჭვანის ხეობა).

წყლის გადასატარებელ გრძელ ტრასაზე რამდენიმე ღარს გადაბამდნენ ერთმანეთზე და ქვეშ საყრდენებად ბურჯებს ააგებდნენ ან ბაჯგებს შეუყენებდნენ. ამგვარად მოწყობილია ს. ჭვანის, ხაბელაშვილების და კორტოხის ღარები.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ნიადაგში რუს კალაპოტის გაყვანას. მთის პირობებში რუს ზომიერი დახრილობის შენარჩუნება და უმოკლესი მანძილით მისი გატარება ძნელი იყო. მთის კალთებზე გაყვანილი რუს მიხვეულ-მოხვეულობა კალაპოტის დასილვას და წყლის გადავარდნას იწვევდა. ამიტომ მოსახვევებში რუს კალაპოტს გვერდებიდან დამატებით ამაგრებდნენ. რუს გასაყვან ტრასას წინასწარ შეარჩევდნენ და უპირატესობას მყარ ნიადაგიან ზოლს ანიჭებდნენ. ზოგ შემთხვევაში აუცილებელი ხდებოდა წყლის დაფერდებით დაშვება. ასეთ დროს მიზანშეწონილი იყო ქვიანი კალაპოტის შერჩევა. იქ, სადაც ამნაირი კალაპოტი არ გამოიძებნებოდა, რუს ძირში ქვებს ჩააწყობდნენ, რომ წყლის ვარდნას რუ არ დაეზიანებინა, რასაც შეიძლება მიწის ჩამოშვავება მოყოლოდა. წყლის დაფერდებით და დიდ მანძილზე გადმოყვანისას ალაგ-ალაგ მის კალაპოტს ნაძვის შტოებით და ქვებით „ხორგავდნენ“. ჩახერგილი ადგილები რამდენიმე ხანში ჩაისილებოდა და წყალს „შეატბორებდა“ (წყაროთა, ახალდაბა, ვარჯანაული).

4 პაატა გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX ს. ს., ტომი მეორე, თბილისი, 1956, გვ. 463.

5 აღ. რობაქიძე, დასახლების ფორმათა საერთაშორისო აჭარაში (იხ. ამ წიგნში გვ. 19. რედ).



წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს, რუს გაჭრა იქნებოდა ეს, ღარებისა და ბურჯების მოწყობა, წყალმომარაგების რიგის დადგენა თუ სხვა რამ, ერთი სოფლის (ზოგჯერ კი რამდენიმე სოფლის) კოლექტივი ერთიანი ძალით ასრულებდა. როცა წყლის მარაგი საშუალებას არ იძლეოდა, რომ ყველა ოჯახს, დროის განუსაზღვრელად, თავის სურვილისამებრ ესარგებლა, არხის მოზიარე კოლექტივის ხანდაზმული პირები სოფლის გარკვეულ ადგილზე შეიკრიბებოდნენ და წყლით სარგებლობის რიგს დაადგენდნენ. თუ არხი რამდენიმე სოფელს ეკუთვნოდა, წყლით სარგებლობის რიგი მათ შორის იმავე წესით დგინდებოდა.

წყალი ასეთ კვალობაზე იყო განაწილებული ქალას, წყაროთასა და ახალდაბას შორის, რომლებსაც სარწყავი რუ ვარჯანაულის დელიდან ქონდათ გაყვანილი. რუს მთავარი ტრასა, რომელიც ახალდაბამდე გრძელდება, ს. ქალასთან და წყაროთასთან ცალკე შტოებად იყოფა და სოფელში შემოსვლისას კომლთა შორის ნაწილდება უფრო პატარა რუებად.

მორწყვის სისტემა განუწყვეტილ მოვლა-პატრონობას მოითხოვს. იმ შემთხვევაში, როდესაც სარწყავ რუს მოსახლეთა განსაზღვრული ჯგუფი, ერთი სოფლის ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის კოლექტივი ერთად ფლობდა, საჭირო ხდებოდა წყალმომარაგების განსაკუთრებული ორგანიზაცია. საქართველოს ბარის სინამდვილიდან ცნობილია წყალმომარაგების ორგანიზაციის ინსტიტუტი მერუეების ანუ მერაბების სახით. აჭარის სამიწათმოქმედო ყოფაშიც არსებულია მერუეების ინსტიტუტი, რომელიც იქ მცველის (ზოგჯერ მუთევერის<sup>6</sup>) სახელითაა ცნობილი. თვითვე სოფელს იქ თავისი მცველი ყავდა. მცველი ვალდებული იყო ზუსტად მიეზომოდა წყლით სარგებლობის რიგს, თვალყური ედევნებინა რუს მდგომარეობისათვის, შეეკეთებინა მცირე ხასიათის დაზიანებები, 1-2 დღით ადრე ეცნობებინა ოჯახისათვის წყლის სარგებლობის რიგის მოახლოება და, რაც მთავარია, ყურადღება მიექცია, რომ „წყალი არავის გადაეგდო“.

ოჯახს, რომელიც რუს გაყვანაში არ მონაწილეობდა, წყლით სარგებლობის უფლება არ ჰქონდა; „სოფელი ასეთ კაცს წყალს არ მიცემდა“. წყლის ბოლოს მცველი ყველა მოსახლისაგან ქირის სახით ღებულობდა სიმინდს ან ფულს. რუს მცველის თანამდებობა არჩევითი იყო და სოფელი მას ყოველწლიურად ირჩევდა. ეს ინსტიტუტი აჭარაში, უდავოდ, ძველი უნდა იყოს, ისევე როგორც საქართველოში მერუისა და მერაბის ინსტიტუტი.<sup>7</sup>

მიწათმოქმედებაში წყალს, ნიადაგის მორწყვასთან ერთად, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. ზემო აჭარაში ის ფართოდ იყო გამოყენებული საყანე ფართობში ნაკელის შესატანად. წყლით ნაკელის შეტანას ხულოს რაიონში „ნეხწყლის გაშვებას“ უწოდებენ, შუახევის რაიონში კი „ნაკელწყლით მორწყვას“. მორწყვა-გაბატივების ეს წესი ცნობილია აგრეთვე საქართველოს მთიანეთში.<sup>8</sup> მორწყვა-გაბატივებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიეფის დაქანებას და ნია-

6 მუთევერი, ანუ უფრო სწორად მუთეველი წარმოშობით არაბული სიტყვაა და თურქულად სავაყუფო (სამეჩეთო) მიწების მეთვალყურეს ნიშნავდა. სიტყვა ადგილობრივი გამოთქმითაა მოტანილი.

7 მ. გეგეშიძე, სარწყავის ძველი და ახალი სისტემა ტირიფონის ველზე, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, 1953, ნაკ. VI, გვ. 69.

8 А. И. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванети, Кратк. сообщ. Инст. Этн. АН СССР, в. XXIX, 1958, гв. 61.





დაგის ფიზიკურ შედგენილობას; ამაზე იყო დამოკიდებული ფართობის მორწყვა-გაპატივების დრო და პირობები. მიწათმოქმედი კარგად ერკვეოდა ნიადაგის თვისების დამახასიათებელ ნიშნებში და მას ჰყოფდა როგორც ფერის, ასევე მისი შედგენილობის მიხედვით. სტრუქტურულად აჭარაში ცნობილი იყო შემდეგი ნიადაგები: სუქანი, ძიმე, უყვი, ხამი, მოღული, ცარა, ეწერა, ალიზი; ქალამი, ბრაგა, ბანგარა, ხოჯანი, ჭლე, ხორგინი, კერქეხი, ქვარნალი, ჩეგილი, მიწანელი, ქოლი, ჰანჭყარი, ცხარე, რბილი, სუბუქი და სხვ.

საშუალო დაფერდების ალიზა მიწიანი ფართობი მორწყვამდე უნდა დახნულიყო, რადგან მოუხნავად ასეთი ნიადაგი წყალს არ შეისრუტავდა და, მაშასადამე, ნაკელი უმიზნოდ დაიკარგებოდა. სუბუქი, კერქეხი, რბილი მიწები რომლებიც წყლის კარგი ათვისებით ხასიათდებიან, მორწყვის შემდეგ იხვნებოდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის ზედაპირის დაფერდება დიდი იყო, მორწყვა-გაპატივება, როგორც წესი, მხოლოდ მოხნულში წარმოებდა.

აჭარაში ნიადაგის მორწყვა-გაპატივების ორი ძირითადი წესი იყო ცნობილი. ერთია ფართობის ბოლოდან ზევით შეყოლებით მორწყვა, მეორე კი, პირიქით, ზევიდან მორწყვა ქვევით დაყოლებით. ამათგან უფრო გავრცელებული იყო პირველი, თუმცა არც მეორე წესის გამოყენება წარმოადგენდა იშვიათ მოვლენას. განვიხილოთ ორივე წესი.

სოფლის სარწყავი არხი უბნების მიხედვით რამდენიმე პატარა რუდ დაიყოფა. უბნის რუს ზოგჯერ ცოცხალ რუს უწოდებენ (ბელღეთი, კორტოხი), რადგან საკარმიდამო ნაკვეთს სწორედ ის აწვდის წყალს. ცოცხალი რუ ეს ის მაგისტრალია, საიდანაც მოსახლეობა რიგრიგობით სარგებლობს წყლით. ცოცხალ რუდან სახლის მიმართულებით გაყვანილია დედო რუ, რომელიც ახორის უკან, ნაკელის დაგროვების ადგილთან არის მიყვანილი და აქედან ყანას გვერდზე ჩაუვლის.<sup>9</sup> მოხვნის შემდეგ, როდესაც წყლით სარგებლობის რიგი მოახლოვებულია, ფართობს არვანით „დაარუებენ“ ისე, რომ სარწყავი რუები დედო რუდან ყანის მთელ ფართობზე ტერასულად განლაგდება; ისინი ოდნავი დახრილობით, ერთმანეთის პარალელურად, ყანის მეორე მიჯნამდე აღწევენ. მათ შორის მანძილი განისაზღვრება ნიადაგის სტრუქტურით და რელიეფის დახრილობით. ზემოთ დასახელებულ საკარმიდამო ნაკვეთებში „სარწყავი რუები“ ერთმანეთისაგან 4-8 მეტრზეა დაშორებული. იქ, სადაც დაფერდება დიდი და წყლის დინებას მეტი ძალა ეძლევა, რუსა და რუს შორის მანძილი შესაბამისად მცირდება. ნაკლები დაქანებისას კი ეს ინტერვალი პროპორციულად იზრდება. დარუების ეს სისტემა უზრუნველყოფს ნიადაგის ზედა ფენის დაცვას ჩამორეცხვისაგან.

250 მ<sup>2</sup> ფართობის მორწყვისათვის საჭიროა სამი მომუშავე, რომელთაგან ორი ახორის უკან, ნაკელთან დგას, დედო რუით გამდინარე წყალში თოხით „ლესავს ნაკელს“ და ყანისაკენ უშვებს. ზოგ შემთხვევაში (ს. წყაროთა) ახორთან ნაკელის წყალში უკეთ გაზავებისათვის ორმოს აკეთებენ, საიდანაც ნაკელწყალი თვითდინებით ყანის ბოლომდე აღწევს. პირველი სარწყავი რუს ბოლოში, მეორე კვალზე მრწყველი დგას და როდესაც ნაკელწყალი მასთან მიადწევს, თოხით ყოველ 30-40 სმ დაცილებით რუს გადაკვალავს, სადინარებს გახსნის და მორწყვას დაიწყებს. სამი-თოხი სადინარის გახსნის შემდეგ მრწყვე-

9 მ. წინწყალამის (ს. წინწყალაშვილები), ა. ირემაძის (ს. აგარა), ვ. ჟავანაძის (ს. წყაროთა) საკარმიდამო ნაკვეთები.



ლი ცოტას შეიცდის და, როდესაც ნაკელწყალი სადინრებიდან კვლის ბოლოს მიაღწევს, წყლის დინების საწინააღმდეგოდ, რუს გასწვრივ კვლავ გადაინაცვლებს, მომდევნო სადინარებს გახსნის, დაელოდება ნაკელწყალის ბოლომდე ჩასვლას და ასე განაგრძობს გადანაცვლებას ამავე მიმართულებით (სურ. 1).

სადინრებიდან გადანადენი ნაკელწყალი კვალში განშტოვდება და მთელ ფართობს ზომიერად მოეფინება. მრწყველისათვის ყველაზე საპასუხისმგებლოა პირველი კვალი, რადგან ის ყანის ბოლოშია და თუ აქ მას „ნაკელწყალი გაექცა“, ის სხვის ყანაში გადავა. როგორც კი მოირწყვის პირველი კვალი, მრწყველი დედო რუს ზემოთ აყვება, პირველი კვლის „წყალს მოჭრის“ და მას მეორე სარწყავ რუში გაუშვებს. თვითონ ამ რუს ბოლოში ჩავა, ეხლა უკვე მეორე რუს ზემოთ, მესამე კვალში გაჩერდება და როდესაც ნაკელწყალი მასთან მოაღწევს, იმავე წესით მეორე კვალის მორწყვას შეუდგება. ამგვარად რწყავს იგი ყველა მომდევნო კვალს და აღის ყანის თავამდე.<sup>10</sup>

აღწერილი მეთოდი გავრცელებული და ტრადიციულია იქ, სადაც რელიეფს დიდი დაქანება აქვს. ასეთ პირობებში ყველაზე ეფექტური და პრაქტიკულია ქვევიდან მორწყვა, რომლის დროსაც ნეხვწყალის გადაღრა და მიწის დარეცხვის საშუალება ნაკლებმოსალოდნელია. ამავე დროს ამ წესის გამოყენებით გლეხს საშუალება ეძლევა ყანა ზომიერად მორწყას და ყველა კვალში ნაკელწყალი თანაბრად გაანაწილოს. ასე მაგ., თუ რომელიმე კვალი არასაკმარისად მოირწყო, ეს ნაკლი შეივსება მის მომდევნო ზედა კვლის მორწყვისას, როდესაც ნიადაგი საჭირო რაოდენობით შეისრუტავს წყალს და ნაკელწყალი ქვედა სარწყავ რუში დაიწყებს ჩადენას, საიდანაც ის სადინარების საშუალებით ქვედა კვალს მოედება. ამგვარად, ზევით გადანაცვლების დროს ქვედა, ერთხელ უკვე მორწყული კვალი, მომდევნო კვლის მორწყვა-გაბატივებისას დამატებით ირწყვება. ასე, რომ ნიადაგის არც ერთი ნაწილი არ რჩება გაუბატივებელი. რაც შეეხება სულ ზემოთ მდებარე კვალს, რგი მეორედ არ ირწყვება და ფაქტურად არც საჭიროებს ამას, ვინაიდან ბოსლის წინ მდებარეობს და განოყიერებულია წვიმის შედეგად „გამონაყონი“ ნაკელით.

„ქვემოდან მორწყვის“ წესი ნაკლებ შრომას მოითხოვს, ვიდრე „ზევიდან მორწყვა“, მაგრამ ეს პირობა ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც სახნავ-სათესი, თუმცა სახლის ქვემოთ მდებარეობს, მაგრამ მისგან დიდი მანძილითაა დაშორებული. ნაკელწყალის ასეთ მანძილზე გატარება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ექსპედიციის დროს არაერთი შემთხვევა იქნა ფიქსირებული, როდესაც საყანე ფართობი სახლიდან რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე ირწყვებოდა.

აღნიშნული წესის უპირატესობა იმითაც გამოიხატება, რომ მორწყვის პროცესში სარწყავი რუები არ ზიანდება, როგორც ეს ზევიდან მორწყვისას ხდება ხოლმე. ამ წესის გამოყენება სანიტარული თვალსაზრისითაც გამართლებულია; მუშაობის პროცესში მრწყველი ყოველთვის სარწყავი რუს ზემოდან, „მშრალში“ და დგას და არასოდეს არ ისვრება ნაკელწყალით.

თვითონ სახელი „ზემოდან რწყვა“ გვიჩვენებს, რომ მორწყვა-გაბატივება ნაკვეთის ზევიდან ქვევით დაყოლებით წარმოებს. ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, ამ მეთოდის გამოყენების დროს გარკვეული მნიშვნელობა ნიადაგის სახეობას ენიჭება და მასზეა დამოკიდებული ფართობის დამუშავების დრო. ყო-

<sup>10</sup> კვლების ნუმერაცია პირობითია. ქვევიდან მორწყვისას პირველი კვალი ყანის ბოლოშია; ზევიდან მორწყვისას კი, პირიქით.







ველ შემთხვევაში ცხადი ხდება ის გარემოება, რომ ზევიდან მორწყვა-გაბატი-  
ვება მიზანშეწონილია მხოლოდ პატარა დაქანების დროს. ამით აიხსნება სწო-  
რედ ის გარემოება, რომ ს. დიდაჭარაში, რომელიც სხვა სოფლებთან შედა-  
რებით ბევრად მოვაკებულია, მორწყვის ეს წესია გაბატონებული, თუმცა არ  
შეიძლება იმის თქმა, რომ სხვა უფრო შეფერდებულ ადგილებზე ამ წესის გა-  
მოყენება საესეებით გამორიცხული იყოს. მაგალითისათვის ავიღოთ მ. ზოიძისა  
(ს. ახალდაბა) და ა. შავაძის (ს. დიდაჭარა) საკარმიდამო ნაკვეთების მო-  
რწყვა. ორივე ნაკვეთი, როგორც წესი, სახლის ქვემოთ მდებარეობს და ოდნავ  
დაფერდებულია ისე, რომ წყლის თვითღინებისათვის ეს დახრილობა საესეებით  
საკმარისია. რწყვას აწარმოებს, სულ ცოტა, ოთხი კაცი. ამათგან ორი, როგორც  
პირველ შემთხვევაში, წყალს „ნაკელს ატანს“, მესამე, კვალშია ჩამდგარი და  
სადინარებსა ხსნის. „მრწყელი“ ზედა კვალის მორწყვა-გაბატივების შემდეგ  
დედო რუდან ნაკელწყალს ქვედა რუში გადაუშვებს და ახალ კვალს მორწყავს.  
ამის შემდეგ მომდევნო რუზე გადადის და ასე თანდათანობითი მორწყვით ყა-  
ნის ბოლოს აღწევს.

აქ თავს იჩენს ერთი გარემოება, რომელიც პირველ შემთხვევაში არ გვხვ-  
დებოდა. ყოველი ზედა კვალის მორწყვის პროცესში მიწასთან არეული ნაკელ-  
წყლის განსაზღვრული რაოდენობა ქვედა კვლის სარწყავ რუში ჩაიდვრება და  
ამოავსებს მას, რის შემდეგ მისი სარწყავად გამოყენება გაწმენდის გარეშე  
შეუძლებელია. ამ სამუშაოს კი მეოთხე მომუშავე აწარმოებს. ის თოხით დაუ-  
ყოვნებლივ წმენდს ამოვსილ რუს და საშუალებას აძლევს „მრწყელს“ მორ-  
წყვის შეუჩერებლად ახალ რუზე გადავიდეს. მიუხედავად ამ ნაკლისა, მორწყვა-  
გაბატივების ეს მეთოდი სხვა მხარეებთან ერთად ნაკელის მომჭირნეობის თვა-  
ლსაზრისით უფრო ეკონომიურია, ვიდრე პირველი და ამიტომაც, რომ გლეხები  
საკმაო შეფერდებულ ადგილებზეც არ ერიდებიან მის გამოყენებას. ნაკელის  
სიმცირის შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია ზევიდან მორწყვა, რადგან აქ  
ერთხელ მორწყული კვალი მეორეჯერ არ მოიწყვება და ნაკელიც ნაკლები  
იხარჯება.

ზემო აჭარაში, განსაკუთრებით კი შუახევის რაიონში, სადაც ზაფხულობით  
ხშირი გვალვები იცის, აუცილებელი ხდება სიმინდის მორწყვა, რომლის დროს  
ძველ რუებს იყენებენ. სიმინდის მორწყვას ყოველთვის აწარმოებენ ზედა კვა-  
ლიდან. აქ უკვე აღარ არის ზედაფენის დაშლა-დარეცხვის საშიშროება, რადგან  
ნიადაგს მცენარეული საფარი (სიმინდი, ბალახი) ამაგრებს და ამიტომ წყალი  
სარწყავ რუებში ერთდროულად და თანაბრად ნაწილდება.


ამრიგად, ზემო აჭარაში დადასტურებული მორწყვა-გაბატივება, რომე-  
ლიც უდავოდ ძველი ტრადიციების მაჩვენებელია, გარკვეულ წარმოდგენას იძ-  
ლევა მიწათმოქმედების კულტურის განვითარებულობაზე, ხალხის დიდ შრო-  
მით და წარმოებრივ გამოცდილებაზე.





სურ. 1. ზ. არაბელაძის საკარმიდამო ნაკვეთის მორწყვის სისტემის კრილი და გეგმა (სოფ. ბელლეთი)





სურ. 2. ბარამიძეების საკარმიდამო ნაკვეთის მორწყვის სისტემა  
(სურ. მერისი)





### 3. გველაძე

## დასახლების მორფოლოგიის საკითხები აჭარაში

### 1958 წლის ეთნოგრაფიული მასშტაბის ფინანსური სამეცნიერო აგზარი

1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს ჩაწერილ იქნა მასალები ღორჯომის, დიდაჭარის, სხალთის, ჭვანისა და მარითის ხეობებში.

დასახლების მორფოლოგიის<sup>1</sup> საკითხებთან დაკავშირებით მოპოვებულია მასალები: თემის, ხევის, სოფლის, უბნის, მოსახლეობის ეთნიკური და გვარობრივი შედგენილობის, ძველი ქართული გვარების ახალ ქართულ გვარებთან ურთიერთობისა და განსახლების შესახებ. წარმოებდა აგრეთვე მასალების შეკრება „ოლქობის“ სოციალური ბუნების დასადგენად.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აჭარული სოფლის მოსახლეობის შემადგენლობის საკითხები.


\* \* \*

აჭარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი პროვინციათაგანია. ამ კუთხეს, მთელ საქართველოსთან ერთად, განუწყვეტლად უხდებოდა მომხდურთა წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ომების წარმოება. აქ ისტორიის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შექმნილი სოციალ-პოლიტიკური და მეურნეობრივი პირობები ხელს უწყობდა ცალკეულ სოფლებსა, თემებსა და პროვინციებს შორის მოსახლეობის გადაადგილებას.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე აჭარას, საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად, უცხო დამპყრობთა არა ერთი შემოსევა განუცდია. ამ კუთხისათვის ყველაზე მძიმე ოსმალთა ბატონობა იყო, რომელიც თითქმის სამ საუკუნეს გაგრძელდა. „ოსმალთა“ პრინციპულად განსხვავდებოდა „ქართველობისაგან“. უცხო რეჟიმი აუტანელი იყო ამ კუთხის მკვიდრთათვის; მოსახლეობის ერთი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, მეორე ნაწილი კი შექმნილ მდგომარეობაში თავისი მეობის შენახვას ცდილობდა, ან გურია-იმერეთში იხიზნებოდა. გახიზნას ზოგჯერ ეპიზოდური ხასიათი ჰქონია; იყო მთელი სოფლის აყრა-გადასახლების შემთხვევებიც. ჩნდებოდნენ „ნასოფლარები“, რომელთაც მკვიდრი მოსახლეობა დღესაც „ნაქართლს“ უწოდებს. მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელიც თურქებისადმი მტრულ განწყობილებას ამჟღავნებდა, დამპყრობლებმა ოსმა-

<sup>1</sup> А. И. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванети, Краткие сообщения Института Этнографии АН СССР, XXIX в. 1958, гл. 52—61.





ლეთში გადასახლეს. ასეთი გასახლების მსხვერპლი გამხდარა მარიტის ხეობის სოფ. ჯუმუშაური<sup>2</sup> და სხვ.

წარმოებდა პირუტყვ პროცესიც. თავადურ-ფეოდალური საქართველოს თემებიდან „პატრონის“ ურჩი ყმა თავს აჭარაში გაქცევით შველოდა. ომებისა და შიშინანობის დროს აჭარა თავშესაფარ-„საყუდელი“, შესახიზნი ადგილი ყოფილა. ასე იყო არაბობისა<sup>3</sup> და მონღოლობის<sup>4</sup> დროს, ასე იყო ადრეც და შემდეგაც. ამის შესაბამისად აჭარაში ჩნდებოდა საქართველოს სხვა თემებიდან მოსული ელემენტი. არაბობის დროს ჩნდება ქართლური მოსახლეობაც.<sup>5</sup>

საქართველოს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა — გადაადგილება სხვადასხვა შინაარსისა და მიმართულების იყო. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარის განთავისუფლებას ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილის „მუჰაჯირობა“ (გახიზვნა) მოყვა, რაც ცარიზმის მკაცრი კოლონიური პოლიტიკისა და ოსმალეთის აგენტურის აქტიური აგიტაციით იყო გამოწვეული.<sup>6</sup> ამ პროცესს ზემო აჭარაში ზ. ჭიჭინაძის ცნობებით<sup>7</sup>, რაც ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებითაც დასტურდება, ფართო ხასიათი არ ჰქონია; ბუნებრივია, ომმა ქვემო აჭარა უკიდურესად გააჩანაგა და გახიზვნაც აქ უფრო მწვავე და საგრძნობი იყო.

XIX საუკუნიდან მასიურად წარმოებდა მესხური მოსახლეობის შემოსახლება აჭარაში. ასე მაგალითად, 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს და შემდეგაც მესხეთ-ჯავახეთიდან მკვიდრთა ერთი ნაწილი აჭარაში გაიხიზნა.<sup>8</sup>

საქართველოს სხვა რაიონებიდან სხვადასხვა დროს მოსული და აჭარაში დამკვიდრებული მოსახლეობის ხვედრი წონა შესამჩნევია. საკუთრივ ღორჯომის თემში გვარი გორგაძის ერთი შტო ს. გორგაძეებში (მთხრობელი ქ. გორგაძე, 88 წ.) და გვარი ცეცხლაძე ს. ცეცხლაძეებში (მთხრობელი ი. ა. ცეცხლაძე 68 წ.) ჩამოსახლებულა გურიიდან. მათი სამშობლო ვაკიკვარია. ამ რიგით დასახლებული ადგილები ერთგვარობრივად ვითარდებოდა. თავდაპირველად ამ გვარების თითო ან ორი წარმომადგენელია მოსული, ახლა ისინი სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობას ან საგრძნობ ნაწილს შეადგენენ. მაგალითად, ღორჯომის თემის ს. აჭარაში ადგილობრივი გვარებია მელაძე, გელაძე და მარკოძე. სოფლის მოსახლეობის ძირითადი ბირთვი ავტოქტონურია. გვარი გელაძე იყოფა ორ ძირად<sup>9</sup> და ხუთ „მამად“ ანუ „გამრიგოლ“, „მოძმედ“. ადრე ერთ ძირს ეკუთვნოდა მუჭიენთი, ყსმაღიენთი, ყურბანიენთი და ჭყარტიენთი. გელაძეთა მეორე ძირად გამოიყურება ნანიკიენთი; მუჭიენთი, როგორც ცალკე „მამა“ გვიან ძირად გადაქცეულა და ახლა რამდენიმე ახალ „მოძმედ“ იყოფა — საკუთრივ: შაქირდელიენთი,<sup>10</sup> ისკენდერდელიენთი, ყოჩიები, პანკიენთი, ყარსლები (ყარსლიენთი), ჭინაშვილი და თვით მუჭიენთი. სოფელში გელაძეთა ავ-

2 ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, ტფილისი, 1914, გვ. 151.

3 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 44-47.

4 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 127-188, 279;

ივ. ჯავახიშვილი; ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1954, გვ. 109.

5 პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

6 ჯ. ჩხეიძე, ბათუმი, 1959, გვ. 37.

7 იხ. დასახ. ნაშრომი.

8 იქვე, გვ. 66-67.

9 ტერმინი „ძირი“ აჭარაშიც გვხვდება. ხევსურულ „მამად“ დაყოფას აჭარაში „მოძმე“ და „გამრიგო“ უნდა შეესატყვისებოდეს. იხ. რ. ხარაძე, ხევსურული, „ძირი“ და „გვარი“, მიმოხილველი, I, 1949, გვ. 187-206.

10 დელიენთი ბაბუისშვილობას ნიშნავს.



ტოქტონური მოსახლეობა 29 კომლია, ხოლო მარკოიძეთა ადგილობრივ მკვიდრთაგან ახლა 26 მოსახლეა. გვარი მარკოიძე ადრე ექვს, ხოლო ახლა ხუთ ძირად იყოფა, საკუთრივ: ბაიდრიენთი, მელეგიენთი, სალიაშვილები, ქორხანიენთი, მარიაშვილები; ნანიკიენთის ერთი შტო (უსტაასანიენთი) ფაქტიურად მარკოიძე ყოფილა, ახლა გელაძედ იწერება (მთხრობელი ი. ს. გელაძე, 98 წ. ს. აგარა); მარკოიძეთა ერთი ძირი — ტუხიენთი გადმოცემით ქვაბლიანიდან გადმოსულა, მაგრამ არსებული მასალებით ადგილობრივი მკვიდრი უნდა იყოს. მელაძეთა (გოლიაძიენთი ანუ იგივე მელაშვილი) სამი კომლი სოფლის ძველ მკვიდრად ითვლება.

ამ სოფელში დანარჩენ გვართა წარმომადგენლების ერთი ნაწილი საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებულა. ჩამოსახლებულთა შორის დაფენება შეიმჩნევა. მოსულთაგან ზოგი ადგილობრივ გვარებში შერწყმულა, ზოგს თავისი გვარი შემოუნახავს. აგარა-საციხურის სპოფლო თემში მელაძე, (ფლატელიენთი) მოსულა ქვაბლიანის ხეობის ს. ფლატიდან, იქ მათ ბაქარიენთს ეტყოდნენ. ფლატიდან მტრებს გამოქცეული „ფირალი“ სულეიშანი ს. აგარაში დასახლებულა. ეს XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ყოფილა (მთხრობელი ი. ს. გელაძე). ქვაბლიანის თემიდან არიან დიმიტრაძე (დურსუნიენთი), ბერიძე (პაჯიაშვილები), შავაძე (აბდოშვილები, მთხრობელი მ. ს. შავაძე, 80 წლის) და სხვ. მოსახლეობის გადაადგილება თემისა და ზოგჯერ სოფლის შიგნითაც ხდებოდა. მაგ., ირემაძე (ბოვრიენთი) ხულოდან არის მოსული, ხოლო ირემაძის მეორე შტო (ბოზუენთი) — ირემაძეებიდან; შავაძე (ისმეილაშვილი) დიდაქარიდან მოსულა; ფსანიძე (კვერეკიენთი) — საციხურიდან; მელაძე (ხინოვრიენთი) — ნენიიდან; მიქელაძე (სალმანიენთი) — მეხალაშვილებიდან; ბერიძე (ხოჯიენთი) და ლაბაიძიენთი — ლაბაიძიებიდან; გორგაძე (ბლიაძიენთი) და კუტალიენთი — გერგაძიებიდან.

მარიტის, სხალთისა და ქვანის ხეობებში მესხურ-ჯავახური და არტაანულ-შავშური, ან გურული წარმოშობის მოსახლეობა მეტ-ნაკლები რაოდენობითაა ჩამოსახლებული. მაგრამ როგორც სხვა თემებში, აქაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ადგილობრივი მკვიდრია. მარიტის ხეობის ს. დარჩიძეებში ჯაფარიძეთა (ჯაფარიშვილები), სურმანიძეების (მჭედლიშვილი, მუსტაფიშვილი) წინაპრები შავშელები ყოფილან.<sup>11</sup> ს. ოლადაურში მაკარაძეთა ერთი ჯგუფი (თხიჭირიენთი) სამცხიდანაა, ხოლო მეორე შტო (მოლაალიშვილები) — არტაანიდან ყოფილა ჩამოსახლებული.

ზემო აჭარის მოსახლეობის მცირე ნაწილის წინაპრები ხინოს, ქობულეთის, ჩაქვის და ქედის თემებიდან არიან. ასე მაგალითად, ბარათულში მცხოვრები ქათამაძეების და ჯინჭარაძეების; ვაშაყმაძეებში — ხინკაძეების (ხინოდან) წინაპრები ქობულეთის რაიონიდან მოსულებად ითვლებიან. შუბანში მცხოვრები ებრალიძისა და ბერიძეების წინაპრები ქობულეთიდან ჩამოსახლებულან, ხოლო ადაძიებში მცხოვრებ ირემაძეთა ერთი შტო (ყურიენთი) ხინოდან გადმოსულად არის მიჩნეული.

ლაზური წარმომავლობის მოსახლეობა ზემო აჭარაშიც არის. ლაზებითაა დასახლებული მარიტის ხეობის ს. ახალშენი. მათი გვარი ახლა ფუტყარაძეა.

11 ზ. ჭიჭინაძის ცნობით შავშეთში ისლამის გავრცელების დროს „ბევრი მათგანი აჭარაში გაქცეულა“, როგორც მტკიცე ქრისტიანები. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 44.





ლორჯომში ს. პანტნარში ლაზთა ერთი შტო (ლაზიშვილი) ცხოვრობს, რომელიც გელაძედ იწერება, ხოლო მათი განაყოფი ს. გელაძიძეში დისამიძეა; ს. ხაბელაშვილებში მცხოვრები მამალაძეები წარმომავლობით ლაზები ყოფილან და ა. შ.

გვიანფეოდალურ ხანაში ძლიერი ყოფილა სათემო, სასოფლო და შიგასახეობო ადგილმონაცვლეობა, რასაც მოსახლეობის ბუნებრივი ზრდაც უწყობდა ხელს. იქმნებოდა ახლადდასახლებული ადგილები, სოფლები და უბნები. ეს პროცესი აქარის განთავისუფლების შემდეგ უფრო გაძლიერდა. ამ ნიადაგზეა წარმოქმნილი სოფლები: ქურდული, ქახაური, მერჩხეთი (ლორჯომი), ნამონასტრევი, გელავრა, პანტნარი (ავარა), გარეტყე და ნამონასტრევი (მერისი). მათი უმრავლესობა „ძველი ნაქართლია“, ე. ი. ძველ ნამოსახლარზეა ახლად გაშენებული.

XIX ს-ში მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის ნაწილის აქარაში გამოხიზნა დასახლების გამჭიდროების პროცესის დაჩქარებას ხელი შეუწყო. მოსახლეობის გამჭიდროება და სავარგული მიწის სიმცირე ბუნებრივად ქმნიდა მოთხოვნას ახალ საცხოვრებელ ადგილზე. გაძლიერდა საცხოვრებელი ფართობის საზღვრების გაფართოების ტენდენცია. სოფელი თუ სასოფლო თემი ოდინდელ ჩარჩოებში აღარ თავსდება. ხდება უბნის სოფლად გადაქცევა ან ახალი საცხოვრებელი ერთეულების გაჩენა.

რევოლუციამდელ აქარაში ახალი საცხოვრებელი ადგილის გამონახვის მთავარ საშუალებას ახოს აღება, თავისუფალ ადგილზე ახალი სოფლისა და უბნის შექმნა ან მეზობელ სოფელში ჩასახლება — გამჭიდროება წარმოადგენდა. მოსახლეობის გამჭიდროებისა და სავარგული მიწის სიმცირის ნიადაგზე მერისში ფერდა გარეტყე და ნამონასტრევი მუდმივ საცხოვრებელ ერთეულებად გადაქცეულა. ნამონასტრევი „ძველი ნაქართლი“ ყოფილა. თავდაპირველად იგი საძოვრად, სასკედ და ტყედ გამოუყენებიათ, ხოლო XIX ს-ის მეორე ნახევრიდან „ფერდად“ გადაუქცევიათ, აუგიათ სეზონური საცხოვრებელი სახლები, ხოლო დაახლოებით ასი წლის წინ მუდმივ საცხოვრებლად დამკვიდრებულან. პირველად როგორც სეზონური („ფერდა“), ასევე მუდმივი საცხოვრებელი სახლი მერისელ თურმანიძის (ბაიასტრიენთი) პაპს აუგია. მთხრობელის თქმით „ორმოცი წელი, უმეზობლოდ, მარტო უცხოვრია“, ხოლო შემდეგ სხვებიც ჩამოსახლებულან (ე. ს. თურმანიძე, 80 წ. სოფ. ნამონასტრევი). იმავე გზით და იმავე პერიოდშია დასახლებული გარეტყეც.

ლორჯომის თემში შემავალი თანამედროვე ს. მერჩხეთი აღარ „სალაბაიძეო“ ყოფილა. იგი „გაშობილა“ — საძოვარი იყო. ლაბაიძეებში „ხალხი გამრავლდა, აღარ ეტეოდა“, მერჩხეთი, როგორც სასოფლო ადგილი „წილის ყრით“ დაუნაწილებიათ; დაუწყიათ „ფერდად“ გამოყენება. ამ 40-50 წლის წინ მუდმივ საცხოვრებლად დასახლებულან: პირველი ხ. ი. ბერიძე, შემდეგ ა. ა. გორგაძე გადასულა მუდმივ საცხოვრებლად თანამედროვე ს. მერჩხეთში (მთხრობელი შ. ჟ. ბერიძე, 42 წ., ხ. რ. ირემაძე, 80 წ. შ. ა. ბერიძე 55 წ.). ამავე ვზითაა თავისუფალ თუ ძველ ნამოსახლარებზე გაჩენილი მრავალი სოფელი და უბანი.



\* \* \*

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდისა და შემოსახლების გვერდით XIX ს-ის II ნახევარში წარმოებდა აჭარის მკვიდრთა ერთი ნაწილის გასვლა საქართველოს სხვა თემებში. ამ გზით დასახლებულია ზოტი და ჩხაკაურა (ჩხაკაურა) გურიის ტერიტორიაზე და კიკიბო—ქვაბლიანის ხეობაში. ზოტი და ჩხაკაურა წარმოქმნილია გასული საუკუნის 80-იან წლებში. ზოტი გაჩენილია ძველ ნა-სოფლარზე. იგი „ძველი გზით“ უკავშირდება ქვაბლიანის ხეობას. ამ სოფლებში მოსახლეობა დობევიდან (რიყეთი) და ღორჯომიდან ჩასახლებულა.

დღემდე დაცულია გადმოცემა ქვანის ხეობის ს. ინწკირვეთის მკვიდრ ინწკირველების გურიაში გადასახლების შესახებ. ერთი გადმოცემით გადასახლების მიზეზი ცუდი გეოგრაფიული პირობები ყოფილა, ხოლო მეორე ვარიანტით — ოსმალთა. ამ საკითხზე გადმოცემის ერთი ვარიანტი ი. სიხარულიძეს ჩაუწერია. თქმულებით ეს სოფელი „ძველად სულ ერთი გვარის ხალხით ინწკირველებით ყოფილა დასახლებული; ოსმალ-მაჰმადიანთა მძლავრობის ხანაში კი ქრისტიანობაზე მტკიცედ მდგარ ინწკირველებს დაუტოვებათ თავისი ძველი სამკვიდრებელი და გურიაში გაბარგულან“.<sup>12</sup> ოსმალთა დაწყებისა და თურქთა ბატონობის დროს გურია-იმერეთში სისტემატურად გადადიოდა აჭარული მოსახლეობა; გურულ მოსახლეობაში შესამჩნევია დღესაც აჭარიდან გადასულთა რიცხვი. აჭარის მოსახლეობა საქართველოს სხვა რაიონებშიც მიდიოდა.

სხვადასხვა დროს აჭარის მთის სოფლების მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი დამკვიდრდა ზღვის სანაპირო ზოლში, საკუთრივ: ქობულეთში, ჩაქვში, ბათუმში, გურიაში და ა. შ. ამ ბოლო ხანებში აჭარული მოსახლეობა ქვაბლიანის ხეობაშიც ჩასახლდა.

ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში შეკრებილი მასალებით დგინდება, რომ აჭარის მოსახლეობის ძლიერ მცირე ნაწილი, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებსა და თემებშიც, ეთნიკური წარმომავლობით არაქართულია, რომელთა წინაპრები 200-300 წლის წინ დამკვიდრებულან აჭარაში და გაქართველბულან. მათ შესახებ თ. სახოკია შენიშნავს: აჭარაში „სხვა ეროვნების წარმომადგენელი მეტად მცირე, ას სულამდე თუ იქნება, როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარაში. ისიც ხულოსა და ქედაში არიან, როგორც ვაჭრები, სახელდობრ, სომხები, ბერძნები... სოფლად კი თვინიერ აჭარლებისა სხვა... არავინ ცხოვრობს“.<sup>13</sup> განსვენებულ მოგზაურს არ უმუშავია აჭარის სოფლის მოსახლეობის შემადგენლობაზე და ამდენად სოფელში უკვე გაქართველებული უმნიშვნელო ელემენტი ვერ შეუმჩნევია.

\* \* \*


საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული მოსახლეობა, რომელიც აჭარაში დამკვიდრდა, ზოგ შემთხვევაში ადგილობრივ გვარზე დაიწერა ან პირიქით, ადგილობრივმა მკვიდრმა მოსულის გვარი მიიღო. ეს გარემოება დასახლების გენეზისის შესწავლისას დიდ სირთულეს ქმნის. იგი ხშირად ჩასიძებას, ზოგჯერ გვარის დაკარგვა-უქონლობას უკავშირდება. გვარის დაკარგვა „ოსმალ-

12 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958, გვ. 156.

13 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი, 1950, გვ. 160.

8. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტ., შრ., ტ. I





ბამ“ განაპირობა. თურქისათვის ქართული გვარი და მისი მნიშვნელობა უცხო რამ იყო — იგი ზედმეტად ჩანდა ოსმალთა მოხელის თვალში.<sup>14</sup> ამის შედეგია ე. წ. გვარდაკარგულობა, რაც ოსმალთა ბატონობის ხანაში შეიქმნა.

გვარის გენეზისის საკითხი უშუალო კავშირშია სოფლისა და გვარის პოლიგენურობასა და მონოგენურობასთან. ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს ჩვენი ყურადღება სოფლის გვარობრივმა შემადგენლობამ მიიქცია. დადგინდა პოლიგენური გვარის არსებობა, რომელსაც განეკუთვნება: ვანაძე, დავლაძე, გელაძე, ბერიძე, ცივაძე, ირემაძე, და ა. შ. მაგალითად, ის უმნიშვნელო არაქართული ელემენტი, რომელიც გაქართველებულა და აჭარის სოფელშია დასახლებული, ასიმილირებული, როგორც წესი, იმ გვარს იღებს, ვის ადგილ-მამულშიც ჩასახლებულა ან რომელ გვართანაც ჰქონია ურთიერთობა თუ „ნათესაური კავშირი“. ხშირად მოსული იმ გვარს იღებს, რა გვარის ქალსაც ირთავს ცოლად. გარდა ამისა, არაერთი იყო შემთხვევა, როდესაც აჭარის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უძველესი დროიდან ადგილობრივი მკვიდრი იყო ან ადგილგადანაცვლებით ჩამოსახლდა სხვა ქართული თემებიდან აჭარაში, ოსმალთა ბატონობის დროს საგანგებოდ იცვლიდა გვარს. ისინი ახლაც „შემთხვევით“ გვარს ატარებენ. ზოგნი გვარს თავისი სურვილით იცვლიდნენ და სხვა გვარზე იწერებოდნენ.

ს. ინწკირვეთში მცხოვრებ ჭალაძეებმა ერთ შტოს ერთი განაყოფი („მოძმე“, „გამრიგო“) ახლა მეგლაძედ იწერება. მთხრობელი ა. მ. ჭალაძე — მეგლაძე თავისი გვარის შეცვლაზე ამბობს, რომ „ბაბუაჩემი ბავშვობიდან მეძახდა გელაძეს, რომ გავიზარდე და ობიექტებში გვარების შეტანა დაიწყო, დავიწერე მეგლაძედ“. ს. ბოლუაშვილი მცხოვრები 78 წლის რ. ი. ჯავახიძე ამბობს: „ჩვენი ძველი ჩამოსულია ჯავახეთიდან ან საჯავახოდან... მამაჩემი აქ გაჩენილა... ჩვენი ძველი გვარი არ ვიცოდით, გვეტყოდნენ ჯავახის შვილებს, დავიწერეთ ჯავახიძე“. ამავე სოფლის ბოლქვაძეები (სოიოთრიენთი) შემთხვევით გვარს ატარებენ. „სოიოთრიენტები არიან პაქსაძეებშიც; ჩვენც იქიდან ვართ ამოსული. ჩვენი ნამდვილი გვარი დავიწყებული გვაქვს და იმიტომ ვიწერებით ბოლქვაძეთ“ (მთხრობელი რ. თ. ბოლქვაძე, 55 წ.). გვარის გამოცვლის უფრო მეტი შემთხვევები ჩასიძებას უკავშირდება. ხშირია ჩასიძებულის ქალის გვარზე გადაწერა. არის იმის დშვიათი შემთხვევები, როდესაც სიძე „სიმაურის“ ძედ იწერება.

აჭარის ზოგიერთ სოფელს სახელი მცხოვრებთა გვარის მიხედვით აქვს მიღებული, საკუთრივ: ტაყიძეები, ცივაძეები, ირემაძეები, სტეფანაშვილები და სხვ. არის სოფელი, სადაც აღარ ცხოვრობს ის გვარი, რომლის სახელსაც იგი ატარებს. ასე მაგალითად, ხუტიაშვილებში, მინთაძეებში, მეხელაშვილებში, ტუნაძეებში, ჯუმუშაურში და სხვ.

აჭარაში მონოგენური სოფელი არ არის ტიპური. აქ იშვიათად გვხვდება პირწმინდად ერთი გვარით დასახლებული უბნებიც. აჭარის სოფლები ორი ან მეტი გვარითაა დასახლებული და მონოგენურობის ცალკეული შემთხვევები მხოლოდ მოჩვენებითია. მაგალითად, ღორჯომში, ს. ვანაძეებში მცხოვრები ყველა მოსახლე ვანაძედ იწერება. 49 კომლი 13 „ძირად“ (დელისულოშვილი, ქოსოშვილი, ჭვანელიენთი, კისერიენთი, ქოჩიენთი, ყალიენთი, გაგუნალიენთი, რა-

14 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკონი, 1 (მზადაა დასაბეჭდალად).



შიენთი, პაწალიენთი, გულშვილი, შევლუნიენთი, ბაიკოზაშვილი, თოფალაშვილები) იყოფა. ამჟამად სოფელში მცხოვრებ ვანაძეთა ზოგიერთი კომლის წამდელი გვარის დადგენაც ხერხდება. ვანაძეთა ერთი შტო (შევლუნიენთი) წარმოშობით ტუნაძიებიდან არის. მათ განაყოფს, „მუსიენთის“ სახელწოდებით რომ არის ცნობილი, წამდელ გვარად ბერიძე აქვს. შევლუნიენთის წინაპარი, თვითონ შევლუნი „ხესიძედ“ მოსულა რომელიღაც ვანაძის ოჯახში. ვანაძეთა კიდევ ერთი შტო ასევე ბერიძეა. მათი წინაპრები წარმოშობით სტეფანაშვილებიდან არიან. ერთი მათგანი (ქოჩიენთი) ჩასიძების გზით დამკვიდრებულა ვანაძეებში. ვანაძეთა ცალკე შტო ფაქტიურად ირემაძეა (ჭალიენთი)). მათი წინაპრების თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილი ადაძიებია, მათ ვანაძის გვარი ჩამოსიძების შედეგად მიუღიათ.


ფაქტიურია ს. ირემაძეების მონოგენურობაც. ირემაძეთა ერთი ნაწილი ადგილმონაცვლეობის გამო ამ სოფელში დასახლებულა. ირემაძეთა ერთი შტო (ფლატელები) ქვაბლიანის ხეობიდან არის მოსული. მათი წინაპრები სოფლის მკვიდრთა (ეთიმიშვილის) მიწაზე დასახლებულან და მათ გვარზე — ირემაძედ დაწერილან. 67 წლის ჯ. მ. ირემაძე (ეთიმიშვილი) შენიშნავს, რომ „რაკი ამ სოფელში ჩამოვიდა, აქაური სოფლის მცხოვრებთა გვარი დაიწერა“. ირემაძეთა მეორე შტო (ფოთოლიენთი) სტეფანაშვილებიდან არის. მათი გვარი შავაძეა. ირემაძეთა მესამე შტო შავშურიძე უნდა იყოს. შ. მ. ირემაძე (72 წ.) შემდეგს მოგვითხრობს: „მამაჩემისაგან გაგონილი მაქვს, რომ ჩვენ გვეტყვიან შავშურიძესაო“. ახლა სოფელში სხვა გვარის ხალხიც ცხოვრობს, სოფელი მრავალგვარიანია.

ლორჯომის თემში ს. ცეცხლაძეებში მცხოვრები ცეცხლაძეები (გვიან ამ სოფელში 3 კომლი გორგაძეც ჩასახლებულა) ერთი ძირიდან ყოფილან გამრავლებული. ამ გვარს შემოუნახავს თავისი მონოგენურობა, ამდენად სოფელიც მონოგენურად გამოიყურება. პოლიგენურია ს. ხაზრანაძიებიც. ამ სოფელში ოთხი გვარის ხალხია. ისინი ახლა ხოზრევანიძედ იწერებიან. ხოზრევანიძეთა ერთი შტო (გურულიშვილი) გურიიდან უნდა იყოს მოსული, მეორე შტო (იალაუზიენთი) მეკეიძეებში მცხოვრებ ნაკაიძეთა განაყოფი ყოფილა. ამ ნაკაიძეთა ერთი შტო მეკეიძეა და მათი წამდელი გვარიც ეს არის.

ფაქტიურად პოლიგენურია ს. დავლაძეებიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩასიძების ორ შემთხვევას. ერთი ჩასიძებულთაგანი ირემაძეების მკვიდრია, ხოლო მეორე სოფელ ნენიიდან ყოფილა მოსული. პირველი გვარად ირემაძეა (ფოთოლიენთი). მეორე „ხესიძის“ გვარის დადგენა არ მოხერხდა. გარდა აღნიშნულისა, დავლაძეთა დანარჩენი 11 კომლი ერთ ძირს მიეკუთვნება (მთხრობელი ს. ქ. დავლაძე, 63 წლის). როგორც ვხედავთ, სოფელი დავლაძეები და გვარის დავლაძე არაა მონოგენური. ამრიგად, გვარები: დავლაძე, ვანაძე, ხოზრევანიძე და კიდევ სხვა მრავალი პოლიგენურია, ხოლო გვარი ცეცხლაძე — მონოგენური. ანალოგიური მაგალითები შორს წაგვიყვანდა.

ზემო აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადგინდა მრავალი დასახლებული პუნქტი, რომლის დასახლება გვარის სახელების მიხედვით არის წარ-





მოშობილი, ხოლო მოსახლეობა მთლიანად ამ გვარის წარმომადგენლებისაგან შედგება. ამის გამო ასეთი სოფლები მონოგენური დასახლების შთაბეჭდილებას ტოვებს. უფრო დაწვრილებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში ეს გვარი ფაქტიურად სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებისაგან შედგება და ამ მოვლენამ თანამედროვე ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ფიქტიური მონოგენურობის სახელწოდება მიიღო (აღ. რობაქიძე). მეორე მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ ამასთან ერთად არსებობს ფაქტიურად მონოგენური სოფლები და განსაკუთრებით უბნები. სოფლად ეს ფიქტიური მონოგენურობა წარმოდგენს ძველი ტრადიციებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ ახალი პირობების კომპრომისს.





შინაარსი—СОДЕРЖАНИЕ

|                                                                                                                                |     |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| 1. ა. ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის<br>ამოცანები . . . . .                                         | 3   |
| 2. ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო<br>აჭარაში . . . . .                                            | 11  |
| А. И. Робакидзе. К вопросу о формах поселения в верхней<br>Аджаре . . . . .                                                    | 24  |
| 3. კ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე. ჩაის მრეწველობა საბჭოთამდელ აჭარაში . . . . .                                                           | 25  |
| К. М. Бабилодзе. Чайная промышленность до советской<br>Аджарии . . . . .                                                       | 42  |
| 4. დ. მ ო უ რ ა ვ ი ძ ე. პროდუქციის თვითღირებულების რაობისათვის<br>სოციალიზმის დროს . . . . .                                  | 43  |
| Д. Н. Моуравидзе. К вопросу о сущности себестоимости про-<br>дукции при социализме . . . . .                                   | 67  |
| 5. ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, ჯ. ჩ ხ ე ი ძ ე. აჭარული სამიწათმოქმედო შრომის<br>ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება . . . . . | 69  |
| Дж. Ногаидели, Дж. Чхеидзе. Общая характеристика<br>Аджарских земледельческих трудовых стихов и песен . . . . .                | 93  |
| 6. თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი. ზემოაჭარული სახლი . . . . .                                                                             | 95  |
| 7. ნ. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე. ნიადაგის მორწყვა-გაპატივება ზემო აჭარაში . . . . .                                                      | 103 |
| 8. ვ. მ გ ე ლ ა ძ ე. დასახლების მორფოლოგიის საკითხები აჭარაში . . . . .                                                        | 109 |



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*\*\*

გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩიჩუა

ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე

კორექტორი ნ. ცხვირავაშვილი

გადაეცა წარმოებას 21. IX. 60; ანაწყოების ზომა 7X12; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. XII. 60;  
ქაღალდის ზომა 70X108 1/16; ქაღალდის ფურცელი 4,25; საბეჭდი ფურცელი (პირო-  
ბითი) 10,2; საავტორო ფურცელი 9,79; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 10,0;  
შეკვეთა № 6141; ემ 00645; ტირაჟი 500.

ფასი 7 მან. 60 კაპ.

1961 წ. 1 იანვრიდან ფასი 76 კაპ.

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარბოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა ლითოგრაფია  
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).



ფან 76 კპპ.

